PRIME Time

N15 (265) პარასკევი, 18–27 აპრილი, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge



EXCLUSIVE

# ვინ დგას საქართველოში გაცოცხლებული რუსული დროშების უკან?

„გივი თარგამაძე, კობა ხაბაზი, გია ჭანტურია და „ნაციონალური მოძრაობის“ კიდევ სხვა „ამხანაგები“, რომლებსაც კონკრეტული მიმართულებები აქვთ ჩაბარებული, ორგანიზებას უწევენ პრორუსული პატარ-პატარა ორგანიზაციების შექმნას ქვეყანაში“

**ზურაბ აბაშიძე:**
„თვითმმართველობის შემდეგ საპარლამენტო არჩევნები მოდის, იქ როგორ და რა იქნება, დეტალებზე საუბარი ადრეა“...



EXCLUSIVE



## რა მისია ექნება ალასანიას ოპოზიციაში, რატომ ებრძვიან რესპუბლიკელებს და ვინ შეცვლის მაია ფანჯიკიძეს

EXCLUSIVE



## რა ხდება საზოგადოებრივ მაუწყებელში

EXCLUSIVE

## ვინ არის მოსამართლე ვარძელაშვილი და რა კავშირი აქვს მას ზურაბ ადეიშვილთან



SCANDAL

## რას მალავს საგარეო საქმეთა მინისტრი

**მამუკა ჟღენტი:** „ევროსაბჭოს კონგრესის პლენარული სხდომის პირველ დღეს კონგრესის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გვაუწყა, რომ მოწვევა არ მიუღიათ, ანუ დეკემბერში მათთან არაფერი გაგზავნილა“

EXCLUSIVE

EXCLUSIVE

# რას უყვება „პრაიმტაიმს“ ნაწამები პატიმრის დედა

„ციხის ადმინისტრაციასა და „მაყურებლებს“ შორის ადგილი აქვს უკანონო გარიგებებს, რისი მსხვერპლიც შემდეგში სხვა პატიმრები ხდებიან“

EXCLUSIVE



„ორი თვის წინ 1200 ლარი თავანი პირადად მე ჩავაბარე... მერიის წინ შევხვდი ვილაც გოგოს და თანხა გადავეცი“

**ეკა ბესელია:**
„დამოუკიდებლად პარტიები საკმაოდ დიდხანს იყვნენ და ჩვენ გვახსოვს, რა პერსპექტივები ჰქონდა ცალ-ცალკე ყოფნას“...



EXCLUSIVE

## სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ერთი წლის საქმიანობას აჯამებს



EXCLUSIVE

## „X ფაქტორი“ ტრიუმფალური სტარტითა და მაღალი რეიტინგით



**გიორგი ხაბურზანია:**
„დიდი მადლობა მაყურებელს! „X-ფაქტორი“ პირველ ადგილზე გავიდა, მეორეზე თურქული სერიალი და მესამეზე „ორი ვარსკვლავი“



## რას ყვება 53-ე სკოლის საქმეზე თამარ სანიკიძე

EXCLUSIVE

ექსკლუზიური ინტერვიუ განათლების მინისტრთან

„შეუცვლელი არავინ არის. არც მე მოვსულვარ იმ იმედით, რომ სამუდამოდ აქ დავრჩები“



## სავაჭრო ცენტრ „კარფურის“ მშენებლობაზე 50 წლის მამაკაცი გარდაიცვალა

SCANDAL

„ნებისმიერ მშენებლობაზე გაიარეთ და თქვენი თვალით ნახავთ, რომ მუშას ელემენტარული ჩაფხუტი არ ახურავს, რომელ უსაფრთხოების ნორმებზე მელაპარაკებით“

EXCLUSIVE

## ვინ იშორებს ახალაიების მოწმეებს

EXCLUSIVE



- ალექსანდრე დანელია – ორი იარაღით თავი მოიკლა(?!)...
- სერგო უბილავა – მოულოდნელად გარდაიცვალა ციროზით...
- შალვა თათუხაშვილი – გარდაიცვალა სუნთქვის უკმარისობით...
- სპეცრაზმელი – რუსეთში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ინტერვიუ ოკუპანტების ტყვეობიდან განთავისუფლებულ ჟურნალისტთან

მირიან ბოქოლიშვილი




## „გაპარტახებული საბჭოთა კავშირის სუნი ტრიალებდა ყველგან, განსაკუთრებით ცხინვალის იზოლატორში, სადაც საშინელ პირობებში გვამყოფებდნენ“

**უჩვეულო იყო ამ ინტერვიუს ჩაწერა, რადგან რესპონდენტი ჩემი ახლო მეგობარია, რომლის გამოც ჯერ ბევრი ვინერვიულეთ, შემდეგ კი ასევე ბევრი ვისაუბრეთ იმ 24-საათიანი ტყვეობის შესახებ, რომელიც ბოლო დღეების მთავარ თემად იქცა... რა პირობებში იყვნენ ქართველი ჟურნალისტები ცხინვალის იზოლატორში? ამაზე ქვემოთ მოგიყვებით, მანამდე კი...**

მახსოვს, სამშაბათს, საღამოს, მეგობარმა დამირეკა და შემატყობინა, რომ ბელა რუსმა ოკუპანტებმა გაიტაცეს. ხუმრობად ჩავთვალე, რადგან მეგობრები ხშირად ვეხუმრებით ხოლმე ერთმანეთს, თუმცა მალევე დავრწმუნდი, რომ ხუმრობა არაფერ შუაშია... სოციალურ ქსელებსა და მედიაში ელვის სისწრაფით გავრცელდა ინფორმაცია, რომ სოფელ აძვიდან მცოცავი ოკუპაციის გასაშუქებლად ჩასული „ტვ 3“-ის გადამღები ჯგუფი (ჟურნალისტი, ოპერატორი და ტექნიკოსი) ოკუპანტებმა ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს. ნებისმიერი მოქალაქის გატაცება, ცხადია, ერთნაირად საგანგაშოა, თუმცა, როდესაც საქმე ეხება შენს კოლეგას, მით უმეტეს ახლო მეგობარს, განსაკუთრებით ღელავ.

იმავე დღეს რამდენიმე მეგობარი ჩავედით ერგნეთის საგუშაგოსთან, იმ იმედით, რომ საღამოსვე გაათავისუფლებდნენ, თუმცა ამაოდ... კონტაქტზე არავინ გამოდიოდა, ოფიციალური უწყებები კი აცხადებდნენ, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს... ბელასთან გასაუბრება გვიან საღამოს მოვახერხეთ, როდესაც ოკუპანტებმა ერთი ზარის განხორციელების უფლება მისცეს დედასთან დასარეკად. დაგვამშვიდა, კარგად ვარ და, სავარაუდოდ, ხვალ გამომიშვებენო. სიტუაცია მომდევნო დღეს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებამ დაამძიმა, როდესაც ლავროვის უწყებამ ჟურნალისტი ბელა ზაქაიძე და გადამღები ჯგუფის წევრები შეგნებულ პროვოკაციაში დაადანაშაულა.

მოლაპარაკებები მეორე დღეს, საღამომდე გაგრძელდა, რაშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი ევროკავშირის მისია, სახელმწიფო უწყებები... ქართველი ჟურნალისტების გატაცებამ შეცვალა პრაღაში გამართული აბაშიძე-კარასინის შეხვედრის დღის წესრიგიც... მოკლედ, მრავალმხრივი ჩარევის შემდეგ ჟურნალისტები ერგნეთის საგუშაგოზე ოთხშაბათს, 19:00 საათისკენ გადმოიყვანეს...

**რას ყვება 24-საათიანი ტყვეობიდან განთავისუფლებული ჟურნალისტი? „პრაიმტაიმი“ გთავაზობთ ინტერვიუს ბელა ზაქაიძესთან:**

– ჩვენ რეპორტაჟის გასაკეთებლად ვიმყოფებოდით გორის რაიონის სოფელ აძვში. ბანერს, რომელიც ჩვენგან საკმაოდ მოშორებით იდგა, არც კი მივახლოებივართ. იმდენად მოშორებით ვიყავით ამკრძალავი ბანერიდან, რომ, ოპერატორს კადრის მოახლოება რომ ვთხოვე, რათა გაგვერკვია, რა ეწერა კონკრეტულად, მოახლოებულ კადრშიც კი არ იკითხებოდა წარწერა. ალბათ, ხვდები, რამდენად დაშორებული ვიყავით ამკრძალავ ბანერს. ამ ბანერამდე არანაირი გამაფრთხილებელი ნიშანი არ იყო და შესაბამისად, არც კი გვიფიქრია, რომ აკრძალულ ზონაში ვიმყოფებოდით. იქვე გვეყენა მანქანა, ჩვენ გადასულები ვიყავით და გადაღებული ვიდეომასალის ტელევიზიას ვაწვდიდით.

**– უშუალოდ ვინ დაგაკავათ და სად წაგიყვანეს პირველად?..**

– 5-საათიანი საინფორმაციო გამოშვებისთვის ვემზადებოდი და იმ ტერიტორიიდან ვგეგმავდით პირდაპირ ჩართვას. 10 წუთით ადრე, ბუჩქებიდან, სრულიად მოულოდნელად, გამოძვრა ორი რუსი ჯარისკაცი. როგორც ჩანს, იქვე იყვნენ ჩასაფრებულები, რადგან შორიდან რომ წამოსულიყვნენ, აუცილებლად შევნიშნავდით. ეტყობა, თავიდანვე გვაკონტროლებდნენ. როგორც შემდეგ გაირკვა, კამერითაც გვიღებდნენ. მოგვიახლოვდნენ ეს შეიარაღებული პირები და განგვიმარტეს, რომ დაკავებულები ვართ საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის.

**– არცევის ბაზაზე როგორ გეპყრობოდნენ?..**

– დაკავების ადგილზე ჩამოგვართვეს ტელეფონები და სხვა პირადი ნივთები. გადაგვიყვანეს არცევში, რუსების ბაზაზე. 7 საათის განმავლობაში გვამყოფეს იზოლატორში, აგვიღეს თითის ანაბეჭდები, შეავსეს დაკითხვის ოქმები, გადაგვიღეს ფოტოები ჩვენც და ჩვენს პირად ნივთებსაც. იქვე გვაჩვენეს ოსეთის რუკა და ამ რუკის მიხედვით თითქოს 10 მეტრით გადავსულვართ მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ამის შემდეგ რუსმა მესაზღვრეებმა გვითხრეს, რომ მათ ჩვენთან საქმე დაასრულეს და უნდა გადაგვცენ ოსებს. ღამის 12 საათზე ჩამოვიდნენ ოსები „უაზის“ ტიპის მანქანით და წაგვიყვანეს ცხინვალში, უშიშროების იზოლატორში. ის საშინელი გზა არასოდეს დამავიწყდება... ძალიან წვიმდა და მივდიოდით დანგრეულ გზებზე ცხინვალის იზოლატორისკენ. საერთოდ, მეგონა, რომ სრულიად სხვა სამყაროში მოვხვდი. რაც იქ ვნახე, გასული საუკუნეების ვითარებასაც არ ჰგავდა. გაპარტახებული საბჭოთა კავშირის სუნი ტრიალებდა ყველგან, განსაკუთრებით ცხინვალის იზოლატორში, სადაც საშინელ პირობებში გვამყოფებდნენ. ფსიქოლოგიურ ზეწოლას განვიცდიდი ცხინვალის იზოლატორში.

**– რაში გამოიხატებოდა ეს?**

– მაგალითად, გავყავდით ოფიციალურ დაკითხვებზე, სადაც შეავსეს ოქმი, მომაწერინეს ხელი. მაგრამ ამის გარდა იყო არაოფიციალურ დაკითხვები. მაგალითად, მეორე დღეს ორჯერ გამიყვანეს, მიმიყვანეს უფროსთან. არაოფიციალური საუბრის დროს ყველაფერს მეკითხებოდნენ, ე.წ. საზღვრის გადაკვეთის გარდა. მიმტკიცებდნენ, შენ სამხრეთ ოსეთში პირველად არ ხარ, ადრეც ხარ ნამყოფიო. ვუხსნიდი, რომ ცდებოდნენ, მაგრამ დაჟინებით მარწმუნებდნენ, რომ ამის დამადასტურებელი ფაქტები ჰქონდათ, რაც რეალურად ბუნებაში არ არსებობს, იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ მართლა პირველად მოვხვდი ამ ტერიტორიაზე. ზოგადად, ჰქონდათ ცინიკური და დამცინავი დამოკიდებულება ჩვენ მიმართ. თვითონ იზოლატორში აუტანელი სიტუაცია იყო, ჩამტვრეული ფანჯრები და მხოლოდ გისოსებით შემოსაზღვრული, საშინლად ციოდა, მომცეს ძალიან პატარა ჭუჭყიანი ნაჭერი და მითხრეს, ეს არის ადიალაო, საშინელი სუნი ტრიალებდა ირგვლივ. ქვემოთ საკანში მონაცვლეობით ჩაჰყავდათ ჩემთან ერთად დაკავებული ბიჭები. ის საკანი იმდენად პატარა იყო, რომ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამდი, ვერც ფეხზე დგომას შეძლებდი, იმდენად დაბალჭერიანი იყო. მოკლედ, ძალიან რთული პირობებში გვამყოფებდნენ. საჭმელი მხოლოდ საღამოს მოგვცეს, ჩაის და პურის სახით.

## „გვაჩვენეს ოსეთის რუკა და ამ რუკის მიხედვით, თითქოს 10 მეტრით გადავსულვართ მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე“

**P.S. ქართველი ჟურნალისტების ტყვეობა მას შემდეგ დასრულდა, რაც ქართულმა მხარემ საქმეში საერთაშორისო ორგანიზაციები ჩართო. როგორც იცით, ჟურნალისტების გატაცება ნომერ პირველი განხილვის თემა იყო აბაშიძე-კარასინის შეხვედრაზეც... განთავისუფლებულებს ერგნეთის საგუშაგოსთან ქართველი სამართალდამცველები და ევროკავშირის მისიის წარმომადგენლები დახვდნენ. მოკლედ, ამ შემთხვევაში ყველაფერი კარგად დასრულდა, თუმცა მკითხველს შევახსენებ, რომ ცხინვალში ოკუპანტების ტყვეობაში კიდევ არაერთი ქართველი რჩება. „პრაიმტაიმი“ ჟურნალისტებს განთავისუფლებას ულოცავს, ტყვეობაში დარჩენილ მოქალაქეებს კი ოჯახებში მშვიდობით დაბრუნებას უსურვებს.**


## საჯარო შეტყობინება შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებისგან“ – შპს „ქართულს“

**შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ შპს „ქართულს“ საჯარო შეტყობინებას უგზავნის და 2012 წლის 4 მაისს გაფორმებული, ორი მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენას სთხოვს. „პრაიმტაიმი“ საჯარო შეტყობინების ტექსტს უცვლელად გთავაზობთ.**

**საჯარო შეტყობინება**
**შპს „ქართულს“ (ს.კ 404411098)**

„გთხოვთ, 2014 წლის 25 აპრილამდე წარმოგვიდგინოთ შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასა“ და შპს „ქართულს“ შორის, 2012 წლის 04 მაისს გაფორმებული მიწის ორი ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შპს „ქართულის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები. წინააღმდეგ შემთხვევაში შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ იძულებული გახდება, ხელშეკრულების მე-8 მუხლის საფუძველზე, მოითხოვოს ხელშეკრულების გაუქმება. შესაბამისად, შპს „ქართულის“ მიერ გადახდილი ხელშეკრულების ფასი ჩაითვლება გადაცემული ქონების სარგებლობის საფასურში. გარდა ამისა, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ მიმართავს სს „საქართველოს ბანკს“ შპს „ქართულის“ მიერ წარმოდგენილი საგარანტიო თანხის ანაზღაურების მოთხოვნით“, – ნათქვამია შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ მიერ გამოქვეყნებულ საჯარო განცხადებაში.

დირექტორი ქეთევან ალექსიძე


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ორბორდიანობა საზოგადოებრივ მაუწყებელში



ოთარ ჩრდილელი

„ძალიან კოლეგიალური ურთიერთობა მაქვს, ჩვენ ერთად ვმუშაობთ უნივერსიტეტში“

„მოსამართლე კონსტანტინე ვარძელაშვილი არის ბორდის ყოფილი წევრის, „თავისუფლების ინსტიტუტის“ ერთ-ერთი ლიდერის გიორგი მელაძის უახლოესი მეგობარი. „თავისუფლების ინსტიტუტის“ თანამშრომელი იყო დღევანდელი მოსამართლე ვარძელაშვილიც“



**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**მაშინ, როცა პარლამენტი საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს ახალ შემადგენლობას ირჩევდა, საკონსტიტუციო სასამართლომ ძველი შემადგენლობის ნაწილს ლეგიტიმაციის ვადა – 2015 წლამდე, დანარჩენს კი 2017 წლამდე გაუხანგრძლივა. ანუ გამოდის, რომ, ერთი მხრივ, არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღიარებული ბორდი და მეორე მხრივ, პარლამენტის მიერ დამტკიცებული ახალი შემადგენლობა. ახლა საკანონმდებლო ორგანოში ფიქრობენ იმაზე, როგორ დაარეგულირონ ეს სამართლებრივი უხერხულობა. არ არის გამორიცხული, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა გაიზარდოს და მასში ძველი და ახალი შემადგენლობა გაერთიანდეს.**

გამოსავლის გზებზე მსჯელობის პარალელურად, საპარლამენტო უმრავლესობას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ გარკვეული კითხვები აქვს. დეპუტატი ეკა ბესელია „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ ეს კითხვები ეხება მოსამართლე კონსტანტინე ვარძელაშვილს, რომელიც თავის დროზე „თავისუფლების ინსტიტუტში“ საქმიანობდა. ამავე ორგანიზაციაში მუშაობდა მოსარჩელე, საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის წევრი, გიორგი მელაძეც.

„მიუხედავად იმისა, მოგვწონს თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება, ის უნდა შესრულდეს, თუმცა მოსამართლის მიმართ არსებობს ლეგიტიმური კითხვები. მაგალითად, ის იმავე ორგანიზაციაში მუშაობდა, სადაც გიორგი მელაძე, ერთ-ერთი მოსარჩელე, რომელთანაც ახლაც აქვს ახლო კავშირები. ახლა ჩვენ ვფიქრობთ იმაზე, რომ კანონის სრულყოფის მიზნით, გარკვეული სამართლებრივი ცვლილებები განვახორციელოთ“, – აღნიშნა ეკა ბესელიამ.

უფრო შორს მიდის საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ოთარ ჩრდილელი, რომლის შეფასებითაც, საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის ძველი შემადგენლობისთვის ვადის გახანგრძლივებით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ინსტიტუტის დისკრედიტაცია მოხდა.

„საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი წევრების უფლებამოსილების აღდგენასთან დაკავშირებით. მინდა საზოგადოებამ იცოდეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე კონსტანტინე ვარძელაშვილი არის ბორდის ყოფილი წევრის, „თავისუფლების ინსტიტუტის“ ერთ-ერთი ლიდერის გიორგი მელაძის უახლოესი მეგობარი. „თავისუფლების ინსტიტუტის“ თანამშრომელი იყო დღევანდელი მოსამართლე ვარძელაშვილიც, „ნაციონალური“ ბორდის წევრი გიორგი მელაძე, ისევე როგორც მათი ახლო მეგობარი, გიგა ბოკერია. კონსტანტინე ვარძელაშვილი იყო ნაციონალური რეჟიმის ერთ-ერთი იდეოლოგის, იუსტიციის მინისტრის ზურაბ ადეიშვილის მოადგილე. ამიტომ შეუძლებელია, ვარძელაშვილის გადაწყვეტილება იყოს ობიექტური. ეს ცალსახად სუბიექტური გადაწყვეტილებაა, რომელშიც პირდაპირ არის ასახული „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესები. საკონსტიტუციო სასამართლოს ამ პოლიტიკურ და ანტისახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მის თავმჯდომარეს გიორგი პაპუაშვილს, ჩემთვის ის წარმოადგენს არა ინსტიტუტს – საკონსტიტუციო სასამართლოს, არამედ არის ნაციონალების პოლიტიკური გადაწყვეტილების შემსრულებელი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ ფაქტს საზოგადოების მხრიდან მიეცეს ადეკვატური შეფასება, რადგან ამით ხდება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ინსტიტუტის დისკრედიტაცია“, – აცხადებს ოთარ ჩრდილელი.

„ეს ცალსახად სუბიექტური გადაწყვეტილებაა, რომელშიც პირდაპირ არის ასახული „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესები“

„პრაიმტაიმმა“ მმართველი გუნდის მიერ გამოთქმულ ბრალდებებზე განმარტების გაკეთება სთხოვა გიორგი მელაძეს. ის ადასტურებს, რომ მოსამართლე ვარძელაშვილთან მართლაც აქვს კარგი ურთიერთობა, თუმცა ეს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე არ ასახულა.

**გიორგი მელაძე, ბორდის წევრი:**

– როგორც წესი, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს დავებს, ეს არის ნორმის შეფასება, რამდენად კონსტიტუციურია ის. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები უფრო მეტად აბსტრაქტული ხასიათისაა, ვიდრე კონკრეტული შემთხვევის გამოკვლევა. ამ შემთხვევაშიც, ასეთი კომენტარები კეთდება იმ ადამიანებისგან, რომლებმაც ან არ იციან საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობის სპეციფიკა, ან უბრალოდ სხვა ფორმით არ უნდა მიიღონ დისკუსიაში მონაწილეობა. საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიკვლია კონკრეტული ნორმა და გააკეთა შეფასება მის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში. ჩვენ გამოვაქვეყნეთ მოკლე აღწერა და ყველას ექნება საშუალება, მარტივი ენით დაწერილ შინაარსს გაეცნოს სამეურვეო საბჭოს ვებგვერდზე. თვითონ გადაწყვეტილება არის 35-გვერდიანი, საკმაოდ დასაბუთებული. სამოტივაციო ნაწილი არის 56 პარაგრაფი. ასე რომ, კრიტიკოსებს ჯერ ვურჩევ, გაეცნონ ამ გადაწყვეტილებას. სასამართლოს ჰქონდა რამდენიმე შესაძლებლობა და მან ყველა კუთხით გააანალიზა აღნიშნული ნორმა და მხოლოდ ამის შემდეგ მივიდა დასკვნამდე. ერთსულოვანი იყო კოლეგიის გადაწყვეტილება, რაც ასევე მნიშვნელოვანია, რადგან ზოგჯერ არსებობს სხვაგვარი მოსაზრება თვითონ კოლეგიის შიგნით. ამ შემთხვევაში კოლეგიის სამივე მოსამართლე ერთ აზრზე იყო.

**– ბატონო გიორგი, მოსამართლე ვარძელაშვილთან მართლაც გაკავშირებთ თუ არა ახლო მეგობრობა?**

– ძალიან კოლეგიალური ურთიერთობა მაქვს, ჩვენ ერთად ვმუშაობთ უნივერსიტეტში. რაც შეეხება „თავისუფლების ინსტიტუტს“, როცა ამ ორგანიზაციაში მივედი, იქ ბატონი კოტე უკვე აღარ მუშაობდა. დანარჩენზე არც კი ღირს საუბარი.

**– როგორ წარმოგიდგენიათ პროცესების განვითარება საზმაუწყებლის ბორდთან დაკავშირებით?**

– რა თქმა უნდა, კანონის გასწორება მნიშვნელოვანია. როგორც ვიცი, ახლა პარლამენტში მუშაობა მიდის ახალი მიმართულებით, რომ გაიზარდოს ბორდის წევრების რაოდენობა. იქმნება კომისია, რომელიც ამ თემაზე აპირებს მუშაობას. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, აქვე მინდა განვმარტო, რომ, როგორც წესი, ყურადღებას ამახვილებენ გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილზე, სადაც უშუალოდ წერია, რომ გაუქმდეს ესა და ეს ნორმა. მაგრამ ამის უკან დგას სამოტივაციო ნაწილი, საკმაოდ ვრცელი მოცულობის, სადაც დეტალურადაა აღწერილი ის გზა, რომელიც სასამართლომ გაიარა გადაწყვეტილების მიღებამდე. ნებისმიერი საკანონმდებლო მსჯელობა, რომელიც ამ საკითხის ირგვლივ წარიმართება, თანხვედრაში უნდა იყოს არა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილთან, არამედ სამოტივაციო ნაწილთანაც.

„ასეთი კომენტარები კეთდება იმ ადამიანებისგან, რომლებმაც ან არ იციან საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობის სპეციფიკა, ან უბრალოდ სხვა ფორმით არ უნდათ მიიღონ დისკუსიაში მონაწილეობა“

გიორგი მელაძე





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# უკანონო გარიგებები ციხეში

## „ციხეებში წამება დღესაც ხდება და თუკი ამას არ აღკვეთენ, მე და ჩემნაირები ქუჩაში გამოვალთ“



**my View**



**მირიან ბოქოლიშვილი**

**სასჯელაღსრულების #8 დაწესებულებაში მყოფი პატიმარი გიორგი კანდელაკი არაადამიანურ მოპყრობასა და წამებაზე საუბრობს. წინა და ახალი რეჟიმის დროს არსებულ დარღვევებზე პატიმრის დედამ სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიმართა, თუმცა, რეაგირების ნაცვლად, პატიმარზე ზეწოლა გაძლიერდა.**

**„პრაიმტაიმთან“ საუბრისას პატიმრის დედა, მთვარისა ნავერიანი ამბობს, რომ მისმა შვილმა დააფიქსირა ციხის ის თანამშრომლები, რომლებიც გასულ წლებში მის წამებაში მონაწილეობდნენ. ამ ფაქტის გენინსპექციაში შეტანის შემდეგ კი დაიწყო მასზე ანგარიშსწორება. მთვარისა ნავერიანი ციხეებში „მაყურებლებსა“ და ადმინისტრაციას შორის უკანონო გარიგებებზეც საუბრობს. მისივე თქმით, ციხეებში საკმაოდ სერიოზული პრობლემაა აზარტული თამაშები და თავანის ჩაბარებები.**

**„ორი თვის წინ 1200 ლარი თავანი პირადად მე ჩავაბარე... მერიის წინ შევხვდი ვიღაც გოგოს და თანხა გადავეცი“, – ყვება პატიმრის დედა.**

**ის ყველა მშობელს, ასეთივე პრობლემის წინაშე მდგარს, ხმის ამაღლებისკენ მოუწოდებს.**



## რას უყვება „პრაიმტაიმს“ ნაწამები პატიმრის დედა?

# EXCLUSIVE

**მთვარისა ნავერიანი, პატიმრის დედა:**

– ჩემი შვილი #6 დაწესებულებაში იხდიდა სასჯელს. ის ციხის ცნობილ ფაქტებთან დაკავშირებით დაზარალებულადაა ცნობილი და დასახიჩრებული აქვს სხეული. მას მოტეხილი აქვს 6 ნეკნი, მარცხენა ხელის მტევანი, დაზიანებული აქვს თავის ქალა არმატურით ცემით. ამის გამო თავის ქალაზე შეშუპება აქვს და სჭირდება ძლიერი ტკივილგამაყუჩებლები.

**– პრობლემები როდის შეექმნა დაწესებულების ახალ ხელმძღვანელობასთან?**

– 2014 წლის 12 აპრილს გიორგი გადაიყვანეს გლდანის #6 დაწესებულებაში. კარანტინში ყოფნის დროს, როდესაც მას ძლიერი თავის ტკივილები ჰქონდა, მოითხოვა ტკივილგამაყუჩებლები. იმის მაგივრად, რომ პატიმრისთვის ყურადღება მიექციათ, ის ერთი ღამის მანძილზე 4-ჯერ გადაიყვანეს სხვადასხვა საკანში და სასტიკად გაუსწორდნენ. ადვოკატებმა დაადასტურეს ეს ინფორმაცია. ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა ადრეც და ადგილი აქვს დღესაც. მან დააფიქსირა ის თანამშრომლები, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს მის წამებასა და ცემაში მონაწილეობდნენ. გარდა ამისა, მას ჰქონდა პრეტენზია, რომ ციხის ადმინისტრაციასა და „მაყურებლებს“ შორის ადგილი აქვს უკანონო გარიგებებს, რისი მსხვერპლიც შემდეგში სხვა პატიმრები ხდებიან.

**– როგორც ვიცი, საქმის კურსში ჩააყენეთ გენერალური ინსპექცია... რა პასუხი მიიღეთ?**

– მე ამის შესახებ განვაცხადე და ეს განცხადება შეტანილია სასჯელაღსრულების გენერალურ ინსპექციაში. ნაცვლად იმისა, რომ ამას სხვა რეაქცია მოჰყოლოდა, უკუშედეგი მივიღე და მოხდა მის მიმართ ანგარიშსწორება. არა მარტო იმიტომ, რომ წამალი მოითხოვა, არამედ იქ უამრავ ფაქტზე ჩვენ ვამხელდით სასჯელაღსრულების დაწესებულებას, მათი უკანონო ქმედებების გამო. ითხოვდი ჩემი შვილის სხვა დაწესებულებაში გადაყვანას, რადგანაც ადგილი ჰქონდა კანონდარღვევას ადმინისტრაციის მხრიდან. მათ აქვთ სპეციალური ტელეფონები, რომლებიც ერთი ადგილიდან მეორეზე გადააქვთ, პატიმრებს ალაპარაკებენ და ციხეში ხდება თამაში. მინდა საქვეყნოდ განვაცხადო, ყველა მშობელს, ვინც ისეთივე მსხვერპლია, როგორც მე ვთხოვ, ხმა ამოიღოს.

## „ციხის ადმინისტრაციასა და „მაყურებლებს“ შორის ადგილი აქვს უკანონო გარიგებებს, რისი მსხვერპლიც შემდეგში სხვა პატიმრები ხდებიან“

მინდა მივმართო უფლებადამცველებს და განსაკუთრებით პარლამენტის იურიდიულ კომიტეტს და ეკა ბესელიას. მოინახულოს გლდანის #8 დაწესებულებაში ნაწამები ჩემი შვილი, რომელიც არის სასტიკად ნაცემი, გამოფატრული აქვს მუცელი და ექიმი არ შესულა. ვთხოვ საზოგადოებას, დამიდექით გვერდში, რომ ასეთი ფაქტების მსხვერპლი თქვენი შვილები არ გახდნენ. ვთხოვ პროკურატურას, დაინტერესდეს ამ ფაქტით. სახალხო დამცველს შეტანილი აქვს მოთხოვნა და წერილი, რომ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და დამნაშავე პირები დაისაჯონ. ჩატარდეს ექსპერტიზა, ალტერნატიული ექსპერტიზის შემთხვევაში მე ეს უნდა შევათანხმო სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან, ისინი კი ამას გამიჭიანურებენ. სანამ მას აქვს ცემის კვალი, ვთხოვ პროკურატურას, სასწრაფოდ აღძრას სისხლის სამართლის საქმე და დანიშნოს ექსპერტიზა. მას, ასევე, უნდა ჩაუტარდეს ფსიქოლოგიური ექსპერტიზა, რადგანაც გიორგი კანდელაკს ცემის გამო აქვს ფსიქიკური პრობლემები. არის სუიციდისადმი მიდრეკილი, ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა. მე ვარ დედა და მანამდე ვიბრძოლებ, სანამ ეს უბედურებები საბოლოოდ არ დასრულდება.

**– თქვენ შვილისგან გაქვთ ინფორმაცია, რომ ციხეებში აზარტულ თამაშებს ბადრაგები უწყობენ ხელს?**

– დიახ, ეს ინფორმაცია მე ჩემმა შვილმა მომაწოდა, ზუსტად ამიტომ წავედი და დავწერე განცხადება. შემდგომ უსაფრთხოების სამსახურის უფროსს შევხვდი, დამპირდა, რომ ჩემს შვილს თმის ბეწვი არ ჩამოუვარდებოდა. თმის ბეწვი კი არა, სასიკვდილოდ გაიმეტეს. გლდანის ციხიდან მხოლოდ 3-ჯერ დარეკვის უფლება აქვს პატიმარს. სახალხო დამცველი შევიდა ორშაბათს, მათ გამოტანილი აქვთ დაკითხვის ოქმები. ექიმი არ შესულა და არ უნახავს ჩემი შვილი. რით სცემეს, არ ვიცი. ჭრილობა თვითონ მიიყენა, მაგრამ თავის არეში, ეტყობა, რომ ცემისგან არსი დაზიანებული. ამ ცემის საქმეში მონაწილეობდა ციხის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი. არ გეგონოთ, რომ მსგავსი პრობლემა მხოლოდ ჩემს შვილს აქვს. მაგალითად, პატიმარი გიორგი ოგანეზოვი სცემეს იმის გამო, რომ მისი მწამებლები ამოიცნო. არის სხვა ფაქტებიც, მაგრამ ეს ადამიანები ამას ტოვებენ კონფიდენციალურად. მე მაქვს პროტესტის გრძნობა და არ გავჩერდები. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი მიიღებს კანონს, რითაც წიწაკის გაზსაც გამოიყენებენ, ფრთას გაშლიან სასჯელაღსრულების თანამშრომლები და ამას დაარქმევენ კანონიერ წამებას. ციხეებში წამება დღესაც ხდება და თუკი ამას არ აღკვეთენ, მე და ჩემნაირები ქუჩაში გამოვალთ და ისე დავამხობთ ამ რეჟიმს, როგორც სააკაშვილის რეჟიმი დავამხვეთ.

„პრაიმტაიმი“ პატიმარ გიორგი კანდელაკის მდგომარეობის შესახებ სასჯელაღსრულების სამინისტროს დაუკავშირდა. უწყების პრესსამსახურში განგვიმარტეს, რომ ინფორმაცია, რომელსაც მსჯავრდადებულის დედა ავრცელებს, სიმართლეს არ შეესაბამება.

„მსჯავრდადებული გ.კ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-6 დაწესებულებიდან მისივე განცხადების საფუძველზე გადაიყვანეს გლდანის მე-8 დაწესებულებაში, სადაც მან ფსიქოტროპული მედიკამენტების მიღების მიზნით თვითდაზიანება მიიყენა სახისა და სხეულის წინამხრის მიდამოებში, რაც დაფიქსირებულია შესაბამისი დოკუმენტაციით. რაც შეეხება დანარჩენ ინფორმაციას, რომელიც მსჯავრდადებულის მშობელმა გაავრცელა, არ შეესაბამება სიმართლეს“, – აცხადებენ სოზარ სუბარის უწყებაში.

**„ორი თვის წინ 1200 ლარი თავანი პირადად მე ჩავაბარე... მერიის წინ შევხვდი ვიღაც გოგოს და თანხა გადავეცი“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა დაუჯდა ბურჯანაძეს „ქდმ“-ს ყიდვა?



**my View**
**მირიან ბოქოლიშვილი**

**გიორგი თარგამაძე პოლიტიკიდან წავიდა, ლევან ვეფხვაძე სასწავლებლად უცხოეთში მიდის... „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ კი გიორგი ახვლედიანს დარჩა თავისი პარტიული რესურსით, საბიუჯეტო დაფინანსებითა და საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობებით. ცხადია, ახვლედიანს საარჩევნო მარათონში დამოუკიდებლად ჩართვა გაუჭირდებოდა, შესაბამისად, „ქდმ“-მ ამჯერად ახალი პატრონი მოძებნა, ნინო ბურჯანაძის სახით. გარიგება ორივე მხარისთვის საკმაოდ სარფიანია. ცხადია, ბურჯანაძეს გიორგი ახვლედიანის პოლიტიკურ ავტორიტეტზე მეტად საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობები და უფასო პოლიტიკური სარეკლამო დრო აინტერესებს. მაგრამ რა იყო „ქდმ“-ს ინტერესი? როგორც პოლიტიკურ კულუარებში ამბობენ, ბურჯანაძემ ეს პარტია 1 მილიონად იყიდა.**

**რა გარიგება შედგა რეალურად? ჰქონდა თუ არა ადგილი ფინანსურ დაინტერესებას და როგორ აღმოჩნდა ერთ დროს პროდასავლურად ცნობილი პარტია ნინო ბურჯანაძის გვერდით? ამის გასარკვევად „პრაიმტაიმი“ გიორგი ახვლედიანს ესაუბრა.**

**– გიორგი, ამბობენ, რომ ბურჯანაძემ გაერთიანების სანაცვლოდ 1 მილიონი გადაგიხადათ?**

– ჯერ ერთი, ის საარჩევნო კვალიფიციური სუბიექტის რესურსი, რომელიც „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“ აქვს, გაცილებით დიდია. უფასო სარეკლამო დროის თვალსაზრისით, ეს სადღაც 4 მილიონამდე აღწევს, საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლების თვალსაზრისით კი ეს დაახლოებით 700 ათას ლარამდე ადის. ასე რომ, ამ შემთხვევაში ჭორების გამავრცელებელს რეალურად მაინც უნდა შეეფასებინა ჩვენი რესურსი. დიახ, არასაპარლამენტო ოპოზიციაში ჩვენ ვართ ერთადერთი, ვისაც ეს რესურსი აქვს. ჩვენი დაინტერესება იყო, რომ, რაც შეიძლება ფართო ოპოზიციურ სპექტრს მოვახმაროთ ეს რესურსი.

**– ანუ იმას, რომ ბურჯანაძემ „ქდმ“ ერთ მილიონად იყიდა, არ ადასტურებთ?**

– რა თქმა უნდა – არა. ჯერ ერთი, რას ჰქვია იყიდა? ორი პოლიტიკური პარტია გაერთიანდა ერთ ბლოკში და გავაერთიანეთ რესურსები.

**– და რა არის მიზეზი, რის გამოც, თქვენ, ერთ დროს პროდასავლური პარტიის წარმომადგენელი, აღმოჩნდით ქალბატონ ბურჯანაძის გვერდით?**

– მე ახლაც პროდასავლური ვარ და ყოველთვის ვიქნები პროდასავლური. ის სტერეოტიპი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან იყო ჩამორიგებული ყველა იმ პოლიტიკური პარტიის მიმართ, რომელსაც ჰქონდა შეთავაზება, დიალოგი წარემართა ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან, თუნდაც რთულ პერიოდში, ყველას დაერქვა აგენტი. პრორუსული და ა.შ. სინამდვილეში არავითარი პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკური ძალა არ გახლავთ ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა“. ეს არასდროს გვითქვამს ჩვენ, „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“, და ყოველთვის წინააღმდეგნი ვიყავით მსგავსი სტერეოტიპებისა და იარლიყების მიკერების. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ ერთმნიშვნელოვნად საჭიროა დიალოგი რუსეთთან. ამას სხვა ალტერნატივა არ აქვს. ამას მოუწოდებს საქართველოს მთელი მსოფლიო. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენ გამო რუსეთთან მესამე მსოფლიო ომს არავინ დაიწყებს. სხვათა შორის, სწორედ ამას ამბობდა „ქართული ოცნებაც“ და აცხადებდა, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ წარმართული პოლიტიკა იყო აბსოლუტურად მიუღებელი თავისი აგრესიული რიტორიკით. იყო დაპირება, რომ ამ პოლიტიკას დიალოგისა და მშვიდი საუბრის რეჟიმში გადაიყვანდა. სამწუხაროდ, ეს ბერკეტი არც „ქართულ ოცნებას“ აღმოაჩნდა. ამ დრომდე არშემდგარი უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლის შეხვედრა რუსეთის პირველ პირებთან. ამის რესურსი აქვს ქალბატონ ბურჯანაძეს და ვფიქრობ, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი.

**– და საიდან აქვს ეს რესურსი ბურჯანაძეს?**

– ამ ადამიანმა დაგვანახა, რომ შეუძლია, ორგანიზება გაუკეთოს შეხვედრას, სადაც ძალიან სერიოზული პრობლემების გაანალიზება იქნება შესაძლებელი. მართალია, ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკოსი რაიმე სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტს ხელს ვერ მოაწერს, მაგრამ საზოგადოებამაც დაინახა, თუნდაც იმ ცნობილი შეხვედრით, რომ ბურჯანაძეს აქვს რესურსი.

**– ანუ, რომ დავაზუსტოთ – ბურჯანაძე პუტინთან საკუთარი რესურსის დემონსტრირების მიზნით წავიდა თუ პრობლემების მოსაგვარებლად?**

– იქ ძალიან ბევრი საკითხი შეიძლებოდა განეხილათ და ნინო ბურჯანაძე პუტინისგან ჩამოვიდა ძალიან სერიოზული გზავნილით და ეს არის ის, რომ არსებობს სერიოზული რესურსი მოლაპარაკებების დასაწყებად. ჩვენ მაშინ მოვისმინეთ პუტინის განცხადებაც, სადაც თქვა, რომ არ არსებობს თემები, რომელზეც რუსეთსა და საქართველოს არ შეუძლიათ დასხდომა და მოლაპარაკება. ეს არც მაშინდელმა და არც მოქმედმა ხელისუფლებამ არ გამოიყენა. ქართველი საზოგადოება კი კვლავ უზარმაზარი საფრთხეების წინაშე რჩება.

**– შენ კი ამბობ, რომ თავის დროზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიაკერა ბურჯანაძეს პრორუსული იარლიყიო, მაგრამ შეგახსენებ თუნდაც „ქდმ“-ს შეფასებებს, როდესაც „პაკლონაია გორაზე“ ბურჯანაძის გამოჩენას კრიტიკულად აფასებდით... რა შეიცვალა ახლა?**

– ჩვენ ვამბობდით, რომ ამ შემთხვევაში ოპოზიციის მხრიდან პრობლემების მოგვარება შეუძლებელი; იქნებოდა, შესაბამისად, ოპოზიციონერი ლიდერის შეხვედრა ვლადიმერ პუტინთან რაიმე სახელმწიფო მნიშვნელობის გარდატეხას ვერ მოიტანდა, მაგრამ დიალოგის რეჟიმი „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“ არასოდეს გაუპროტესტებია.

**– ემთხვევა თუ არა თქვენი და ბურჯანაძის პოზიციები 2008 წლის ომის დაწყებასთან დაკავშირებით?**

– დიახ, ფაქტია, რომ წინა ხელისუფლებამ ყველანაირი პირობა შექმნა ამ ომის დასაწყებად, არასწორი და აგრესიული რიტორიკით. შეგახსენებთ იმ განცხადებებს, რომლებიც მაშინდელი ოფიციალური პირებისგან კეთდებოდა. მაგალითად, მახსოვს ბათუ ქუთელიას განცხადება, რომელიც გვარწმუნებდა, რომ რუსეთის სულ ორი დაჟანგული გემი ჰყავს შავ ზღვაში. და მაგათი დამარცხება ძალიან ადვილიაო. ომი, რა თქმა უნდა, რუსეთმა დაიწყო, თუმცა მან ძალიან ადვილად წამოაგო პროვოკაციაზე საქართველოს ხელისუფლება. ამ ყველაფერს წინ რაც უძღოდა, იყო ერთმნიშვნელოვნად დანაშაულებრივი და ანტისახელმწიფოებრივი ქმედება სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან.

**– ანუ დღეს გიორგი ახვლედიანს არ აქვს კითხვები ნინო ბურჯანაძის პოლიტიკურ წარსულთან, იგივე ომის შემდეგ რუსეთის სამხედრო აღლუმზე დასწრება რამდენად სწორი გადაწყვეტილება იყო?**

– ჩვენ თუ გვინდა დიალოგის რეჟიმი გვქონდეს აგრესიულად განწყობილ მეზობელთან, უნდა გამოვიყენოთ ყველა რესურსი. თუ დავიწყებთ იმის ძიებას, კონკრეტულ ადგილას რატომ მივიდა ბურჯანაძე, ხელი რატომ ჩამოართვა, რატომ გაუღიმა, აგური რატომ არ ჩაარტყა თავში და ა.შ. მგონი, არასერიოზული იქნება.

**– აგურის ჩარტყმას არავინ სთხოვს... უბრალოდ, მაინტერესებს გამართლებულად მიგაჩნიათ თუ არა, როდესაც აგვისტოს ომის შემდეგ, ქართველი პოლიტიკოსი ესწრება რუსული არმიის აღლუმს?**

– სამწუხაროდ, მაშინ ხელისუფლებას არ ჰქონდა რესურსი, ჩასულიყო და მოლაპარაკება ეწარმოებინა...

**– და ბურჯანაძე რომ ჩავიდა, რა? რამე შეცვალა?**

– კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მაშინ ნინო ბურჯანაძემ ჩამოიტანა მნიშვნელოვანი გზავნილი – საქართველოსა და რუსეთის შორის არსებობს რესურსი მოლაპარაკებებისთვის.

**– და ეს იმ შემთხვევაში, თუ თავად მოვიდოდა ხელისუფლებაში?**

– არა, იქ იყო საუბარი ზოგადად ხელისუფლებაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს რესურსი არ იქნა გამოყენებული არც მაშინდელი და არც ამჟამინდელი ხელისუფლებების მხრიდან. უკაცრავად, მაგრამ, თუ ვიღაცას აქვს დიალოგის რესურსი, იმის შიშით, რომ ვიღაცამ პრორუსობის იარლიყი არ მიაკრას, ამ რესურსის გამოყენებაზე უარი რატომ უნდა თქვას?

**– გასაგებია, მაგრამ ნებისმიერ დიალოგს ხომ უნდა ჰქონდეს რაღაც მიზანი... ამ შემთხვევაში რა იყო ბურჯანაძის მიზანი?**

– როგორ ფიქრობ, ერთი შეხვედრით შესაძლებელი იყო, ბურჯანაძეს ჩამოეტანა ხონჩა მოგვარებული პრობლემებისა? ეს არის ბავშვური მიდგომა. ეს იყო დემონსტრირება იმისა, რომ რუსეთთან შეიძლება მოლაპარაკების დაწყება. ამას გამოიყენებს ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც აქვს ამის შესაძლებლობა და რომელიც მოვა ხელისუფლებაში.

**– და თუ ბურჯანაძე მოვიდა ხელისუფლებაში, რა მოხდება?**

– დიალოგი დაიწყება მეორე დღესვე. ძალიან კონკრეტული პრობლემების მოგვარების გარშემო დაიწყება საუბარი, იქნება დათმობები, თუმცა, რა თქმა უნდა, არსებობს წითელი ხაზები, რომელიც არ უნდა გადაიკვეთოს.

## „თუ დავიწყებთ იმის ძიებას, კონკრეტულ ადგილას რატომ მივიდა ბურჯანაძე, ხელი რატომ ჩამოართვა, რატომ გაუღიმა, აგური რატომ არ ჩაარტყა თავში და ა.შ. მგონი, არასერიოზული იქნება“



**გიორგი ახვლედიანი: „უფასო სარეკლამო დროის თვალსაზრისით, ეს სადღაც 4 მილიონამდე აღწევს, საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლების თვალსაზრისით კი, ეს დაახლოებით 700 ათას ლარამდე ადის“**




## „ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენ გამო რუსეთთან მესამე მსოფლიო ომს არავინ დაიწყებს“


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მაია ფანჯიკიძე – ისევ სკანდალში



# რას მალავს საგარეო საქმეთა მინისტრი

ქეთი ხატიაშვილი

**ვინ გაახმოვანა მაია ფანჯიკიძემ თავისი სკანდალური განცხადებით? ის რადიკალები, რომლებიც არჩევნებიდან არჩევნებამდე გაიძახიან, რომ უცხოელი დამკვირვებლები არ უნდა მოვიწვიოთ და რომ ისინი გაყალბებულ არჩევნებს „აპრავებენ“. ასეთი ფიგურები არიან პარლამენტშიც და მცირე ძალები – პარლამენტს გარეთაც.**

თუმცა, როგორც ირკვევა, მაია ფანჯიკიძემ, ამ სკანდალური განცხადებით, დაფარა რეალური მიზეზები. ის, რომ რუსეთი უშლის ხელს სადამკვირვებლო მისიების ჩამოსვლას არჩევნებზე და ისიც, რომ სამინისტრომ ჯეროვნად ვერ იმუშავა ვეტოს დასაძლევად. თუმცა, შესაძლოა, ვითარება კიდევ შეიცვალოს.

მაია ფანჯიკიძე ჯერ სერიოზულ დიპლომატად არ აღიქმებოდა და ახლა უკვე მინისტრადაც არ აღიქმება. მხოლოდ პროდასავლური ორიენტაცია საკმარისი არ აღმოჩნდა. ხმაურიანი განცხადებების ავტორი არაერთხელ გახდა, თუმცა ბოლო შემთხვევამ საერთოდ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. წინასაარჩევნოდ მის განცხადებას უცხოელი დამკვირვებლების შესახებ დიდი სკანდალიც მოჰყვა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მინისტრმა საკუთარი შეხედულება გაახმოვანა და მთავრობასთან ის შეთანხმებული არ იყო.

**დიპლომატებს, უბრალოდ, არ სჯერათ, რომ ფანჯიკიძეს ასეთი სისულელე შეიძლებოდა ეთქვა. მთავრობის სხდომიდან გამოსულმა საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ:**

– ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (ODIHR) ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, საქართველოში შესაძლოა, საერთაშორისო დამკვირვებლები არ გამოგზავნოს... როდესაც სავარაუდო თარიღი ცნობილი იყო, უკვე გავაგზავნეთ კონკრეტული თარიღით მოწვევები. გამოხმაურება ჯერჯერობით არ გვქონია. თუმცა, ერთი რამ ვიცით, რომ შეიძლება, ODIHR-მა არ გამოაგზავნოს დამკვირვებლები, რადგან ეს არის ადგილობრივი არჩევნები და არ შედის მათ კომპეტენციაში. გარდა ამისა, იმასაც აქვს მნიშვნელობა, რომ საქართველოს პრესტიჟი არის ამაღლებული, საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს აქვს ნდობა და აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, იმდენი დამკვირვებელი ამ არჩევნებზე არ ჩამოვა, რამდენიც წინაზე ჩამოვიდა.

ექსპერტი ლევან ალაფიშვილი გაოცებულია. მისი განმარტებით, საქართველომ რამდენიმე თვეში ხელი უნდა მოაწეროს ევროპასთან ასოცირებულ ხელშეკრულებას და შესაბამისად, საქართველო ახლა დასავლეთის მხრიდან სერიოზული დაკვირვების ქვეშ იმყოფება. ამ არჩევნებს, მისივე განმარტებით, დიდი ყურადღებით დააკვირდებიან და შეფასებების კრიტერიუმიც მკაცრი იქნება.

თუმცა, მთელი ინტრიგა აქ ის კი არ არის, რომ თურმე ისე გავიზარდეთ, თვალსა და ხელს შუა, ანუ საპრეზიდენტო არჩევნებიდან ადგილობრივამდე, რომ დამკვირვებლები აღარ გვჭირდებიან, არამედ ის, რომ თურმე ODIHR ადგილობრივ არჩევნებს არ აკვირდება. ექსპერტებმა მაშინვე დასვეს კითხვა: და შესაძლებელია, საგარეო საქმეთა მინისტრმა არ იცოდეს, რომ 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებს საქართველოში, მათ შორის, ODIHR-ის 400-ზე მეტი დამკვირვებელი აკვირდებოდა?

სკანდალი პიკზე იყო, რომ მინისტრმა მეორე განცხადება გააკეთა და რამდენიმე საათში მაია ფანჯიკიძე ისევ ხმაურის ეპიცენტრში აღმოჩნდა. ამჯერად მინისტრმა გვაუწყა, რომ თურმე ODIHR ნატოში შეეშალა. ეს ხომ საერთოდ ნონსენსია. ასეთი რაღაცის არევას სტუდენტს არ აპატიებენ და შეიძლება საშემოდგომო გამოაყოლონ, არათუ მინისტრს და ახლა მეორე შეკითხვა დაისვა: და როგორი იქნება ფანჯიკიძის შემოდგომა?

თავად მინისტრმა „შეცდომა“ ენობრივი ლაფსუსით ახსნა. ლევან ალაფიშვილისთვის ეს არგუმენტი არ არის. ასე მიაჩნიათ სხვა ექსპერტებსაც. აღარაფერს ვამბობ პოლიტიკოსებზე, რომლებმაც მინისტრი ჯერ ერთი და მერე მეორე განცხადების გამო მკაცრად გააკრიტიკეს. მით უფრო, რომ ჩასწორებულ ვარიანტში ფანჯიკიძემ განაცხადა, რომ ODIHR-ის დამკვირვებლები ვერ ჩამოვლენ, რადგანაც სამინისტროსთვის ჯერ კიდევ ერთი თვის წინ მოწერილ წერილში წერდნენ, ფინანსური პრობლემების გამო ვერ დავაკვირდებით არჩევნებსო.

ექსპერტებმა და პოლიტიკოსებმა მინისტრს ამ წერილის გასაჯაროება სთხოვეს, თუმცა, მინისტრს წერილი დღემდე არ გამოუქვეყნებია.

**ევროსაბჭოში საქართველოს ყოფილი ელჩი მამუკა ჟღენტი მინისტრის სკანდალურ განცხადებას გამოეხმაურა:**



## მამუკა ჟღენტი: „მარტო ენობრივი ლაფსუსი რომ იყოს, კომენტარისგან თავს შევიკავებდი“



„მარტო ენობრივი ლაფსუსი რომ იყოს, კომენტარისგან თავს შევიკავებდი. ჯერ ერთი, ვის გაუგონია 3-ჯერ მოსაწვევის გაგზავნა. ანუ ამის ჯერ გაკეთება და მერე თქმა უკვე ლაფსუსია და თანაც არა ენობრივი. არის ასევე ტყუილის ლაფსუსიც, რადგან მარტში გამართული ევროსაბჭოს კონგრესის პლენარული სხდომის პირველ დღეს კონგრესის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გვაუწყა, რომ მოწვევა არ მიუღიათ, ანუ დეკემბერში მათთან არაფერი გაგზავნილა. ამ შეხვედრის მეორე დღეს ევკონგრესმა მიიღო მიწვევა, არადა მორიგი ლაფსუსი ისაა, რომ მაშინ არჩევნები დანიშნული ჯერ კიდევ არ იყო ოფიციალურად. კიდევ ბევრი რამ შეიძლება გავალაფსუსოთ, მაგრამ ყველაზე მეტად საინტერესოა ODIHR-ის წერილი, სადაც წერია, რომ ისეთ არჩევნებს ვატარებთ, რომ მათი ჩამოსვლა აღარაა აუცილებელი. ისე, ინფორმაციისთვის: ეს ორგანო არჩევნებს აკვირდება აშშ-იც და საფრანგეთშიც და ასე შემდეგ. ამიტომ უნდა გამოვტყდე – ლაფსუსი მარტო ენობრივი არაა.

მაინც რისთვის დასჭირდა ასეთი განცხადების გაკეთება მინისტრ ფანჯიკიძეს, თანაც მთავრობის სხდომის შემდეგ?

## გოკა გაბაშვილი: „რუსეთმა ეუთოს ბიუჯეტი დაუბლოკა“

**გოკა გაბაშვილის** განმარტებით, მინისტრმა ფანჯიკიძემ მთელ ამ ისტორიაში მთავარი დამალა, მან არ თქვა რეალური მიზეზი, რატომ არ ფინანსდება ODIHR. გაბაშვილის თქმით, ეუთოში სწორედ რუსეთმა დაადო ვეტო საქართველოში სადამკვირვებლო მისიის გამოშვებას – დაუბლოკა ბიუჯეტი. დეპუტატის განცხადებით, საგარეო საქმეთა სამინისტროს აქვს მექანიზმები, იმოქმედოს და ეს ვეტო გადალახოს. თუ საქართველო მოითხოვს მისიას, ის მიიღებს მას.

**მეორე დღეს უკვე პრეზიდენტმა მარგველაშვილმა განმარტა, რომ დამკვირვებლებს დიდი მისია აკისრიათ საქართველოში:**

„შარშან საპრეზიდენტო არჩევნებზე ძალიან წარმატებული იყო დამკვირვებლების ჩამოსვლა, იმიტომ რომ მათ დაინახეს, დაადასტურეს და, ფაქტობრივად, მთელ ცივილიზებულ სამყაროს მათი მეშვეობით ეცნობა, რომ საპრეზიდენტო არჩევნები იყო დემოკრატიული და კონკურენტული. შესაბამისად, ბუნებრივია, ჩვენ დამკვირვებლებს მივესალმებით, მნიშვნელოვანია, რომ ისინი დაესწრონ. რომელი ორგანიზაცია დაესწრება და რა რაოდენობით, ეს დეტალები ჩემს კომპეტენციაში ნაკლებად შედის“.

კომპეტენცია საგარეო საქმეთა სამინისტროსია, თუმცა, რამდენად კომპეტენტურია მაია ფანჯიკიძე, კითხვები უკვე გაჩნდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ირაკლი ალასანია - კონფო

ქეთი ხატიაშვილი

**რამდენად აისახება სამთავრობო ცვლილებები პოლიტიკურ კონფიგურაციაზე? რამდენად სავარაუდოა, რომ ალასანიამ და რესპუბლიკელებმა მართლაც გადაინაცვლონ ოპოზიციაში, როგორც ეს პოლიტიკიდან და საზოგადოებრივი საქმიანობიდან წასვლის წინ თვით გია ხუხაშვილმა დაიბარა?**

მაგრამ ეს ხომ არ იყო მხოლოდ ფრაზა. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ მაშინ არსებობდა ასეთი ხედვა – ნაციონალები დინოზავრებივით გადაშენდებიან და მათ ადგილს ალასანია და უსუფაშვილი დაიკავებენ.

მაგრამ ისინი არ გადაშენდნენ. და რა ხდება ახლა? ვერტიკალი შეიწოვს ალასანია-უსუფაშვილს თუ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ დაიშლებიან? გაცხადებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ალასანია და მისი გუნდი მაინც განსხვავებულ განცხადებებს აკეთებენ იგივე უკრიანასთან დაკავშირებით. აი, რესპუბლიკელები ცოტა განსხვავებულ პოზიციებში არიან. მაგალითად, თინა ხიდაშელმა ერთხელ 26 მაისიც კი შეადარა მაიდანს.

ადგილობრივი არჩევნების შემდეგ რომ ბევრი რამ შეიცვლება, ეს საარჩევნო სიებსაც ეტყობა. „პარტია ქართული ოცნება“ დომინანტი ხდება და ადგილების ნახევარი მიაქვს, ნახევარს კი დანარჩენი პარტიები ინაწილებენ. რა თქმა უნდა, რესპუბლიკელებსაც და ალასანიასაც უფრო მეტის მიღების ამბიცია ექნებათ, ვიდრე ერთკაციან პარტიებს. მაგალითად, იგივე ძიძიგურს. „ფორუმის“ ამბიციებიც ცნობილია.

ასე რომ, არ გამორიცხავენ, რომ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ სტარტს მომავალი საპარლამენტო არჩევნები აიღებს. როგორც ჩანს, სამთავრობო ცვლილებებიც ამ ლოგიკით განხორციელდება. სააკაშვილის მსგავსად, ახალი ხელისუფლებაც, ალბათ, ცდილობს, არ დაუშვას, სახელისუფლებო რესურსებით ანებივროს რომელიმე ის ფიგურა, რომელიც „უცხოა“. უცხო სხეულად კი, ალბათ, ირაკლი ალასანია აღიქმება, საკუთარი ამბიციებიდან გამომდინარე.

ირაკლი ალასანიამ თქვა, რომ არსად წასვლას არ აპირებს, რომ ის აგრძელებს თავდაცვის მინისტრის პოსტზე საქმიანობას, მაგრამ არის ეს მასზე დამოკიდებული? ის ახლა ერთ-ერთი ძლევამოსილი ძალოვანი უწყების ხელმძღვანელია. მის დაქვემდებარებაშია ჯარი, შეიარაღება, დაზვერვა, მოსასმენი აპარატურები. როგორც ერთხელ თავდაცვის ექსმინისტრმა განაცხადა, მას უკანონოდ უსმენენ. ხელი კი ოქრუაშვილმა სწორედ ალასანიას დაადო. ანუ ოქრუაშვილმა თქვა, რომ ალასანია უკანონო მოსმენებს ხორციელებს.

ირაკლი ოქრუაშვილიც ძალიან ამბიციური და გავლენიანი ფიგურა იყო. მისი რეიტინგიც საკმაოდ მაღალი გახლდათ და მისი განცხადებებიც საკმაოდ პოპულარული, განსაკუთრებით კონფლიქტურ ტერიტორიებთან დაკავშირებით. მისი ფრაზა: მომავალ ახალ წელს ცხინვალში შევხვდებითო, დღემდე ახსოვთ.

თუმცა, ასეთმა თითქოს ძლევამოსილმა და ამბიციურმა ფიგურამაც კი ვერტიკალის გარეთ თამაში ვერ შეძლო. როგორც კი გადადგა და ოპოზიციაში გადაინაცვლა, წააგო.

ყველაზე წარმატებული ის მაინც იმ გუნდში იყო, რომელსაც სააკაშვილის გუნდი ერქვა. ოპოზიციაში მან შესაძლოა, შესაბამისი გარემოცვა ვერ იპოვა, ან მაშინ ხელისუფლება იყო საკმაოდ ძლიერი იმისთვის, რომ ოქრუაშვილის რყევებისთვის გაეძლო.

ირაკლი ახლა არჩევანის წინაშე დგას – ასე ხედავენ ექსპერტები მის მდგომარეობას. ან დასწრებაზე ითამაშოს და თავად გადადგეს – ასე ის პოლიტიკურ წონას შეინარჩუნებს; ან დაელოდოს, როდის მოხსნიან და მაშინ ის ოპოზიციაში სოლიდურ პოლიტიკურ წონას ვერ შეიძენს.

რას იზამს ალასანია? როგორც ჩანს, ის პოლიტიკოსზე მეტად კონფორმისტია. ასე რომ, ამბობენ, რომ არაფერსაც არ იზამს და შეეცდება, ისევ ვერტიკალზე დარჩეს. მაგრამ ერთია, რას ირჩევს თავდაცვის მინისტრი თავად და მეორეა, როგორ უყურებენ და რა გეგმები აქვთ მასთან დაკავშირებით სხვებს.





## „ალასანია ვერც ნაცებთან გადავა, რადგან რეპუტაციას გაიფუჭებს და ნდობას დაკარგავს, მარტო კი ბევრი ვერაფრის გაკეთებას შეძლებს“

ერთ-ერთი ინფორმაციით, ალასანია საგარეო საქმეთა სამინისტროში გადაჰყავთ. პოლიტიკურად შესაძლოა, ეს მისთვის მომგებიანი იყოს, თუმცა, გავლენების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, შესუსტდება.

ძალაუფლება იყო ის, რის დაკარგვასაც ოქრუაშვილი არ შეეგუა და ვა-ბანკზე წავიდა. ამბობენ, რომ ირაკლი ალასანია ვა-ბანკზე არ წავა.

თუმცა, ერთხელ მან უკვე გააკეთა საინტერესო მინიშნება, როცა თქვა: წინამორბედი პრემიერი ინტრიგებს ხლართავსო:

„საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისთვის, განსხვავებით ძველი წინამორბედებისგან, ინტრიგების ხლართვა აბსოლუტურად უცხოა, – ამის შესახებ ალასანიამ „რუსთავი 2“-ის გადაცემა „არჩევანში“ განაცხადა.

და როცა გადაცემის წამყვანი გიორგი გაბუნია შეეცადა, დაეზუსტებინა, ვინ იგულისხმა თავდაცვის მინისტრმა წინამორბედში, ივანიშვილი თუ სააკაშვილი, მან პასუხად ერთი მარტივი წინადადება თქვა: „გამგები გაიგებს“. დაუპირისპირდა ალასანია ივანიშვილს? ნიშნავს ეს უკვე ვა-ბანკს?

იმდენი კითხვის ნიშანი ისმის და იმდენი ვერსიაა, რომ რაიმეს თქმა შეუძლებელი ხდება. კულისებში კი უკვე ახალი ინფორმაცია გამოჩნდა – საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ალექსანდრე პეტრიაშვილს შესთავაზეს, თუმცა, მან უარი თქვა. მიზეზი, არ სურს ფანჯიკიძეს ჩაენაცვლოს.

ანუ აქ მინიშნება ასეთია: ალასანია შეიძლება სულაც ჩამოაშორონ ვერტიკალს და მაშინ მას მოუწევს, ოპოზიციაში გადაინაცვლოს.

და რისთვის არის საჭირო ალასანია ოპოზიციაში? ზოგიერთი ექსპერტი ხუხაშვილივით ფიქრობს, რომ ალასანია და რესპუბლიკელები სწორედ ის „ჯანსაღი“ ძალები არიან, რომლებიც ნაციონალების მეორე ადგილიდან მესამე ადგილას ჩაჩოჩებას შეძლებენ, რაკილა ეს სხვებმა (მაგალითად, იგივე ბურჯანაძემ) ვერ მოახერხეს.

მოკლედ, ალასანია უკვე მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა, რომელსაც მაღალი რეიტინგი აქვს და იმედისმომცემად გამოიყურება, ოღონდ ოპოზიციაში.

ისინი, ვინც ხუხაშვილივით ფიქრობენ, დარწმუნებულები არიან, რომ ალასანია და უსუფაშვილი ნაციონალების ადგილს დაიკავებენ. პარტია „ქართული ოცნება“ სახელისუფლებო პარტიად ჩამოყალიბდება, კოალიციაში შემავალი პარტიები კი ოპოზიციაში თავის გზას იპოვიან.

მართალია, ახლა ეს სივრცე ნაციონალებს აქვთ დაკავებული, მაგრამ არ არის გამორიცხული, მათ წინააღმდეგ ალასანია უფრო ეფექტური იარაღი იყოს, ვიდრე ნინო ბურჯანაძე. მისი რეიტინგი ახლა უფრო მაღალია.

ექსპერტები თითქმის დარწმუნებულები არიან, რომ ირაკლი ალასანია სუსტი ორგანიზატორია, თუმცა, მას შეუძლია, საკუთარი თავი კარგად წარმოაჩინოს, ანუ ის მაინც ყოველთვის საკუთარ თავსა და პირად ინტერესებზეა ფოკუსირებული. ალასანიამ ეს მაშინაც დაადასტურა, როცა მასზე ახლები და რესპუბლიკელები მუშაობდნენ – ის მხოლოდ იმ ბანერთან ჩნდებოდა ხოლმე, სადაც მხოლოდ მისი სახელი და გვარი, ირაკლი ალასანია ეწერა.

სოციალურ ქსელებში ჯერ კიდევ ადრე წერდნენ ირაკლი ალასანიას ოპოზიციაში გადასვლის შესახებ:

„პირველ რიგში, ალასანიამ იცის ყველაზე უკეთ, რომ ამ მომენტისთვის ის, თავისი პარტიით, ისედაც ყველაზე უკეთეს მდგომარეობაშია და ამის დაკარგვა არ ღირს, მაინც ვერაფერს მოიგებს. თან უკვე ყველაფერი დალაგებული და „გაიასნებულია“ და ძალიან მყარად ზის ახალი ხელისუფლება მინიმუმ 4 წლით. აი, 4 წლის შემდეგ კი დიდი ალბათობით „ნაცმოს“ ალი-კვალი აღარ იქნება რეიტინგის პონტში და კოალიციის შიგნით მოხდება ჯგუფებად დაყოფა. პრინციპში, შეიძლება ამ 4 წლის შემდეგ პერიოდზე ზრუნვა დაიწყო ალასანიამ აქედანვე (უფრო სწორად, მცდელობა ჰქონდა), რომ იმ დროისთვის, მისი გავლენების წყალობით, უალტერნატივო ყოფილიყო“.

მაგრამ იმისთვის, რომ უალტერნატივო იყო, ვერტიკალით არავინ გასარგებლებს. ასე იყო სააკაშვილიც. ანუ, თუ გინდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდე, მაშინ თავად გაისარჯე ამისთვის – დაახლოებით ასეთია ლოგიკა. ამიტომაც არ მისცეს ნინო ბურჯანაძეს თავის დროზე საარჩევნო სიებში საკუთარი ხალხის ჩასმის საშუალება. ეს არ იყო ნინოს პოლიტიკური პროცესი. საკუთარი პროცესის შექმნას ბურჯანაძე უკვე ოპოზიციიდან ეცადა, თუმცა ვერტიკალი რა ხიბლსაც გაძლევს, სწორედ იმ ხიბლს გიკარგავს ოპოზიცია. ამდენად, ხელი-




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რმისტი თუ პოლიტიკოსი

## რა მისია ექნება ალასანიას ოპოზიციაში და რატომ ებრძვიან რესპუბლიკელებს და ვინ შეცვლის მაია ფანჯიკიძეს

სუფლების გარეთ ძლიერ და გავლენიან ფიგურად დაფიქსირება და მით უფრო, პოლიტიკური პროცესის შექმნა, საკმაოდ რთულია.

ვარაუდობენ, რომ გადამდგარ ირაკლი ალასანიას უკვე არც ნაციონალები მიიღებენ. ამდენად, ამ შემთხვევაში მას მართლაც მოუწევს საკუთარი პოლიტიკური პროცესის შექმნა. და მაშინ მოუწევს მას, დაამტკიცოს, რეალურია თუ არა მისი ამბიციები. შეუძლია თუ არა, რამე შექმნას და გააკეთოს, თუ იმდენად სუსტია, რომ დაიკარგება.

მეორეც, ახლა ბევრმა გაიხსენა მაშინდელი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის განცხადებები, პოლიტიკიდან რომ წავალ, ახალ ოპოზიციას შევქმნი, რომელიც ჩემ მიერ მოყვანილ ხელისუფლებას გააკრიტიკებსო.

ნაციონალები ასეთ ძალად ნინო ბურჯანაძესა და ირმა ინაშვილის უკან მდგარ პოლიტიკურ ძალას – „პატრიოტებს“ განიხილავენ. გიგა ბოკერიამ რამდენჯერმე თქვა, რომ სწორედ ეს პოლიტიკური ძალები აკმაყოფილებენ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ გემოვნებას.

სწორედ ისინი ემზადებოდნენ იმ სივრცის დასაკავებლად, რომელიც ოპოზიციაში ნაციონალების პოლიტიკიდან წასვლით უნდა გაჩენილიყო.

თუმცა, იგივე სოციალურ ქსელებში ასეთ ძალად ირაკლი ალასანიაც დასახელდა: „ერთხელ ბიძინამ ღიად თქვა, რომ თავისი საკუთარი ოპოზიცია სჭირდება! ალბათ, ალასანიას ბაზაზე აპირებენ საკუთარი ოპოზიციის შექმნას!.. ალასანია ვერც ნაცებთან გადავა, რადგან რეპუტაციას გაიფუჭებს და ნდობას დაკარგავს, მარტო კი ბევრი ვერაფრის გაკეთებას შეძლებს. ერთი შანსი აქვს მომავალში, თუ ამერიკელებს ისევ გაახსენდათ „საქართველო და დემოკრატია“.

ასე რომ, არ არის გამორიცხული, ახალი პარტიები შეიქმნას, ახალი ძალები გამოჩნდნენ, ან კოალიციიდან გასულმა ფიგურებმა თქვან: ჩვენ ივანიშვილის მხარდაჭერით ვსარგებლობთო. დემონსტრირებისთვის კი ივანიშვილის ეს წერილი მოიყვანონ.



ეს მხოლოდ ვერსიებია, როგორ განვითარდება მოვლენები, ჯერ რთული სათქმელია. ყველაფერი დამოკიდებული იქნება პოლიტიკურ ვითარებაზე. სოციალური ქსელები, ექსპერტები, პოლიტიკოსები ზუსტად ვერაფერს ამბობენ. როგორც ჩანს, ადგილობრივი არჩევნების შემდეგ პოლიტიკური ვითარება მართლაც შეიცვლება.

ანუ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლასაც ვარაუდობენ და „ნაციონალური მოძრაობისაც“. ზოგი დარწმუნებულია, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკის შემდეგ საქართველოსაც დატოვებს. ზოგიც მიიჩნევს, რომ ყოფილი პრემიერი დარჩება და ოპოზიციას შექმნის.

ამ ვერსიებში შეთქმულებების თეორიებიც მრავლად მოიპოვება. ყველაზე პოპულარულები მათ შორის: ირაკლი ღარიბაშვილს შეთქმულებას მოუწყობენ კოალიციაში, ამიტომაც მას ურჩევენ, რესპუბლიკელები და ალასანია გზიდან ჩამოიშოროს; და კიდევ: ნაციონალები აწყობენ დიდ გადატრიალებას, ამიტომაც აჯობებს, თუ ხელისუფლება მათ დროზე ჩაამწყვდევს ციხეში.

საპასუხოდ, რესპუბლიკელები ამბობენ, რომ ასეთი შეტევა მათ წინააღმდეგ მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავს: სხვებს, ვინც პროცესების მიღმაა დარჩენილი, სურთ ჩვენი ადგილის დაკავება.

ნაციონალები კი ასეთ შეთქმულებებს არასერიოზულად უყურებენ და მიიჩნევენ, რომ ყველაფერში პრორუსული და რადიკალების ხელი ურევია. რომ ეს მათ სურთ პოლიტიკიდან პროდასავლური ძალების განდევნა. მათი აზრით, ეს არის რუსული რევანში და რუსეთის ბრძოლა ქართულ პოლიტიკაში გავლენების მოსაპოვებლად.






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# განხეთქილება ქართულ პრ



## ვინ დგას საქართველოში გაცოცხლებული რუსული დროშების უკან?

მარიამ ნადირაძე

**პრორუსული იდეოლოგიის გააქტიურება უკვე ყველასთვის თვალშისაცემი ხდება. უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში მათმა რაოდენობამ თითქმის ერთ ათეულს მიაღწია, იმ დროს, როდესაც სულ რაღაც ორი წლის წინათ ეს იდეოლოგია ციხის ცივ კედლებში ღაფავდა სულს...**

**მათი გამოჩენა რატომღაც იმ დროს ემთხვევა, როდესაც სააკაშვილის აგიტაციის შედეგად ივანიშვილის პუტინისტობაზე, საზოგადოების მცირედ დაეჭვებულმა ნაწილმაც კი დაიჯერა, რომ ახალი ხელისუფლების კურსიც დასავლეთისკენ არის მიმართული. ამის ერთ-ერთი დასტური ასოცირების ხელშეკრულების ჯერ რატიფიცირება იყო, ახლა კი ივნისისთვის დაანონსებული ხელმოწერა...**

**იგივე პროცესების წინ ყველამ კარგად დავინახეთ, რა მოხდა უკრაინაში და რა შედეგებს მიაღწიეს პრორუსულმა ძალებმა. ამ გამოცდილების გათვალისწინებით გარკვეული ჯგუფების რუსული დროშებით სირბილი, ხან კინოს სახლში, ხან კი – პუშკინის სკვერში, ერთგვარ საგანგაშო სიგნალად აღიქმება ჩვენთანაც. თუმცა, თუ თემას ჩავუღრმავდებით, შედეგის მიუხედავად, საინტერესო კითხვები გაჩნდება:**

**საიდან აღმოცენდნენ სოკოებივით ასეთი ორგანიზაციები? ვინ აფინანსებს მათ? და ვის წისქვილზე ასხამენ წყალს?**

**„ევროპელი დემოკრატების" ლიდერი, პაატა დავითაია ამ პრობლემებს სწორხაზოვნად ხედავს და ამ პრორუსულ ორგანიზაციებს, რაღა თქმა უნდა, პირდაპირ რუსეთთან კავშირში აღიქვამს:**

– მათ შექმნასა და გააქტიურებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. პირველია სახელმწიფოს კეთილი ნება, რაც ამ ეტაპზე არსებობს. მეორე ფაქტორია ფინანსები. არასამთავრობო ორგანიზაციები ძირითადად იმართებიან რაიმე ფონდის სახსრებით – ორგანიზაციას შეაქვს პროექტი, იმარჯვებს ეს პროექტი და მუშაობენ მის განსახორციელებლად. ამ პროექტის ფარგლებში დამფინანსებელი ფონდი ატარებს მონიტორინგს და ა.შ. ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია ნახოს ასეთი სახის კონკურსებში რომელი არასამთავრობოები მონაწილეობენ და იქ ვერ ნახავთ ამ ორგანიზაციებს. ამიტომაც ისმება ლოგიკური კითხვა – საიდან ფინანსდებიან ისინი? ამ შემთხვევაში ფონდების სახით გამოდიან რუსული სპეცსამსახურები, რომლებიც ფულს აძლევენ იდეას, რაც ევრაზიული კავშირის მხარდაჭერას გულისხმობს. ფაქტია, რომ ღიად ისინი თანხას ვერ მიიღებენ, არანაირი კონკურსი ამ მიმართულებით საქართველოს ტერიტორიაზე არ ტარდება. ასე რომ, რუსეთი, იმისთვის რომ თავისი იდეოლოგიისკენ მოაბრუნოს საზოგადოება, ეყრდნობა ასეთ ორგანიზაციებს. თქვენ წარმოიდგინეთ, 5 წლის წინათ ვინმეს რომ შეექმნა ასეთი ჯგუფი და დაეწყო ამ იდეის პროპაგანდა, რა მოხდებოდა?

**– იგორ გიორგაძეს ფონდიც ჰქონდა და მისი მხარდამჭერები თეატრალიზებულ წარმოდგენებსაც მართავდნენ... ისიც ცნობილია, რა დამართა სააკაშვილის ხელისუფლებამ ამ ხალხს...**

– მაგრამ ისინი ევრაზიული კავშირის პროპაგანდას არ ახდენდნენ. დღეს კი ეს პროპაგანდა ყველა მიმართულებით მიმდინარეობს, დაახლოებით ასე, რომ ამერიკა შორსაა, რუსეთი ახლოსაა... თუ ევრაზიულ კავშირში შევალთ, აფხაზეთსა და ოსეთს დაგვიბრუნებენ... როდესაც ვინმე მკვეთრ განცხადებას აკეთებს რუსეთის წინააღმდეგ, ზოგიერთი პოლიტიკოსი, ან ექსპერტი იქვე იტყვის, – არაფერი ისეთი არ ხდება, ჩვენ არ უნდა გავაღიზიანოთ რუსეთი... აი, ასე მუშაობს იდეოლოგია... დააკვირდით, ეწყობა ქართულ-რუსული ფორუმები, მეცნიერები ჩადიან რუსეთში და ამავდროულად გაურკვეველია, ვინ არიან ეს მეცნიერები... ასახელებენ რაღაც ინსტიტუტებს, იმ დროს როდესაც ასეთი ინსტიტუტი არავინ იცის, მაგრამ ამ ფორუმზე მაინც ყველა ჩადის ასეთი ინსტიტუტის დირექტორის სტატუსით...

**– როცა კეთილ ნებაზე საუბრობდით, გულისხმობთ, რომ ამ ყველაფერს ეს ხელისუფლება უწყობს ხელს?**

– რა თქმა უნდა... დღეს რუსული იდეოლოგიისთვის ძალიან კარგი ფონია შექმნილი საქართველოში. არანაირი ხელშეშლა ამას არ აქვს.

**– უნდა ჰქონდეს? უნდა დაიჭირონ? ქვეყნის ღალატისთვის უნდა გაასამართლონ, როგორც ეს ცოტა ხნის წინათ ხდებოდა? კუდიანებზე უნდა ინადირონ?**

– ცოტა ხნის წინ რაც იყო, ამაში ვერ ჩავერევი, ეს გამოძიების საქმეა. თუმცა, ცოტა ხნის წინ ასეთი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების შესამოწმებლად სახელმწიფო ნამდვილად მიიღებდა ზომებს. დღეს კი ამით არავინ ინტერესდება. თუ ჟურნალისტი ჰკითხავს ასეთი ორგანიზაციის წარმომადგენელს, საიდან აქვთ, ვთქვათ, ოფისები? ისინი პასუხობენ, შემოწირულობით ვქირაობთო. ვინმეს სჯერა ამის?

**– ამათ აქციებს, ან მოძრაობას ფული ეტყობა?**

– ყველაფერს აქვს განვითარების სხვადასხვა საფეხური და სპეცსამსახურების მუშაობაც ასეა: პირველ რიგში, ეს არის საჭირო დროისთვის სასტარტო მომზადება. ნახეთ, უკრაინაში დონეცკისა და ლუგანსკის მხარეს თავის დროზე მილიციის უფროსები და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პოსტები კომპლექტდებოდა რუსებით, რომლებიც იყვნენ უკრაინის მოქალაქეები. ამას ხელს უწყობდა იანუკოვიჩი და „რეგიონების პარტია". უცებ ერთ დღეში ეს მილიციის უფროსები და ადმინისტრაციის ხელმძღვანელები გადავიდნენ რუსების მხარეს. ზუსტად იგივე იწყება საქართველოში: ხდება ჩვენი იდეოლოგიის მოსინჯვა – მიჰყავთ მედიისა და მეცნიერების წარმომადგენლები მოსკოვში, ფორუმები... ამის შემდეგი ნაბიჯი ზეწოლები იქნება... იმის შემდგომი ნაბიჯი, თუ მოხდა სამხედრო აგრესია, ზუსტად ისევ ეს ხალხი გამოვარდება და იტყვის, რა ვქნათ, ამ პოლიტიკამ მოიტანა, უნდა დავუჩოქოთ, დათვია და ბაბაია უნდა დავუძახოთო...

**– თქვენ ასეთი ორგანიზაციების ლოგიკურ გაგრძელებად რუსულ სამხედრო აგრესიას მიიჩნევთ?**

– ღიად ვაცხადებ: სამხედრო აგრესია მოსალოდნელია აგვისტოდან ნოემბრამდე. ამაზე მარტო მე კი არა, შეერთებული შტატების დაზვერვის შეფიც საუბრობს. ეს საფრთხე ნატოს ნოემბრის სამიტს უკავშირდება.

**განსხვავებული პოზიცია აქვს „ობიექტივის" ერთ-ერთ დამფუძნებელს, ირმა ინაშვილს:**

– ჩემი ინფორმაციით, გივი თარგამაძე, კობა ხაბაზი, გია ჭანტურია და „ნაციონალური მოძრაობის" კიდევ სხვა „ამხანაგები", რომლებსაც კონკრეტული მიმართულებები აქვთ ჩაბარებული, ორგანიზებას უწევენ პრორუსული პატარ-პატარა ორგანიზაციების შექმნას ქვეყანაში. ეს ჯგუფები ახლაც გამოდიან და მომავალშიც გამოვლენ რუსეთის, უფრო კონკრეტულად კი პუტინის მხარდამჭერი ლოზუნგებით.

**– ეს რისთვის კეთდება?**

– იმისთვის, რომ, როგორც იტყვიან, „სატოპკე" აუწიონ „თავისიან" ორგანიზაციებს – „თავისუფალ ზონას" და სხვა ამგვარებს, რომლებიც ასევე ნაციონალებმა შექმნეს. მათი ჩანაფიქრით, მათ შორის უნდა მოხდეს დაპირისპირება, თითქოსდა საგარეო ორიენტაციის საკითხებზე. სინამდვილეში, ეს კონფლიქტები ხელოვნურად იქმნება, ეს არის ნაციონალების პროვოკაცია.

**– გულისხმობ იმ ფაქტს, რაც კინოს სახლში მოხდა?**

– ეს იყო ძალების მოსინჯვა. ასეთივე მანევრი იყო პუშკინის სკვერში მომხდარი ინციდენტი. ჩვენ კიდევ მრავალი ასეთი ინციდენტის მომსწრენი გავხდებით...

**– გინდათ თქვათ, რომ ნაციონალები თავისავე შექმნილ პრორუსულ და პროდასავლურ არასამთავრობო ორგანიზაციებს უპირისპირებენ ერთმანეთს მიზანმიმართული ფონის შესაქმნელად?**

– ზუსტად ამას ვგულისხმობ. საქართველოში არ მეგულება საღად მოაზროვნე ადამიანთა ჯგუფი, რომელიც გამოვა, აქციას ჩაატარებს და იტყვის, რომ მას უნდა პუტინთან. ეს ის ლოზუნგია, რომელსაც რეალურად „ნაციონალური მოძრაობა" ქმნის... ამ ლოზუნგით შეკრებილებს მერე მიუვარდება „თავისუფალი ზონა" და ატყდება ჩხუბი. ჩხუბი კი დესტაბილიზაციის ელემენტია.

**– შეიძლება, რომ ეს ყველაფერი უფრო შორს არის გათვლილი და ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღის მოახლოებასთან ერთად შესაძლოა, უფრო გამწვავდეს ეს კონფლიქტი და არეულობაში გადაიზარდოს?**

– ასეთ გლობალურ პროცესზე ასეთი ორგანიზაციები გავლენას ვერ მოახდენენ. პრორუსული ორგანიზაციების შექმნა ნაციონალებისთვის სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივების საშუალებაა – რომ ფუნქცია ჰქონდეთ, ვიღაცას ებრძოლონ რაღაცის გამო. მერე კი დასავლეთს უთხრან, – ხედავთ, ჩვენთან რა ხდება? ხელისუფლება ხომ გვყავს რუსეთის მხარდამჭერი და პუტინის მოტრფიალე, ახლა კი ეს ხელისუფლება ქმნის ასეთ ორგანიზაციებს. ასე რომ, ეს ყველაფერი დასავლეთზეა გათვლილი და სამწუხაროდ, ასეთი გათვლების აღსაკვეთად ძალიან ცუდად მუშაობს ხელისუფლება.

**– ნაციონალებს აქვთ ფინანსური საშუალებები იმისთვის, რომ ამდენი ორგანიზაცია შექმნან და არჩინონ?**

– რა თქმა უნდა. ეს არის ძალიან შეძლებული პოლიტიკური ფენა და თავისუფლად შეუძლიათ ასეთი პროექტების დაფინანსება.

**მარტო გარე შეფასებებს რომ არ დავეყრდნოთ, შეძლებისდაგვარად ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციის „სამზარეულოშიც" შევეცადოთ ჩახედვას:**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ორუსულ ორგანიზაციებში



**„ეს არის კლიშე, რომელიც, სამწუხაროდ, მოგვაკერეს... მე კი გეტყვით, რომ ჩვენ სწორედაც პრორუსული ძალები გვებრძვიან და ამას დაგიკონკრეტებთ კიდეც...“**

**ელგუჯა ხოდელი, „დედამიწა ჩვენი სახლია“-ს ხელმძღვანელი იფიცება, რომ ფულს არავისგან იღებს... მეტიც, მას პრორუსული ძალები ებრძვიან.**

**– სად იყავით აქამდე? რატომ არ ჩანდით და მაინცდამაინც ახლა რატომ გამოჩნდით, როდესაც კარს მოგვადგა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება?**

– შეგიძლიათ, დაინტერესდეთ და ნახავთ, რომ მე და ჩემი მეგობრები ჯერ კიდევ 90-იანებიდან ვაქტიურობდით. მაგრამ მაშინ, როგორც კეთროვნებს, ისე გვიყურებდნენ... თუ რამე აქცია დაირბეოდა, სხვებთან ერთად, ჩვენც გვცემდნენ, თუნდაც სააკაშვილის ხელისუფლების დროსაც, მაგრამ უბრალო ადამიანი ვარ და ეს არ შუქდებოდა ისე, როგორც აშუქებდნენ ცნობად სახეებს... მე მაშინაც ვამბობდი, როგორც დღეს, რომ უბრალო, რიგითი ქართველი ადამიანის გადარჩენის ერთადერთი გზა რუსეთთან ურთიერთობის დალაგება და რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის გატანაა.

**– ანუ, გინდათ თქვათ, რომ არ ხართ მკვეთრად გამოხატული პრორუსული ორგანიზაცია?**

– ეს არის კლიშე, რომელიც, სამწუხაროდ, მოგვაკერეს... მე კი გეტყვით, რომ ჩვენ სწორედაც პრორუსული ძალები გვებრძვიან და ამას დაგიკონკრეტებთ კიდეც...

**– ყურადღებით გისმენთ...**

– ვალერი კვარაცხელიამ, რომელიც ერთ-ერთ მკვეთრად გამოხატულ პრორუსულ ძალად ითვლება, ერთხელ მითხრა, რომ მას ჰქონდა პოლიტიკური პარტია, რომლის არსებობა არასდროს გამეგო – „ნეიტრალური საქართველო“ და მთხოვა, მას ამ პარტიის აღდგენაში დავხმარებოდი. ასი ახალგაზრდა გაწევრიანდა იქ ჩემი ხათრით. ამაში შეგიძლიათ, დარწმუნდეთ, თუ მათ საიტზე შეხვალთ, ნახავთ უამრავ სურათს, სადაც მე და ჩემი მეგობრები ვართ.

**– ეს 100 ახალგაზრდა თქვენი არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი იყო?**

– რასაკვირველია. აბა, ვალერი კვარაცხელიას საიდან ეყოლებოდა ეს ხალხი? ამის გარდა, ის თელავში წავიყვანე და ძალიან ბევრი მოსახლე შეხვდა მას ჩემი ხათრით. იგივე მოხდა დასავლეთ საქართველოშიც. იქ მე ძალიან ბევრი მხარდამჭერი მყავს, რომელიც გვერდით დამიდგება, თუ მე პოლიტიკაში ჩართვას გადავწყვეტ.

**– თქვენც გახდით ამ პარტიის წევრი?**

– არა. მე მის პარტიაში გაწევრიანება არაფერში მჭირდებოდა... მალევე ვალერი კვარაცხელიამ დაიწყო ჩემ ირგვლივ ინფორმაციების მოპოვება. ინტიმური საკითხებიც კი აინტერესებდა. ერთი სიტყვით, აქტიურად დაიწყო ჩემი განეიტრალება იმისთვის, რომ მე აქტიურად აღარ დამეწყო გარკვეული ნაბიჯების გადადგმა... მოგვიანებით „ევრაზიულმა ინსტიტუტმა“ კინოს სახლში ჩაატარა შეხვედრა. ვალერი კვარაცხელია მეუბნება, 50 ადამიანთან ერთად შემოუერთდით ამ ინსტიტუტს და მიიღეთ მონაწილეობა. უარი ვუთხარი. არ მინდოდა, ჩემი ორგანიზაციის წევრები, რომლებიც მე მენდობიან, სხვა ორგანიზაციის სახელით გამოდიოდნენ. ამის გამო ის ძალიან გაბრაზდა. ჩვენ შორის განხეთქილება მოხდა. ჩვენი ბოლო საუბრის დროს ისიც კი ვუთხარი, პოლიტიკურ გვამებს საქართველოში არ გავაცოცხლებ-მეთქი.

**– კვარაცხელიას გულისხმობდით...**

– დიახ... გახსოვთ, ალბათ, მას შევარდნაძის გოშიას ეძახდნენ... შემდეგ ვალერი კვარაცხელია ჩვენი მისამართით ასეთ განცხადებას აკეთებს, – წარმოდგენა არ მაქვს, ვინ არიან ეს ადამიანები, რომლებიც რუსული დროშებით დარბიან... თუ ისინი დღეს დროშებით დარბიან, ხვალ შეიძლება რუსული ტანკებით ირბინონო. გასაგები იყო, რომ ნაცები გვებრძოდნენ... რესპუბლიკელები რომ გვებრძვიან, ესეც გასაგებია, მაგრამ გარკვეულმა ძალებმა ყველაზე ბინძურად ე.წ. პრორუსული ძალის გამოყენება სცადეს ჩვენს და პირადად ჩემს წინააღმდეგ.

**– ვინ არიან ეს ძალები, ვინც კვარაცხელია გამოიყენა?**

– არ ვიცი, ვერ გეტყვით, მაგრამ ვალერი კვარაცხელიას ძალიან უყვარს იმის გახსენება, როგორ ხვდებოდა მამა ბუშს შევარდნაძესთან ერთად და ა.შ. არა მგონია, ამის უკან რუსეთი იდგეს. ჩემი აზრით, ეს დასავლური პროექტია.

**– გვჯერა თქვენი, რომ თქვენი ორგანიზაციის არსებობა ორ ათეულ წელს ითვლის, მაგრამ, ზოგადად, საზოგადოებას რჩება შთაბეჭდილება, რომ თქვენც, იმ დანარჩენებთან ერთად, ახლახან აღმოცენდით და ყველა ერთად რატომღაც ევროკავშირთან ურთიერთობის გააქტიურების პარალელურად გააქტიურდით...**

– ჩვენ აქცია 2012 წლის 30 დეკემბერს ჩავატარეთ პუშკინის სკვერში. მაშინ ნაციონალებმა დაგვარბიეს და ახალი ხელისუფლების პოლიცია არაფერს აკეთებდა, რადგან არ იცოდა, რა უნდა ექნა. მე მაშინ დავით უსუფაშვილს მივმართე, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს დარბევაში ახლანდელი პარლამენტის წევრებიც მონაწილეობდნენ, უსუფაშვილმა რეაგირება არ მოახდინა...

**– ამით იმის თქმა გინდათ, რომ აქტიურები ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღამდე არა მარტო ორი თვით ადრე ხართ, არამედ წლინახევრით ადრეც იყავით?**

– ჩვენ აქტიურები ვიქნებით თუ არა, ამის მიუხედავად ევროკავშირში საქართველოს მაინც არ მიიღებენ.

**– პოლემიკაში არ შემოვალ და შემდეგ კითხვას დაგისვამთ: მაშინ, როცა 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის შემდეგ სააკაშვილმა ატეხა განგაში, რომ საქართველოში პრორუსული ხელისუფლება მოვიდა, ძალიან მალე თქვენ ჩაატარეთ აქცია ოკუპაციის მუზეუმის გაუქმების მოთხოვნით. ვის წისქვილზე დაასხით წყალი?**

– იმის მიხედვით ვერ ვიმოქმედებ, რა აზრი მოუვა სააკაშვილს ავადმყოფ ტვინში...

**– კარგი, შემდეგი კითხვა: რა სახსრებით არსებობთ?**

– შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ...

**– თუ ძველებურად გვეტყვით, რომ 100 კაცის საწევროთი და თქვენი პირადი ჯიბის ფულით არსებობთ, რა თქმა უნდა, რთული დასაჯერებელი იქნება...**

– ძალიან ვწუხვარ, რომ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ამერიკულმა პროპაგანდამ ისე შეცვალა ქართული მენტალობა, რომ ველარ წარმოუდგენიათ, ადამიანმა იბრძოლოს იმისთვის, რისიც სწამს, თუ მას ფულს არ გადაუხდიან.

**– თქვენ თავად სადმე მუშაობთ პარალელურ რეჟიმში?**

– ადვოკატად ვმუშაობდი 2006 წლამდე...

**– ანუ, ახლა უმუშევარი ხართ და ამ თქვენი იდეებისთვის ცარიელი ხელებით იბრძვით?**

– პირდაპირ გეტყვით, რომ არც ერთი თეთრი არ მიგვიღია არც ერთი პოლიტიკური ძალისგან და არანაირი გრანტის სახით...

**– იმ რუსულ დროშებს, რომლებსაც თქვენს აქციებზე დააფრიალებთ, დამზადება ხომ უნდა? ახალგაზრდა კაცი ხართ, პენსიასაც კი ვერ გამოიყენებთ მის დასამზადებლად...**

– კიდევ ერთხელ ვამბობ: არც ერთი თეთრი, არც ერთი რუბლი არავისგან არ მიმიღია.

**– აბა, ამ რუსულ დროშებს ვინ გიმზადებთ? მინდა დაგიჯეროთ და მომეცით ამის საშუალება...**

– პროკურორივით მელაპარაკებით, განსასჯელს რომ ეუბნება, მინდა დაგიჯეროო... მე თქვენ ინტერვიუს გაძლევთ და არა ჩვენებას...



**„ამერიკა შორსაა, რუსეთი ახლოსაა... თუ ევრაზიულ კავშირში შევალთ, აფხაზეთსა და ოსეთს დაგვიბრუნებენ...“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ექსკლუზიური ინტერვიუ



„53-ე სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი შევარჩიე სერტიფიცირებული დირექტორების სიიდან და შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ შერჩეული კანდიდატი ერთ-ერთი საუკეთესოა“

„ინფორმაცია, თითქოს 2014-2015 სასწავლო წლისთვის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსება 3 მილიონი ლარით მცირდება, კატეგორიულად არ შეესაბამება სიმართლეს“

## „შეუცვლელი არავინ არის. არც მე მოვსულვარ იმ იმედით, რომ სამუდამოდ აქ დავრჩები“

სალომე გოგოხია

**გასულ კვირას განათლების სამინისტრო კვლავ საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. 53-ე სკოლის დირექტორის განთავისუფლებამ სკოლაში ერთკვირიანი სასწავლო პროცესის ჩაშლა გამოიწვია. გაფიცულ პედაგოგთა და მოსწავლეთა ნაწილმა გაკვეთილებზე შესვლაზე უარი განაცხადა და ყოფილი დირექტორის დაბრუნება მოითხოვა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ სამინისტრო სიტუაციას ვერ აკონტროლებდა. თუმცა, თავად განათლების მინისტრი ასე არ ფიქრობს. 53-ე სკოლასთან დაკავშირებით, მასწავლებელთა შეფასების ახალი სქემის, არაეფექტურად დახარჯული 2 მილიონისა და მოსალოდნელი საკადრო ცვლილებების შესახებ „პრაიმტაიმის“ შეკითხვებს განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ უპასუხა.**

ბუნებრივია, პირველი შეკითხვა 53-ე სკოლაში შექმნილ სიტუაციას და სამინისტროს პოზიციას შეეხო.

**– ქალბატონო თამარ, 53-ე სკოლაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ სამინისტრო სიტუაციას ვერ აკონტროლებს, ვგულისხმობ ერთკვირიან ჩაშლილ სასწავლო პროცესს და პედკოლექტივის, მოსწავლეების საპროტესტო აქციებს.**

– 53-ე საჯარო სკოლაში განვითარებული მოვლენები კარგად ორგანიზებული და მართული იყო. ყველაზე უფრო არასწორი ამ მართულ პროცესებში მოსწავლეების გამოყენება გახლდათ. ის, რომ გაფიცვა, რომელშიც ბავშვები მონაწილეობდნენ არ იქნა დაშლილი, სრულიადაც არ მიუთითებს იმაზე, რომ სამინისტრომ რომელიმე მომენტში სიტუაცია ვერ გააკონტროლა. პირიქით, ვფიქრობ, ადეკვატური მიდგომებისა და სწორი პოლიტიკის გატარებით სამინისტრომ მდგომარეობა დაარეგულირა და შედეგიც სახეზეა. სკოლაში საგაკვეთილო პროცესი აღდგა. ამაში პედაგოგებმაც შეგვიწყვეს ხელი. მათ სწორად შეაფასეს მიმდინარე პროცესები და გადაწყვეტილება მიიღეს. ისინი დაუბრუნდნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას. ჩვენც ჩვენს მოვალეობას შევასრულებთ და ხელს შევუწყობთ მათ ნორმირებული საგაკვეთილო პროცესის წარმართვაში. ყველა დანარჩენი სამართლებრივი საკითხი შესაბამის ორგანოებში უნდა გადაწყდეს. ამას საერთო არ აქვს არც პედაგოგთან და არც მოსწავლეებთან.

**– მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ 53-ე სკოლის დირექტორის თანამდებობა თქვენს ნათესავს უნდა დაეკავებინა, რა გახდა ამ ინფორმაციის გავრცელების საფუძველი და თქვენ რას გვეტყვით?**

– ვერ გეტყვით, მიზეზი რა იყო, ალბათ, იმ ქმედებების გამართლება, რასაც ადგილი ჰქონდა ბოლო დროს. ამისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია... 53-ე სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი შევარჩიე სერტიფიცირებული დირექტორების სიიდან და შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ შერჩეული კანდიდატი ერთ-ერთი საუკეთესოა. ასე თუ ისე, ამას დრო გვიჩვენებს.

**– პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით ჩატარებული აუდიტის დასკვნაში, რომელიც 2010-2012 წლებსა და 2013 წლის პირველ ნახევარს მოიცავს, ნათქვამია, რომ 2 მილიონი ლარი არაეფექტურად დაიხარჯა. აქ საუბარია წინა ხელისუფლებისა და შემდეგ, ახალი ხელისუფლების მინისტრების დროს, განხორციელებულ სამუშაოებზე, სამინისტრომ ამასთან დაკავშირებით ცალსახა პოზიცია არ დააფიქსირა, რატომ?**

„ვფიქრობ, ადეკვატური მიდგომებისა და სწორი პოლიტიკის გატარებით სამინისტრომ მდგომარეობა დაარეგულირა და შედეგიც სახეზეა. სკოლაში საგაკვეთილო პროცესი აღდგა“

– აუდიტის დასკვნა 2010-2012 წლებს მოიცავს. მასში 2013 წლის პირველი კვარტალი მხოლოდ მიმოხილულია. 2013 წელს პროფესიული განათლების ეფექტურობის გასაზრდელად არაერთი რეფორმა გატარდა, თუმცა სამინისტრო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის მზად არის. ეფექტიანობის აუდიტი ჩვენთან მჭიდრო თანამშრომლობით ჩატარდა. განათლების სამინისტრომ ყველა საჭირო ინფორმაცია მიაწოდა აუდიტის სამსახურს, რათა გვქონოდა პრობლემების აღწერა და რეკომენდაციები. 2012 წლის შემოდგომაზე ჩვენთვის უკვე ნათელი და გამოკვეთილი იყო ის პრობლემები, რომლებიც პროფესიული განათლების სისტემას ჰქონდა, მუშაობა მაშინვე დავიწყეთ და 2013 წლისთვის კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა. ამ მომენტისთვის რეკომენდაციების ნაწილი გათვალისწინებულია და გავაგრძელებთ მუშაობას დანარჩენი რეკომენდაციების შესრულებაზე. უახლოეს მომავალში ფუნქციონირებას იწყებს საბიუჯეტო დახმარების პროგრამა. ევროკავშირისგან დახმარების სახით საქართველო 27 მილიონ ევროს მიიღებს და პროგრამის ძირითადი ნაწილი სწორედ შრომით ბაზართან საგანმანათლებლო პროგრამების დაახლოება იქნება.

**– დირექტორების სერტიფიცირების პროცესმა საკმაოდ დიდი ხმაურით ჩაიარა, ბევრი უკმაყოფილოც დარჩა, თქვენ როგორ შეაფასებთ? შედეგებით კმაყოფილი ხართ? როგორი პროფესიონალიზმი აჩვენეს კონკურსანტებმა?**

– სკოლის დირექტორების სერტიფიცირების პროცესი ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველ ეტაპზე, კონკურსანტებმა გაიარეს ტესტირება, ხოლო მეორე ეტაპზე – გასაუბრება. ორივე ეტაპის წარმატებით დაძლევით კონკურსანტი ადასტურებს საკუთარ კომპეტენციას. ამავდროულად, საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ სერტიფიცირების მეორე რაუნდი ჯერ არ დასრულებულა და იმ პირებს, რომელთაც წარმატებით გაართვეს თავი ტესტირებას, წინ აქვთ გასაუბრების ეტაპი, რომლის დასრულების შემდგომაც სერტიფიცირებული დირექტორების რიცხვს კიდევ არაერთი კანდიდატი შეემატება. ბუნებრივია, რომ ნებისმიერ გამოცდას ახასიათებს ემოციური ფონი და ისიც ბუნებრივია, რომ ყველა აპლიკანტი ვერ გაივლის სერტიფიცირების პროცესს წარმატებით. ჩვენ თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ თავად პროცესი იყო გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და სამართლიანი. ყველა იმ კანდიდატმა, რომელმაც მაღალი კომპეტენცია გამოავლინა, წარმატებას მიაღწია და მიიღო სერტიფიკატი.

**– რა გზას ირჩევს სამინისტრო – დირექტორების დანიშვნა თუ არჩევნები?**

– მოქმედი კანონმდებლობით, ეს საკითხი დარეგულირებულია და ბუნებრივია, სამინისტრო არ გადაუხვევს კანონს. საბოლოო ჯამში, პროცესი სკოლებში სამეურვეო საბჭოების წინაშე სერტიფიცირებული კანდიდატების წარდგენით და მათ შორის, ღირსეულის არჩევით დასრულდება.

**– ბოლო დროს არასამთავრობო ზოგადი განათლების სისტემის დეცენტრალიზაციაზე ალაპარაკდნენ, როგორია ამასთან დაკავშირებით სამინისტროს პოზიცია და როგორ წარმოგიდგენიათ ეს პროცესი?**

– სკოლა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და ბუნებრივია, როგორც სსიპ-ი, ის ფლობს თავის წილ ავტონომიას. ამასთანავე, სკოლაში თვითმმართველი რგოლების, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის არსებობა უკვე ადასტურებს მის არაცენტრალიზებულ მართვას. აქვე აღვნიშნავ, რომ ამ ეტაპზე ჩვენ ტრენინგების საშუალებით ვაძლიერებთ სამეურვეო საბჭოებს, რაც 2007 წლის შემდეგ არ მომხდარა. ჩვენი მიზანია ამ თვითმმართველი რგოლის გაძლიერება და მხარდაჭერა სწორედ დეცენტრალიზაციის ხელშეწყობისა და სკოლის ეფექტური მართვის მიზნით. აგრეთვე, იგეგმება და სექტემბრიდან დავიწყებთ დირექტორების კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუშაობას. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის სკოლის მართვის ხარისხს.

**– სკოლაში ბავშვის მიღების ასაკი განისაზღვრა და 6 წელი გახდა, კიდევ რა ცვლილებებს გეგმავთ ამ სისტემაში? იგეგმება თუ არა სავალდებულო 9-წლიანი სწავლების ვადის გახანგრძლივება?**

– დიახ, იგეგმება რიგი ცვლილებები, რომელიც აისახება განათლების ერთიან სტრატეგიაში. შევისწავლეთ სისტემა, მოხდა ყველა კვლევისა თუ სხვა ინფორმაციის კონსოლიდაცია. ერთი სიტყვით, ჩატარდა სისტემის ანალიზი, რის მიხედვითაც შემუშავდა სტრატეგია. სტრატეგია რამდენიმე ძირითად პრინციპზეა აგებული, როგორიც არის განათლების უწყვეტობა, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლება და სწავლისა და კვლევის ერთიანობა. სტრატეგიაზე მუშაობა ჯერ არ დასრულებულა. მაისის ბოლოსთვის გვექნება პირველადი დოკუმენტი, სადაც შევა ყველა ის ცვლილება, რომლის განხორციელებასაც ვაპირებთ. სავალდებულო სწავლების ხანგრძლივობის საკითხი სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ამ სტრატეგიის ფარგლებში განიხილება.

**– მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი დამტკიცებულია, მასწავლებლის სტატუსი 4 ნაწილად განისაზღვრა, თუმცა, თქვენი ოპონენტები აცხადებენ, რომ მოთხოვნები ძალიან მაღალია, რომელსაც პედაგოგები ვერ დააკმაყოფილებენ.**

– სტანდარტი დამტკიცდა მარტის ბოლოს და განისაზღვრა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების 4 საფეხური. წარმოდგენილი სტანდარტი არ სცდება ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისთვის საჭირო პროფესიულ ცოდნასა და უნარებს. ის შესაძლებლობას იძლევა, მასწავლებლებმა უკეთ შეაფასონ საკუთარი თავი და დაგეგმონ ინდივიდუალური, მათ შესაძლებლობებზე მორგებული პროფესიული და კარიერული განვითარების გზა. ყველა მასწავლებელმა უნდა იცოდეს გაკვეთილის დაგეგმვის პრინციპები, მოსწავლის შეფასება, უნდა იყენებდეს საგაკვეთილო მიზნის შესაბამის სტრატეგიებს. წარჩინებულ მასწავლებელს მოეთხოვება მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სტრატეგიების გამოყენება, საგანთა შორის კავშირების დადგენის საშუალებით მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე ზრუნვა, შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომების გამოყენება. ზოგიერთი ოპონენტის მხრიდან, გამოითქვა ეჭვები მასწავლებლის კვლევით უნარებთან დაკავშირებით. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, მკვლევარის სტატუსის მქონე მასწავლებელს მოეთხოვება საკუთარი საკლასო პრაქტიკისა და სკოლის მასშტაბით კვლევის ჩატარება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებისა და სასკოლო კლიმატის დახვეწის მიზნით, რომ შეძლოს მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინება სწავლა-სწავლების პროცესში. მენტორ მასწავლებელი დიდი



„ის, რომ გაფიცვა, რომელშიც ბავშვები მონაწილეობდნენ, არ იქნა დაშლილი, სრულიადაც არ მიუთითებს იმაზე, რომ სამინისტრომ რომელიმე მომენტში სიტუაცია ვერ გააკონტროლა. პირიქით“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# განათლების მინისტრთან



# „სამომავლო საკადრო გადაწყვეტილებები მეორეხარისხოვანია...“

## EXCLUSIVE

გამოცდილების, ცოდნისა და უნარების მატარებელი უნდა იყოს. მას სხვა მასწავლებლების კონსულტირება და დახმარება ევალება. მასწავლებელთა დიდი ნაწილი, წარმატებას დღეს სწორედ ამ პრინციპის გათვალისწინებით აღწევს. სქემის შექმნაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები. გრძელდება ახალი სქემის განხილვა მასწავლებლებთან, მათი რეკომენდაციები გაანალიზდება, რაც შეძლებისდაგვარად იქნება გათვალისწინებული. პედაგოგების უმრავლესობას მიაჩნია, რომ სქემაში წარმოდგენილ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. ის, რაც ჩვენ დღეისთვის შევქმენით, კიდევ დაიხვეწება. რაც მთავარია, განხილვების შედეგად აღმოჩნდა, რომ ძირითადი პრინციპები მისაღებია. სქემის განხილვა ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ამიტომ საბოლოო შედეგებზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბროთ.

**– რაც შეეხება ეროვნულ გამოცდებს, მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მიმდინარე წელს დაფინანსება 3 მილიონი ლარით მცირდება, შეესაბამება თუ არა ინფორმაცია სიმართლეს და რა გახდა მისი გავრცელების საფუძველი?**

– ინფორმაცია, თითქოს 2014-2015 სასწავლო წლისთვის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსება 3 მილიონი ლარით მცირდება, კატეგორიულად არ შეესაბამება სიმართლეს. ამაში თავადაც შეგიძლიათ დარწმუნდეთ. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო დაფინანსების სქემა წლების მიხედვით, შემდეგნაირია: 2012-2013 სასწავლო წელს სტუდენტთა სწავლის დაფინანსება 11,1 მლნ ლარს შეადგენდა, 2013-2014 სასწავლო წელს – 22,8 მლნ ლარს, ხოლო 2014-2015 სასწავლო წელს 23,9 მლნ ლარია გამოყოფილი. ამის გარდა, 2013 და 2014 წლებში სოლიდური რესურსები გამოიყო სტუდენტების ხელშეწყობის პროგრამებისთვის. საერთო ჯამში, სტუდენტებზე გაწეული ხარჯები 2012 წელთან შედარებით 40%-მდე გაიზარდა.

**– დაბოლოს, სამთავრობო კულუარებში აქტიურად საუბრობენ მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებზე, მათ შორის, საუბარია თქვენზეც...**

– საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებულ ინფორმაციას ვერ დაგიდასტურებთ. ამის შესახებ განხილვა არ გვქონია. შეუცვლელი არავინ არის. არც მე მოვსულვარ იმ იმედით, რომ სამუდამოდ აქ დავრჩები. მთელი ჩემი ყურადღება მიმართულია განათლების სისტემის გამოწვევებზე და ამ გამოწვევებთან დაკავშირებული გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე. სამომავლო საკადრო გადაწყვეტილებები მეორეხარისხოვანია...

# „ვისოლ ჯგუფი“ ამერიკული რესტორნების ქსელ „ვენდის“ და სუპერმარკეტების ქსელ „სმარტს“ აფართოებს



კიდევ ერთი ახალი „ვენდის“ რესტორანი და „სმარტის“ სუპერმარკეტი ერთგული მომხმარებლისთვის „ვისოლ ჯგუფი“-სგან. 15 აპრილს, ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე, სამების ტაძრის მიმდებარედ „ვენდის“ და „სმარტის“ ახალი ობიექტები გაიხსნა. პრეზენტაციაზე უამრავ სტუმარს შორის, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდიც გახლდათ.

**რიჩარდ ნორლანდი:** „ვენდის“ რესტორანი და სუპერმარკეტი „სმარტი“, შექმნის მეტ სამუშაო ადგილს ახალგაზრდა ქართველებისთვის, რომლებიც არიან კრეატიულები და ბიზნესზე მიმართულნი. ეს, ასევე, ხელს შეუწყობს, საქართველოს ეკონომიკას, რომ წარმოაჩინოს საკუთარი თავი, მაშინ, როდესაც საქართველო იწევს ევროპისკენ. ნამდვილად მნიშვნელოვანია ეს თანამშრომლობა, რომელიც შედგა სამ მხარეს შორის. ერთ მხარეს წარმოადგენს „ვისოლი“, რომელიც არის წარმატებული ქართული კომპანია, მეორე გახლავთ, „ვენდი“, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ამერიკული კომპანია, ხოლო მესამე, აშშ მთავრობა, რომელმაც ოპიკის მეშვეობით, უზრუნველყო ფინანსური გარანტიები, ამ ბიზნესის წამოწყებისთვის. ეს არის ნამდვილად ის წარმატებული მოდელი, რომლის მეშვეობითაც თავის წვლილს შეიტანს ეკონომიკურ განვითარებაში საქართველოში. დღევანდელი გზავნილი კი ის გახლავთ, რომ საქართველო ღიაა ბიზნესისათვის“.

აღსანიშნავია, რომ „ვისოლ ჯგუფის“ ახალ სავაჭრო კომპლექსში, „სმარტისა“ და „ვენდის“ გარდა 7-მა ახალმა ბიზნესმა დაიდო ბინა. მთლიანობაში კი 300-მდე ადამიანი დასაქმდა. როგორც ჟურნალისტებთან საუბარში, „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ განაცხადა, კომპანია მომავალში კიდევ არა ერთ სიურპრიზს უმზადებს მომხმარებელს.

**სოსო ფხაკაძე:** „ვისოლ ჯგუფის“ შვილობილი კომპანიების ქსელის განვითარება ახალ ფაზაში შედის. ვაკეში „სმარტისა“ და „ვენდის“ ობიექტები გამოირჩევა თავისი ერგონომიკით და თითოეული დეტალი მომხმარებელს კიდევ ერთხელ არწმუნებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენთვის სიტყვა „ხარისხი“. ვეცადეთ „ვისოლ ჯგუფის“ სავაჭრო ცენტრის გახსნა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულამდე მოგვეხდინა, რომ საინტერესო საჩუქარი შეგვეთავაზებინა ვაკის მომხმარებლებისათვის და წინასააღდგომო საყიდლებისათვის ყველაზე კომფორტული გარემო შეგვექმნა. ამერიკული რესტორნების ქსელ „ვენდიში“, როგორც ვაკეში ასევე რუსთაველზე, ვიწყებთ მსოფლიოში უკვე ნომერ პირველ ბურგერად აღიარებული „პორტაბელა მელთის“ რეალიზაციას. ეს იყო ის სიურპრიზი, რომელსაც საზოგადოებას ვაუწყებდით ბოლო დღეების განმავლობაში. მოხარულები ვართ, რომ „ვისოლ ჯგუფმა“ ახალი ოჯახის წევრები შეიძინა“.

„ვენდის“ რეგიონალური განვითარების მენეჯერის, იუსუფ რამადინის განცხადებით, რუსთაველზე და ახლა უკვე ვაკეში მდებარე ამერიკული რესტორანი „ვენდი“, მსოფლიო მასშტაბით, ყველაზე დიდი რესტორნებია ქსელში.

**იუსუფ რამადინი „ვენდის“ რეგიონალური განვითარების მენეჯერი:** „მინდა დიდი მადლობა გადავუხადო „ვისოლ ჯგუფს“ და აღვნიშნო, რომ ჩვენ არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს და მჯერა, რომ ეს სამუდამოდ გაგრძელდება. რუსთაველზე არსებული „ვენდი“, ეს არის ყველაზე დიდი რესტორანი, რომელიც კი აქვს „ვენდის“ მსოფლიოში. ახლა უკვე მეორე ყველაზე დიდი რესტორანი გვაქვს მსოფლიოში და ეს გახლავთ ვაკეში. იმედი მაქვს, რომ ეს არის დასაწყისი იმისა, რაც საფუძველს ჩაუყრის საქართველოში ეკონომიკურ განვითარებას“.

ვაკის ობიექტი „სმარტისთვის“ მეცამეტე სუპერმარკეტია, ხოლო „ვენდის“ ამერიკული რესტორანი თბილისში უკვე მეორეა. „ვენდი“ მომხმარებლებს განსაკუთრებული სიურპრიზით დახვდა - მსოფლიოში ყველაზე მაცდუნებელ და მადისაღმძვრელ ბურგერად მონათლულიფრანგული ბრიოშეს ფუნთუშით მომზადებული „პორტაბელა მელთი“ უკვე საქართველოშია. „სმარტის“ სუპერმარკეტების ყოველდღიური მოხმარების პროდუქტების ფართო არჩევანი და ზომიერი ფასები, კომფორტული „სმარტ კაფე“ სრული მომსახურებით, ინტერნეტ (WIFI) ზონა, აფთიაქი, ბანკის ფილიალი, სხვადასხვა ტიპის მაღაზიები „ვენდის“ ამერიკულ რესტორანთან ერთად მომხმარებელს სრულ კომფორტს შეუქმნის. 4 500 კვადრატულზე განთავსებული პარკირების ზონა კი „სმარტში“ და „ვენდისში“ სტუმრობას უფრო მეტად სასურველს და მოსახერხებელს გახდის. „ვისოლ ჯგუფმა“ სუპერმარკეტების ქსელის „სმარტის“ ქსელის განვითარება 2010 წელს დაიწყო. „სმარტის“ სუპერმარკეტები დღესდღეობით წარმატებით ფუნქციონირებს აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრზე, რუსთაველის გამზირზე, ვაზისუბნის მეორე მიკრორაიონში, კახეთის გზატკეცილზე, გუდაურში, ბათუმში, ზუგდიდში, მარნეულში, ახალციხეში, ყვარელსა და ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გორის მონაკვეთზე. „ვენდის“ პირველი რესტორანი კი „ვისოლ ჯგუფმა“ 2013 წელს რუსთაველის გამზირზე გახსნა.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატომ კვდებიან ახალაიე

„ახალაიას მითითებით გაგვახდევინეს ტანსაცმელი და გვიბრძანეს, ავსულიყავით საბადრაგო მანქანაში. ექვსივე ამ მანქანით დაწესებულების ტერიტორიის გარეთ გაგვიყვანეს. გასვლისთანავე გააჩერეს მანქანა და შიშვლებს ისევ ძირს ჩამოსვლა გვიბრძანეს. დაგვაყენეს ჯერ კედელთან, შემდეგ კი დაგვაწვინეს თოვლსა და ტალახში“



## ● ალექსანდრე დანელია – ორი იარაღით თავი მოიკლა(?!)...
## ● სერგო უბილავა – მოულოდნელად გარდაიცვალა ციროზით...
## ● შალვა თათუხაშვილი – გარდაიცვალა სუნთქვის უკმარისობით...
## ● სპეცრაზმელი, რომლის სახელიც არ კონკრეტდება – რუსეთში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა...

მარიამ ნადირაძე

„დედამიწის ზურგზე არავის ვუსურვებ თქვენს მდგომარეობაში ყოფნას“, – შეიბრალა დეპუტატი, ძებნილი და პატიმარი ვაჟების მამა პარლამენტის თავმჯდომარემ...

თუ ინფორმაციას ჩვენც ასეთი სახით მივიღებთ, გულწრფელი თანაგრძნობა გარდაუვალია, მაგრამ, თუ დავკონკრეტდებით, ვინ არის მამა და ვინ – მისი შვილები, ამ შემთხვევაში გარდაუვალია ცხარე კამათი სხვადასხვა თემაზე. ერთ-ერთი მათგანი კი უთუოდ იქნება თემა, რომლის განხილვასაც დღეს გთავაზობთ.

როლანდ ახალაია რომ სამართალდამცველების ობიექტივში მოხვდებოდა, ამის შესახებ „პრაიმტაიმმა“ 6 თვის წინ აცნობა თავის მკითხველს. უკანასკნელი ინფორმაციით, სასამართლომ მას გირაოს სახით 10 ათასი ლარის გადახდა შეუფარდა. ახლა კი, სავარაუდოდ, უნდა მოვემზადოთ ახალი თავგადასავლებისთვის... თუ გავითვალისწინებთ იმ გამოცდილებას, რაც მისი შვილებისა და მათი თანამოაზრეების სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების პროცესში მოწმეებს ემართებათ, ჩვენ ამ სტატიით ერთგვარად სიფრთხილისკენ მოვუწოდებდით იმ ადამიანებს, რომლებიც მამა ახალაიას საქმეში მოწმის სტატუსით აღიჭურვებიან.

დავიწყოთ პირველი მოწმის ისტორიით:

### გურამ შარაძის მკვლელობის მოწმე

რუსუდან შარაძემ მამის მკვლელობის ოქროს მოწმის, პოლიციელ გურიკა ქადარიას დაცვა ორი კვირის წინ მოითხოვა პროკურატურისგან. ეს ადამიანი პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში წერს, რომ შარაძის მკვლელობის სისრულეში მოსაყვანად, მეგის ქარდავაამ გურიკა ქადარიას უბრძანა ზუგდიდიდან თბილისში ორი პეცრაზმელის ავტომანქანით გადაყვანა. ესენი არიან ის სპეცრაზმელები, გია ფაჩულია და თემურ ჯგერენაია, რომლებსაც, მეგის ქარდავას გეგმის მიხედვით, გურამ შარაძე უნდა მოეკლათ. თბილისში ჩამოსულ ქადარიას, ფაჩულიასა და ჯგერენაიას შემდეგი მითითებები გია დგებუაძისგან, იგივე „მასტერასგან“ უნდა მიეღოთ. გაწეული „სამსახურისთვის“ მეგის ქარდავამ გურიკა ქადარიას წინასწარ გადაუხადა 5 ათასი დოლარი...

„ამ სპეცრაზმელებიდან ერთ-ერთი რუსეთში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. ამბობენ, ნარკოტიკების ჭარბი დოზის გამოო, თუმცა მე ვერაფერს ვამტკიცებ, რადგან ასეთი მოტივის შეთხზვა, ან შეკერვა სპეცსამსახურებს წარმატებით შეუძლიათ“. – აცხადებდა „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში რუსუდან შარაძე.

რაც შეეხება თავად გურიკა ქადარიას, როცა მთავარ პროკურატურაში დღის წესრიგში დადგა მისი დაკითხვა, ეს ადამიანი ავარიაში მოყვა და ძლივს გადარჩა. უმძიმეს მდგომარეობაში იყო. ამ ავარიის შემთხვევითობას ეჭვქვეშ აყენებს რუსუდან შარაძე.



შალვა თათუხაშვილი



გოდერძი ჯოლოხავა



გია გორგაძე

### ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმის ორი მოწმის ისტორია

ამ საქმეს პირობითად დავარქვით ასე, თორემ რეალურად ორ ამბავს გავაერთიანებთ. პროკურატურას ეს ორი ამბავი ცალ-ცალკე სისხლის სამართლის დანაშაულებად აქვს გამოყოფილი, თუმცა ის შინაარსითაც ერთიანდება და სისხლით ნათესაობითაც. ერთში ბრალდებული დათა ახალაიაა, მეორეში კი – უმცროსი ძმა, ბაჩანა.

უმცროსის ისტორიით დავიწყებთ, რადგან თავიდან სკანდალი მაშინ ატყდა, როდესაც საქმის ოქროს მოწმე, გია გორგაძე „პრაიმტაიმის“ ოფისიდან გაქრა და ტელევიზიით გავიდა კადრები, როგორ მიჰყავდა ის ათამდე სამართალდამცველს.

მოწმის ისტორია ბევრისთვის საკამათო თემაა, თუმცა ჩვენ დღეს კამათს არ ვაპირებთ, უბრალოდ, ფაქტებს ვალაგებთ განსჯისთვის:

გია გორგაძის ძმა, ნავთლუღის სპეცოპერაციის დროს დანარჩენ ორ ახალგაზრდასთან ერთად კუდ-ის სპეცრაზმმა ჩაცხრილა. მაშინდელმა ოფიციოზმა ისინი ციხიდან გაქცევის ორგანიზატორებად შერაცხა. ციხეში კი იმ დროს გია გორგაძე იჯდა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შეფი – ბაჩანა ახალაია გახლდათ. ერთი სიტყვით, ვნახოთ, რა უქნეს ძმებმა ახალაიებმა ძმებ გორგაძეებს:

პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში ცოცხლად გადარჩენილი ძმა წერს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების მაშინდელ ხელმძღვანელს აცნობა, რომ პატიმრები გაქცევას ამზადებდნენ. ეს ამბავი ბაჩანა ახალაიამაც შეიტყო და პირდაპირ კონტაქტზე გავიდა გორგაძესთან. მან დაარწმუნა პატიმარი, რომ დაერეკა თავის ძმასთან, შოთა გორგაძესთან, რომელიც მათ გაქცევის აღკვეთაში მოეხმარებოდა. გია ასეც მოიქცა. ძმის სატელეფონო ზარის შემდეგ შოთა



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვის საქმეების მოწმეები?




**„ვიდეოში ვნახე, პატიმარს როგორ აუპატიურებდნენ, ასევე, პარკით გუდავდნენ, სანამ გული არ წაუვიდოდა და მერე ისევ აფხიზლებდნენ, შიშველს წიხლებით ზემოდან ედგნენ, მოტყუება არ მოინდომო, თორემ ასეთ დღეში ჩაგაგდებთო“**

გორგაძე თავის ორ მეგობართან ერთად თბილისში ჩამოდის, სადაც მას კუდ-ის თანამშრომლები ხვდებიან და კლავენ. შემდეგ მოქმედება კვლავ ციხეში გრძელდება, რადგან ამ ყველაფერს „გაპრავება“ სჭირდებოდა. „ბაჩანა ახალაიას ბრძანებით, ეზოში გაგვიყვანეს. მან და მეგის ქარდავამ დაგვიწყეს უმოწყალოდ ცემა. გვცემდნენ სპეცრაზმის თანამშრომლებიც. გვირტყამდნენ ხელკეტებს, ავტომატის კონდახებს... მოითხოვდნენ, გველიარებინა, რომ ციხიდან გასაქცევად ვემზადებოდით... გაგვატარეს სპეცრაზმელების ე.წ. კორიდორში... ამის მერე ახალაიას მითითებით გაგვახდევინეს ტანსაცმელი და გვიბრძანეს, ავსულიყავით საბადრაგო მანქანაში. ექვსივე ამ მანქანით დაწესებულების ტერიტორიის გარეთ გაგვიყვანეს. გასვლისთანავე გააჩერეს მანქანა და შიშვლებს ისევ ძირს ჩამოსვლა გვიბრძანეს. დაგვაყენეს ჯერ კედელთან, შემდეგ კი დაგვაწვინეს თოვლსა და ტალახში. თავზე სპეცრაზმელები გვედგნენ და ახალაიას მითითებით ისევ ჩვენს ცემას განაგრძობდნენ... ამის შემდეგ საკნებში შეგვასახლეს და წამება მერეც გაგრძელდა. ცალ-ცალკე გავყავდით ოთახში, გვაწამებდნენ და ითხოვდნენ აღიარებით ჩვენებას“, – ასეთ ჩვენებას აძლევს გამოძიებას გორგაძე, რომელიც სხვა მტკიცებულებებთან ერთად პროკურატურას უხატავს სურათს, როგორ შეკერა ციხიდან გაქცევის მცდელობის საქმე ყოფილმა პროკურატურამ...

ჩვენების მიცემის შემდეგ გორგაძის ცოლი პროკურატურას ატყობინებს, ჩემი ქმარი ახალაიების ხალხმა გაიტაცაო. იმ დროს, როცა მოწმეს პოლიცია დაეძებს, ის „პრაიმტაიმში“ მოდის პრესკონფერენციის ჩასატარებლად და შემდეგ რაც მოხდა, ამის შესახებ უკვე მოგახსენეთ...

იმ საქმის კვალდაკვალ, სადაც ოქროს მოწმე დასახელებული პირია, გამოძიება მიმდინარეობს ნავთლუღის სპეცოპერაციაზეც, სადაც პროკურატურა სპეცრაზმის ხელმძღვანელს, **შალვა თათუხაშვილს** დაკითხავს, რომელიც ყვება:

„...დათა ახალაია და მასთან მყოფი პირები ესროდნენ მათ, მეც მივიღე საბრძოლო მდგომარეობა, ოდნავ ჩავიმუხლე და მოვახდინე რამდენიმე, დაახლოებით 5-6 გასროლა... ისროდა, ჩემი ჩათვლით, ყველა ზემოხსენებული პირი... ფაქტობრივად, ჩვენ ეს სამი ბიჭი სამივე მხრიდან ალყაში გვყავდა მოქცეული. მეოთხე მხარეს იყო კედელი. სროლების შედეგად, მოხვედრილი ტყვიების გამო, სამივე პიროვნება დაეცა ასფალტზე... მე ნელი მიმართულებით წავედი სადგურის სიღრმისკენ. ამ დროს, ჩემგან დაახლოებით სამ მეტრში, დავინახე, რომ დათა ახალაია შეჩერდა ძირს გაუნძრევლად დაგდებულ პირთან და ერთ-ერთ ძირს დაცემულ ბიჭს თავზე დაადო ავტომატი, მოახდინა ერთი საკონტროლო გასროლა და მოიხსნა ნიღაბი“...

ჩვენების მიცემის შემდეგ შალვა თათუხაშვილიც გაუჩინარდა, ბოლოს კი ის გარდაცვლილი იპოვეს. მისი გარდაცვალება ახლაც ბუნდოვანია...

## ხურჩის საქმის ორი გარდაცვლილი მოწმე

თათუხაშვილის მსგავსად, გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა ხურჩის საქმეზე ბრალდებული, კუდ-ის ერთ-ერთ მაღალჩინოსნის, ახალაიების უახლოესი მეგობრის, რომან შამათავას საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმე, ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე, ალექსანდრე დანელია. მისი გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო. ის საკუთარ სახლში ცეცხლსასროლი იარაღით გარდაცვლილი იპოვეს, თუმცა მისი ძმა, გია დანელია აცხადებდა, რომ ის ორი ტყვიით იყო გარდაცვლილი. ასეთი თვითმკვლელობები ახლო წარსულიდანაც გვახსოვს, როდესაც „ნაციონალური ხელისუფლების“ დროს პროკურატურამ ორი იარაღით „მოაკვლევინა თავი“ დავით მჭედლიშვილს, რომელმაც, გამოძიების მტკიცებით, ექსპერტიზის ბიუროს მაშინდელი ხელმძღვანელი, ლევან სამხარაული მოკლა...

არადა, **ალექსანდრე დანელიამ** ხურჩის ტერაქტთან დაკავშირებით გამოძიებას ჩვენება გარდაცვალებამდე 1 თვით ადრე, 20 ოქტომბერს მისცა:

„...რომან შამათავამ მითხრა, რომ დადგმული იყო „სპექტაკლი“, თითქოს აფხაზები შემოვიდნენ და ააფეთქეს სამგზავრო ავტობუსი, სინამდვილეში ავტობუსს თვითონ ააფეთქებდნენ. მან, ასევე, მითხრა, რომ, აფეთქებისას არავინ დაშავდებოდა და აფეთქება მოხდებოდა მას შემდეგ, რაც ავტობუსიდან გადმოვიდოდნენ მგზავრები. მე დადგმულ ღონისძიებაში მონაწილეობაზე მას თანხმობა ვუთხარი, რადგანაც ის იყო ჩვენი ხელმძღვანელი და მიმაჩნდა, რომ მას უნდა დავმორჩილებოდი. მისი თქმით, ღონისძიება მიზნად ისახავდა ხალხში შიშის დათესვას, რათა მათ ჰქონდათ არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან საფრთხის შიში, კანონიერად არჩეული იმჟამინდელი ხელისუფლება კი იყო მათი დაცვის გარანტი. ჩვენ უნდა მივსულიყავით ხურჩისა და ნაბაკევის საზღვართან და იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი კონტროლირებადი ტერიტორიიდან გავიგებდით გასროლის ხმას, უნდა გვესროლა ყუმბარმტყორცნიდან ჰაერში ხურჩისა და ნაბაკევის ადმინისტრაციული საზღვრიდან, რითაც შეიქმნებოდა ილუზია სროლებისა, არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან ხურჩის მიმართულებით წარმოების თაობაზე... რომან შამათავა კმაყოფილი იყო ჩატარებული ღონისძიებით. აღნიშნულიდან რამდენიმე დღის შემდეგ გავრცელდა ხმები, რომ ავტობუსები, რომლებიც თითქოსდა აფხაზებმა ააფეთქეს, სინამდვილეში არ იყო აფხაზების მიერ აფეთქებული და ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი ჩვენს მიერ“, – ყვება გამოძიებისთვის ხურჩის ტერაქტთან დაკავშირებით მიცემულ ჩვენებაში ალექსანდრე დანელია.

გარდაცვლილია ამ საქმის კიდევ ერთი მოწმე, სერგო უბილავა, რომელიც ბაჩანა ახალაიამ თავისი ძმის უახლოეს მეგობრად მოიხსენია. ახალაიების გარემოცვა უბილავას გარდაცვალებასაც ეჭვით უყურებს, რომლის ოფიციალურად ცნობილი დიაგნოზი ციროზია.

სხვათა შორის, ალექსანდრე დანელიას ე.წ. თვითმკვლელობამდე 8 დღით ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის და სერგო უბილავა გატაცებულები იყვნენ... ასე რომ, თუ ვინმეს მათი გარდაცვალების ოფიციალურ ვერსიაში ეჭვი შეეპარება, საფუძველი აქვს კიდეც, რადგან ორივე ერთი და იგივე საქმეში ერთნაირი სტატუსით წარმოგვიდგებიან. რაც შეეხება მათზე, სავარაუდოდ, განხორციელებული ზეწოლის დამგეგმავებს, ამაზე მსჯელობისას ბევრს, ალბათ, სხვა ისტორიებიც გაახსენდებათ იმ ადამიანების გარშემო, რომელთა წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში მოწმეები კვდებიან, ან იკარგებიან... მაგალითად, შამათავას გვარი უკავშირდება ჭუბერის მკვიდრის, 27 წლის დავით ცინდელიანის გაუჩინარების ფაქტს... მაშინდელი სპეცსამსახურების კვალს ეძებენ ზუგდიდის ცენტრიდან სამხედრო მზვერავის, პაატა ქარდავას გაუჩინარებაშიც... 42 წლის ანაკლიელი გოგიტა აბულაძეც იმ გრძელ სიაში ერთ-ერთია, რომელთა მოძებნაც ამჟამინდელი სამართალდამცველებისთვის ერთ-ერთი ურთულესი სამუშაოა...

## სამჯერ შეცვლილი ჩვენება

სამწუხაროდ, ამით არ მთავრდება იმ მოწმეების სია, რომელთა სახელებიც ახალაიებისა და მათი მეგობრების საქმეებს უკავშირდება.

ყოფილმა პატიმარმა, გოდერძი ჯოლოხავამ პროკურატურას სკანდალური ჩვენება მისცა ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ, კერძოდ, ახალაიას დავალებით მას ზემოქმედება უნდა მოეხდინა კონკრეტულ პატიმარზე, რომელიც იტყოდა, რომ რუსეთის დაკვეთით ამზადებდნენ ამბოხს და თურმე პატრიარქი ამარაგებდა მათ რუსეთიდან ჩამოტანილი იარაღით, ამბოხის მოწყობის შემდეგ კი საქართველო ეკლესიური მმართველობის ქვეშ ექცეოდა თვის განმავლობაში იქნებოდა. ამ აღიარების მოსაპოვებლად ჯოლოხავას სიკვდილის პირას უნდა მიეყვანა ყინწვისის საქმეში ბრალდებული ერთ-ერთი პატიმარი და ამით „სვაბოდას“ მოიპოვებდა. თუ გოდერძი ჯოლოხავა ამას ვერ შეძლებდა, მაშინ მას დანას მისცემდნენ და ამ იარაღით ადვილი იყო ურჩი პატიმრის ლიკვიდაცია, გაგუდვა ან თავის ჩამოხრჩობის იმიტაცია. ჯოლოხავა აცხადებდა, რომ ახალაიას შეთავაზებას დასთანხმდა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მოიშორებდნენ... ამასთანავე, მოწმე ამტკიცებს, რომ ბაჩანა ახალაია სასულიერო პირებზე თავდასხმასაც გეგმავდა და ახორციელებდა კიდეც, რაშიც პატიმრებს იყენებდა. სამაგიეროდ, დავალების შემსრულებელ პატიმარს ან ათავისუფლებდნენ, ან სასჯელს უნახევრებდნენ. ჯოლოხავა იმასაც ადასტურებს, რომ მსგავსი შეთავაზებით ახალაიამ მას პირადად მიაკითხა ციხეში და საუბრისას პატიმრების წამების ამსახველი ვიდეომასალაც აჩვენა. ამასთანავე, დაემუქრა, რომ მასაც იგივე ბედი მოელოდა, როგორც იმ პატიმრებს, ვინც მის მოტყუებას შეეცადნენ.

„ვიდეოში ვნახე, პატიმარს როგორ აუპატიურებდნენ, ასევე, პარკით გუდავდნენ, სანამ გული არ წაუვიდოდა და მერე ისევ აფხიზლებდნენ, შიშველს წიხლებით ზემოდან ედგნენ, მოტყუება არ მოინდომო, თორემ ასეთ დღეში ჩაგაგდებთო“.

ამ ჩვენების შემდეგ ჯოლოხავა გაუჩინარდა, მედიაში კი გავრცელდა მისი ახალი ჩვენება, რომელშიც კითხვებს მას ბაჩანა ახალაიას ადვოკატი, გოგა ონიანი აძლევს.

ამის შემდეგ მოწმე კვლავ გამოჩნდება და განმარტავს, რომ მან ეს ვიდეოჩვენება ახალაიების ახლობლების ზეწოლით მისცა, ვინაიდან მას შვილისა და დისშვილის სიცოცხლით დაემუქრნენ.

## მორიგი – ლევან ბუხაიძე?!

ვინაიდან ცოტა საშიშია ლევან ბუხაიძის წინააღმდეგ იგივე ღონისძიებების გატარება, რადგან ის საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური საქმის მთავარი მოწმეა, უკანასკნელ ხანს სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით ახალაიას ადვოკატები უცნაურ ვერსიას ავრცელებენ – ისინი კითხვის ნიშნებს სვამენ მისი მეგობრის, ლევან ბუხაიძის ქმედებაში, რომლის საფუძველზეც ვითარდება ვერსია, თითქოს ამ მკვლელობაში ის მთლად სუფთად ვერ გამოიყურება.

## რა ემართებათ ახალაიების საქმეების მოწმეებს

მაშ ასე, რომ შევაჯამოთ, ასეთ სურათს მივიღებთ: სახეზე გვყავს 8 მოწმე. მათგან 4 გარდაცვლილია. ერთი ავარიაში მოყვა, ორი გაიტაცეს, ერთის მიმართ კი დისკრედიტაციის მცდელობაა...

ეს მონაცემები კი, ალბათ, მკითხველიც დაგვეთანხმება, ნამდვილად ღირს დაფიქრებად.

**სახეზე გვყავს 8 მოწმე. მათგან 4 გარდაცვლილია. ერთი ავარიაში მოყვა, ორი გაიტაცეს, ერთის მიმართ კი დისკრედიტაციის მცდელობაა...**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ეკა ბესელია: „პოლიტიკური დაჯგუფებები გარკვეული დროით იქმნება“...



EXCLUSIVE



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**უმრავლესობა გარეგნულ სიმშვიდეს ინარჩუნებს. რა ხდება შიგნით, მით უფრო წინასაარჩევნო პერიოდში, ამაზე საუბარი არც ერთ მხარეს არ სურს. ერთობაში შემავალი პარტიები აცხადებენ, რომ კვოტების გადანაწილების პროცესი როგორც არასდროს, ისეთ მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს. თუმცა ფაქტია, რომ პრობლემები არსებობს. უთანხმოება, როგორც ამბობენ, ყოფილი ნაციონალებისა და ეგრეთწოდებული დაპორტირებული პოლიტიკოსების გამოა შექმნილი. კოალიციაში შემავალი ყველა პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოსგან“ კატეგორიულად ითხოვს პარტიული სიიდან ყოფილი ნაციონალების ამოღებას.**

**ეკა ბესელია, უმრავლესობის წევრი:**

– ამას დავადასტურებ. იმ პირების მიმართ ვინც ყვარყვარეს პრინციპით ცხოვრობენ და გადაადგილ-გადმოადგილდებიან პარტიებში. ბუნებრივია, მათ მიმართ უფრო მეტი კრიტიკული დამოკიდებულება არსებობს. ასეთი ადამიანების მიმართ მეტი მაღალი ფილტრია საჭირო. როცა ადამიანი სწრაფად იცვლის, ასეთ რადიკალურ პოზიციებს, მათ მიმართ ბევრი კითხვები ჩნდება. ასეთი ადამიანების მიმართ მეტი ფილტრი რომ იყოს, ჩვენ ამას მხარს ვუჭერთ. მეც ვიცი, რომ ბევრი ასეთი ადამიანი ცდილობს პარტიაში შესვლას, დაახლოებას. ყველას მიმართ ერთნაირად მსჯელობა არ შეიძლება, მაგრამ თუ პარტიიდან პარტიაში გადასვლის გარდა, სხვა კითხვებიც არსებობს, ვფიქრობ, ასეთი ადამიანებისგან თავი უნდა შევიკავოთ.

**– შეიძლება ამ პრობლემამ კოალიციის ერთობას საფრთხე შეუქმნას?**

– ნამდვილად ვერ ვხედავ კოალიციის დაშლის წინაპირობას, პირიქით, მიმაჩნია, რომ კოალიციაში შემავალი თითოეული პარტიის ინტერესშია, რაც შეიძლება დიდხანს შენარჩუნდეს კოალიციური ერთობა. რადგან კოალიციურ ერთობაში ყოფნა ბევრად უფრო კარგი, პოლიტიკურად მყარი და სტაბილურობის მატარებელია, ვიდრე დამოუკიდებელ რეჟიმში ყოფნა. დამოუკიდებლად პარტიები საკმაოდ დიდხანს იყვნენ და ჩვენ გვახსოვს, რა პერსპექტივები ჰქონდა ცალ-ცალკე ყოფნას. აქ საუბარი არ არის, მარტო იმ სიკეთეზე, რომ ძალა ერთობაშია, ერთად ყოფნა თითოეული პარტიისთვის პოლიტიკური გამარჯვების მომტანია და ასეთ შემთხვევაში არ მესმის, რატომ უნდა უნდოდეს ვინმეს კოალიციიდან გასვლა. მე ვერ ვხედავ, რომ დღეს კოალიციიდან გასვლას ვინმე აპირებდეს, პირიქით, ვხედავ, რომ ერთობა ძალიან ძლიერია. ბუნებრივია, მარადიული არაფერია, ღმერთის გარდა, ამიტომ ყველაფერი დანარჩენი, მათ შორის პოლიტიკური დაჯგუფებებიც გარკვეული დროით იქმნება ხოლმე, თუმცა დღეს დაშლაზე საუბარი აბსურდია.

**„დამოუკიდებლად პარტიები საკმაოდ დიდხანს იყვნენ და ჩვენ გვახსოვს, რა პერსპექტივები ჰქონდა ცალ-ცალკე ყოფნას“**

# „ბიძინა ივანიშვილს რო... ბოლომდე იბრძოლა და მი...



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

# ზურაბ აბაშიძე: „შეიძლება ტაქტიკურად ნაციონალების ყველა ლიდერის დაჭერა სწორი ყოფილიყო, მაგრამ სტრატეგიულად არ იქნებოდა ეს კარგი და სწორი გადაწყვეტილება“

**„თავისუფალ დემოკრატებს“ მიაჩნიათ, რომ საკუთარი ლიდერი კოალიციის ერთ-ერთი წარმატებული ლიდერია და არ ვარაუდობენ, რომ ირაკლი ალასანიას არჩევნების შემდეგ პოსტს შეუცვლიან. აცხადებენ, რომ მიზანი ერთია – ქვეყნისთვის სასარგებლო საქმის კეთება და არ აქვს მნიშვნელობა, კონკრეტულად ვის სახელს მიეწერა წარმატება.**

**ზურაბ აბაშიძე, „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი:**

– სამთავრობო ცვლილებებზე არანაირი კონკრეტული მსჯელობა არ ყოფილა, მხოლოდ და მხოლოდ ნარმანიას ფაქტი იყო, თუმცა გამორიცხული არაფერია. მთავრობა ცოცხალი ორგანიზმია და შეიძლება გარკვეულ ეტაპზე ცვლილებები დასჭირდეს. ამ ცვლილებებს განსაზღვრავს პრემიერ-მინისტრი. ბუნებრივია, მას აქვს საკმაოდ მაღალი პასუხისმგებლობა საკუთარი გუნდის წინაშე და თავის გადაწყვეტილებებს საკუთარ გუნდსაც გაუზიარებს, როცა ამის საჭიროება დადგება. ჯერჯერობით ცვლილებებზე არაფერი მსმენია.

**– ალასანიაზე ითქვა, რომ არჩევნების შემდეგ მას პოსტს შეუცვლიან...**

– მსგავსი რამ არ გვსმენია არც ჩვენ და არც თავად ირაკლის. ალასანია არის თავდაცვის ძალიან წარმატებული მინისტრი, რომელმაც სერიოზული რეფორმები გაატარა უწყებაში – მოახდინა თავდაცვის უწყების დეპოლიტიზება. ალასანია ძალიან წარმატებული პოლიტიკოსია. ჩვენ ვართ კოალიციის ნაწილი, ირაკლი ალასანია გახლავთ ჩვენი პარტიის და კოალიციის ერთ-ერთი ლიდერი.

**– ამბობთ, რომ ირაკლი ალასანია ერთ-ერთი წარმატებული მინისტრია, თუმცა კითხვები მისი მისამართით ძალიან აქტიურად ისმება.**

– არ გამოვრიცხავთ, რომ ეს იყოს კამპანიის ნაწილი იმ ადამიანებისა და ჯგუფების მხრიდან, ვისაც არ მოსწონთ ალასანია და მისი წარმატებები.

**– ეს ადამიანები და ჯგუფები კოალიციის შიგნით არიან?**

– ვერ გეტყვით, ეს მე არ ვიცი და სიმართლე გითხრათ, არც ვინტერესდებით მსგავსი საკითხებით. ირაკლი ალასანიასთვის მთავარია საქმე და ის, რომ წარმატებით განხორციელდეს დაგეგმილი რეფორმები.

**– ვინ ებრძვის, არ არის მისთვის საინტერესო?**

– რა თქმა უნდა, ებრძვიან ის ადამიანები, რომლებსაც არ სურთ ირაკლი ალასანიას წარმატება. შეიძლება ზოგი განიცდის, ზოგი ეჭვიანობს. არ ვიცი, ვისაც აწუხებს ეს საკითხი, თავად უნდა ისაუბროს ამაზე. ის, რომ ჯარში შეიძლება ადამიანს დიარეა და ფალარათი დაემართოს, ან სიცხემ აუწიოს, ეს ჩვეულებრივი ამბავია.

**– თუმცა იყო კითხვები ტენდერებთან დაკავშირებითაც?**

– თავდაცვის უწყება ასეთი გამჭვირვალე და ღია არასოდეს ყოფილა. პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს, აბსოლუტურად გამჭვირვალეა, შესაბამისად, ყველა ინფორმაცია თითიდან გამოწოვილია.

**– შეიძლება, რომ კოალიციიდან იმართებოდეს ეს პროცესები?**

– გამოვრიცხავ. კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ ირაკლი ალასანია არის „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერიც და კოალიციის ერთ-ერთი ლიდერიც. ეს არის ერთიანი გუნდი, რომელიც მოქმედებს სახელმწიფოს განვითარების საკეთილდღეოდ. თუ ირაკლი ალასანია არის ერთ-ერთი წარმატებული მინისტრი და მას საზოგადოების მხრიდან ნდობა აქვს, ეს, რა თქმა უნდა, კოალიციის ინტერესებში შედის, პირველ რიგში.

**– განაცხადეთ, რომ თავდაცვის სამინისტროში ყველა პროცესი გამჭვირვალეა. მაგრამ ფაქტია, რომ კითხვები არსებობს. არ თვლით, რომ ამ კითხვების გასაქარწყლებლად პროკურატურამ უნდა გამოიძიოს აღნიშნული ინფორმაციები დიარეასთან, ჯარისკაცების მოწამვლებთან, ტენდერებთან დაკავშირებით?**



– არასდროს არ თქმულა, რომ არ უნდა მოხდეს გამოძიება. თუ იქნება კითხვის ნიშნები და საეჭვო საკითხები, ბუნებრივია, უნდა მოხდეს გამოძიება. შიგნით უამრავი ადამიანია და არ არის გამორიცხული, იყოს დივერსია და მავნებლობა. პირიქით, ალასანიამ არაერთხელ ჩაატარა მოკვლევა, გადასცა მასალები პროკურატურას და თავად საუბრობდა გამჭვირვალობასა და ღიაობაზე. ამიტომ არანაირი პრობლემა არ ყოფილა არასდროს, რომ რაიმეს მიჩქმალვა და დამალვა მოხდეს. ირაკლი ალასანია მზად არის, პასუხისმგებლობა აიღოს წარმატებებზეც და შეცდომებზეც.

**– ძალიან აქტიურად საუბრობენ, რომ ირაკლი ალასანია მარგველაშვილთან და ნაციონალებთან ერთად ახალი კოალიციის შექმნაზე მუშაობს...**

– რესპუბლიკელები გამოგრჩათ...

**– უფრო ამ სამ ძალაზე საუბრობენ...**

– კონსპირაციები ამ ქვეყანაში ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება. არიან ადამიანები, რომლებსაც ძალიან მოსწონთ, როცა რაღაცებს იგონებენ, იჯერებენ და მერე სხვებსაც აჯერებენ. გიორგი მარგველაშვილი არის ჩვენი გუნდის წევრი და საქართველოს პრეზიდენტი, არასოდეს გამიჯვნია ის „ქართულ ოცნებას“, იგივე ღირებულებები და შეხედულებები აქვს, რაც „ქართულ ოცნებას“. ის, რა კრიტიკაც იყო ბიძინა ივანიშვილის მხრიდან, ამაზე ხმამაღლა ისაუბრა ორივე მხარემ, პრეზიდენტმაც გააკეთა გა-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ცა დევნიდნენ, მაშინ არ დატოვა ქვეყანა, თ უმეტეს ახლა არ გეგმავს არსად წასვლას“

ნცხადება და ამით დასრულდა.

**– თუმცა ფაქტია, რომ დაპირისპირება იყო...**

– იყო უთანხმოება საპრეზიდენტო რეზიდენციასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, როდესაც რამეს იტყვი, სჯობს, ის სიტყვა ბოლომდე შეასრულო, მაგრამ ადამიანებს ყოველთვის არ გამოგვდის ნათქვამის შესრულება. ალბათ, მეც და თქვენც გვითქვამს რაღაც და შემდეგ არ გამოგვსვლია. რა თქმა უნდა, სჯობს, ან არ თქვას ადამიანმა, ან შემდეგ საკუთარი ნათქვამი შეასრულოს, მაგრამ ადამიანი ასეთია, ყოველთვის ისე არ გამოდის, როგორც ვამბობთ. პრეზიდენტისთვის განკუთვნილი შენობა იყო აშენებული, ჩვენ ვართ სახელმწიფო, რომელსაც თავისი სიმბოლოები აქვს. მართალია, სააკაშვილი ძალიან არ მომწონდა, არც დღეს მომწონს და რა უნდა გააკეთოს, რომ მომავალში მომეწონოს, მაგრამ ატრიბუტიკა, რომელიც არსებობდა, უნდა გამოგვეყენებინა. ეს არის ჩემი პირადი დამოკიდებულება. ამაზე ხმამაღლაც მისაუბრია.

**– ფიქრობთ, რომ შეიძლება ეს პატარა დეტალები გამხდარიყო ახალ კოალიციაზე ფიქრის მიზეზი?**

– მინდა გითხრათ, რომ ოჯახშიც კი, სადაც ერთმანეთი ძალიან უყვართ და ენდობიან, არ არის ხოლმე ყოველთვის სრული ჰარმონია. ასეთ სერიოზულ და დიდ ორგანიზაციაში, სადაც განსხვავებული გემოვნების, განსხვავებული ღირებულებების პოლიტიკური ძალები არიან გაერთიანებულები, ბუნებრივია, აზრთა სხვადასხვაობა იქნება. კოალიციაში სხვადასხვა გემოვნების ხალხი შევიკრიბეთ, ერთმანეთს ნდობა გამოვუცხადეთ, ბიძინა ივანიშვილმა გამოუცხადა ნდობა მთლიანად ერთობას, ჩაუდგა სათავეში, ჩვენ ერთად ვართ და ერთად ვიქნებით ჯერჯერობით. რა იქნება მომავალში, ამას დრო გვაჩვენებს, მაგრამ ჯერჯერობით არც შეიძლება, რომ ცალ-ცალკე ვიყოთ, რადგან მანდატი გვაქვს საზოგადოების მხრიდან მიღებული.

**– არც იმ ინფორმაციას ადასტურებთ, თითქოს ევროპაში საიდუმლო შეხვედრა გაიმართა ალასანიას, მარგველაშვილსა და ნაციონალების წევრებს შორის?**

– ეს ინფორმაცია აბსოლუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს. მე პრეზიდენტს ვახლდი ოფიციალურ ვიზიტებში და იყო საკითხები, რომელზეც ვერ ვთანხმდებოდით. ეს არის ჩვეულებრივი პროცესი, შეიძლება ორ ადამიანს შორის ან ვიწრო ჯგუფში საუბრები ხდება და ამაში კონსპირაციის დანახვა არასწორი იქნებოდა. მით უფრო მოლოდინის შექმნა, რომ კოალიცია დაიშლება, ან რომელიმე პოლიტიკური ძალა დატოვებს მას. ეს ჩვენი მხრიდან იქნებოდა უპასუხისმგებლობა პირველ რიგში ქვეყნის მიმართ და ხალხის წინაშე, რადგან ჩვენ ხმა მოგვცეს ერთად და ვალდებულები ვართ, ერთად ვაკეთოთ საქმე იმ ვადით, რომლითაც მოსახლეობამ აგვირჩია. ჩვენ განვაცხადეთ, რომ მიუხედავად ყველა სირთულისა ადგილობრივ არჩევნებზე ერთად გავდივართ. თვითმმართველობის შემდეგ საპარლამენტო არჩევნები მოდის, იქ როგორ და რა იქნება, დეტალებზე საუბარი ადრეა. რამდენიმე წელია წინ და თანაც შემდეგში უკეთ დავინახავთ რეალობას, რა ფორმით დარჩება კოალიცია. ნაციონალებთან ჩვენი მიზმა იმიტომ, რომ ჩვენი საგარეო შეხედულებები ერთნაირია, არასწორად მიმაჩნია. ერთიანი ხედვა საგარეო საკითხებზე მთლიან კოალიციას აქვს. „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს, რომ თემის დევალვირება მოახდინოს და დაამტკიცოს, თითქოს მხოლოდ ისინი არიან ნამდვილი პროდასავლური ძალა. არიან და იყვნენ, ამაზე საუბარი უნდა დასრულდეს. სად უნდა იყოს საქართველო, ეს არ არის გემოვნების თემა, ჩვენთვის ეს არის იდეოლოგიური თემა. ჩვენ თუ ვისაუბრებთ იმაზე, როგორ მოხდება პრეზიდენტის არჩევა მომავალში – მას ხალხი აირჩევს თუ პარლამენტი, ეს შეიძლება გახდეს სადავო თემა, არ არის ეს იდეოლოგიური საკითხი. თუმცა მიმაჩნია, რომ ხალხმა უნდა აირჩიოს პრეზიდენტი, მაგრამ, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ვერც ეს საკითხი ვერ გახდება კოალიციის დაშლის მიზეზი. მაგრამ თუ დადგება საკითხი, ევროკავშირში უნდა ვიყოთ თუ ევრაზიულ კავშირში, ეს, რა თქმა უნდა, იდეოლოგიური საკითხია და მიუღებელი იქნება ამის განხილვაც კი. „ნაციონალური მოძრაობას“ და ჩვენს შორის ფუნდამენტური განსხვავებებია ქვეყნის განვითარების თემაზე, მოწყობაზე, ადამიანთა უფლებების საკითხებზე, მათი შეხედულებები მიუღებელია ჩვენთვის და ჩვენი პარტიისთვის.

**– პრეზიდენტის არჩევის წესი ახსენეთ... გავრცელდა ინფორმაცია, რომ ივანიშვილსა და უსუფაშვილს შორის სწორედ ამ საკითხის გამო მოხდა დაპირისპირება?**

– პირველად მესმის, გულწრფელად გეუბნებით, არ მსმენია არანაირ დაპირისპირებაზე. ბიძინა ივანიშვილმა ძალიან სერიოზული ცვლილება მოახდინა ქვეყანაში, მის გარეშე არაფერი შეიცვლებოდა. დღეს ივანიშვილი საზოგადოებრივ სექტორშია და ყველანაირი უფლება აქვს, საკუთარი პოზიციები გამოხატოს. დღეს ჩვენი მთავრობის ამოცანა და მიზანია ხელისუფლების შტოების კონსოლიდაცია: პრეზიდენტის, მთავრობის, პარლამენტის თავმჯდომარის. საზოგადოება სწორედ კონსოლიდაციას ითხოვს ჩვენგან და არა დაქსაქსულობას, რომელიც ქვეყანას დააზიანებს. ჩვენი ერთობა ქვეყნისთვისაა მნიშვნელოვანი. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება პიროვნულად არ ვგიჟდებოდეთ და არ გვიყვარდეს ერთმანეთი, ჩვენი ვალდებულებაა, კონსოლიდაცია გვქონდეს და ერთად ვაკეთოთ საქმე. რამდენ ხანს გავიხანგრძლივებთ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდს, ეს დამოკიდებულია იმაზე, რას გავაკეთებთ ხალხისთვის. თუ ჩვენზე უკეთესი ძალა გამოჩნდება ქვეყანაში და საზოგადოებას დაარწმუნებს, რომ ისინი უკეთ გააკეთებენ საქმეს, მაშინ სხვა ძალა გაიმარჯვებს. ყოველ შემთხვევაში „ნაციონალურ მოძრაობას“ ამის შანსი აღარ აქვს. მართალია, „ნაციონალური მოძრაობა“ ჩვენ გვაბრალებს, თითქოს ყველაფერს ვაკეთებთ მათ გასანადგურებლად, მაგრამ პარალელურად ჩვენი ამომრჩეველი სწორედ იმაში გვადანაშაულებს, რომ არაფერს ვაკეთებთ „ნაციონალური მოძრაობის“ დასასჯელად. ამომრჩევლებს სულ იმას ვუხსნი, რომ მესმის მათი აგრესიისაც, მაგრამ შურისძიება სახელმწიფოს არ წაადგება. ჩვენ ვფიქრობთ უფრო გრძელვადიან პერსპექტივაზე. უტრირებულად რომ ვთქვა, შეიძლება ტაქტიკურად ნაციონალების ყველა ლიდერის დაჭერა სწორი ყოფილიყო, მაგრამ სტრატეგიულად არ იქნებოდა ეს კარგი და სწორი გადაწყვეტილება.

**– როგორ მიდის კვოტების გადანაწილების პროცესი კოალიციაში?**

– კვოტების გადანაწილების პროცესი საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს, ეს პროცესი ნამდვილად არ არის ჩვენთვის უცხო. რაც შეეხება კოალიციის პროპორციულ სიას, ის უკვე შედგება კვოტირებიდან გამომდინარე. მესმის მასმედიის ინტერესი, თუმცა არანაირი დაპირისპირება კვოტების გამო არ არის.

**– ითქვა, რომ ყოფილი ნაციონალების სიაში მოხვედრის გამო კოალიციაში უკმაყოფილებაა...**

– გულწრფელად გეტყვით, რომ ნამდვილად არის საუბარი იმაზე, ვინ შევა სიაში. ეს მგრძნობიარე თემაა და ყველა ჩვენგანი სწორედ ასე ვუყურებთ, მათ შორის „ქართული ოცნებაც“. კოალიციაში შემავალ პარტიებს შორის „ოცნება“ყველაზე დიდია, წამყვანი პარტიაა და შესაბამისად, ყველაზე დიდი მიზიდულობაც სწორედ მას აქვს. ხშირად საუბრობენ შიხიაშვილის თემაზე და ის იქცა კრებით სახელად. ბუნებრივია, განსხვავებული აზრი არსებობს მის გარშემო, მაგრამ შიხიაშვილთან დაკავშირებით ყველაფერი თავიდანვე ნათელია. ირაკლი შიხიაშვილმა რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დატოვა არჩევნებამდე, ეს სერიოზული ფაქტია.

**– თუმცა მაშინ, როდესაც უკვე ცნობილი იყო, რომ ნაციონალები წააგებდნენ...**

– ფაქტია, რომ „ქართული ოცნება“ ჯერ არ იყო გამარჯვებული. ამის გარანტია არ იყო, სხვებმა ნაციონალების დატოვება მერე და მერე დაიწყეს. ეს აბსოლუტურად განსხვავებული საქციელია. მე არ ვიცი, ვის რა შანსი აქვს. ეს საკმაოდ დელიკატური თემაა, გამიჭირდება საჯაროდ გამოვიტანო საკითხები. არიან კვალიფიციური ადამიანები, რომლებსაც აქვთ დიდი გამოცდილება და ჩემი აზრით, ასეთი ადამიანები საქმეს დასჭირდება. არიან, ასევე, ადამიანები, რომლებმაც მართალია, „ნაციონალური მოძრაობა“ დატოვეს და „ქართული ოცნების“ წევრები გახდნენ, მაგრამ ისინი არ შესულან პარტიაში. დაზუსტებით შემიძლია გესაუბროთ „თავისუფალ დემოკრატებზე“, ჩვენთან არ არიან „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრები. ჩვენ ღირებულებების გამო გავერთიანდით, თუ ვიღაც სხვა პარტიიდან იგივე ღირებულებებს იზიარებენ, შეიძლება ვიმსჯელოთ ერთად ყოფნაზე, თუ წარსულში დანაშაული არ აქვთ ჩადენილი. ეს ძალიან დელიკატური თემაა, თუმცა მესმის, რომ ეს აჟიოტაჟიც შეიქმნა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ. ნაციონალებს გარკვეულწილად მიტოვებული ქალის სინდრომი დაემართათ და ძალიან სენსიტიურად აღიქვამენ მიტოვების თემას, მესმის მათი.

**– ბიძინა ივანიშვილთან ხომ არ გქონიათ საუბარი? ამბობენ, რომ ის ბიზნესს ყიდის და საქართველოდან წასვლასაც აპირებს...**

– არანაირად არ აპირებს წასვლას, არ არის სწორი ინფორმაცია. როცა დევნიდნენ, მაშინ არ დატოვა ქვეყანა, ბოლომდე იბრძოლა და მით უმეტეს ახლა არ გეგმავს არსად წასვლას. ძალიან მნიშვნელოვანი პროექტებია, რომლებსაც ბიძინა ივანიშვილი ახორციელებს.







**„ნაციონალებს გარკვეულწილად მიტოვებული ქალის სინდრომი დაემართათ და ძალიან სენსიტიურად აღიქვამენ მიტოვების თემას, მესმის მათი“**

**„თუ დადგება საკითხი, ევროკავშირში უნდა ვიყოთ თუ ევრაზიულ კავშირში, ეს, რა თქმა უნდა, იდეოლოგიური საკითხია და მიუღებელი იქნება ამის განხილვაც კი“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სამი კომპანიის დირექტორი უმწეოთა დახმარებას იღებდა(?!)



## ვინ და რატომ მფარველობს ადამიანებს, რომლებიც ცნობილ რადიოლოგს ფულს სძალავდნენ, სახელმწიფოს კი – უმწეობის პოლისს?

მარიამ ნადირაძე

**თავის დროზე, სოციალურმა აგენტმა ოჯახს მაღალი ქულები დაუწერა და უმწეოთა პროგრამაში ვერ ჩაერთვნენ. ცოტა ხანში ამ ოჯახის უმცროსი ვაჟი, 1 წლის გოგიტა აბაშიძე შიმშილის გამო გარდაიცვალა...**

**დაახლოებით ერთი კვირის წინ საზოგადოება კიდევ ერთხელ შეძრა ერთმა ისტორიამ, რომელიც ვანის რაიონის სოფელ ქვემო გორაში, ქარჩხაძეების ოჯახში მოხდა. 42 წლის მამაკაცმა თავი იმიტომ მოიკლა, რომ ქალიშვილის საოპერაციო თანხა, 2.100 ლარი ვერ იშოვა. თვითმკვლელობა მამამ იმიტომ გადაწყვიტა, რომ მის გასვენებაში შეგროვებული ფულით მაინც მოხერხდებოდა მისი ქალიშვილის შველა...**

**ასეთი ისტორიების ფონზე ჩვენგან შემოთავაზებული ამბავი გულწრფელ სიბრაზეს გამოიწვევს, ვინაიდან გავიგებთ, რომ რეგიონში, სადაც 1 წლის ბავშვი შიმშილით კვდება, უმწეოთა პროგრამაში ჩასვეს კაცი, რომელიც ერთდროულად სამი შპს-ს დირექტორად ფიქსირდება. მეტიც, ეს ადამიანი, გარდა იმისა, რომ გარკვეული დროის განმავლობაში ბიუჯეტის ფულს უკანონოდ ისაკუთრებდა, ცნობილი ექიმი რადიოლოგისგან, ირაკლი დიასამიძისგანაც ცდილობდა სარგებლის მიღებას...**

**შესავლით დიდად რომ არ გადაგღალოთ, ამ ამბავს თავად ირაკლი დიასამიძე გვიამბობს:**

– ეს ისტორია 3 წლის წინათ იწყება: დაახლოებით ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, სამსახურიდან (ხელვაჩაურიდან) ვბრუნდებოდი ჩაქვში, სახლში. ჩემს წინ მიდიოდა მსუბუქი მანქანა. გზის ნაპირას მიკროავტობუსი იდგა. ამ მიკროავტობუსმა დაიწყო შემოხვევა. ეს მანქანა ისე შეეჯახა, რომ ასფალტის საფარი ამოიყარა. რომ ავცდენოდი, საჭე მარცხენა მხარეს ავიღე, მაგრამ ეს მსუბუქი მანქანა ამ შეჯახებამ ისე მოისროლა, რომ უკნიდან მე დავეჯახე და პრაქტიკულად ადგილზე გავჩერდით. ამ მანქანას ძრავი სალონში ჰქონდა შემოსული, მიკროავტობუსი კი შუაში იყო გაგლეჯილი... მე ტვინის შერყევა მომივიდა და ჩემს საავადმყოფოში წამიყვანეს. მეორე დღეს გამომძიებელმა დამირეკა. მივედი და ყველაფერი ვუამბე. 2-3 დღეში რაღაც საეჭვო საუბრები დაიწყეს. რომ დავინტერესდი, მითხრეს, შენ გადებენ ხელსო. გავოცდი, საერთოდ რა შუაში ვიყავი? ის ე.წ. დაზარალებულები ოთხ-ოთხჯერ არიან დაკითხულები და მიმძიმებენ მდგომარეობას.

**– მათი ვერსიით რა მოხდა?**

– თითქოს მიკროავტობუსთან შეჯახების შემდეგ, მე რომ დავეჯახე, მერე ესენი ისევ, განმეორებით, შევაჯახე ერთმანეთს... არაფერი გაითვალისწინეს, თითქმის ყველა ექსპერტიზაზე უარი თქვეს, რაც მე მოვითხოვე. მიკროავტობუსის მძღოლს სამი წელი მისცეს პირობითი, მე კი, რადგან უარს ვამბობდი მათგან მოთხოვნილი 30 ათასი ლარის გადახდაზე, მომცეს თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. ეს ისეთი ცინიზმი იყო, თანაც იმ ფონზე, როცა მეუბნებოდნენ, – „შე ტფილისელო, აქინე ხომ იცი, სიმართლეს ვერ გეიტანო. ჯუმბერაი ბეჟანიძეა ჩემი ნათესავი, მოსამართლე და ნახე, რას გიზამთო". უამრავი განცხადება ვწერეთ მე და ჩემმა ადვოკატმა პროკურატურის გენინსპექციაში, შინაგან საქმეთა გენინსპექციაში, მაგრამ სრულიად ტყუილად... ორ თვეში დედაჩემის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა. ის ამ ამბავს გადაჰყვა კიდეც. ოჯახშიც მძიმე ფინანსური მდგომარეობა შეიქმნა და ჩემს მეუღლეს 10 ათასი ლარის გადახდაზე მოაწერინეს ხელი. მაგრამ 2012 წლის შემდეგ ამ თანხას საურავები დაერიცხა და, ფაქტობრივად, გაორმაგდა. არ ვიხდი, რადგან მიმაჩნია, რომ არ მეკუთვნის მისი გადახდა.



ირაკლი დიასამიძე

**– ამ თანხას მკურნალობის ხარჯების ასანაზღაურებლად გთხოვდნენ?**

– დიახ და ამის შემდეგ გამიფორმებდნენ საპროცესოს. უარი ვთქვი, რადგან არ ვიყავი დამნაშავე და შვილებსაც ასე ვზრდი, თუ მართალი ხარ, არც ერთი ნაბიჯით არ უნდა დათმო.

**– რა დაზიანებები მიიღეს?**

– ერთს ლავიწის დახურული მოტეხილობა ჰქონდა, მეორეს კი – ბარძაყის ძვლის ღია მოტეხილობა... ამასთანავე, ერთ დეტალსაც გიამბობთ: „მარშრუტკის" მძღოლს ალკოჰოლსა და ნარკოტიკზე ექსპერტიზა ბათუმში ჩაუტარდა. ჩემი და იური არძენაძის, რომელიც ვითომ საჭესთან იჯდა, სისხლი გაგზავნეს თბილისში და თანაც მარტო ალკოჰოლზე. საქმე ისაა, რომ ბათუმში ექსპრესანალიზი გაუკეთეს და მას ორივე ამოუვარდა, ალკოჰოლიც და ნარკოტიკიც. ალკოჰოლი ვერ დაუმალეს, რადგან ჩემმა ადვოკატმა იმარჯვა. პასუხი ჩამოვიდა, რომ 2 პრომილეზე მეტი ჰქონდა სისხლში. ჩვენებებში ეს უკანასკნელი წერს, წინა ღამით დავლიე, 24 საათით ადრეო. ეს იცით, რას ნიშნავს? ალკოჰოლის მიღების შემდეგ ყოველ საათში სისხლში პრომილეს რაოდენობა 0,15-ით მცირდება. ეს რომ 24 საათზე გაამრავლოთ და დაუმატოთ მაგის სისხლში არსებული პრომილე, გამოდის, მკვდარი ყოფილა 24 საათით ადრე, რადგან, რასაც მივიღებთ, ეს სასიკვდილო დოზაა. სამედიცინო ინსტიტუტის ნებისმიერ წიგნში წერია, რომ 4,5 პრომილეზე მეტი არის კომა, 5 პრომილეზე მეტი კი – სიკვდილი. ანუ ის მკვდრეთით აღდგა, დაჯდა საჭესთან და მოახდინა ავარია. მაგრამ საჭესთან ის არ იჯდა. როცა ავარია მოხდა, მე მაშინვე მათკენ წავედი, მაგრამ სანამ მივაღწევდი, თვალთ დამიბნელდა და წავიქეცი, თუმცა კარგად მახსოვს, რომ საჭესთან მეორე, ჯიმშერ არძენაძე იჯდა.

**„სამედიცინო ინსტიტუტის ნებისმიერ წიგნში წერია, რომ 4,5 პრომილეზე მეტი არის კომა, 5 პრომილეზე მეტი კი – სიკვდილი. ანუ ის მკვდრეთით აღდგა, დაჯდა საჭესთან და მოახდინა ავარია"**

**– რატომ დამალეს?**

– იქნებ ის იყო ძალიან მთვრალი? ან იქნებ ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყო? ან იქნებ მართვის მოწმობა არ ჰქონდა? რაკი ის გვერდით „გადასვეს", მისთვის არც ექსპერტიზის ჩატარება იქნებოდა საჭირო და არც მართვის მოწმობას მოსთხოვდა ვინმე...

**– ვინ და რატომ მფარველობს მათ?**

– რა თქმა უნდა, პროკურატურა. ალბათ, დიდი ხანია თანამშრომლობენ... თუმცა, ეს ყველაფერი არ არის: როდესაც ისინი საავადმყოფოში დააწვინეს, სანახავად მივედი, მაგრამ ვერ ვნახე, რადგან რიარია იყო... ამიტომ ჩემს კოლეგებთან შევედი და ჯანმრთელობის მდგომარეობით დავინტერესდი... ისტორიას რომ გადავხედე, ვნახე, რომ ორივემ პოლისით ისარგებლა, ერთ-ერთს კი, ჯიმშერ არძენაძეს, უმწეობის პოლისი ჰქონდა. ერთი სიტყვით, არც ერთს არაფერი გადაუხდია. და მე რომ ფულს მთხოვდნენ, გამოძალვა არ არის? დავინტერესდი და პროკურატურას მისი გამოკითხვა ვთხოვე. 2 თვის შემდეგ, როგორც იქნა, გამოკითხეს და გაირკვა, რომ ავარიის დროს ის კომპანია „ჯორჯიან ჰოლდინგის" უფროს სპეციალისტად მუშაობდა და 350 ლარის ოდენობის ხელფასი ჰქონდა... სიღარიბის ზღვარი 108 ლარი იყო, უმწეობაზე რომ არაფერი ვთქვათ. მე კი პროკურატურამ მომწერა, ეს სისხლის სამართლის დანაშაულს არ შეიცავს და სამოქალაქო წესით იდავეო. ამის შემდეგ ამოვიღე სასამართლო საქმე და ვხედავ, რომ სამუშაო ადგილად უწერია „ჯორჯიან პროჯექტ სერვისის" დირექტორია... გადავწყვიტე, მისი პირადი ნომრით მეწარმეთა რეესტრში შევსულიყავი და აქ უკვე გამოჩნდა მესამე ფირმა, „ორანჟი", რომლის დამფუძნებელიც, გენერალური დირექტორიც და 60-პროცენტიანი წილის მფლობელიც ჯიმშერ არძენაძეა. ეს ადამიანია უმწეო და ეს მთხოვს ათასებს? წარმოგიდგენიათ, მე პროკურატურას გწერ, რომ ვიღაცამ სახელმწიფო სახსრები უკანონოდ დახარჯა, უმწეოთა დაზღვევის პოლისი, შენ კი მეუბნები, სამოქალაქო წესით იდავეო. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე სამოქალაქო დავით მე ვისი სახელით უნდა შევიტანო განცხადება? როცა პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის აპარატიდან წავიდა წერილი პროკურატურაში, ცოტა დაფაცურდნენ. გამომძიების ბათუმის პოლიციის მეოთხე განყოფილებაში მითხრეს, თაღლითობა იკვეთება, მაგრამ ჩვენი ქვემდებარე არ არის, ავარიების განყოფილებას უნდა მიმართოთო. გავგიჟდი... წარმოიდგინეთ, ვთქვათ, ბინ ლადენი ვნახე საქართველოში და ვატყობინებ სამართალდამცველებს. ისინი კი მპასუხობენ, რაკი მან ამერიკაში ააფეთქა კოშკები, კი არ უნდა დავიჭიროთ, არამედ საქმე მანჰეტენის განყოფილებას უნდა გადავუგზავნოთო... ერთი სიტყვით, ამ საქმემ იარა... იარა... და ეკა ბესელიას მკაცრი წერილის შემდეგ აჭარის მთავარმა სამმართველომ საქმე მახინჯაურის განყოფილებიდან გამოითხოვა. ახლა კი ვნახოთ, რა მოხდება მომავალში... არ გაინტერესებთ, როგორ ჩაჯდა ეს ადამიანი უმწეოთა პროგრამაში მაშინ, როდესაც სხვებს ქულების დასაწერად აწამებენ. გაფუჭებული ტელევიზორი რომ უდგათ, ასეთ ხალხს არ აძლევენ უმწეობას. ადრე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ უმწეოთა პოლისებს ყიდდნენ. თუ ვინმეს აინტერესებს ამის გამოძიება, თვალწინ აქვთ ფაქტი და გამოიძიონ.

**„ბინ ლადენი ვნახე საქართველოში და ვატყობინებ სამართალდამცველებს"**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# იესო ქრისტეს წმიდა ვნებათა ხსენება, ქრისტეს სისხლი



## დიდი ხუთშაბათი - საიდუმლოება ერთგულებისა, სიმდაბლისა და სიყვარულისა

სალი კიპაროიძე

**ახლოვდება ვნების დღე და ღრმა შინაარსის, თავბრუდამხვევი მოვლენები დრამატული სისწრაფით ვითარდება. იესო ქრისტემ ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელი საღამო, თავის 12 მოციქულთან ერთად გაატარა, ეს დღე დიდ ხუთშაბათად იწოდება და სწორედ ამიტომ ვნების შვიდეულში დიდი ხუთშაბათი განსაკუთრებული დღეა. წმიდა ეკლესია ამ დღეს აღსრულებულ ოთხ უმნიშვნელოვანეს სახარებისეულ მოვლენას იხსენებს: საიდუმლო სერობას, როდესაც მაცხოვარმა წესად დადო წმიდა ზიარების საიდუმლო (ევქარისტია), მაცხოვრის მიერ თავისი მოწაფეების ფეხთბანას, ნიშნად უდიდესი სიმდაბლისა და მათდამი უსაზღვრო სიყვარულისა, გეთსემანიის ბაღში ლოცვასა და იუდას გამცემლობას.**

დიდი ხუთშაბათიდან ორი დღის შემდეგ, ეგვიპტის ტყვეობიდან გამოხსნის აღსანიშნავად, ებრაელები უდიდეს დღესასწაულს, პასექს ზეიმობდნენ. დღესასწაულის წინა საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ, ოჯახის უფროსი ერთი წლის ბატკანს ან თიკანს კლავდა, მთლიანად წვავდა და ოჯახთან ერთად შეექცეოდა. პასექის მიღება ერთი დღით ადრეც ნებადართული იყო, განსაკუთრებით კი მათთვის ვინც გალილეიდან იყო მოსული. რადგანაც უფალმა იცოდა, რომ თავი პასექის დღესასწაულზე უნდა შეეწირა, სერობის მისტერია სწორედ წინა დღეს, ხუთშაბათს გამართა. ბეთანიიდან მომავალმა მოციქულებმა არ იცოდნენ, სად უნდა ეჭამათ პასექი, უფალმაც კი მათ არაფერი უთხრა, რადგან არ უნდოდა მღვდელმთავრებთან შეთანხმებულ იუდას დროზე ადრე გაეცა იგი. მაცხოვარმა პასექის მოსამზადებლად პეტრე და იოანე გააგზავნა და უთხრა, რომ იერუსალიმის კარიბჭესთან კოკით მიმავალი კაცი შეხვდებოდათ. სახლში, რომელშიც ისინი შევიდოდნენ, პატრონი მათთვის გამზადებულ ოთახს დაახვედრებდათ. საღამოს კი უფალი მოწაფეებთან ერთად სწორედ იმ სახლში მივიდა. როდესაც პასექის საჭმელად დასხდნენ, მაცხოვარმა მოწაფეებს ამცნო, რომ ერთ-ერთი მათგანი მას გასცემდა. გაოგნებული მოციქულები ეკითხებოდნენ უფალს, ვინ იქნებოდა გამცემი. მიუხედავად იმისა, რომ უფლისადმი ერთგულებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, სწამდათ, რომ მაცხოვარმა მათი გულისნადები უკეთ იცოდა. უფლისაგან ფარულად მხილებულმა იუდამ წარბი არ შეიხარა და კადნიერად იკითხა, ვინ არის გამცემიო. რაკი ფარულმა მხილებამ არ გაჭრა, მაცხოვარმა სხვებისგან შეუმჩნევლად პირდაპირ უთხრა იუდას, რომ სწორედ ის გასცემდა იესო ქრისტეს. იუდაზე არც ამან გაჭრა. მაშინ უფალმა მოციქულებს დაუფარავად განუცხადა, რომ გამცემი მასთან ერთად ჯამში ამოაწობდა ლუკმას. ასეთი მოქმედებით უფალმა გვიჩვენა, რომ ცოდვილის გადარჩენას ბოლომდე უნდა ვეცადოთ. პასექის დასრულების შემდეგ უფალმა აიღო პური, რომელიც აკურთხა, გატეხა, შემდეგ კი მოწაფეებს საჭმელად მისცა და უთხრა: „ესე არს ხორცი ჩემი თქვენთვის მიცემული, ამას ჰყოფდეთ მოსახსენებელად ჩემდა“, მაცხოვარმა ამის შემდეგ აიღო სასმისი, მისცა მათ და უთხრა: „სუთ ამისაგან ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისა, მრავალთათვის დათხეული მისატევებელად ცოდვათა“, სწორედ ამ დღეს დააწესა უფალმა - საიდუმლო ზიარებისა. ზიარების საიდუმლოს შემდეგ, მაცხოვარმა გაიხადა ზედა შესამოსელი, შემდეგ არდაგი (შესამშრალებელი ნაჭერი) წელზე შემოირტყა, წყალი საბანელში ჩაასხა და მოწაფეებს ფეხები დაბანა. ამ ქმედებით უფალმა კაცობრიობას ქრისტიანული სიმდაბლისა და სიყვარულის უმაღლესი მაგალითი გვიჩვენა და გვასწავლა, რომ ერთმანეთსაც ასეთივე მორჩილებით უნდა ვემსახუროთ, დაგვანახა, რომ მორჩილება თავი და ბოლოა ყოველგვარი სათნოებისა. იუდას მომავალი ზრახვების მიუხედავად, უფალმა პირველს სწორედ მას დაბანა ფეხები. თუმცა მაცხოვარმა ვერც ამ ქმედებით შეძლო ისკარიოტელის მიერ დაგეგმილი ბოროტების ალაგმვა, რადგან ყოველ ადამიანს შემოქმედისგან მინიჭებული აქვს თავისუფალი ნება, სწორედ ამიტომ ცდილობდა მაცხოვარი, იუდას არა ძალდატანებით, არამედ საკუთარი ნებით ეთქვა უარი უგუნურ განზრახვაზე. ადამიანთა გამოხსნაც თავისუფალი ნებით უნდა მოხდეს.

დიდ ხუთშაბათს, მსახურებაზე მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელთმთავრები ფეხთბანის რიტუალს ასრულებენ და ისევე როგორც მაცხოვარმა დაბანა ფეხები, სერობის დაწყებამდე, თავის თორმეტ მოწაფეს, ასევე ბანს მღვდელმთავარი თავის მღვდელმსახურებსაც. დიდი ხუთშაბათის საღამოს კი, დიდი პარასკევის ცისკარზე, „თორმეტი სახარება“ იკითხება. მათში იესოს ის ვნებებია ასახული, რომლებიც ჯვარცმამდე შეემთხვა, მოწაფეებთან უკანასკნელი საუბრით დაწყებული, მაცხოვრის სხეულის დაფლვით და მისი საფლავისთვის მცველების მიჩენით დამთავრებული. „თორმეტი სახარების“ კითხვისას მორწმუნეni ანთებული სანთლებით ხელში დგანან, რაც, ერთი მხრივ, ჩვენი მხსნელის მიმართ მხურვალე სიყვარულის გამოხატულებაა, მეორე მხრივ კი იმის ხსოვნა, რომ მაცხოვარს ღვთიური დიდება ვნების დროსაც არ დაუკარგავს. ამ დროს ანთებულ სანთლებს მორწმუნეები მთელი წლის განმავლობაში ინახავენ და დიდი განსაცდელის დროს ანთებენ. ტაძარში კი ყოველი სახარების წაკითხვის შემდეგ სამრეკლოს ზარი იმდენჯერ ჩამოკრავს ხოლმე, მერამდენე სახარებაც იკითხება. დიდი ხუთშაბათი იმითაცაა გამორჩეული, რომ ეს ერთადერთი დღეა მთელი წლის განმავლობაში, როცა საჭიროების შემთხვევაში, მირონის კურთხევა შეიძლება (ეს მირონი მღვდელმსახურებაში მირონცხების საიდუმლოს შესრულებისას და ტაძრების კურთხევისას გამოიყენება). მიუხედავად იმისა, რომ სათანადოდ მომზადებულ მორწმუნეს ზიარება წლის ნებისმიერ დროს შეუძლია, არსებობს დიდ ხუთშაბათს ზიარების ქრისტიანული ტრადიცია. ამ დღეს უზიარებლად დატოვება ერთ-ერთ მძიმე სასჯელად ითვლებოდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ მცდარია შეხედულება, თითქოს დიდი ხუთშაბათის ზიარება რაიმეთი აღემატებოდეს სხვა დღეებში მიღებულ უფლის სისხლსა და ხორცს, რადგან მაცხოვრის სისხლი და ხორცი წლის ნებისმიერ დროს უცვლელია.



### წითელი პარასკევი

ქრისტეს შობიდან 33-ე წელს, წითელ პარასკევს კაცობრიობამ ღმერთს სიკვდილი მიუსაჯა. ვნების კვირაში დიდ ხუთშაბათს მოსდევს დღე, როდესაც მოხდა ღმერთის საშინელი განსჯა. სამყაროს არასდროს უხილავს ასეთი უმანკო განსასჯელი და ასეთი საშინელი მსაჯული. მოხარხარე ჯოჯოხეთი ჩასახლდა დღეს ადამიანში და დასცინა მაცხოვარსა და საერთოდ ყოველივე ღვთაებრივს. ამ დღეს დაამცირეს ის, ვინც მოვიდა ჩვენს განსადიდებლად, ამ დღეს ვტანჯავთ მას, ვინც მოვიდა ტანჯვისაგან ჩვენს გასათავისუფლებლად, ესაა დღე, როდესაც კაცობრიობამ სიკვდილი მიანიჭა მას, ვინც მარადიული ცხოვრება მოგვიძღვნა. იესოს მოძულე მღვდელმთავრებმა იუდას დახმარებით შეიპყრეს მაცხოვარი, წარუდგინეს ურიასტანის მმართველს პონტოელ პილატეს და მისი ჯვარცმა ითხოვეს. ქრისტე გოლგოთის მთაზე აიყვანეს, მთაზე სადაც ებრაელები დამნაშავეებს სიკვდილით სჯიდნენ. რადგან მაშინ პასექის დღესასწაული იყო, ერთ-ერთი დასასჯელის განთავისუფლება შეიძლებოდა. პილატემ ავაზაკი ბარაბა გამოიყვანა და იკითხა: რომელი გავათავისუფლოთო. ხალხმა ბარაბას გათავისუფლება ითხოვა. პილატე არ იყო დარწმუნებული ქრისტეს დანაშაულში, მაგრამ ხალხის შფოთს მოერიდა, ტაშტი მოატანინა, ხელები დაიბანა და თქვა: ამ საქმეში მე უბრალო ვარო. სწორედ ამის შემდეგ, ხალხის მოთხოვნით, ქრისტე ჯვარს აცვეს.




კაცობრიობამ გოლგოთაზე გაასამართლა იესო ქრისტე, მაგრამ გოლგოთაზევე გასამართლდა თავად კაცობრიობაც, სწორედ გოლგოთაზევე დასრულდა ადამის მოდგმის ქრისტიანობამდელი ისტორიაც. საკუთარი ხალხისაგან უარყოფილი სამყაროს მეუფე ჯვარზედ აღესრულა, ზეციური სიყვარული გაითელა ადამიანური სიძულვილით. გოლგოთიდან ყველაფერი ხელისგულივით მოჩანდა. ნათელი იყო ყოველივე და სამყარო განაჩენს ელოდა. განაჩენი კი წარმოითქვა ნაგვემი, შეურაცხყოფილი, მაცხოვრის მიერ: „მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“.

სწორედ ამიტომ წითელი პარასკევი დიდი მარხვის ყველაზე მძიმე დღეა. ამ დღეს ტაძრებში მაცხოვრის ვნებასთან დაკავშირებით, უსისხლო მსხვერპლშეწირვა - წმიდა წირვა არ აღესრულება, ნიშნად იმისა, რომ თვით უფალი იყო უკანასკნელი სისხლიანი მსხვერპლი ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულების აღსრულების დროს. ჩვენს მართლმადიდებელ ეკლესიებში მსახურების დაწყებამდე, ტაძრის შუაგულში მზადდება ამაღლებული, ყვავილებით მორთული სადგამი -„საფლავი“, საკურთხეველში კი, წმ-





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...თ შეღებილი დღე და მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომა

ინდა ტრაპეზზე, დააბრძანებენ ხოლმე გარდამოხსნას, საგანგებოდ მოხატულ დიდ ქსოვილს, რომელზეც საფლავში ჩასვენებული მაცხოვარია ამოქარგული. საგალობლები, რომლებიც ამ დროს იგალობება, იესო ქრისტეს ვნებასა და ჯვარცმას ასახავს.

ამის შემდეგ, სამღვდელოება და მლოცველები გარდამოხსნის წინაშე დიდ მეტანიას ასრულებენ და მას ეამბორებიან. მორწმუნეები ამ დღეს ასევე კვერცხებს წითლად ღებავენ და პასქებს აცხობენ. წითელი კვერცხის მსგავსად პასქასაც რელიგიური დატვირთვა აქვს. უფლის ჯვარცმა ხომ ზუსტად იუდეველთა პასექის დღესასწაულზე მოხდა. არსებობს გადმოცემა, რომ ამაღლებამდე იესო ქრისტემ თავისი მოწაფეები სხვადასხვა ადგილებში დაგზავნა, რათა ადამიანებისთვის მისი აღდგომის შესახებ ეხარებინათ. საქადაგებლად გაეშურა მარიამ მაგდალინელიც, რომლისგანაც მაცხოვარმა შვიდი ეშმაკი განდევნა და რომელმაც ღვთისმშობლის შემდეგ პირველმა იხილა მკვდრეთით აღმდგარი უფალი. წმიდა მარიამი რომში ჩავიდა და პირდაპირ იმპერატორის სასახლეს მიაშურა. იგი ცნობილი პიროვნება იყო და ამიტომ დაუბრკოლებლად გაატარეს სასახლეში. მან იმპერატორ ტიბერიუსს საჩუქრად კვერცხი გაუწოდა და ახარა: „ქრისტე აღსდგა". იმპერატორმა ქალს ეჭვით შეხედა და წამოიძახა: „როგორ შეეძლო მკვდარს აღმდგარიყო?! ეს ისევე დაუჯერებელია, როგორც ის, რომ ახლა ეს კვერცხი გაწითლდესო". სიტყვები ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული, რომ კვერცხი მართლაც გაწითლდა. ამ დღიდან მოყოლებული ქრისტიანები აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს წითელი კვერცხებით ეგებებიან. გარდა ამისა, კვერცხი ასევე არის მარადიული სიცოცხლის სიმბოლო, რადგან მისგან ცოცხალი არსება იბადება, იესო ქრისტემ კი ადამიანებს სიცოცხლე მიანიჭა. წითელ ფერში სისხლი მოიაზრება, რადგან იესო ქრისტემ სწორედ თავისი სისხლით განწმიდა სიცოცხლე და აკურთხა იგი.



ასე, რომ სწორედ წითელ პარასკევს, ქრისტეს ჯვარცმით დასრულდა ძველი ცხოვრება და დაიწყო ახალი ეპოქა, რომელშიც აღორძინდა ადამიანის სული. მაცხოვარმა კი ჯვარცმამდე გაიარა „ვია დოლოროსა", გზა, რომელიც გოლგოთამდე მიუძღვებოდა იესოს. ეს გზა ძველი იერუსალიმის ერთ-ერთი კარიბჭიდან იწყება და 600 მეტრის დაშორებით მაცხოვრის აღდგომის ტაძართან სრულდება. ყოველი წლის წითელ პარასკევს, იერუსალიმში, ტრადიციისამებრ, „ვია დოლოროსას" გზაზე მსვლელობა ეწყობა. როგორც ყოველთვის, წელსაც, მასში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული ქრისტიანები მონაწილეობენ და მათ შორის ყოველთვის არიან ქართველი მორწმუნეებიც.







როგორც უკვე აღვნიშნეთ, პარასკევ დღეს, ქრისტე იერუსალიმში, გოლგოთაზე ჯვარს აცვეს. სამი დღის შემდეგ კი მაცხოვარი მკვდრეთით აღსდგა. ვნების კვირეულის მძიმე დღეების დაგვირგვინებად სწორედ კვირა დღე – მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული იქცა. დღე, რომელიც ნებისმიერი მორწმუნესათვის უდიდესი სიხარულის მომტანია. აღდგომა 12 საუფლო დღესასწაულს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია. სწორედ ამ დღეს დაიხსნა ადამიანები პირველქმნილი ცოდვისგან მკვდრეთით აღმდგარმა მაცხოვარმა, სწორედ ამის შემდეგ გაიღო ადამიანთათვის სამოთხის ბჭე. ქრისტიანთა უდიდესი დღესასწაული, მაცხოვრის აღდგომა გაზაფხულზე, ახალი სტილით 4 აპრილსა და 8 მაისს შორის აღინიშნება. 325 წელს ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, დღესასწაულის თარიღის გამოთვლა ხდება გაზაფხულის ბუნიობის (დღისა და ღამის თანასწორობა) მიხედვით. სწორედ ბუნიობის შემდეგ, სავსე მთვარის მომდევნო კვირას ზეიმობენ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს მორწმუნეები. ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა! – ასე ესალმებიან ერთმანეთს ქრისტიანები ცოდვებზე გამარჯვების ზეიმის დღეს. მაცხოვრის ჯვარცმიდან მესამე დღეს უნდა აღსრულებულიყო ქრისტეს წინასწარმეტყველება: „მესამე დღეს მკვდრეთით აღვდგები". კვირა დღეს, გამთენიისას საფლავის დარაჯებმა მიწისძვრა იგრძნეს. მერე ანგელოზი დაინახეს, რომელმაც საფლავიდან ლოდი გადააგორა. ამის შემდგომ კი მათ იხილეს სასწაული, მაცხოვრის საფლავიდან აღდგომა. შიშით თავზარდაცემულები კი მაშინვე გაეცალნენ მაცხოვრის აღდგომის ადგილს.

ჯერ გათენებული არ იყო, როცა მარიამ მაგდალინელი, სალომე და სხვები საფლავთან მიდიოდნენ, რათა იესოს სხეულისთვის ნელსაცხებელი ეცხოთ, რაც დამარხვის დროს ვერ მოასწრეს. ქრისტეზე მგლოვიარე მარიამმა როცა დაინახა გადაგორებული ლოდი და ცარიელი საფლავი, იფიქრა, რომ ქრისტეს სხეული მტრებმა წაიღეს. დაიჩოქა და მწარედ ატირდა.

მაშინ მან ორი ანგელოზი იხილა. მათ მაგდალინელს ტირილის მიზეზი ჰკითხეს. მარიამმა უთხრა, რომ უფალზე ტიროდა. ეს რომ თქვა, უკან მკვდრეთით აღმდგარი უფალი იესო ქრისტე დაინახა. მარიამი ვერაფერს მიხვდა, ეგონა, მებაღეაო, თუმცა მაცხოვარმა მას უწინდელი ხმით დაუძახა: „მარიამ!" მაგდალინელმა მაშინვე იცნო ხმაზე იესო. გაექანა, უნდოდა მუხლებზე მოჰხვეოდა, მაგრამ იესომ მას შეხების უფლება არ მისცა. გაგზავნა თავის ძმებთან და დააბარა, რომ ეთქვა: „აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქვენისა, ღვთისა ჩემისა და ღვთისა თქვენისა თანა". მარიამმა სასწრაფოდ ახარა იესოს აღდგომა იოანე და პეტრე მოციქულებს. მათ მიირბინეს მაცხოვრის საფლავთან და ნახეს, რომ ის ტილო, რომელშიც მაცხოვრის სხეული იყო გახვეული, და სუდარა, ცალ-ცალკე იდო. იესო ქრისტე ორმოცი დღის განმავლობაში არაერთხელ გამოეცხადა მოწაფეებს. იგი მოციქულებს ღვთის სასუფეველზე ესაუბრებოდა. აჩვენა ჯვარცმიდან დარჩენილი წყლულები, რომლებიც სხეულზე ჰქონდა დარჩენილი და რამდენიმე სასწაული. ამის შემდეგ კი ქრისტეს აღდგომა მათაც იწამეს, რომელთაც ეს მანამდე არ სჯეროდათ. იესომ წმიდა სისხლით გამოგვისყიდა ცოდვისა და სიკვდილის მონებისგან.

ეს არის სანატრელი დღე - დღე უფლისა, რომლის შესახვედრადაც ასე დიდხანს ვემზადებოდით. ზოგი უფრო მეტად, ზოგიც ნაკლებად, თუმცა განურჩევლად ყველა მართლმადიდებლისთვის ეს დღე ყველაზე დიდ დღესასწაულად ითვლება. ჩვენ შორის არიან ისეთებიც, რომელნიც ყველა ამქვეყნიურ საზრუნავს გვერდზე დებენ და მთელ მარხვას მონასტერში ატარებენ. ზოგს ამის საშუალება არა აქვს, მაგრამ თავის არჩეულ ეკლესიაში ყველა რიტუალს ესწრება, ზოგი ამასაც ვერ ახერხებს, მაგრამ მარხვას ინახავს წმიდად, ზოგი ვერც იმას ახერხებს, რომ მთლიანად იმარხულოს და მხოლოდ პირველ და ბოლო კვირას ინახავს; ზოგიც კი გვიან იგებს, რომ მარხვა იყო საჭირო, სინანული ეუფლება და მომავალი მარხვის შენახვის სურვილი უჩნდება, თუმცა ღმერთი ამ სურვილსაც შეიწირავს. მოკლედ, აღდგომას ყველანი ვდღესასწაულობთ, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა. ამ დღეს სადღესასწაულო ღმრთისმსახურება ტრადიციულად იწყება ღამის 12 საათზე. ჯერ სრულდება ლიტანიობა - სამღვდელოება საკურთხევლიდან გამოასვენებს ხატებს და ბაირაღებს და მრევლთან ერთად გალობით სამჯერ უვლის ტაძარს, რის შემდეგაც ტაძრის წინამძღვარი ულოცავს მრევლს: „ქრისტე აღსდგა!" - „ჭეშმარიტად აღსდგა!" ამის შემდეგ იწყება სადღესასწაულო წირვა-ლოცვა, რომელიც დილამდე გრძელდება. ხოლო ვინც სათანადოდ მომზადებულია, იღებს წმიდა ზიარებას. აღდგომის დღესასწაული ერთი კვირის მანძილზე გრძელდება. ამ კვირას ბრწყინვალე შვიდეული ეწოდება. მისი თითოეული დღე კი განსაკუთრებული მადლითაა აღსავსე. ტრადიციულად ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს ვიხსენებთ მიცვალებულებს, გავდივართ საფლავებზე, მაგრამ ამჯერად ჩვენ მათ ვიხსენებთ არა იმიტომ, რომ განშორება ვიგლოვოთ, არამედ იმიტომ, რომ ვახაროთ მათ, „ქრისტე აღსდგა! თავისი სიკვდილით დათრგუნა სიკვდილი და საფლავებსა შინა სიცოცხლე მიანიჭა!".



# ORBELI GROUP
# ორბელი ჯგუფი





## ერისთავის ქ. N1
**ტელ: 2 14 75 75 / 595 60 90 13**

Ⓐ






ORBELI GROUP
ორბელი ჯგუფი

**100 ლარიანი**
**ვაუჩერი ორბელისგან**

წარმოადგინეთ ორბელის მაღაზიაში
და მიიღეთ 100 ლარის ფასდაკლება

**მის: ერისთავის ქ. N1 ტელ: 595 60 90 13**


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ინტერვიუ დეკანოზ პეტრე კვარაცხელიასთან

**„როგორ შეიძლება იმან დაიცვას სხვისი უფლებები, რომელმაც საკუთარი უფლებების ფასი ან არ იცის, ან არასწორად იყენებს... ნუ ვიქნებით ფარისევლები. როცა საკუთარი ერისა და ეროვნულობის ადამიანებს პლებეევად აქცევ, სხვათა უფლებების დაცვა მხოლოდ ფსევდოლირებულებების თამაშია...“**

**my View**
მირიან ბოქოლიშვილი

**აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე იერუსალიმში საქართველოდან მომლოცველთა ჯგუფი ტრადიციულად ერთი კვირით ადრე გაემგზავრა. ქრისტეს საფლავზე ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლისას, უამრავ პილიგრიმთან ერთად, ქართველი სასულიერო პირებიც იქნებიან. იერუსალმში იმყოფება სვეტიცხოვლის ტაძრის დეკანოზი, მამა პეტრე კვარაცხელიაც, რომელსაც „პრაიმტაიმი“ იერუსალიმში დაუკავშირდა.**

**– მამა პეტრე, საინტერესოა, წელს რამდენად დიდი იყო ქართველ მომლოცველთა რიცხვი და პირადად თქვენი ემოციების შესახებაც რომ გვიამბოთ... რა გრძნობაა, როდესაც აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს წმინდა მიწაზე ხვდებით?**

– წმინდა მიწის მოლოცვა, ნებისმიერი მორწმუნე ადამიანისთვის უდიდესი სურვილი და ბედნიერებაა. მით უფრო, როცა ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლის საიდუმლოებას იერუსალიმში ესწრები. არ ვარ პირველად, მაგრამ ყოველ ჩამოსვლაზე ღვთაებრივი განცდა უფრო და უფრო გიმძაფრდება. მიუხედავად აქ ყოფნისა და ქრისტეს ნატერფალების მთხვევისა, ხვდები, რომ ამ ყველაფრის ღირსი არ ხარ, მაგრამ უფლის გულმოწყალება ყოველგვარ ცოდვაზე აღმატებულია. ღირსი მამა დავით გარეჯელი გამახსენდა. ის ფეხით ჩამოვიდა წმინდა მიწაზე. ძველ ქალაქს სანახებიდან რომ გადახედა, მუხლზე დამხობილმა წარმოთქვა: „არ ვარ ღირს ჩემის ცოდვილი ფეხით შენს საფლავს მივეახლოო“... მაცხოვრის აღდგომის ტაძარი არ უნახავს, ისე გაბრუნდა უკან. ევლოგიად სამი ქვა წაიღო. იერუსალიმის პატრიარქს გამოცხადება ჰქონდა, მწირი ბერის შესახებ, რომელმაც სამი ქვა წაიღო. ორი ქვის არდაბრუნების შემთხვევაში, მთელი ქალაქი მადლისგან დაიცლებოდა. იმდენად დიდი იყო მისი რწმენა და სინანული, რომ ერთ უბრალო ქვაში ჩატეული სიწმინდეებით გააჯერა ქართველი ერი. მთავარი ის კი არ არის, რამდენჯერ მოილოცავ, არამედ რა გულით მოილოცავ... ისე როგორც სხვა დროს, ახლაც ქართველი მომლოცველები იერუსალიმის ქუჩებში აფრიალებენ ეროვნულ დროშებს... ისტორიას ახსოვს, როცა ქრისტეს საფლავის გასაღები ქართველ მეფეებს ეკუთვნოდათ, მაგრამ გაუფრთხილებლობის გამო ეს უპირატესობა დავკარგეთ.

**– ჩვენს მკითხველს კიდევ ერთხელ რომ განუმარტოთ, რის მანიშნებელია ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლა და რა იქნება, თუ ერთ წელსაც ცეცხლი არ გადმოვა?**

– ღვთაებრივი ცეცხლის ისტორია უძველესი დროიდან იღებს დასაბამს. საეკლესიო ტრადიციის თანახმად, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე მკვდრეთით აღმდგარი უფალი იესო ქრისტე რწმენას უმტკიცებს მის მიმდევრებს. თუმცა ცეცხლზე არ უნდა იყოს დამოკიდებული ჩვენი რწმენა, რადგან ყოვლად სახიერის კაცთმოყვარე ბუნება ყოველწამიერად გვავსებს სასწაულებით... ეს თუ ჩვენთვის შეუმჩნეველია, უმადურობისა და დაუნახაობის ბრალია. როგორც მაცხოვარი ბრძანებს სახარებაში, „თომა, ნუ იქნები ურწმუნო, არამედ გრწმენინ ჩემი“... როგორც კი თომა მოციქული იესოს ნალურსმევს შეეხო, მერე აეხილა თვალი... უფალი ბრძანებს: „ნეტარ არს ის, ვისაც არ ვუნახივარ და ისე ირწმუნა ჩემი“... ზოგმა კი სასწაულების ხილვის მერეც არ ირწმუნა. სწორედ ასეთებმა არჩიეს ღმერთს ბარაბა. სასწაულის ხილვის მერე მაინც ნუ ვიქნებით ურწმუნო...

**– ცოტა ხნის წინ ისრაელმა საქართველოს უვიზო რეჟიმი დაუწესა... როგორ ფიქრობთ, სამომავლოდ, ეს გადაწყვეტილება რამდენად შეუწყობს ხელს, წმინდა მიწაზე ქართველ პილიგრიმთა ჩასვლას? როგორ აფასებთ ამ გადაწყვეტილებას?**

– უვიზო რეჟიმის დაწესება, წესით, ცუდი არ უნდა იყოს. ეს ნაბიჯი უფრო გაუადვილებს მსურველს სიწმინდეების მოლოცვას. ისე კი, მთავარი მხურვალე რწმენაა. როცა ჩვენში დიდია სარწმუნოების სიყვარული, ყველა დაბრკოლების მიუხედავად, მაინც ვხდებით სიწმინდეებთან მიახლების ღირსი. თუმცა მეორე უკიდურესობაც ახლავს ამ ფაქტს. როცა რაღაც უბრძოლველად გეძლევა, თვლი, რომ იმსახურებ და კადნიერებაში ვარდები. წმინდა მიწასთან შეხება ყოველთვის კრძალვასთან და სინანულთან უნდა იყოს დაკავშირებული...

**– რაც შეეხება უცხო ქვეყნებში მიმოსვლას, აქვე გკითხავთ აიდი ბარათების ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟზე. საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად საგრძნობლად ამარტივებს გადაადგილებას სხვა ქვეყნებში, მეორე ნაწილი კი მასში ეშმაკის ნიშნებს ხედავს. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ თემასთან დაკავშირებით?**

– ეს თემა ჩემთვის იმდენად შემაწუხებელია, რამდენადაც ოფიციალური საპატრიარქოსთვის. დარწმუნებული ვარ, იერარქებს ჩემზე მეტად უნდათ ცხონება და როცა საგანგაშო იქნება, თავად გააკეთებენ ოფიციალურ გაფრთხილებას. სუბიექტური აზრისგან კი, ალბათ, ყველამ თავი უნდა შეიკავოს...

**– მამაო, თქვენ რით ხსნით ქართველ საზოგადოებაში მომძლავრებულ აგრესიას? ხშირად გვესმის, როგორ უპირისპირდებიან ერთმანეთს სხვადასხვა პოზიციაზე მყოფი ჯგუფები... ერთმანეთს ესვრიან ქვებს, კვერცხებს, ცოცხებს, საღებავებს... რით ხსნით საზოგადოებაში მომძლავრებულ აგრესიას?**

– ყოველგვარი აგრესია არასრულფასოვნების კომპლექსიდან იღებს დასაბამს. იერუსალიმის გადასახედიდან ძნელია სხვის აგრესიაზე ისაუბრო... რა არის აგრესია?! ის სიყვარულის, ერთსულოვნების, ერთგულების, სხვისი აზრის პატივისცემის ნაკლებობაა. როგორც მაცხოვარი ბრძანებს „იყუარებოდით ურთიერთას, რათა ერთობით აღვიარებდეთ“...

**– პატრიარქი გასულ კვირას ქადაგებისას ადამიანის უფლებების დაცვას შეეხო და დასვა კითხვა – „ვინ დაიცავს უმრავლესობის უფლებებს“? როგორ უყურებთ თქვენ ამ საკითხს?**

– როცა ირღვევა უმრავლესობის უფლებები, ეს უკვე უმცირესობას ნიშნავს. როგორ შეიძლება იმან დაიცვას სხვისი უფლებები, რომელმაც საკუთარი უფლებების ფასი ან არ იცის, ან არასწორად იყენებს... ნუ ვიქნებით ფარისევლები. როცა საკუთარი ერისა და ეროვნულობის ადამიანებს პლებეებად აქცევ, სხვათა უფლებების დაცვა მხოლოდ ფსევდოლირებულებების თამაშია... თამაში კი საბოლოოდ კრახით მთავრდება, რაც არ უნდა მიმზიდველი იყოს ის...

**– საკმაოდ პოპულარული გახდა სოციალურ ქსელში თქვენი განცხადება „ჯიპიან მღვდელთან“ დაკავშირებით... როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება სასულიერო პირების ავტომობილები მითქმა-მოთქმის საფუძველი? პირადად თქვენთვის რა არის ჯიპი – ფუფუნების საგანი თუ გადაადგილების მოსახერხებელი საშუალება?**

– საზოგადოება დაშტამპულ აზროვნებასაა მიჩვეული. მას ურჩევნია, შეგუებულ მდგომარეობას ინარჩუნებდეს, ვიდრე სიახლე მიიღოს. ურჩევნია, სიცრუეში იცხოვროს, ვიდრე გაშიშვლებული სიმართლე მოისმინოს. მწიგნობრებისთვის და ფარისევლებისთვის ქრისტე მთელი მისი სწავლებებით მიუღებელი იყო და ჯვარს აცვეს... აქ ჯიპში არ არის პრობლემა, არამედ დამოკიდებულებაში, რაც უფრო მეტ „საცრობს“ ქმნის, ვიდრე ავტომობილები...

**– დაბოლოს, გკითხავთ თქვენს შემოქმედებაზე...**

– ახლა გალაკტიონი გამახსენდა და გამეღიმა „ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის“...




**„ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის“...**

**„ცეცხლზე არ უნდა იყოს დამოკიდებული ჩვენი რწმენა, რადგან ყოვლად სახიერის კაცთმოყვარე ბუნება ყოველწამიერად გვავსებს სასწაულებით“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო „შეღავათ

სანდრო ბარათელი

**10 აპრილს, სოფლის მეურნეობის მინისტრმა, შალვა ფიფიამ და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა, გიორგი ჩხეიძემ „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ერთი წლის საქმიანობა შეაჯამეს. შეგახსენებთ, რომ პროექტი - „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს. პროექტში, რომელიც გასული წლის 27 მარტს დაიწყო ჩართულია 13 ბანკი, ორი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და ორი სალიზინგო კომპანია.**





„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“, მორგებულია სოფლის მეურნეობის სფეროს საჭიროებებზე, თავდაპირველად შედგებოდა სამი კომპონენტისგან: 1. უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება) მცირე ფერმერებისთვის; 2. შეღავათიანი აგროკრედიტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის; 3. შეღავათიანი აგროკრედიტი სასოფლო - სამეურნეო საწარმოებისთვის. ერთი წლის მანძილზე, ფერმერთა და მეწარმეთა მოთხოვნისა და საჭიროების შესაბამისად, პროექტი დაიხვეწა და დაემატა სხვა კომპონენტები: 4. შეღავათიანი აგროლიზინგი; 5. შეღავათიანი აგროკრედიტი ყურძნის გადამამუშავებელი კომპანიებისთვის; 6. შეღავათიანი აგროკრედიტი ციტრუსის ექსპორტიორი და გადამამუშავებელი კომპანიებისთვის; 7. შეღავათიანი აგროკრედიტი თანმხვედრი გრანტით დაფინანსებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოებისთვის. საერთო ჯამში, „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ შვიდივე კომპონენტი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფას ემსახურება. პროექტის ფარგლებში, საქართველოს ყველა რეგიონში, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში, უკვე გაცემულია 318 000 000 ლარის ოდენობის 14 100 შეღავათიანი აგროკრედიტი. 2014 წლის 4 აპრილის მონაცემებით: I კომპონენტში გაცემულია 1 837 478 ლარის 4 309 სასაქონლო განვადება. II კომპონენტში გაცემულია 168 644 280 ლარის ოდენობის 9 258 შეღავათიანი აგროკრედიტი. III კომპონენტში გაცემულია 96 991 211 ლარის 482 შეღავათიანი აგროკრედიტი, მათ შორის 70 სესხი გაცემულია ახალი საწარმოების შესაქმნელად. V კომპონენტით, 2013 წლის რთველის პერიოდში, ღვინის მწარმოებელმა კომპანიებმა ყურძნის შესაძებად ისარგებლეს. ამ მიზნით, გაცემულია 49 625 810 ლარის ოდენობის 48 სესხი. „პრაიმტაიმი“ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის მენეჯერს, ირაკლი მოისწრაფიშვილს ესაუბრა.

**ირაკლი მოისწრაფიშვილი:** - 2013 წლის 27 მარტს, უკვე ოფიციალურად მოეწერა ხელი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს სააგენტოს, ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შორის, პროექტის ერთობლივად განხორციელების შესახებ. კრედიტების გაცემა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე მოხდა, ანუ პირველივე დღეებში, 28-29 მარტს. აპრილის თვიდან კი ფართომასშტაბიანი კრედიტების გაცემა დაიწყეს ბანკებმა. პროექტის ინიციატორია, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, განმახორციელებელი კი სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო. პროექტს, 2013 წელს, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი აფინანსებდა, ხოლო 2014 წლის პირველი იანვრიდან გადავედით საბიუჯეტო დაფინანსებაზე.



„პროექტის დაწყებიდან დღემდე 14 100 სესხია გაცემული. ფერმერთა რაოდენობა დაახლოებით 10 ათასს აჭარბებს“

**- უფრო დაწვრილებით, რომ ვისაუბროთ პროექტზე, როგორ ხდება ბენეფიციარების პროექტების განხილვა?**

- პროექტის სტრუქტურა ისეა აწყობილი, რომ ჩვენ (სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო), არ განვიხილავთ დასაფინანსებელ პროექტებს. ამას აკეთებენ სააგენტოს პარტნიორი საფინანსო ორგანიზაციები, რომლებიც დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გასცემენ საკუთარ ფინანსურ რესურსებს, სესხის სახით. „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“ შედგება შვიდი კომპონენტისგან: პირველი კომპონენტი, ეს არის უპროცენტო სასაქონლო განვადება მცირე ფერმერებისთვის. მეორე კომპონენტი, ეს არის შეღავათიანი აგროკრედიტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის, მესამე კომპონენტი ეს არის, შეღავათიანი აგროკრედიტი სასოფლო სამეურნეო საწარმოებისთვის. მეოთხე, წარმოადგენს შეღავათიან აგროლიზინგს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის. მეხუთე კომპონენტი გახლავთ, შეღავათიანი აგროკრედიტი ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოებისთვის. მეექვსე კომპონენტია მანდარინის შემსყიდველი საწარმოებისთვის და ბოლო, მეშვიდე კომპონენტი, ეს გახლავთ შეღავათიანი აგროკრედიტი თანადაფინანსებული საწარმოებისთვის.

**- იქნებ უფრო კონკრეტულად განვიხილოთ თითოეული კომპონენტი და განვმარტოთ სააგენტოს როლი?**

- მოგახსენებთ. პირველი კომპონენტი, გათვლილია მცირე ფერმერებზე, ვისაც 5 ათალ ლარამდე დაფინანსების საჭიროება აქვთ. ეს არის განვადების მოდელი, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული ვაჭრობის სხვადასხვა სფეროებში. იგივე განვადების მოდელი იქნა გადმოტანილი იმ სავაჭრო ობიექტებში, რომლებიც ვაჭრობენ სასოფლო სამეურნეო წარმოების საშუალებებით, როგორიცაა პესტიციდები, სასუქები, სათესლე და სარგავი მასალა, ინვენტარი და მცირე გაბარიტიანი ტექნიკა. 5 ათას ლარამდე ღირებულების აღნიშნული საშუალებების საჭიროება შეუძლია ფერმერმა უპროცენტო სასაქონლო განვადებით დაიკმაყოფილოს. ეს არის ექვს თვემდე ნულპროცენტიანი განვადება, რაც საკმარისი დროა იმისთვის, რომ ფერმერმა მოიყვანოს მოსავალი და მოახდინოს მისი რეალიზაცია. 5 თვის განმავლობაში ფერმერია არ იხდის არც საპროცენტო გადასახადს და არც ძირითად თანხას. ხოლო ექვსი

„დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ წლის ბოლომდე კრედიტების გაცემა გაგრძელდება. წლის ბოლოს თუ კრედიტების გაცემა შეწყდა, ამით ჩვენი ვალდებულებები უკვე გაცემულ სესხებზე არ მთავრდება. ეს გაგრძელდება სესხების არსებობის ვადის ამოწურვამდე“

თვის შემდეგ, დააბრუნებს მხოლოდ ძირს, ყველანაირი პროცენტის დარიცხვის გარეშე. თუ გადააცილებს ექვს თვეს, არსებული საპროცენტო განაკვეთები დაერიცხება მხოლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე. ამ კომპონენტში, სააგენტოს მონაწილეობას წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ მედიატორობა სავაჭრო ობიექტებსა და საფინანსო ორგანიზაციებს შორის. ამჯერად პროცესი ჩვენი ჩარევის გარეშეც შესანიშნავად მიმდინარეობს, სააგენტო აქტიურად მონაწილეობს მეორედან მეშვიდე კომპონენტის ჩათვლით. მეორე კომპონენტში სააგენტო იღებს შემდეგ სამ ვალდებულებას: პირველი, ეს არის საპროცენტო დანახარჯის თანადაფინანსება. საფინანსო ინსტიტუტი (ბანკი) სააგენტოსთან წინასწარ შეთანხმებული პირობების დაცვით გასცემს შეღავათიან აგროკრედიტს ბენეფიციარზე, ხოლო სააგენტო ავტომატურად ჩართავს ასეთ სესხს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტში და მსესხებლის (ბენეფიციარის) მაგივრად გადაიხდის წლიურ 9 პროცენტს. საპროცენტო განაკვეთი დადგენილია ბანკებთან შეთანხმების საფუძველზე და თანხიდან გამომდინარე, შეადგენს 17, 16 ან 15 პროცენტს წლიურად, საიდანაც 9 პროცენტს გადაიხდის სააგენტო. შესაბამისად, ფერმერს დარჩება გადასახდელი 8, 7 ან 6 პროცენტი. ეს დგინდება თანხის მოცულობიდან გამომდინარე. 5-დან 20 ათას ლარამდე, საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი წარმოადგენს 17%-ს , 20-დან 50 ათას ლარამდე გაცემულ სესხზე მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი დადგენილია 16%, ხოლო 50-დან 100 ათასამდე 16%, საიდანაც, როგორც უკვე მოგახსენეთ, 9 პროცენტს იხდის სააგენტო. მეორე ვალდებულება, რომელსაც სააგენტო იღებს მე-2 კომპონენტის ფარგლებში, არის გაცემული შეღავათიანი აგროკრედიტების მეორადი უზრუნველყოფა. სააგენტო იღებს ვალდებულებას, რომ გაცემული სესხის მოცულობის ერთ მესამედს უზრუნველვყოფთ ნაღდი ფულით, ან საგარანტიო წერილით. მესამე პირობა, რასაც სააგენტო იღებს მეორე კომპონენტის ფარგლებში, გახლავთ ის, რომ ჩვენ, ნებისმიერ მიწას, რომელსაც ბანკი ჩაიდებს ფერმერისგან გირაოს სახით, საჭიროების შემთხვევაში გამოვისყიდით ბანკიდან. ამით ქვეყანაში გაჩნდება მიწის მეორადი ბაზარი.

**- ანუ?**

- მინდა გითხრათ, რომ პროექტის დაწყებამდე ბანკები მრავალი მიზეზის გამო თავს იკავებდნენ სესხების უზრუნველყოფის მიზნით ფერმერებისგან ჩაედოთ სასოფლო სამეურნეო მიწები, ეს მიზეზებია: სასოფლო-სამეურნეო მიწების განსხვავებული კონფიგურაცია და სხვადასხვა რეგიონებში მდებარეობა. ზოგი მიწა სახნავია, ზოგი სათიბი, ზოგიც საძოვარი და ა.შ. სწორედ მიწების დანიშნულების, კონფიგურაციისა და დაქსაქსულობიდან გამომდინარე, ბანკები იკავებდნენ თავს, რომ სასოფლო სამეურნეო მიწა ჩაედოთ გირაოში. ჩვენ შევუთანხმდით ბანკებს და ავიღეთ ვალდებულება, რომ ნებისმიერ შემთხვევაში გამოვისყიდით, ფერმერის მიერ სესხის უზრუნველყოფის მიზნით გირაოს სახით ბანკში ჩადებულ მიწას, თუ ამის საჭიროება დადგება. ამით ჩნდება მიწის მეორადი ბაზარი. ეს პირობა ბევრი ბანკისთვის მომხიბვლელი აღმოჩნდა და მიწების გირაოში ჩადების პრაქტიკა დამკვიდრდა.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# იანი აგროკრედიტის პროექტის“ ერთი წლის საქმიანობას აჯამებს



**„პირველად, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, სამ მილიარდ ლარს გადააჭარბა სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მიერ ერთობლივად შექმნილმა მთლიანმა შიდა პროდუქტმა. ხოლო, მხოლოდ გადამამუშავებელმა, თითქმის 900 მილიონ ლარს მიაღწია“**

**EXCLUSIVE**



**- რაც შეეხება მესამე კომპონენტს?**

- მესამე კომპონენტში სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს წლიურ 12 პროცენტს, საპროცენტო განაკვეთები, როგორც მეორე კომპონენტში, აქაც თანხებიდან გამომდინარე დგინდება. 30-დან 100 ათას დოლარამდე საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი არის 15 პროცენტი, 100-დან 200-მდე 14 პროცენტი, ხოლო 200-დან 600-ის ჩათვლით 13 პროცენტი. სესხები გაიცემა 30 000 აშშ დოლარიდან 600 000 აშშ დოლარამდე. ნებისმიერი თანხის გაცემის შემთხვევაში, სააგენტო გადაიხდის წლიურ 12 პროცენტს. მეოთხე კომპონენტია შეღავათიანი აგროლიზინგი, რომელიც ეხმარება იმ მეწარმეებს, ვისაც უზრუნველყოფის ნაკლელობა აქვს და ვერ იღებს საბანკო კრედიტს. მოგეხსენებათ, ლიზინგის შემთხვევაში, უზრუნველყოფის საგანს წარმოადგენს თვითონ ლიზინგის ობიექტი, იქნება ეს მანქანა-დანადგარი, მოწყობილობა, აღჭურვილობა თუ საწარმოო ხაზი. მეწარმეს ამ შემთხვევაში მხოლოდ 30-პროცენტიანი თანადაფინანსების წარმოდგენა ესაჭიროება. მეხუთე კომპონენტი სააგენტომ შესთავაზა ყურძნის გადამამუშავებელ საწარმოებს, რათა წარმატებით ჩატარებულიყო რთველი და ფერმერებს ხელი შეწყობოდათ ყურძნის რეალიზაციაში. შეღავათიანი პირობებით კრედიტების მიღება მეწარმეებისთვის დამატებითი სტიმული იყო ყურძნის ფართომასშტაბიანი შესყიდვების განსახორციელებლად. ყურძნის შეძენისთვის აღებული კრედიტის ზედა ზღვარი განისაზღვრა 10 მილიონი ლარით, ხოლო საპროცენტო განაკვეთიდან 9 პროცენტს იხდის სააგენტო. მაგალითად, თუ მეწარმე აიღებდა 100 ათას ლარამდე სესხს ყურძნის შესაძენად, ბანკი მას დაუდგენდა მაქსიმუმ 15 პროცენტიან ზედა ზღვარს. თუ 100 ათასიდან მილიონამდე აიღებდა კრედიტს, საპროცენტო განაკვეთი არ უნდა ყოფილიყო 14 პროცენტზე მეტი, ხოლო ერთი მილიონიდან 10 მილიონამდე არაუმეტეს 13 პროცენტისა. ეს ნიშნავს, რომ 15,14,13 პროცენტიდან 9 პროცენტს იხდის სააგენტო, ხოლო მეწარმის გადასახდელი რჩება წლიური 6, 5 ან 4 პროცენტი. ეს პროცენტების ზედა ზღვრებია, შესაძლებელია მათი დაწევა ბანკსა და მეწარმეს შორის მოლაპარაკების საფუძველზე. მეექვსე კომპონენტი გახლავთ მეხუთე კომპონენტის მსგავსი და განკუთვნილია მანდარინის შემსყიდველი საწარმოებისთვის. მეშვიდე კომპონენტი გახლავთ შეღავათიანი აგროკრედიტი გრანტით დაფინანსებული საწარმოებისთვის. როგორც უკვე მოგახსენეთ, მესამე კომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხებით სხვადასხვა რაიონში დაფინანსდა სხვადასხვა ტიპის გადამამუშავებელი საწარმოები. მოგეხსენებათ, გადამამუშავებელი საწარმოს არსებობა ყოველ რაიონში მნიშვნელოვანია, ვინაიდან ყოველ რაიონს აქვს თავისებური დამახასიათებული სანედლეულო პოტენციალი. ეს პოტენციალი ზოგან ხილია, ზოგან ჩაი, ზოგან ტყის კენკროვნები ან მეცხოველეობის პროდუქტები. ასეთ რეგიონებში, სადაც სანედლეულო ბაზა არსებობს, მაგრამ ბიზნესმა დამოუკიდებლად ვერ გარისკა შესვლა, სააგენტო დამატებით მასტიმულირებელ მექანიზმს სთავაზობს მათ, თანადაფინანსების სახით, პირველ რიგში, შეირჩა ის რაიონები, სადაც კერძო მეწარმეები დამოუკიდებლად არ შევიდნენ და შეღავათიანი აგროკრედიტის ხარჯზე არ გახსნეს სასოფლო სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოები. ასეთ რაიონებში აღნიშნული საწარმოების დაარსებისთვის სააგენტო სთავაზობს მეწარმეებს ერთი მხრივ, თანადაფინანსებას და მეორე მხრივ, შეღავათიან აგროკრედიტს საუკეთესო პირობებით. თანადაფინანსების პრინციპი ასეთია: პროექტის ღირებულების 40 % წარმოადგენს თანადაფინანსებას, 10 % მეწარმემ უნდა წარმოადგინოს საკუთარი სახსრები და დანარჩენი 50% შესაძლებელია დაფინანსდეს შეღავათიანი აგროკრედიტით. მეშვიდე კომპონენტის მომხიბვლელობა მე-3 და მე-4 კომპონენტებისგან განსხვავებით იმაში მდგომარეობს, რომ ამ კომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხით, ძირითად საშუალებებთან ერთად, შესაძლებელია დაფინანსდეს ასევე ნედლეულის, ტარა-შესაფუთი მასალების და სხვა საჭირო მასალების შეძენაც.

**- პროექტი შარშან დაიწყო და ამჟამადაც მიმდინარეობს, ხომ?**

- დიახ, გრძელდება და დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ წლის ბოლომდე კრედიტების გაცემა გაგრძელდება. წლის ბოლოს თუ კრედიტების გაცემა შეწყდა, ამით ჩვენი ვალდებულებები უკვე გაცემულ სესხებზე არ მთავრდება. ეს გაგრძელდება სესხების არსებობის ვადის ამოწურვამდე. პროექტის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ბანკების მიერ გაცემული კრედიტების ვადებზე. მაგალითად, თუ დღეს გაიცემა 7-წლიანი სესხი, რომლის თანადაფინანსების ვალდებულებას ავტომატურად იღებს სააგენტო, ჩავთვალოთ, რომ დღეიდან 7 წლის განმავლობაში, სააგენტო ამ ვალდებულებას შეასრულებს.

**- შარშანდელი მონაცემები როგორია?**

- გასულ წელს, სოფლის მეურნეობამ და გადამამუშავებელმა წარმოებამ 400 მილიონი ლარით მეტი პროდუქცია აწარმოა, 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. დამეთანხმებით, რომ შთამბეჭდავი შედეგია. პირველად, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, სამ მილიარდ ლარს გადააჭარბა სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მიერ ერთობლივად შექმნილმა მთლიანმა შიდა პროდუქტმა. ხოლო, მხოლოდ გადამამუშავებელმა, თითქმის 900 მილიონ ლარს მიაღწია. ეს იმ ფონზე, როდესაც ის სიმძლავრეები, რომლებიც დაფინანსებულია, ჯერ კიდევ არ შესულა ექსპლუატაციაში. მათი სრული დატვირთვით ამუშავებას ველოდებით მიმდინარე წელს. ჩვენ გვაქვს მოლოდინი იმისა, რომ გადამამუშავებელი მრეწველობა, კარგ საფუძველს ჩაუყრის ასევე ნედლეულის (პირველადი სასოფლო- სამეურნეო პროდუქციის) წარმოებას.

**- პროექტით სარგებლობა ნებისმიერ ფერმერს შეუძლია?**

- ნებისმიერ ფერმერს, რომელიც კრედიტუნარიანია. როგორც კი ბანკი გასცემს კრედიტს, მისი მიმღები ყველანაირი დამატებითი პროცედურების გავლის გარეშე ავტომატურად ხდება პროექტის ბენეფიციარი და სარგებლობს ყველა იმ პირობით, რაზეც უკვე ზემოთ ვისაუბრეთ.

**- რამდენმა ფერმერმა ისარგებლა ამ პროექტით?**

- პროექტის დაწყებიდან დღემდე 14 100 სესხია გაცემული. ფერმერთა რაოდენობა დაახლოებით 10 ათასს აჭარბებს.

**- რომელი რეგიონი აქტიურობს?**

- აქტიურობის მიხედვით, კახეთი ცალსახად ლიდერობს. მეორე კომპონენტის ფარგლებში, ჯამში, კახეთში გაცემულია 91 მილიონი ლარის სესხი, მაშინ როცა მეორე კომპონენტის ფარგლებში ჯამურად 168 მილიონი ლარის სესხები გაიცა.

**- ძირითადად რა დარგები დაფინანსდა?**

- მესაქონლეობაზე გაიცა 66 მილიონი ლარი - მთლიანი გაცემული სესხების 39 პროცენტი. მეცხვარეობაზე გაიცა 38 მილიონი ლარი - საერთო სესხების 23 პროცენტი, მარცვლეულის წარმოება - 15 მილიონი ლარი და 9 პროცენტი მთლიანი სესხის. შერეული მემცენარეობა - 5 პროცენტი, 8,5 მილიონი ლარი ჯამში. შერეული მეცხოველეობა - 5 პროცენტი, 8,4 მილიონი ლარი. მებოსტნეობა - 6, 9 მილიონი ლარით არის დაფინანსებული, 4 პროცენტი. მეთევზეობა - 2 პროცენტი, 3, 4 მილიონი ლარი. მეფრინველეობა - 2,6 მილიონი ლარი, 2 პროცენტი. სხვა ყველა დანარჩენი დარგი - 4 პროცენტი, 8 მილიონი ლარი. სულ 33 დარგია, რომელიც დაფინანსდა.

მინდა ორიოდე სიტყვით გითხრათ, ახალ საწარმოებზე. დაფინანსებულია 70-ზე მეტი ახალი საწარმო, შემდეგ რეგიონებში: 26 კახეთში, ქვემო ქართლში 17, შიდა ქართლში 10, სამეგრელოში 2, სამცხე-ჯავახეთში 2, გურიაში 3, აჭარაში 3, მცხეთა-მთიანეთში 2, იმერეთში 5. ახალ საწარმოებში იგულისხმება, როგორც პირველადი, ასევე გადამამუშავებელი საწარმოები. ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2013 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, სატყეო მეურნეობაზე ჯამურად გაცემული სესხების პორტფელი შეადგენდა 59 მილიონ ლარს, ხოლო 2014 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, იგივე მაჩვენებელი 154 მილიონ ლარს შეადგენს. მინდა გითხრათ, რომ ეროვნული ბანკის მონაცემები არ შეიცავს ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებს, რომელსაც ჩვენ აღვრიცხავთ. 2014 წლის 4 აპრილის ჩვენი მონაცემებით, ქვეყანაში გაცემული შეღავათიანი აგროკრედიტების ჯამური მოცულობა შეადგენს 320 მილიონ ლარს. ამ დროისთვის აქტიური სესხების ჯამი გახლავთ 287 მილიონი ლარი. საბანკო ენაზე რომ ვთქვათ, შეღავათიანი აგროკრედიტების ჯამური პორტფელი ქვეყნის მასშტაბით შეადგენს 287 მილიონ ლარს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია კმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ პროექტი შედგა და შედეგები მართლაც შთამბეჭდავია.

**„დაფინანსებულია 70-ზე მეტი ახალი საწარმო, ძირითადად კახეთის რეგიონში. 26 კახეთში, ქვემო ქართლში 17, შიდა ქართლში 10, სამეგრელოში 2, სამცხე-ჯავახეთში 2, გურიაში 3, აჭარაში 3, მცხეთა-მთიანეთში 2, იმერეთში 5. ამ ყველაფერზე, საშუალოდ გაცემულია 300 ათასი ლარის შეღავათიანი აგროკრედიტი“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მისამართი: ფალიაშვილის ქ. №53
მობ: 595340034, 599973094
ტელ: 2223238
ელ-ფოსტა: info@gurme.ge
www.gurme.ge
Gourmet La Cafeteria



Address: #53 Paliashvili str.
Tel: 2223238
Mob: 595340034, 599973094
E-mail: info@gurme.ge
www.gurme.ge
Gourmet La Cafeteria


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ჩამოშორებული „აგენტები“



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

უმრავლესობის ნაწილის მიმართ კითხვები ჯერ კიდევ არ მოხსნილა. კუდ-ის მიერ „ქართულ ოცნებაში“ ჩანერგილი „აგენტების“ სკანდალი მინელდა, მაგრამ ფაქტები არც არავის დაუდასტურებია და არც მათი უარყოფა მომხდარა. მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული დეპუტატები საკითხის სასწრაფოდ გამოძიებას ითხოვდნენ, დრომ ისინიც დააწყნარა. ერთადერთი დავით საგანელიძე იყო, ვინც ბოლომდე კატეგორიულ ტონს ინარჩუნებდა და მთავარი პროკურორისგან სასწრაფო ქმედებებს ითხოვდა. ეს ჯერ კიდევ ორი თვის წინ იყო. სხვათა შორის, კითხვები მაშინვე გაჩნდა, რატომ არ არიან დანარჩენი „მხილებულები“ ისეთივე კატეგორიულები, თუმცა პასუხი მათგან კვლავ დუმილი იყო. საგანელიძისთვის კი პრიორიტეტი „აგენტობისგან“ საკუთარი გვარის გამიჯვნა გახლდათ და ის ამისთვის ყველაფერს აკეთებდა. საპარლამენტო ტრიბუნიდან გამოსვლა, მთავარი პროკურორის პირველ მოადგილესთან შეხვედრა, გარანტიების მიღება, მანდატის დატოვების მზადყოფნა, დაფიცება, დადასტურების შემთხვევაში პოლიტიკისა და საერთოდ, ქვეყნის დატოვების პირობა. მოკლედ, საგანელიძემ მაქსიმუმი გააკეთა.



## „ნუ ჩამაყენებთ უხერხულ მდგომარეობაში“



### „ჩაფიძე პარტიის პოლიტსაბჭოს მდივნის თანამდებობას დაოჯახების შემდეგ ჩამოშორდა. მაშინ ითქვა, რომ გათხოვილ დეპუტატს მეტი დრო დარჩებოდა პირადი ცხოვრებისთვის, თუმცა ეს უფრო ოფიციალური ვერსია იყო, ვიდრე რეალური“

**დავით საგანელიძე:**

– შეიძლება ვინმე უფრო მსუბუქად უყურებს ამ თემას, მაგრამ მე არ ვაპირებ, თვალი დავხუჭო არც ერთ ბრალდებაზე. მოვითხოვე, პასუხისმგებლობა დაკისრებოდათ იმ ადამიანებს, ვინც ეს დოკუმენტაცია გამოაქვეყნა, თუმცა ამ მიზანს ძველი პროკურატურის პირობებში ვერ მივაღწიე. ერთი რამ შემიძლია ვთქვა, რომ უმრავლესობის არც ერთ ლიდერს არ აქვს უფლება, საზოგადოებას ესაუბროს მაშინ, როცა მის მიმართ მსგავსი კითხვები არსებობს. რა ევალება ამ დროს სამართალდამცავ სტრუქტურებს, თუ არა მსგავსი საკითხების გამოძიება? ბუნებრივია, უნდა დადგინდეს, ვინ შექმნა აღნიშნული დოკუმენტაცია, ვინ მიიტანა ელისო კილაძესთან და ვინ იდგა ამ ყველაფრის უკან. თუ ასეთი დოკუმენტი ბუნებაში რეალურად არსებობს, პირველ რიგში, ეს პროკურატურამ უნდა იცოდეს. მოვითხოვ ყველა დოკუმენტის გასაჯაროებას.

მიზანი კვლავ მიუღწეველია, ოღონდ საგანელიძისთვის. მან საკუთარი სიმართლე ვერ დაამტკიცა, ისევე როგორც ქუცნაშვილმა, იმერლიშვილმა, მელაშვილმა და ახვლედიანმა. ბრალდების გავრცელებისთანავე უმრავლესობის წევრები მედიის წარმომადგენლებს ადანაშაულებდნენ, რისი ჟურნალისტები ხართ, მმართველ პარტიას აგენტებით გავსებას აბრალებენ და ვერაფერს ვერ იძიებთო. სხვათა შორის, მედია შეეცადა, გაერკვია, რამდენად რეალური იყო აღნიშნული დოკუმენტაციის ავთენტურობის დადგენა. ერთ-ერთი დამოუკიდებელი ექსპერტიზის ბიუროს ხელმძღვანელის განცხადებით, პირველ რიგში, ამისთვის საჭირო იყო დოკუმენტის დედნის ხელმისაწვდომობა, რადგან ასლზე აღბეჭდილი ფაქსიმილეთი სრული ინფორმაციის მიღება შეუძლებელი იქნებოდა: „მხოლოდ ასლზე აღბეჭდილი ფაქსიმილე საკმარის ინფორმაციას ვერ მოგვაწვდის. მისი გაყალბების გამორიცხვაც არ შეიძლება, მოგეხსენებათ, კომპიუტერის შესაძლებლობები დიდია... ასე რომ, დოკუმენტი ხელნაწერის სახით უნდა არსებობდეს, რაც შედარების გაკეთების მეტ საშუალებას იძლევა“. მაშინ უმრავლესობის წევრებს ისიც კი ურჩიეს, ყურადღება არ მიექციათ ცილისწამებისთვის, რადგან ამით იმ კონკრეტულ ბრალმდებელს პიარის გაკეთების საშუალებას აძლევდნენ. თუმცა იყო უფრო საინტერესო ვერსიაც. იურისტები არ გამორიცხავდნენ შესაძლებლობას, რომლის მიხედვითაც უმრავლესობაში აგენტების თემით დაწყებული ქაოსი მისი დაშლითა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებით დასრულებულიყო.

**ლევან ალაფიშვილი, იურისტი:**

– შესაძლოა, ამ ინფორმაციის გავრცელებაში იმ პოლიტიკოსების ხელიც ურევია, რომლებსაც საზოგადოების წინაშე „აგენტად“ გამოცხადებული უმრავლესობის დაშლისა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის სურვილი აქვთ. მეტიც, მისი განცხადებით, შესაძლოა, პროცესი შიგნით „ქართული ოცნების“ რამდენიმე წევრის მიერაა ინსპირირებული...

ფაქტია, რომ უმრავლესობა არც აგენტების თემის გამო დაიშალა და ვერც ვადამდელი არჩევნები მიიღეს შედეგად ამის მსურველებმა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ აგენტად „მონათლული“ ყველა პოლიტიკოსი გუნდმა ნელ-ნელა და უმტკივნეულოდ ჩამოიცილა. თანაც ისე, რომ ღია დაპირისპირება გარეთ არ გამოსულა. ერთ-ერთი პირველი ირინა იმერლიშვილი იყო, რომელიც, ერთი შეხედვით, მნიშვნელოვან პოსტზე გადაიყვანეს. უმრავლესობაში თავის დროზე ცვლილება იმერლიშვილის პროფესიონალიზმით, პრინციპულობითა და საჭიროებით ახსნეს. თუმცა ფაქტია, რომ იმერლიშვილი, როგორც დეპუტატი, ბევრად მომგებიანი ფიგურა იყო „ოცნებისთვის“. პოსტის შეცვლის შემდეგ კი მისი აქტიურობა, პრინციპში, ნულს გაუტოლდა. გარდა ამისა, იმ უწყებას, სადაც ყოფილი დეპუტატი გადაიყვანეს, უფლებები შეუზღუდეს. სხვათა შორის, უშიშროების საბჭოს უფლებების შეკვეცაზე თავად იმერლიშვილმა იზრუნა მანამ, სანამ პარლამენტში იყო. დღეს მის მოვალეობაში მხოლოდ თავდაცვის სფეროში პრეზიდენტთან თანამშრომლობა შედის. იმერლიშვილი და მისი უწყება ოპოზიციამ გაურკვეველი ფუნქციის, მეხუთე საბურავს შეადარა.

იმერლიშვილის პარლამენტიდან გაშვების შემდეგ მისი გამოთავისუფლებული პოსტი შესთავაზეს ზაქარია ქუცნაშვილს. მან ჯერ ფრაქციის თავმჯდომარეობა დატოვა, მოგვიანებით ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელის პოსტიც ნებით დათმო და საბოლოოდ კომენტარებისგანაც თავი შეიკავა.

**ზაქარია ქუცნაშვილი:**

– კომენტარს ვერიდები, იმიტომ, რომ უფრო ლოგიკური და სწორია, შეკითხვები გადაწყვეტილების მიმღებს დაუსვათ. რა საჭიროა, ვიმკითხავო, რა იყო მიზეზი. ნუ ჩამაყენებთ უხერხულ მდგომარეობაში. ზაქარია არ არის ის პიროვნება, რომელიც შიგნით მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციას გამოიტანს. ნუ მაიძულებთ კომენტარის გაკეთებას. მთელმა ფრაქციამ და უმრავლესობამ იცის ჩემი პოზიცია თანამდებობასთან მიმართებაში.

როგორც ამბობენ, ქუცნაშვილმა ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობის შენარჩუნება სცადა და შეთავაზებულ საპროცედურო კომიტეტის თავმჯდომარეობაზე უარი სწორედ ამ მიზნით განაცხადა, თუმცა საბოლოოდ ორივე დაკარგა.

სხვადასხვა მიზეზების გამო თანამდებობები დატოვეს ელისო ჩაფიძემ და ირაკლი მელაშვილმაც. ჩაფიძე პარტიის პოლიტსაბჭოს მდივნის თანამდებობას დაოჯახების შემდეგ ჩამოშორდა. მაშინ ითქვა, რომ გათხოვილ დეპუტატს მეტი დრო დარჩებოდა პირადი ცხოვრებისთვის, თუმცა ეს უფრო ოფიციალური ვერსია იყო, ვიდრე რეალური. ასეთივე გაურკვეველი ახსნა-განმარტება გააკეთა წასვლაზე ირაკლი მელაშვილმაც. მთავრობის კანცელარიის რეგიონებთან და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა პოსტი საკუთარი ნებით დატოვა. მიზეზად სამთავრობო ცვლილებები დაასახელა და განაცხადა, რომ პრემიერი უფლებამოსილი იყო, მისი განთავისუფლების გადაწყვეტილება მიეღო...

დავით საგანელიძემაც მიიღო შეთავაზება. როგორც ამბობენ, უმრავლესობის საპარლამენტო ლიდერი მალე ახალ პოსტს დაიკავებს. თანაც რადიკალურად განსხვავებულს, ვიდრე ახლა აქვს. ვერ ვიტყვით, რომ „საქართველოს განვითარების ბანკის“ ხელმძღვანელობა უმნიშვნელოა, მაგრამ ამავე ლოგიკით არც უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეობაა ურიგო. „საქართველოს განვითარების ბანკი“ წლის ბოლომდე უნდა შეიქმნას და ამოქმედდეს. მსგავსი ორგანო მსოფლიოს ასზე მეტ ქვეყანაში არსებობს. მისი უპირველესი ფუნქცია და მიზანია სტრატეგიული სახელმწიფო მიმართულებებისა და ინოვაციების დაფინანსება, რომელსაც კომერციული ბანკები არ აფინანსებენ. თავად დავით საგანელიძე სამომავლო გეგმებზე კომენტარს არ აკეთებს, ის ჯერჯერობით უარყოფს შესაძლო ცვლილებას, თუმცა ადასტურებს საკუთარ როლს აღნიშნული ბანკის შექმნის საკითხში. უმრავლესობის ლიდერი სწორედ ამ საკითხის თაობაზე იმყოფებოდა ჩინეთში არაოფიციალური ვიზიტით, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინ დასრულდა. ვიზიტის ფარგლებში დეპუტატი ჩინეთის განვითარების ბანკის ვიცე-პრეზიდენტს, ლი გი პინგს შეხვდა.



**დავით საგანელიძე:**

– „საქართველოს განვითარების ბანკის“ საქმიანობას ცალკე კანონი დაარეგულირებს, რაზეც კანონპროექტი პარლამენტში უახლოეს პერიოდში შევა. ბანკი კი წლის ბოლომდე ამოქმედდება. საუბარია კომერციულად დაბალმომგებიან პროექტებზე, რომლებიც სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია. რამდენიმე დღის წინ დავბრუნდი ჩინეთიდან, სადაც ჩინეთის განვითარების ბანკთან მქონდა მნიშვნელოვანი შეხვედრები. ჩინურმა მხარემ გამოთქვა ინტერესი, განახორციელოს გარკვეული ფინანსური ინვესტიციები, რაც გამოყენებული იქნება საქართველოს ეკონომიკაში.



## „მე არ ვაპირებ, თვალი დავხუჭო არც ერთ ბრალდებაზე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ყველაზე სკანდალურ

ქეთი ხატიაშვილი

**როცა პროექტის პროდიუსერმა ყველაზე ხმაურიანი და სკანდალური ფილმის რეჟისორი გამაცნო, ვიფიქრე, ამ საქმიდან, როგორც ჩანს, არაფერი გამოვა-მეთქი.**

**არ ვიცი, რატომ დამრჩა ასეთი შთაბეჭდილება. შესაძლოა, მისი სერიოზული გამომეტყველების გამო. ალბათ, იმიტომაც, რომ კოსტიუმში იყო გამოწყობილი, ჩემთვის კი რეჟისორი მაინც უფრო თავისუფალ ჩაცმულობასთან ასოცირდება. შესაძლოა იმიტომაც, რომ ძირითადად პოლიტიკაზე ვწერ და პოლიტიკოსები ჩემთვის უფრო ნაცნობი თემაა, ვიდრე რეჟისორები. მოკლედ, ძნელი სათქმელია, მერეც, როცა ინტერვიუმდე ვსაუბრობდით, ორიოდე სერიოზული რეპლიკით შემოიფარგლა. მოკლედ, ვიფიქრე, სრული კრახი ელის დავით ბეჟიტაშვილის პროექტს-მეთქი.**



ინდური ფილმი „მეგობრები“






თუმცა, შემდეგ, როცა მან, როგორც რეჟისორმა, ფილმზე დაიწყო საუბარი, მივხვდი, რომ სკანდალური შეფასებების მიუხედავად, პროექტი ნამდვილად წარმატებული იქნება.

ინტერვიუს დროს ამდენი ჯერ არ მიცინია. კომედიურ ჟანრში ისეთ მძიმე თემებზე ისაუბრა, მივხვდი, ფილმი ნამდვილი კომედია იქნება.

პროექტი შედგება, თუმცა, ალბათ, ასეთი სკანდალური ფილმი საქართველოში ჯერ არ გადაღებულა, თანაც კომედია.

დავით ბეჟიტაშვილმა ამ პროექტზე „პრაიმტაიმთან“ ექსკლუზიურად ისაუბრა და ახლაც ექსკლუზიურად მხოლოდ „პრაიმტაიმში“ დაასახელა არატრადიციული კომედიის რეჟისორი ოთარ მიქელაძე.

**დავით ბეჟიტაშვილი:**

– რატომ ოთარი და არა ვინმე სხვა? ის უნიჭიერესი ადამიანია, მისი სცენარებიც მაქვს წაკითხული და როლებიც – ნანახი... საერთოდ, ჩრდილში უყვარს ყოფნა. დარწმუნებული ვარ, მასზე უკეთ ამ ფილს ვერავინ გადაიღებს. ფილმის თემიდან და თუნდაც ჟანრიდან გამომდინარე, ასე ვფიქრობ.

ოთარს ვენდობი და გადავწყვიტე, ის ყოფილიყო რეჟისორი. ეს ფილმი მისი დებიუტია – სრულმეტრაჟიან ფილმს ოთარი პირველად იღებს. ასე რომ, შანსი აქვს, თავისი ნიჭიერება გამოაჩინოს.

პროდიუსერმა დავით ბეჟიტაშვილმა ამ პროექტზე ჯერ კიდევ იანვარში ისაუბრა. თქვა, რომ ფილმი ორი ბიჭის თავგადასავალს ეხება.

ამ ინტერვიუდან ოთხი თვის შემდეგ დიდი ხმაური და მძვინვარება ატყდა. „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა“, არის ასეთი ორგანიზაცია, აგრესიული განცხადებები გააკეთა. ითქვა, თითქოს ეს გეების პროპაგანდაა, რომ ვიღაცები, ანუ ფილმის ავტორები 17 მაისს პროვოკაციის მოწყობას ცდილობენ და რომ ისინი შავი ხელების მიერ იმართებიან. ამიტომაც ვიღაცებმა თავის თავს მისიად დაუსახეს – იხსნან საქართველო შავი ხელისგან, რომელიც ჩვენს ქვეყანას, თავისი ტრადიციებით, უფსკრულისკენ, უზნეობისკენ, წარწყმედისკენ და ყოველგვარი ჯანდაბისკენ მიაქანებს. ჰოდა, რაც მთავარია, იმ ადგილს, სადაც ეს შავი ხელი თურმე მიგვაქანებს, ევროპა ჰქვია. აქედან მორალი – დავრჩეთ რუსეთის გვერდით...

სწორედ ამ კონტექსტში გაიჟღერა ფილმის სათაურმა და ფაბულამ 13 აპრილს დაგეგმილ აქციაზე – „ჩვენ ვირჩევთ ევროპას“.

## დავით ბეჟიტაშვილი: „იქნებ ეს ფილმი არის ბიჭებზე, მათი თქმით, გეებზე, რომლებიც ხვდებიან საკუთარ ცოდვას, ინანიებენ და ბერად აღიკვეცებიან? ებებ ეს ფილმი მართლმადიდებლობის პროპაგანდაა?“

„მართმადიდებელ მშობელთა კავშირმა“ რომ ამ ფილმის უკან შავი ხელი დაინახა, გასაკვირი არ არის, საოცარია, რომ კომედიური ფილმი „იდენტობამაც“ გააპროტესტა. როგორც აღმოჩნდა, ფილმის შინაარსი, ანუ სცენარი, მათთვისაც მიუღებელია, განსაკუთრებით სათაური. „ჩვენ ფილმის სახელწოდებასაც ვემიჯნებით, სცენარი იდიოტურია“, – ასე აფასებენ „იდენტობაში“ არატრადიციულ კომედიას „ჩვენ ვართ გიჟები“.



გამოდის, ფილმისთვის არც ისინი არიან მზად, ვისაც ევროპა გარყვნილება ჰგონია და არც ისინი, ვინც თავს „ელჯიბიტების“ დამცველებად მიიჩნევენ.

ფილმის სცენარი უცნობია და გადაღებები ჯერ არ დასრულებულა, თუმცა ორივე „მხარემ“ უკვე



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ი ქართული კომედია





## ოთარ მიქელაძე: „მეძახი, ვირივით ყროყინებო, არ დამიყროყინებია ჯერ და ეგებ ბულბული ვარ?“

ზუსტად იცის, რომ ეს ფილმი გეებზეა. ერთისთვის ეს პროპაგანდაა, მეორისთვის კი – პრობლემის აბუჩად აგდება.

**ოთარ მიქელაძე, ფილმის რეჟისორი:**

– ეს არის აურზაური არაფრის გამო. გაოცებული ვარ. სცენარი არის ძალიან ცნობილი და ნიჭიერი კინორეჟისორის დაწერილი. მის ვინაობას ჯერარ ვამბობთ.



სცენარი ჯერ კიდევ 2011 წელს დაიწერა.

იცით, როცა ფილმის შესახებ შეფასებებს ვისმენ, მეცინება. ახლაც, როცა თქვენ მთხოვთ, ეს სკანდალური და აგრესიული გამონათქვამები შევაფასო, მეცინება... იცით, რატომ? ფილმი არ უნახავთ და უკვე აფასებენ. და იციან, რაზეა ფილმი? ვეკითხები ახლა ყველას – იცით, რომელი ეპიზოდი არ მოგწონთ ფილმში? მითხარით კონკრეტული ეპიზოდი, რომელიც ან პროპაგანდაა, ან შეურაცხყოფა და ამოვჭრი... მითხარით კონკრეტული კადრი, მე არ ვიცი, რომელი კადრია გამაღიზიანებელი...

ერთ შედარებას გავაკეთებ: ექიმს აქვს უფლება, არ მივიდეს კეთროვანთან ან სხვა მძიმე დაავადებით შეპყრობილ პაციენტთან? ექიმისთვის არ არსებობს ღარიბი, მახინჯი, ის ექიმია... მე სულის ექიმი ვარ და ჩემთვის ტაბუდადებული თემები არ არსებობს.

**დავით ბეჟიტაშვილი, პროდიუსერი:**

– მიმაჩნია, რომ ეს არის კომედია და რომ არის ორი ბიჭის თავგადასავალი. არსად მითქვამს, რომ ეს სიყვარულზეა ან პროპაგანდისტულია. იქნებ ეს ფილმი არის ბიჭებზე, მათი თქმით, გეებზე, რომლებიც ხვდებიან საკუთარ ცოდვას, ინანიებენ და ბერად აღიკვეცებიან? ეგებ ეს ფილმი მართლმადიდებლობის პროპაგანდაა? რა იციან, რაზეა ეს ფილმი?

**ოთარ მიქელაძე:**

– მეტსაც გეტყვით, ეგებ ეს ფილმი მართლაც გეებზეა, რომლებსაც ჩვენ ვთათხავთ და ვლანძღავთ? ეს იგივეა მომღერალი სცენაზე გამოვიდეს და ყვირილი დაუწყონ, წადი, არ გვინდა შენი სიმღერაო. ამომაღებინე ჯერ ხმა. ეგებ გალობა დავიწყო? ეგებ ბულბულს შემადარო? რომ მეძახი, ვირივით ყროყინებო არ დამიყროყინებია ჯერ და ეგებ ბულბული ვარ? ასე რომ, მოვუწოდებ საზოგადოებას დაგვამთავრებინოს ეს ფილმი. ჯერ ნახონ, რაზეა და მერე შეაფასონ.

და მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არავინ იცის ფილმის სცენარი, სოციალურ ქსელებში უკვე გაისმა მუქარანარევი განცხადებები კინოთეატრების მისამართით – თუ ამ ფილმს გაუშვებთ რემონტი უკან დაგრჩებათო.

იმედია, სკანდალურზე მეტად, ფილმი კომედიური იქნება და ის ვითარებას განმუხტავს. ფილმის რეჟისორი ამბობს, რომ ეს განსაკუთრებული ფილმი იქნება სიუჟეტურადაც და ჟანრობრივადაც.

ფილმი კომედიურია და მთავარი გმირები ფილმში კახელი და მეგრელი არიან. ზოგიერთებმა სწორედ ამ მიმართულებით დაიწყეს ფილმის გაკრიტიკება, – ნახეთ, მეგრელი და კახელი გეებად გამოჰყავთ, მათ შეურაცხყოფას აყენებენო. თუმცა, თავიდანვე ითქვა, რომ ფილმში კახელიც და მეგრელიც თავისებური იუმორის გამოა შერჩეული. ფილმის რეჟისორი მიიჩნევს, რომ ასეთი ბინძური აქცენტები რუსული ხელწერაა: ხომ გესმით, კუთხურობასა და ეთნიკურობაზე ყურადღებას მხოლოდ ისინი ამახვილებენ ხოლმე, – აცხადებს ოთარ მიქელაძე.

ფილმის პროდიუსერი კი ინდურ კინოინდუსტრიას იხსენებს და პარალელებს ავლებს. თუკი ინდოეთში შეუძლიათ გეიფილმის გადაღება, რატომ არის ეს პრობლემა საქართველოში? კითხულობს **დავით ბეჟიტაშვილი:**

– ინდოეთი აზიაა და ცნობილია თავისი ტრადიციებით, თუმცა გეებზე ფილმს – „მეგობრებს“ დიდი კომერციული წარმატება ხვდა წილად და ახლა მის გაგრძელებას იღებენ – „მეგობრები 2“-ს. მიკვირს, რომ საქართველოში ფილმზე, რომლის შესახებაც ჯერ არაფერი იციან, ასეთი მღელვარებაა ატეხილი.

ფილმის გადაღება გრძელდება. საინტერესოა, როგორი ფინალი ექნება მას. შეიძლება საქართველოშიც გადაიღონ ფილმი – „ჩვენ გიჟები ვართ 2“?

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სოფო ხორგუანი: „მაინტერესებს, რა დამსახურების გამო შეირჩნენ აბაშიძე და კიკნაძე. მარგველაშვილის ადგილას, აბსოლუტურად სხვა ტიპის გადაწყვეტილებას მივიღებდი“



მე არ ვიცი, რა ჩაუთვალა მარგველაშვილმა აბაშიძეს აღიარებაში



## my View

ხათუნა მგალობლიშვილი

**გიორგი მარგველაშვილმა კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის წევრების კანდიდატები „წარმატებით“ შეარჩია. მომდევნო ეტაპი პარლამენტია, სადაც წარდგენილი კანდიდატებიდან საბოლოოდ ერთ-ერთზე შეჩერდება არჩევანი. საკუთარი კანდიდატის წარდგენის უფლება ნებისმიერ პირს ჰქონდა იმ შემთხვევაში, თუ ისინი არსებულ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებდნენ. კანონის თანახმად, მარეგულირებელი კომისიის წევრი უნდა იყოს საზოგადოების მიერ აღიარებული პროფესიით იურისტი ან ჟურნალისტი. კანდიდატების სიიდან პირველ არჩევანს პრეზიდენტი აკეთებს, რომელიც შერჩეულ სამ კანდიდატს მთავრობას უთანხმებს და მხოლოდ ამის შემდეგ უგზავნის პარლამენტს განსახილველად. პარლამენტში გასამარჯვებლად კანდიდატს 76 ხმა სჭირდება. ბოლო წარუმატებელი კანდიდატი ვახტანგ აბაშიძე იყო, რომელსაც მარეგულირებელი კომისიის წევრობისთვის პარლამენტში ზუსტად ერთი ხმა დააკლდა. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტმა შერჩეულ სამ კანდიდატს შორის ვახტანგ აბაშიძე კვლავ მოახვედრა, რომელიც კომუნიკაციების კომისიის ხელმძღვანელი ერთხელ უკვე იყო და როგორც ამბობენ, არც ისე წარმატებული.**

კანდიდატთა თავდაპირველ სიაში საკუთარი კანდიდატურა სახალხო დამცველის ყოფილმა მოადგილემ, სოფიო ხორგუანმაც წარადგინა. მისი კანდიდატურა მარგველაშვილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ხორგუანის განცხადებით, მისთვის აბსოლუტურად გაურკვეველია, რა პრინციპებით იხელმძღვანელა მარგველაშვილმა კანდიდატების შერჩევისას. თუმცა ფაქტია, რომ საკანონმდებლო ორგანოში გადაგზავნილი სამი კანდიდატიდან ორი მარგველაშვილის გარემოცვის წევრია: ვახტანგ აბაშიძე და ნინო კიკნაძე. აბაშიძე-მარგველაშვილის მეგობრობა ჯერ კიდევ ნინო ბურჯანაძის პარტიაში ყოფნის პერიოდიდან მოდის, როდესაც მარგველაშვილი ბურჯანაძის ფონდის პრეზიდენტი იყო, ხოლო აბაშიძე „დემოკრატიული მოძრაობის“ მრჩეველი. რაც შეეხება ნინო კიკნაძეს, ის „ჯიპას“ ლექტორია.

**სოფიო ხორგუანი:**

– გიორგი მარგველაშვილმაც სამი კანდიდატურა შეარჩია: ვახტანგ აბაშიძე, ლია მუხაშავრია და ნინო კიკნაძე. ვახტანგ აბაშიძე ერთხელ უკვე იყო წარდგენილი, მან გაიარა ყველა საფეხური პარლამენტამდე, თუმცა საკანონმდებლო ორგანოში ვერ შეაგროვა საჭირო რაოდენობის ხმები. აბაშიძემ 76 ხმის ნაცვლად მიიღო 75, ანუ ერთი ხმა დააკლდა. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტმა ის კვლავ წარადგინა, რაც ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია.

**– როგორ ფიქრობთ, რატომ წარადგინა მეორედ, ხომ არ აქვს წინასწარვე გარანტირებული ის ერთი ხმა, რომელიც წინა ჯერზე დააკლდა?**

– მივმართავ პარლამენტარებს, დიდი იმედი მაქვს, რომ მათ მეტი პოლიტიკური ალღო და კულტურა აღმოაჩნდებათ, როდესაც გადაწყვეტილების მიღების დრო დადგება. დიდი იმედი მაქვს, რომ ისინი გადაწყვეტილებას მიიღებენ არა კონიუნქტურის, არამედ იმ პრინციპების გათვალისწინებით, რომელსაც კანონი ითხოვს. ჩემთვის მარგველაშვილის ნაბიჯი ცოტა გაუგებარია, არ ვიცი, ვისი ან რისი იმედი აქვს, ეს, ალბათ, მისი გადასაწყვეტია. ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალი არის ის, რომ კონკურსში მონაწილეობისთვის საჭიროა საზოგადოების მხრიდან აღიარება. კანონით არის გაწერილი, რომ კანდიდატი უნდა სარგებლობდეს ავტორიტეტით, უნდა ჰქონდეს საზოგადოებრივი აღიარება. მე არ ვიცი, რა ჩაუთვალა მარგველაშვილმა აბაშიძეს აღიარებაში. შეიძლება ის, რომ ვახტანგ აბაშიძე ერთხელ უკვე იყო კომისიის წევრი, პატარაიასთან ერთად. შეიძლება მნიშვნელოვან ფაქტორად ის ჩათვალა, რომ აბაშიძე ნინო ბურჯანაძის პარტიაში მრჩევლის თანამდებობას იკავებდა, მაშინ როდესაც თავად ბურჯანაძის ფონდის ხელმძღვანელი იყო. მე ვიცი, რომ ვახტანგ აბაშიძე ირაკლი აბაშიძის შვილია და შევარდნაძის დროს ის პრესსპიკერი იყო. თუმცა არ ვთვლი, რომ ამან მას აღიარება მოუტანა. გარდა ამისა, ვახტანგ აბაშიძე კომისიის წევრიც და თავმჯდომარეც იყო 2000-2004 წლებში და ვერ ვიტყვი, რომ ეს პერიოდი ძალიან ნაყოფიერი იყო ჩვენი კომუნიკაციის სფეროსთვის, ან კონკურენტუნარიანი გარემო იყო. მე ჩემი პრეტენზიები ნამდვილად მექნებოდა. გარდა ამისა, 2012 წლიდან დღემდე აბაშიძე მუშაობდა „სილქნეტში“, სატენდერო კომისიის თავმჯდომარედ. აქ ინტერესთა კონფლიქტის თემაც იკვეთება, შესაბამისად, ეჭვი მექნებოდა.

**– რაც შეეხება დანარჩენ ორ წევრს?**

– ლია მუხაშავრია ადრეც მონაწილეობდა. ლია მუხაშავრიას პირადად დავუჭერდი მხარს და მიმაჩნია, რომ ძალიან კარგი კანდიდატურაა. მოვუწოდებ პარლამენტარებს, მხარი დაუჭირონ სწორედ მას. ერთადერთი ნინო კიკნაძეა, რომელიც პირველად მონაწილეობს კონკურსში. ვცდილობ, მივხვდე, რა ჩანაფიქრით ხელმძღვანელობდა პრეზიდენტი მარგველაშვილი კანდიდატურების შერჩევის მომენტში, ნინო კიკნაძე „სოროსის“ ფონდშიც ხელმძღვანელობს პროექტს. ის ადრე „ჯიპაში“ მუშაობდა, ალბათ, სწორედ აქედან მოდის მარგველაშვილისა და მისი ახლობლობა. გადავხედე ნინო კიკნაძის ბიოგრაფიას და საიდან უნდა იცნობდეს მას მოსახლეობა და საიდან უნდა ჰქონდეს მას საზოგადოებრივი აღიარება, არ ვიცი. მაინტერესებს, რა დამსახურების გამო შეირჩნენ აბაშიძე და კიკნაძე. მარგველაშვილის ადგილას, აბსოლუტურად სხვა ტიპის გადაწყვეტილებას მივიღებდი. მაგალითად, ვახტანგ აბაშიძის მაგივრად ნათია კუპრაშვილს ავირჩევდი. ნამდვილად ვერ გავიგე, რა პრინციპებით იხელმძღვანელა გიორგი მარგველაშვილმა.

„ლია მუხაშავრიას კანდიდატურას თუ გამოვრიცხავთ, პირდაპირ ჩანს, რომ მარგველაშვილს აქვს სურვილი, თანამდებობებზე წარადგინოს ადამიანები, რომლებსაც პირადად იცნობს, ვისთანაც პირადი ურთიერთობები აქვს, ეს მისთვის, ალბათ, უფრო კომფორტულია“

**– აღნიშნული კანდიდატურების შერჩევით კანონი ირღვევა?**

– მოთხოვნები არის შემდეგი: ან იურისტი უნდა იყო, ან ჟურნალისტი, ან მენეჯერი, თუმცა კანონში მითითებულია, რომ საზოგადოების მხრიდან უნდა ჰქონდეს აღიარება.

**– ფიქრობთ, რომ მარგველაშვილი საკუთარი გუნდის წევრების, მხარდამჭერების გაძლიერებას ცდილობს?**

– ლია მუხაშავრიას კანდიდატურას თუ გამოვრიცხავთ, ფაქტია და პირდაპირ ჩანს, რომ მარგველაშვილს აქვს სურვილი, თანამდებობებზე წარადგინოს ადამიანები, რომლებსაც პირადად იცნობს, ვისთანაც პირადი ურთიერთობები, პირადი კომუნიკაცია აქვს და ეს მისთვის, ალბათ, უფრო კომფორტული იქნება, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ პარლამენტი კანონიერ პრინციპებს არ უგულებელყოფს.

**– თქვენ განაცხადეთ, რომ მარგველაშვილს ურჩევნია, ისეთი პიროვნებები დანიშნოს აღნიშნულ თანამდებობაზე, რომელთანაც კარგი ურთიერთობა აქვს და კომფორტულად იგრძნობს თავს. როგორ ფიქრობთ, თქვენ რატომ არ მოხვდით ასეთ ადამიანთა რიცხვში?**

– არ ვიცი, ნამდვილად ვერ გეტყვით. მე აბსოლუტურად განსხვავებულ არჩევანს გავაკეთებდი. ეს, ალბათ, თავად პრეზიდენტმა უნდა თქვას, ჩემი კანდიდატურა რატომ არ იქნებოდა მისთვის კომფორტული.



AP

„ნინო კიკნაძე „სოროსის“ ფონდშიც ხელმძღვანელობს პროექტს. ის ადრე „ჯიპაში“ მუშაობდა, ალბათ, სწორედ აქედან მოდის მარგველაშვილისა და მისი ახლობლობა“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სამოქალაქო ომი თუ რუსული აგრესიის მოგერიება?

სალომე გოგოხია

**სანამ უკრაინაში რეფერენდუმის ჩატარებაზე საუბრობენ, ორად გახლეჩილ ქვეყანაში ომი დაიწყო. მოსალოდნელი პროგნოზები სიტუაციის ესკალაციის შესახებ, გამართლდა. რუსეთის შეიარაღებული ძალების მცირე რაზმები სხვადასხვა ქალაქებში ანტიტერორისტული ოპერაციის სახელით სამხედრო ოპერაციებს ატარებენ.**

რა ხდება უკრაინაში და როგორია უკრაინელების განწყობა? ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ უკრაინაში მცხოვრებთ ესაუბრა.

40 წლის ოლია ქალაქ ზაპოროჟიეში ცხოვრობს. ამბობს, რომ უკრაინაში ძმათა მკვლელი ომი დაიწყო.

„პრაქტიკულად, უკრაინაში სამოქალაქო ომი დაიწყო. ზაპოროჟიეს ცენტრში მოსახლეობა გამოვიდა, ლამის გაგიჟდნენ. მომიტინგეები ორ ბანაკად არიან დაყოფილები - რუსეთის და უკრაინის მომხრეებად. რა თქმა უნდა, ადგილზე პოლიციაა მობილიზებული. უკრაინის მომხრეები უფრო მეტია, ისინი ცდილობენ პოლიციის რკალის გარღვევას და პრორუსული ნაწილის დარბევას. ეს სხვა არაფერია თუ არა ძმათა მკვლელი ომი. ყირიმში უარესი ხდება, მოსახლეობა დენისა და წყლის გარეშეა დარჩენილი. ამაში იანუკოვიჩი კი არ არის დამნაშავე, არამედ ის ხალხი, რომლებმაც ეს დაუშვეს. ხალხი მაშინ გამოფხიზლდა, როცა საქმე უკვე ძალიან ცუდად იყო. ჩვენ დიდი ხნის წინ გაგვანაწილეს და გაგვყიდეს. მე ვფიქრობ, ეს საკითხი ძალიან დიდი ხნის წინ, ზესახელმწიფოებს შორის გადაწყდა. სიტუაცია იმდენად სწრაფად იცვლება, რომ არ ვიცით რა იქნება ხვალ. ერთი რამ ცხადია, ჩვენმა ქვეყანამ არ უნდა დაკარგოს დამოუკიდებლობა, თუნდაც, ამას ჩვენი სიცოცხლე ემსხვერპლოს“, - გვითხრა ჩვენმა რესპონდენტმა.

ანალოგიური სიტუაციაა პოლტავაშიც.

„მე თავიდანვე არ ვიყავი ასეთი სიტუაციის მომხრე. ვთვლი, რომ ევროკავშირში შესვლა ჩვენთვის ერთგვარი ანკესია, რომელიც შემდეგ რუსეთმა ჩვენსავე წინააღმდეგ კარგად გამოიყენა. და რა მივიღეთ სანაცვლოდ? ასეულობით მსხვერპლი და გახლეჩილი უკრაინა. მე არ მინდა, რომ ჩვენი ხალხის სისხლი დაიღვაროს კონკრეტული პირების ინტერესების გამო. კი, დღეს უკვე მსოფლიო ალაპარაკდა, რომ უკრაინა თავს იცავს რუსეთისგან, მაგრამ იმაზე არავინ ლაპარაკობს, აქამდე როგორ მოვედით. ჩვენი ხალხი ორადაა გაყოფილი, პრორუსულ და უკრაინულ მხარეებად. რუსეთმა თავისას მიაღწია. ძალიან არ მინდა, რომ უკრაინაში თქვენს ქვეყანაში 23 წლის წინ მომხდარი ტრაგედია დატრიალდეს. თუმცა, დღეს არსებული სიტუაცია სწორედ იქითკენ - სამოქალაქო ომისკენ მიდის“, - გვითხრა პოლტაველმა სვეტლანამ.



**„ჩვენმა ქვეყანამ არ უნდა დაკარგოს დამოუკიდებლობა, თუნდაც, ამას ჩვენი სიცოცხლე ემსხვერპლოს“**

**„ჩვენ დიდი ხნის წინ გაგვანაწილეს და გაგვყიდეს“**

EXCLUSIVE

## უკრაინაში ომი დაიწყო!

**სამოქალაქო ომი თუ რუსეთის აგრესიისგან თავდაცვა? რა გავლენას იქონიებს უკრაინაში მიმდინარე მოვლენები საქართველოზე, რა პოზიცია უნდა დაიკავოს ჩვენმა ქვეყანამ და რამდენად მყისიერი იქნება დასავლეთის რეაქცია უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე?**

**უკრაინაში მიმდინარე მოვლენების შესახებ „პრაიმტაიმი“ საპარლამენტო უმცირესობის წევრს, დავით დარჩიაშვილს ესაუბრა.**

- უკრაინაში მიმდინარე მოვლენები სამოქალაქო ომი კი არ არის, არამედ პირწმინდა აგრესიაა, როდესაც მეზობელი ქვეყანა მეხუთე კოლონას იყენებს. სამოქალაქო ომი იმ შემთხვევაში დაიწყებოდა თუ რუსულენოვანი მოსახლეობის ჩაგვრა იქნებოდა, რასაც მოსახლეობის ინსტინქტური პროტესტი და ამბოხება მოჰყვებოდა. მსგავსი არაფერი მომხდარა. იყო პროვოკაციები, შეგზავნილი ადამიანები, ამ აგრესიის როგორც პროპაგანდისტული, პიარული ნაწილი, ისე უშუალო სამხედრო მოსამსახურეების გადასხმა და მათი დივერსიული მოქმედებები. კი, ეს ომია. ოღონდ არა სამოქალაქო. ეს არის რუსეთის აგრესია უკრაინის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, მისი ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ამას სჭირდება საერთაშორისო თანამეგობრობის და მათ შორის, საქართველოს რეაგირება. ეს პროცესები საერთაშორისო სამართლის ფარგლებში უნდა დასრულდეს.

**- როგორ წარმოგიდგენიათ ამ სიტუაციაში საქართველოს როლი, რომლის ტერიტორიების ნაწილი რუსეთის მიერაა ოკუპირებული?**

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, მთელი დიპლომატიური კორპუსი, მე ვიტყოდი პრეზიდენტიდან - პრემიერამდე, ამით უნდა იყოს დაკავებული. ამაზე უნდა საუბრობდნენ, რომ რუსეთი არის აგრესორი და რაც საქართველოს წინააღმდეგ გააკეთა, იგივეს აკეთებს უკრაინის მიმართ. თუ უკრაინაში გამოუვა, მერე ისევ საქართველოზე გადმოვა. ამიტომ, აუცილებელია ამ აგრესიული პოლიტიკის აღკვეთა, რომელიც რუსეთის სახელმწიფოს აქვს. ამისთვის ყველა საერთაშორისო ტრიბუნა უნდა გამოიყენოს. შესაბამის დიპლომატიურ ნოტებს უნდა უგზავნიდეს მოსკოვს და არა ის, რომ კარასინი და აბაშიძე კულტურულ საღამოებზე საუბრობენ. რაც სრულიად არაადეკვატურია. ეს ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობის დაცინვაა. ამავე დროს, საქართველო მუდმივ რეჟიმში უნდა იყოს უკრაინის ხელისუფლებასთან, მასთან კონსულტაციებს გადიოდეს და თანადგომა გამოუცხადოს. შეათანხმოს რა ტიპის დახმარება სჭირდება უკრაინას.

**- შესაძლებელია თუ არა, რომ სიტუაციის გართულებით საქართველომ „ისარგებლოს“ და პრეტენზია გამოთქვას წართმეული ტერიტორიების დაბრუნებაზე?**

- საქართველომ ეს ვითარება ადეკვატურად უნდა შეაფასოს. დაგმოს რუსეთის აგრესია და უკრაინის გვერდით სახელისუფლებო დონეზე დადგეს. მაინცდამაინც რასმუსენმა უნდა თქვას, რომ რუსეთს 2008 წლის აგვისტოში ეს საქართველოში გაუვიდა და იგივეს აკეთებს უკრაინაში, რომ ეს ხელისუფლებამ გაიგოს? ამაზე, პირველ რიგში, ჩვენ უნდა ვლაპარაკობდეთ.

**- პარალელურად, პრორუსული მოსახლეობა რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვს. აცხადებენ, რომ მათ „მშობლიურ“ რუსულ ენაზე საუბარი სურთ და არა უკრაინულზე.**

- ეს ყველაფერი მეორეხარისხოვანია. დღეს უკრაინაში შეიარაღებული აგრესია მიმდინარეობს. რეფერენდუმები, ქვეყნის მოწყობა, ენების სტატუსები - ეს შეიძლება განხილული და გადაწყვეტილი იქნეს უკრაინის შიგნით, უკრაინელების მიერ გარეშე ძალების ჩარევის და აგრესიის გარეშე. ახლა, როცა ისვრიან და ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, რეფერენდუმზე საუბარი სრულიად აბსურდია და იმ აგრესიის ნაწილია, რაც შეიარაღებული გზით ხორციელდება. ეს არის რუსული პროპაგანდისტული მანქანის ნაწილი.

**- პარალელს გავავლებ საქართველოსთან, 2008 წელს, სანამ ჩვენს ქვეყანაში მდგომარეობა უკიდურესობამდე არ დაიძაბა, მანამ საერთაშორისო თანამეგობრობა წყნარად ადევნებდა თვალს მიმდინარე მოვლენებს... ანალოგიური სიტუაციისას უკრაინაში, როგორ ფიქრობთ, ანალოგიურ რეაქციას უნდა ველოდოთ?**

- პოლონეთის პრეზიდენტის ტუსკის განცხადება ყველაზე ადეკვატური და საქართველოს ვითარებასთან რეზონანსში შემოსული იყო. მან განაცხადა, რომ უკრაინელებზე უფრო სწრაფად არ დაიცავს უკრაინას. ანალოგიური სიტუაცია იყო ჩვენთან, სანამ საქართველო ხელს არ გაანძრევდა, მას არავინ დაეხმარებოდა. ზოგჯერ ეს ძალიან სარისკოა. საერთაშორისო ურთიერთობების გარდაუვალი წესია, როცა შენს ტერიტორიულ მთლიანობას არღვევენ შეიარაღებული ძალები, შენ ხმა უნდა ამოიღო და ხელიც გაანძრიო, სხვა გზა არ რჩება. საერთაშორისო თანამეგობრობა ერებისგან შედგება და მათ მთავრობებს, პირველ რიგში, თავისი ამომრჩევლის ბედი და ეკონომიკის მდგომარეობა ადარდებს. რა თქმა უნდა, მათ ესმით საერთაშორისო სტაბილურობის მნიშვნელობა და მზად არიან კიდეც მის დაცვაში მონაწილეობა მიიღონ. თუმცა, პირველ რიგში, ეს იმან უნდა დაიწყოს, ვისაც თავს ესხმიან.

**„რუსეთთან ერთი ერთზე დარჩენა არ შეიძლება“**

**- უკრაინაში მიმდინარე მოვლენები გავლენას იქონიებს თუ არა საქართველოზე?**

- ეს მოვლენები აჩენს რისკებს, რომელიც პუტინის მეზობლობას ახლავს. რუსეთს, ამა თუ იმ ფორმით, საბჭოთა კავშირის აღდგენა უნდა, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზეც. ამაზე ხომ არ წავალთ? ასეთ შემთხვევაში სამხედრო დაპირისპირება აბსოლუტურად ლეგიტიმური გამოდის. შესაბამისად, ერთადერთი გამოსავალი გვრჩება - მაქსიმალური ინტეგრაცია რუსული აგრესიის მსხვერპლ ქვეყნებთან და საერთაშორისო თანამეგობრობასთან. სხვა გზა არ არის. რა თქმა უნდა, რუსეთს ბერკეტი აქვს, მაგრამ ამას გაანეიტრალებს თუ ვიქნებით ძლიერი საერთაშორისო ორგანიზაციებში. რუსეთთან ერთი ერთზე დარჩენა არ შეიძლება.

**- თუმცა, ერთი-ერთზე აღმოვჩნდით 2008 წლის აგვისტოში.**

- ასე არ ყოფილა. აგრესიის სხვადასხვა ფორმები არსებობს. როცა რუსეთმა ომით წამოსვლა გადაწყვიტა, ეს იყო შოკი, როგორც ჩვენთვის, ასევე მსოფლიოსთვის. ჩვენი, როგორც სახელმწიფოს გადარჩენა იყო საერთაშორისო თანამეგობრობის დამსახურება. დემოკრატიული ქვეყნები მყისიერად ძალისმიერ გადაწყვეტილებებზე ვერ მიდიან. ბუნების კანონია, რაც უფრო ნაკლებად ველური ხარ, მით უფრო გიჭირს გადაწყვეტილება მიიღო გასროლაზე, მუშტის ქნევაზე, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, სამართლებრივი, ეკონომიკური ბერკეტებით ეს დემოკრატიული სამყარო აგრესორს ყოველთვის გააჩერებს. რის ფასად, რა მსხვერპლი შეიძლება მოჰყვეს, ამის წინასწარ პროგნოზირება შეუძლებელია. თუ დავნებდებით, მაშინ საქართველოში წლების განმავლობაში ბევრად მეტი მსხვერპლი იქნება, ისევე როგორც სტალინის დროს. უკრაინის ომი რუსულ ეკონომიკას დაამხობს. თუ, რა თქმა უნდა, არ დავნებდებით და არ ვიტყვით, რომ თავის ტკივილს სჯობს რუსეთს დავუთმოთ. ამას თუ არ ვიზამთ, გარწმუნებთ, ძალიან მალე რუსეთის ეკონომიკა ამ დაძაბულობას ვერ გაუძლებს. ამას მონდომება და გაძლება უნდა.

**„ძალიან არ მინდა, რომ უკრაინაში თქვენს ქვეყანაში 23 წლის წინ მომხდარი ტრაგედია დატრიალდეს. თუმცა, დღეს არსებული სიტუაცია სწორედ იქითკენ - სამოქალაქო ომისკენ მიდის“**



**„უკრაინის ომი რუსულ ეკონომიკას დაამხობს. თუ, რა თქმა უნდა, არ დავნებდებით და არ ვიტყვით, რომ თავის ტკივილს სჯობს რუსეთს დავუთმოთ. ამას თუ არ ვიზამთ, გარწმუნებთ, ძალიან მალე რუსეთის ეკონომიკა ამ დაძაბულობას ვერ გაუძლებს. ამას მონდომება და გაძლება უნდა“**





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დაცულია თუ არა უსაფრთხოების ნორმები მშენებლობებზე?




## სავაჭრო ცენტრ „კარფურის“ მშენებლობაზე მომხდარი უბედური შემთხვევის დეტალები

სალომე გოგოხია

**13 აპრილს აეროპორტის გზაზე მდებარე სავაჭრო ცენტრ „კარფურის“ მშენებლობაზე უბედური შემთხვევა მოხდა. მშენებლობაზე მუშაობისას, მოულოდნელად, 50 წლის გივი ხოზრევანიძე დაახლოებით 12 მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდა. იგი ადგილზე დაიღუპა.**

გამოძიების ვერსიით, გარდაცვლილმა თავი შეუძლოდ იგრძნო, გონება დაკარგა და ამ დროს გადმოვარდა. წელს ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა მშენებლობაზე მომხდარ უბედურ შემთხვევას ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ გასულ თვეში ყაზბეგის გამზირზე მიმდინარე მშენებლობაზე მომხდარ უბედურ შემთხვევას 40 წლის ცეზარ ჭიტაძის სიცოცხლე ემსხვერპლა. სამშენებლო მასალების გადაზიდვისას ამწე წაიქცა. ამწეს კაბინაში მყოფი მემანქანე დაახლოებით 40 მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდა.

ექსპერტიზის დასკვნა ამ დრომდე არ არის.

რაც შეეხება აეროპორტის გზაზე მიმდინარე მშენებლობაზე მომხდარ შემთხვევას, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. საქმეს ისანი-სამგორის სამმართველოს პირველი განყოფილება იძიებს. სისხლის სამართლის საქმე 240-ე მუხლით არის აღძრული, რაც სამშენებლო სამუშაოების დროს უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს.

გივი ხოზრევანიძის გარდაცვალების ოფიციალურ მიზეზს გამოძიება დაადგენს. მანამდე კი მხოლოდ ვერსიებზე შეიძლება საუბარი.

როგორც „პრაიმტაიმს“ სამშენებლო კომპანიის „ანაგი“ კომერციულმა დირექტორმა დავით ჩანტლაძემ განუცხადა, გარდაცვლილს „გულმა დაარტყა“, გონება დაკარგა და გადმოვარდა. ჩანტლაძე ირწმუნება, რომ მშენებლობაზე უსაფრთხოების ნორმები დაცულია. იგივეს იმეორებენ მშენებლობის მუშები.

„პრაიმტაიმი“ შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა და იქ მომუშავეებსაც გაესაუბრა. მშენებლობაზე მისულები შიგნით არ შეგვიშვეს. როგორც აგვიხსნეს, ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლა აკრძალულია.

მუშები მომხდარზე საუბარს რატომღაც გაურბიან. საუბარზე მშენებლობის ერთ-ერთი გუშაგი დაგვთანხმდა. ბესარიონ მიროტაძის თქმით, შემთხვევამდე რამდენიმე ხნით ადრე გარდაცვლილს უთქვამს, რომ გული აწუხებდა. შემდეგ მოულოდნელად გადმოვარდა.

„გარდაცვლილს ვიცნობდი. საწყალს აქ აღებული ნამუშევარი არ ჰყოფნიდა. ამიტომ, როცა აქ დაასრულებდა მუშაობას, მთელი ღამე ტაქსაობდა. გადაღლილი იყო. ორგანიზმმა ვერ აიტანა და გულმა დაარტა. ვეუბნებოდით, დაისვენე, აქ სამუშაოდ დასვენებული უნდა მოხვიდეო, მაგრამ... მოულოდნელად გულმა დაარტყა და ძირს ჩამოვარდა. 12 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა. ექიმმა თქვა, სანამ დავარდებოდა უკვე მკვდარი იყოო, არ ვიცი, მე ექსპერტი არ ვარ. ჩვენს მშენებლობაზე უსაფრთხოების ნორმები დაცულია. „კასკებიც“ აქვთ და „რემენიც“, ისე სიმაღლეზე სამუშაოდ არ ადიან. ყოველ დილით ბრიგადირებიც ამოწმებენ და აფრთხილებენ. მაგ ამბავში ყველაფერი რიგზეა“, - ამბობს მიროტაძე.

ერთ-ერთი მუშის განცხადებით კი, გარდაცვლილი სიმაღლეზე ასრულებდა სამუშაოს, როცა გადმოვარდა. ცხადია, შესაბამისი აღჭურვილობის შემთხვევაში ხოზრევანიძეს გონება რომც დაეკარგა, მას ღვედი დაიჭერდა და ძირს ვერ ჩამოვარდებოდა. თუმცა, ეს გამოძიების პრეროგატივაა, რომლის ვალდებულებაა მომხდარზე სიმართლის დადგენა.

გარდაცვლილი გივი ხოზრევანიძე აჭარიდან იყო. თბილისში მუშაობით აჭარაში დარჩენილ ოჯახს არჩენდა. ჭირისუფალმა იგი აჭარაში დაკრძალა. სამშენებლო კომპანიამ დაკრძალვის ხარჯები აანაზღაურა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში მედიის საშუალებით ხშირად ვიგებთ მშენებლობებზე მომხდარი უბედური შემთხვევების შესახებ. ოფიციალური სტატისტიკა, რამდენი ადამიანი ემსხვერპლა ასეთ უბედურ შემთხვევებს, ვერ მოვიძიეთ. თუმცა, ჩვენთვის ცნობილი შემთხვევების რაოდენობას თუ გავითვალისწინებთ, რაოდენობა გაიზარდა.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა - დაცულია თუ არა მშენებლობებზე უსაფრთხოების ნორმები? ვის ევალება ობიექტზე ამის კონტროლი?

აღმოჩნდა, რომ სამშენებლო ობიექტებზე უსაფრთხოების ნორმების დაცვის კონტროლი მერიის ზედამხედველობის სამსახურს ევალება. ამ ნორმის დარღვევისთვის შესაბამისი საჯარიმო სანქციაც არის დაწესებული, რომელიც 3 000 ლარს შეადგენს.

როგორც ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილემ, მუჯირიშვილმა განგვიცხადა, მშენებლობის დაწყებამდე მათი სამსახური კომპანიას გაფრთხილებას აძლევს, სადაც უსაფრთხოების ყველა ნორმაა ჩამოთვლილი, რომლის შესრულაც კომპანიას ევალება.

„თუ მშენებლობის პროცესში აღმოვაჩინეთ, რომ უსაფრთხოების ნორმა ირღვევა, ამის შესახებ ვაფრთხილებთ, რომ ხარვეზი გამოასწორონ. ძირითადად, გამოსწორება ხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარიმა დაეკისრებათ. არ გამოვრიცხავ, რომ ზოგიერთი კომპანია დაჯარიმებულიც გვყავდეს“, - აცხადებს მუჯირიშვილი.

თუმცა, ჩვენთან საუბარში სხვადასხვა სამშენებლო კომპანიის წარმომადგებლები აცხადებენ, რომ შეუძლებელია ზედამხედველობის სამსახურმა ობიექტები ყოველდღიურად შეამოწმოს. პრაქტიკულად, უსაფრთხოების ნორმების დაცვა კომპანიის მფლობელის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული.

თავად მუშები კი მათი უფლებების დარღვევაზე და უსაფრთხოების ნორმების არარსებობაზე ჩივიან. ჩვენთან საუბარში სხვადასხვა მშენებლობების მუშები ამბობენ, რომ მშენებლობებზე უსაფრთხოების ნორმები დაცული არ არის.



„იცით რაშია საქმე, ყველა ცდილობს, რომ თავისი საქმე ნაკლები დანახარჯებით გააკეთოს. უსაფრთხოების ნორმების დასაცავად სამშენებლო კომპანიამ დამატებითი ხარჯები უნდა გასწიოს, რაც მას არ აწყობს. ნებისმიერ მშენებლობაზე გაიარეთ და თქვენი თვალით ნახავთ, რომ მუშას ელემენტარული „კასკა“ არ ახურავს, რომელ უსაფრთხოების ნორმებზე მელაპარაკებით. როცა ადამიანს გიჭირს, სხვა გზა არ გაქვს, იძულებული ხარ იმუშაო, რომ ოჯახი შეინახო. რისკზე მივდივართ, როცა ამსიმაღლეზე სამუშაოებს ვასრულებთ. წარმოიდგინეთ, რა სიმაღლეზე ავდივართ, ჰაერში ჩამოკიდებულები ვასრულებთ სამუშაოს და გარანტია არ გაქვს, რომ უცებ ძირს არ ჩავარდები. აუცილებელია, რომ შესაბამისმა სამსახურებმა მკაცრი კონტროლი გასწიონ და ადამიანის სიცოცხლე დაიცვან. მარტო ლაპარაკი საქმეს ვერ უშველის“, - შემოგვჩივლეს მუშებმა.

თუმცა, თბილისში ისეთი სამშენებლო ობიექტიც მოიძებნება, სადაც მომუშავე მუშები კმაყოფილებას გამოხატავენ და ამბობენ, რომ უსაფრთხოების ნორმები დაცულია. ერთი ასეთი ადგილი თბილისის ზღვაზეა, ე.წ. ოლიმპიური სოფლის მშენებლობა უცხოური ინვესტიციის საფუძველზე მიმდინარეობს.

„ჩვენ ჩინელებთან ერთად ვმუშაობთ. მშენებლობა უსაფრთხოების ზომების სრული დაცვით მიმდინარეობს. მუშა, რომელიც სიმაღლეზე ადის სამუშაოს შესასრულებლად, სათანადო ატრიბუტითაა აღჭურვილი. რომელ ქართულ მშენებლობაზე ნახავთ უსაფრთხოების ასეთ ზომებს? ქართულ სამშენებლო ობიექტებზე მომუშავე ჩვენი თანამემამულეების უსაფრთხოება დაუცველია, მათი უფლებები შელახულია. ჩვენ გაგვიმართლა, რომ ამ მშენებლობაზე მოვხვდით. თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ ერთ დღესაც ქართულ მშენებლობაზეც მოვხვდეთ, სადაც მუშის უსაფრთხოება დაცული არ არის“, - გვითხრეს მუშებმა.

კომპანია „ანაგის“ კომერციული დირექტორი ირწმუნება, რომ მათ ობიექტზე უსაფრთხოების ნორმები დაცულია. ასევე, ისიც გვითხრა, რომ უსაფრთხოების ნორმების შესამოწმებლად მერიის ზედამხედველობის სამსახურიდანაც მოდიან.

ფაქტია, რომ რეალური სურათი საპირისპიროზე მეტყველებს. შთაბეჭდილება რჩება, რომ რეალურად მუშების უსაფრთხოებაზე არავინ ზრუნავს, რასაც კიდევ ერთი მომხდარი უბედური შემთხვევა ადასტურებს.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სამწლიანი მცდელობის შემდეგ ეჟენ იონესკოს „მაკბეტტ“-ი დაიდგა

**my View**
**თამარ გონგაძე**

**რეზო შატაკიშვილი თვლის, რომ ჯერ მისთვის შექსპირამდე ადრეა, ამიტომ ეჟენ იონესკოს „მაკბეტტ“-ი დადგა. პრემიერა 16 აპრილს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ალექსიძის სასწავლო თეატრის სცენაზე შედგა. მინის თეატრისთვის ეს მესამე სპექტაკლია. რეჟისორის სურვილია სპექტაკლი სასწავლო თეატრის რეპერტუარში ჩაჯდეს, ან სადმე სხვა თეატრის რეპერტუარში, გასტროლებზე რომ წაიღონ.**




სპექტაკლში გამოყენებული აქვს პირობითი ჩარჩო. თეატრალურ დასს რეპერტუარში აქვს შექსპირის „მაკბეტიც“ და იონესკოს „მაკბეტტ“-იც. გული კი შექსპირისკენ მიუწევთ და მის თამაშს იწყებენ. სატელეფონო ზარი კი გეგმას ცვლის, მათ ეუბნებიან, რომ უნდა ითამაშონ იონესკო და ასეც ხდება.

**„აქ კარგად ჩანს, როგორ გაუთავებლად ამხობენ ხელისუფლებებს. ამ დამხობათა გაუთავებელი ჯაჭვია. ბავშვობიდან მოყოლებული, ბოლო 20 წელია, ამ სიტუაციაში ვცხოვრობთ და ეს დამხობა აღარ მთავრდება“**

**EXCLUSIVE**

**რეზო შატაკიშვილი: „მაშინ ბატონი რობერტი დამთანხმდა, რომ „მაკბეტტ“-ი სარეპერტუაროდ დამედგა. მაგრამ შემდეგ უარი მითხრა. ამ სპექტაკლზე მუშაობა თეატრალურ უნივერსიტეტში გავაგრძელე...“**

**რეზო შატაკიშვილი:** „მინდოდა ჩემი მხრიდან მსუბუქი ირონია ყოფილიყო საკუთარი თავისა და ყველა თეატრალის მიმართ, ვისაც გული შექსპირის თამაშისკენ მიგვიწევს. ამ ეტაპზე იონესკო ბევრად უფრო აქტუალურია, ფინალი ბევრად პირქუშია, ბევრად შავი, ვიდრე შექსპირთან. მაკბეტს ვინც ამარცხებს, მაკბეტზე უარესია, მაკბეტზე ბოროტი ძალაა. აქ კარგად ჩანს, როგორ გაუთავებლად ამხობენ ხელისუფლებებს. ამ დამხობათა გაუთავებელი ჯაჭვია. ბავშვობიდან მოყოლებული, ბოლო 20 წელია, ამ სიტუაციაში ვცხოვრობთ და ეს დამხობა აღარ მთავრდება. ხან სამართლიანია ამ „გადადექის“ მოთხოვნა, ხან - უსამართლო. გარყვნა იწყება არა ძალაუფლებაში მოსვლიდან, არამედ მანამდე. ჩვენს პატარა კომპრომისებში მომავალი გარყვნის დიდი პოტენცია დევს. ეს ყველაფერი აბსურდული სამყაროა, სადაც საზრისი არ არსებობს“.

სპექტაკლის დადგმა რეჟისორს რუსთაველის თეატრში ჯერ კიდევ მაშინ სურდა, როდესაც რობერტ სტურუას მაგისტრანტი იყო.

„მაშინ ბატონი რობერტი დამთანხმდა, რომ „მაკბეტტ“-ი სარეპერტუაროდ დამედგა. მაგრამ შემდეგ უარი მითხრა. ამ სპექტაკლზე მუშაობა თეატრალურ უნივერსიტეტში გავაგრძელე. მაგრამ იმ რეზულტატს, რაც მინდოდა, ვერ ვიღებდი და შევჩერდი. სამი წლის მერე კი, გასულ წელს, კულტურული ღონისძიებების ცენტრის დაფინანსებით განვაგრძე მუშაობა. ზაფხულის გამო შევჩერდით და ამ გაზაფხულს განვაგრძე. „მაკბეტზე“ ხომ არსებობს ლეგენდა, რომ დაწყევლილია... მსახიობთა შემადგენლობაც ბევრჯერ შეიცვალა“.

სპექტაკლში 12 მსახიობი თამაშობს, ორი გოგო და ათი ბიჭი. მაკბეტის როლს ანდრია გველესიანი ასრულებს, მეოთხე კურსის სტუდენტი. სპექტაკლში ორი მაკბეტია, შექსპირისეული და იონესკოსი. შექსპირის მაკბეტს ზურა ყიფშიძე ახმოვანებს. საგანგებოდ გაკეთდა ჩანაწერი. სპექტაკლი ალეგორიებითაა მდიდარი - კუდიანებს ბებერი ბალერინები ასახიერებენ, მეფე ქსოვს...

„მე მიყვარს იგავური თეატრი და ამ მხრივ იპოვით ბევრ მინიშნებას. ზოგჯერ პირდაპირია ეს მინიშნება. სათავეში მქსოველი იქნებოდა თუ მქარგველი, ეს მაშინ არც ვიცოდი, როცა სპექტაკლზე დავიწყე მუშაობა“, - აცხადებს რეჟისორი.

„მაკბეტტ“-ი ორმოქმედებიანია, მუსიკალური გაფორმება და სცენოგრაფია რეზოსვე ეკუთვნის. რეჟისორი იყენებს სხვადასხვა ქვეყნის ფოლკლორს, რუსუდან ფეტვიაშვილის ბავშვობის დროინდელ ნახატებს - ურჩხულებს, როგორც სცენაზე, ისე კოსტიუმებზე.



რეზო შატაკიშვილი მადლობას უხდის საერთაშორისო საფოსტო გზავნილების კომპანია „ჯორჯია ექსპრესს“ ფინანსური თანადგომისთვის.

# მაღალბიუჯეტიანი „სამი მუშკეტერი“ მესამედ ქართულ სცენაზე

**my View**
**თამარ გონგაძე**

**მოზარდმაყურებელთა თეატრში „სამი მუშკეტერის“ პრემიერა შედგა. დიუმას ნაწარმოების მაღალბიუჯეტიანი ორმოქმედებიანი დადგმის რეჟისორი გიორგი ქანთარიაა. მხატვარმა ნინო კიტიამ 30 მსახიობისთვის 72 კოსტიუმი შექმნა. ინსცენირების ავტორი ზურა სამადაშვილია. მუსიკაზე დავით მალაზონიამ იმუშავა. ქორეოგრაფიაზე ანანო სამსონაძემ იმუშავა, სასცენო მოძრაობაზე კი შოთა სხირტლაძემ და შოთა გეგიაძემ. ძალიან ლამაზი სანახაობაა, თვალწინ ბავშვობაში ზაფხულის არდადეგებზე წაკითხული „სამი მუშკეტერი“ გაგიცოცხლდებათ. მხატვარს ისეთი კოსტიუმები აქვს შექმნილი, თავს ზღაპარში ამოჰყოფთ.**







**გიორგი ქანთარია: „გავიხსენოთ თავგადასავლის ძიების სურვილის წლები, რომელიც ამ წიგნის წაკითხვისას გვქონდა. არ უნდა დავკარგოთ. თვითონ მინდოდა მუშკეტერების თამაში და ამ დადგმით ამ სურვილს ვიკმაყოფილებ“**

როგორც რეჟისორი ამბობს, დიუმას დაუვიწყარი რომანის ინსცენირება საქართველოში ჯერ ალექსანდრე ტოვსტონოგოვმა, გიორგი ტოვსტონოგოვის შვილმა დადგა, მერე კი გოგი ქავთარაძემ ქუთაისში. ქანთარიამ ორ თვე-ნახევარი იმუშავა სპექტაკლზე. ეს მისი მეორე სპექტაკლია მოზარდმაყურებელთა თეატრში. რეჟისორს აქებენ, მეგობრული, თან მკაცრიაო, ისეთია, როგორიც უნდა იყოს თანამედროვე რეჟისორიო. რეპეტიციებს მთელი ღამის განმავლობაშიც გადიოდნენ.

მთავარი როლები რეჟისორმა ასე გადაანაწილა - არამისს ნიკა ნანიტაშვილი ასრულებს, პორთოსს მამუკა ბოგვერაძე, ათოსს ვახო ჩაჩანიძე (დუბლი დათო როსტომაშვილი). დარტანიანი ვანო დუგლაძეა.

**ვანო დუგლაძე:** - ულამაზესი ეპოქაა. ულამაზესი საფრანგეთია, 1625 წელი. ულამაზესი და უძვირფასესი კოსტიუმებია, ფარიკაობები, ჩხუბები, ერთგულება თავდადება, ძმაკაცობა, სიყვარული, ტრაგედია. იმედი მაქვს, რომ დიდებისთვისაც და ბავშვებისთვისაც საინტერესო სპექტაკლი გამოდის. ნახვისას ყველას მოუნდება კიდევ ეთხელ გადაიკითხონ რომანი. მე გამიჩნდა ამის სურვილი. ვცდილობ ის გმირი, რომელიც წიგნშია, გავაცოცხლო. დარტანიანს ბოიარსკი არაჩვეულებრივად ასრულებს.

**- როგორია შენი დარტანიანი?**

- პირდაპირი, ფიცხი, საზრიანი, ჭკვიანია, მაგრამ ჯერ ჭყინტია. არ იცის რაღაცები და გულწრფელად ბრაზდება, მერე „ფუჭდება“. ქალაქისგან ძალიან ადვილად იწოვს ყველაფერს.

**ნიკა ნანიტაშვილი:** - ჩემი არამისი ცოტა ცინიკოსია, ცდილობს გაბრაზება დამალოს. ბავშვები აქ ნახავენ როგორია ნამდვილი მეგობრობა და ძმაკაცობა. ერთად ყოფნა, ერთმანეთის სიყვარული. ერთი ყველასთვის - ყველა ერთისთვის.

ძალიან საინტერესოა კარდინალის გმირი.

**ზურა ავსაჯიშვილი:** - კარდინალი ჩემთვის რთული და ბოროტი პერსონაჟი იყო. ჩავეძიე გმირს და აღმოჩნდა, რომ ჭკვიანია და მაგარი ვინმე ყოფილა. მთელი საფრანგეთი მის მხრებზე იდგა, ცუდის გაკეთებაც უწევდა, მაგრამ წიგნიერი და ჭკვიანი კაცი იყო. მისი ბიოგრაფიიდან გამომდინარე ყველაფერს თავისებურად ატრიალებდა, ოღონდ საფრანგეთის და არა თავისი თავისთვის.

ბონასიეს ასახიერებს ნიკა კვანტალიანი.

**ნიკა კვანტალიანი:** - რეჟისორი ისეთ ზუსტ და სწორ მიმართულებას გვაძლევს, რომ თავს ადვილად ვართმევთ როლს. ამ ჟანრის როლი საინტერესოა ჩემთვის. ჩემი გმირი ძალიან მშიშარაა, ეს შიში ყველაფერზე აწერინებს ხელს. საინტერესო სათამაშოა.

თეკლა ჯავახაძემ ცოტა ხნის წინ ჯულიეტას როლი შეასრულა, ახლა კონსტანციას ასახიერებს.

**თეკლა ჯავახაძე**: - ჯულიეტაზე დაწყებული მქონდა მუშაობა კონსტანციაზეც რომ დავიწყე. მინდოდა დიდი განსხვავება ყოფილიყო გმირებს შორის. ეპოქა, ქვეყანა, ქალი - სხვადასხვაა, მინდოდა ფიზიკურადაც შევცვლილიყავი. კონსტანციას მთავარი ნივთი ცხვირსახოცია. აქვს საყვარელი ბეჭედი. ეს მეხმარება გმირის გახსნაში. ქართველი კონსტანცია არ გვახსოვს და ერთგვარად პირველები ვართ. ნინო კიტიამ ისეთი კოსტიუმები შექმნა, რომც არ მინდოდეს, ეს კოსტიუმი იმ ეპოქაში მაბრუნებს. კაბა რომ ჩავიცვი, მივხვდი ჩემს გმირს რა მანერები ექნება.

ფარიკაობის სპეციალისტები რეპეტიციებს დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს. მათი შრომა არ ჩანს, ამ დროს მნიშვნელოვანია.

**შოთა სხირტლაძე:** - ფარიკაობაზე ინტენსიურად ვიმუშავეთ, მსახიობები არ არიან ხოლმე მზად ფარიკაობისთვის. დასი დეკემბრიდან მოვამზადეთ. ძალიან მოინდომეს. მილედი და არამისი კარგად ფარიკაობს.

**გიორგი ქანთარია:** - იმედი მაქვს ყველა ბავშვის ოცნებაა „სამი მუშკეტერი“. სპექტაკლი იმიტომ დავდგი, რომ გავიხსენოთ თავგადასავლის ძიების სურვილის წლები, რომელიც ამ წიგნის წაკითხვისას გვქონდა. ეგ არ უნდა დავკარგოთ. თვითონ მინდოდა მუშკეტერების თამაში და ამ დადგმით ვიკმაყოფილებ ამ სურვილს.

**- და სათქმელი რა არის?**

- ადამიანს მუშკეტერობის სურვილი არ უნდა დაეკარგოს. ოთხი კაცის ერთად ყოფნამ და მეგობრობამ შეიძლება შეცვალოს სახელმწიფოს საკითხებიც კი, რომელიც თითქოს არ ძალუძს ოთხ ადამიანს.

**- რა გაჰყვება მაყურებელს?**

- მინდა გარკვეული სურვილები გაუჩნდეთ ურთიერთობებში. მუშკეტერებიც ხომ ჩვეულებრივი ადამიანები არიან და არა ჰერკულესის და ოდისევსის ტიპის, უბრალო ჯარისკაცები. ისეთივე მეგობრები არიან, როგორიც დღეს შეიძლება ჰყავდეს ადამიანს. ამ თვალით გადახედონ და გაუფრთხილდნენ ამ ურთიერთობებს.

**- ეკრანიზაციები მოგწონთ?**

- მიყვარს და ნანახი მაქვს ყველა, საბჭოთა ფილმი ყველაზე კარგად არის გადაღებული.









© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# აღდგომიდან მერამდენე დღეს უნდა გავიდეთ საფლავზე?



სალომე გოგოხია

დიდმარხვა დასასრულს მიუახლოვდა. სრულიად მართლმადიდებლური სამყარო აღდგომის დღესასწაულისთვის ემზადება. დღესასწაულთა დღესასწაული, ასე უწოდებენ აღდგომას. გარდა იმისა, რომ ამ დღესასწაულს ტაძარში, წირვა-ლოცვით ეგებებიან, ბევრი აღდგომა დღეს საფლავზეც გადის. მიზანშეწონილია თუ არა ამ დღეს საფლავზე გასვლა და როდის უნდა ვახაროთ ჩვენს მიცვალებულებს ქრისტეს აღდგომა, ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ მაცხოვრის შობის სახელობის ტაძრის მღვდელმსახურს დეკანოზ კახაბერ ღაჟონიას ესაუბრა.

**- მამა კახაბერ, აღდგომის დღესასწაულამდე რამდენიმე დღე დარჩა, ეკლესიური თვალსაზრისით დაშვებულია თუ არა ამ დღეს საფლავზე გასვლა?**

- ხილულ და უხილავ სამყაროში აღდგომისთანა დღე არ არსებობს. ეს არის დღესასწაულთა დღესასწაული. საუფლო დღესასწაულია და ქრისტეს აღდგომას ვზეიმობით. ამ დღეს არავითარ კავშირში არ არის საფლავზე გასვლა. აღდგომის დღესასწაულზე საფლავზე გასვლა კატეგორიულად აკრძალულია.

**- რაც შეეხება მეორე დღეს? ზოგადად, აღდგომის მეორე დღეს საზოგადოებაში მიცვალებულთა დღედ არის ცნობილი.**

- მეორე დღეს მართლმადიდებელი ქრისტიანები საფლავზე უნდა გავიდნენ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში გლოვის მიზნით. მიცვალებულებსაც კი უნდა ვახაროთ ქრისტეს აღდგომა. ამ დღეს საფლავზე მხოლოდ ამ მიზნით უნდა გავიდეთ.

**- ანუ უფლისთვის ყველა ცოცხალია?**

- უფლისთვის ყველა ცოცხალია. სხვა საკითხია ადამიანის სული ჯოჯოხეთში იქნება თუ სამოთხეში. უფალი პირდაპირ ამბობს, რომ მე მკვდართა ღმერთი კი არ ვარ, არამედ ცოცხალთა ღმერთიო. უფალი ამბობს, მე ვარ ცოცხალი ღმერთი აბრაამისა, ისააკისა, იაკობისა... ამ დროს ისინი საუკუნეების გარდაცვლილები იყვნენ. ხაზს ვუსვამ, გარდაცვლილები და არა მკვდარი. აღდგომის დღესასწაულზე გლოვა არ გვეგების.

**- ამ დღეს ზოგიერთი სასულიერო პირი საფლავსაც აკურთხებს.**

- ეს მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი არ არის, არამედ საფლავის განსაწმენდი ლოცვაა, რომ განწმენდილ საფლავს აღდგომის დღესასწაული მივულოცოთ.

**- ჩვეულებრივ, ამ დღეს საფლავზე წითელ კვერცხსაც აგორებენ, ამით რას გამოვხატავთ?**

- კი, საფლავზე წითელ კვერცხს გადავაგორებთ, ამით მიცვალებულს ქრისტეს აღდგომას ვახარებთ. მაგალითად, მე ჩემი ბაბუის საფლავზე გავაგორებ კვერცხს და ამით ვახარებ, ლუკა ბაბუა, ქრისტე აღსდგა. რა თქმა უნდა, მისმა სულმა იცის, რომ ქრისტე აღსდგა, მაგრამ ჩემიანია, მე, როგორც ცოცხალს, ისე მოვიხსენიებ.

**- რაც შეეხება თვითმკვლელებს, როგორ მოიქცნენ მათი ჭირისუფლები?**

- უფალმმა ადამიანს სიცოცხლე მისცა. ხოლო თვითმკვლელობით ადამიანი უფალს, მის დადგენილებას ეწინააღმდეგება. მასზე არც ლოცვა შეიძლება და არც წესის აგება, მაგრამ თვითმკვლელი შვილის დედას ხომ ვერ აუკრძალავ შვილზე ფიქრს და მის სულზე ლოცვას? თუმცა, პირად ლოცვებში თვითმკვლელთა მოხსენიება შეიძლება. თვითმკვლელმა ადამიანმა ძალიან კარგად იცის, რაც ჩაიდინა, სული ხომ უკვდავია. უფალს მართალი უყვარს. ამიტომ, თვიმკვლელი გარდაცვლილის დედა თუ მართალი ქალია, როგორ შეიძლება მართალი ადამიანი უფალს უყვარდეს და მისი არ მოისმინოს. მერე უფლის გადასაწყვეტია დედას ლოცვას შეუსრულებს თუ არა. პირად ლოცვებში ყველას შეუძლია თვითმკვლელთა მოხსენიება. დილის ლოცვებში ღმერთს შეევედრო, უფალო, მან თავი მოიკლა, შენს წინააღდეგ არის, მაგრამ მე მართალი ვარ, ჩემი ისმინე და მის სულს შეეწიე. ყველაზე კარგია ასეთი ადამიანების სახელზე მოწყალების გაცემა.

**- საიდან იღებს სათავეს აღგომის მეორე დღეს საფლავზე გასვლა და მიცვალებულთათვის ქრისტეს აღდგომის ხარება? გადმოცემით, საბჭოთა პერიოდში, როცა მართლმადიდებლობა იდევნებოდა, მორწმუნეები აღდგომას საფლავებზე გასვლით აღნიშნავდნენ.**

- კომუნისტებმა აღდგომამდე ერთი კვირით ადრე დააწესეს საფლავზე გასვლა, აღდგომაზე არაო. ადრე ხალხი საფლავზე აღდგომას გადიოდა, რაც არაფრით არ შეიძლება.

**- ძალიან ბევრი არამორწმუნე აღდგომა დღეს საფლავზე მაინც გავა.**

- ეკლესია, მღვდელი, ეკლესიური კანონები და ა.შ არსებობს მორწმუნეთათვის. ურწმუნოთათვის, რაც არ უნდა აგიტაცია, პროგანდა ჩაატარო, რაც არ გინდა უჩიჩინო, ის მაინც თავისას გააკეთებს. რა თქმა უნდა, არასწორად.

**- ეკლესია აღდგომიდან რომელ დღეს იხსენიებს მიცვალებულთა სულებს?**

- ბრწყინვალე შვიდეულის შემდეგ, სამშაბათს, ეს უკვე მიცვალებულთა ხსენების დღეა. ტაძრებში დიდ პანაშვიდს იხდიან. საფლავზეც გადიან და იქაც შეიძლება პანაშვიდის გადახდა.

**- მამა კახაბერ, დაგვლოცეთ...**

- მაღალმა ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ და მრავალს დაგასწროთ. დღეგრძელი, ჯანმრთელი, ბედნიერი იყავით სრულიად საქართველო. ყველა მართლმადიდებელი და არამართლმადიდებელიც, რადგან ისინიც ღვთის შვილები არიან. ყველას დაგლოცავთ სულით და გულით. თუ ვინმე ჩვენთან არ არის, ისიც ჩვენთან მოსულიყოს.







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# უსაფრთხოა თუ არა სააღდგომო კვერცხის ფერადი საღებავები?





სალომე გოგოხია

**აღდგომის დღესასწაულის დადგომამდე ორი დღე დარჩა. სააღდგომო სუფრა წარმოუდგენელია წითელი კვერცხის და პასკის გარეშე. ზუსტად ამ დღეს დიასახლისები კვერცხებს წითლად ღებავენ. თუმცა, ზოგიერთი კვერცხს სხვადასხვა ფერებშიც ღებავს. რაც განსაკუთრებით ბავშვებს მოსწონთ. თუმცა, რამდენად უსაფრთხოა ფერადი საღებავებით შეღებილი კვერცხი ჯანმრთელობისთვის, ეს ბევრმა არ იცის.**

წინასააღდგომოდ საკონდიტრო ფირმები პასკების ნაირსახეობას გვთავაზობენ. სამომხმარებლო ბაზარზე პასკის ასორტიმენტი აღდომის დღესასწაულის დადგომამდე ორი კვირით ადრე გამოჩნდა. როგორც წესი, მომხმარებლის უმრავლესობა პასკას აღგდომის დადგომამდე ორი-სამი დღით ადრე ყიდულობს. ზოგი ფრთხილობს, რომ მანამდე შეძენილი დაუძველდება. თუმცა, პასკის შეფუთვას თუ დააკვირდებით, მათი შენახვის ვადა საკმაოდ ხანგრძლივია, მინიმუმ - 45 დღე. რაც იმაზე მეტყველებს, რომ მასში კვებითი დანამატებია. სხვაგვარად პროდუქტი ამდენ ხანს ვერ გაძლებს.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ რამდენად უსაფრთხოა, ჩვენი ჯანმრთელობისთვის ფერადი საღებავებით



შეღებილი კვერცხის და პასკის მიღება, ამის შესახებ „პრაიმტაიმს“ აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, კვების ტექნოლოგი გენადი დარასელია ესაუბრა.

**- ბატონო გენადი, ხშირად დიასახლისები სააღდგომოდ კვერცხებს ფერადი საღებავებითაც ღებავენ, ეს განსაკუთრებით ბავშვებს მოსწონთ, რამდენად უსაფრთხოა ეს საღებავები?**

- ფერადი საღებავები ქიმიურ ნივთიერებებს შეიცავს. ამიტომ, მათი გამოყენება იგივე ტორტების გასაფორმებლად, მიზანშეწონილი არ არის, რადგან ჯანმრთელობისთვის მავნეა. ორგანიზმი პირდაპირ იღებს ამ საწამლავს. რაც შეეხება კვერცხს, იგი გარედან ილებება, თუმცა, ხარშვის დროს ზოგიერთი ტყდება. გატეხილ კვერცხში საღევაბი შედის, რომელიც ადამიანმა არ უნდა მიიღოს. განსაკუთრებით ბავშვებმა, რადგან მათ არ იციან და ჭამენ. უმჯობესია, თუ ამ საღებავებით კვერცხებს არ შეღებენ. თუ მაინცდამაინც უნდათ, მაშინ მშობლებმა თავად უნდა გაფცქვნან კვერცხი და ისე აჭამონ ბავშვებს, რადგან კვერცხის გაფცქვნისას საღებავი თითებზე გადადის, ბავშვები თითს პირში იდებენ, სათამაშოს ან სხვა საკვებს მოჰკიდებენ თითს და არანაირად დაცულები არ არიან, რომ საღებავი მათ ორგანიზმში არ მოხვდება.

**- რა დაავადებებს იწვევს ეს საღებავები?**

- სიმსივნეს, გულ-სისხლძარღვთა, კუჭ-ნაწლავის, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადებებს. მეტი რაღა გითხრათ. ნებისმიერი ორგანო შეუძლია წყობიდან გამოიყვანოს. განსაკუთრებით სუსტ ორგანოზე მოქმედებს უარყოფითად.

**- ანუ სჯობს, რომ ტრადიციებს არ ვუღალატოთ და სააღდგომო კვერცხი ენდროთი შევღებოთ?**

- რა თქმა უნდა. ენდრო არის ყველაზე უსაფრთხო. ხახვის ნაქუჩით და ენდროთი შეღებილი კვერცხი ნამდვილად უსაფრთხოა ჩვენი ჯანმრთელობისთვის. ენდროში მოხარშული კვერცხი რომც გაიბზაროს ან გატყდეს, მისი მიღება ადამიანს ზიანს არ მოუტანს.

**- რაც შეეხება სააღდგომო პასკას, მაღაზიებსა თუ ბაზარში პასკების ასორტიმენტი ჯერ კიდევ აღდგომამდე ორი კვირით ადრე გამოჩნდა, მათი შენახვის ვადა საკმაოდ ხანგრძლივია, რამდენად უსაფრთხოა მათი მიღება?**

- საკვებში კვებითი დანამატებს იმიტომ ვიყენებთ, რომ საკვებმა დიდხანს გაძლოს. ამიტომ, ასეთი საკვები ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო ვერ იქნება. სჯობს დიასახლისებმა პასკა შინ გამოაცხონ, ამაზე უკეთესს ვერაფერს შესთავაზებენ ოჯახის წევრებს. ახლა ყველას გამზადებულის ყიდვა ურჩევნია და შინ კერძებს თითქმის აღარ ამზადებენ.

**- ალბათ, ეს იმ ჩქარი რიტმის ბრალია, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ, მხოლოდ დიასახლისების ზარმაცობას ნუ დავაბრალებთ.**

- მესმის, მაგრამ საუბარია საკვებზე, ჯანსაღ საკვებზე. თუ საშუალება არ აქვთ, რომ პასკა, ნამცხვარი თავად გამოაცხონ, მაშინ რა გაეწყობა, უნდა იყიდონ. ასეთ შემთხვევაში რაც შემიძლია ვურჩიო, არის ის, რომ მცირე ულუფები მიიღონ. ადამიანმა ყველანაირი საკვები უნდა მიიღოს, ოღონდ ზომიერად. ამიტომ, ამ პასკების მცირე ულუფებად მიღება საშიში არ არის.

# პოლიტიკოსების სააღდგომო ტრადიციები

სალომე გოგოხია

**აღდგომის დღესასწაული მოგვიახლოვდა. ტრადიციულად, ამ დღეს ყველა მართლმადიდებლურ ოჯახში წითლად ღებავენ კვერცხებს, ფანჯრებიდან პასკის ტკბილი სურნელი იფრქვევა. ყველა ოჯახი ცდილობს ეს დღე ლამაზად და სიხარულით აღნიშნოს. პოლიტიკოსებიც ჩვეულებრივი მოკვდავები არიან, საინტერესოა ისინი როგორ აღნიშნავენ ამ დღესასწაულს, რა ტრადიციები აქვთ.**









ვინ როგორ აღნიშნავს აღდგომის დღესასწაულს, ამის გასაგებად „პრაიმტაიმი“ საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობ სახეებს დაუკავშირდა.

**გიგი წერეთელი, საპარლამენტო უმცირესობის წევრი:** „ამ დღეს ვხვდებით სიხარულით, როგორც ბევრი ადამიანი ჩვენს ქვეყანაში. იმის შეგრძნებით, რომ უფალი ყოველთვის დაგვიცავს და ჩვენს ქვეყანას უყურადღებოდ არ დატოვებს. როგორც ბევრ მართლმადიდებლურ ოჯახში, ჩვენთანაც ცხვება პასკა, კვერცხებს წითლად ღებავენ. სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოტანილი სააღდგომო კვერცხების მცირე კოლექცია მაქვს, შინ გამოვფენთ. ტრადიციულად წირვა-ლოცვას ვესწრები, თუ ვეზიარები, მაშინ სრულად ვესწრები. ერთი მხრივ, ეს არის სულიერი ნაწილი, შემდგომ ამისა აღნიშვნა, კერძების მომზადება და ა.შ.“.

**დავით ზურაბიშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:** „განსაკუთრებული ტრადიცია არ გვაქვს. ჩვენს ოჯახში წითლად ღებავენ კვერცხებს, ცხვება პასკა. მე ძირითადად შინ ვხვდები ამ დღეს. ჩემი შვილები ტაძარში. კომუნისტების დროსაც აღნიშნავდნენ აღდგომის დღესასწაულს, თანაც ფართოდ. ჩემს სანაცნობოში ყველა აღნიშნავდა, როგორც ჩემს ოჯახში“.

**ზურაბ აბაშიძე, უმრავლესობის წევრი**: „განსაკუთრებული ტრადიცია არ გვაქვს, ეკლესიაში მივდივართ, შემდეგ შინ აღვნიშნავთ“.

**თინა ხიდაშელი, უმრავლესობის წევრი:** „როგორც წესი, ამ დღესასწაულს შინ ვხვდებით. შემდეგ სოფელში მივდივართ, ოღონდ აღდგომას აუცილებლად სახლში ვხვდებით. ხშირად მივდივართ ტაძარში, ხანდახან ვერ ვახერხებთ. ამ დღეს ყველა ვცდილობთ, რომ ერთად ვიყოთ. რაც ყველაზე მთავარია, პასკას ვერ ვაცხობ, ეგ არ მეხერხება. ამიტომ, უფრო ახალ წელს ვმუშაობ მაგ თვალსაზრისით“.

**ზურაბ ტყემალაძე:** „ამ დღეს ჩვეულებრივად აღვნიშნავთ, როგორც წესი, აღდგომის დღეს გავდივართ საფლავზე, რომ მოვინახულოთ და მოვიკითხოთ ჩვენი მიცვალებულები. იმ ასაკში აღარ ვარ, რომ ღამისთევეზე წასვლა შემეძლოს. აღდგომას ოჯახის წევრები ტაძარში, ღამისთევაზე ხვდებიან. შემდეგ სახლში ვიკრიბებით“.









**ფიქრია ჩიხრაძე, „ახლები“ :** „გამოკვეთილი ტრადიციები არ მაქვს. რელიგიურ დღესასწაულთა შორის აღდგომა გამორჩეულად მიყვარს. სიხარულის მომტანი დღესასწაულია. პარასკევ საღამოს კვერცხებს მე ვღებავ და ეს კარგად გამომდის. დანარჩენ საქმეს ოჯახის წევრები ასრულებენ, მათ შორის გამოცხობა, კერძების მომზადება. ტრადიციულად, ბოლო პერიოდში ამ დღესასწაულს ძეგვის გიორგი მთაწმინდელის სახელობის ტაძარში ვხვდები, სადაც ძეგვის ბავშვთა სახლიც არის. იქ ჩემი მეგობრები არიან, მათ შორის მონასტრის წინამძღვარი. დიდი ხანია იქაურობასთან ურთიერთობა მაქვს. ყოველთვის ვცდილობ, რომ ასეთ მნიშვნელოვან დღეს ვეზიარო“.

**ნუგზარ წიკლაური:** „არ ვფიქრობ, რომ გამორჩეული ტრადიცია გვქონდეს, როგორც ოჯახების უმრავლესობა, ჩვენთანაც ყიდულობენ პასკებს, დიასახლისები წითლად ღებავენ კვერცხებს და გავდივართ საფლავზე“.

**ელისო ჩაფიძე:** „აღდგომის დღესასწაულს ტაძარში ვხვდები. როცა შემიძლია, მამის საფლავზე მივდივარ“.

## ვინ როგორ აღნიშნავს აღდგომის დღესასწაულს?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ფეხბურთის ფედერაცია

მაგდა კლდიაშვილი

**საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ პრეზიდენტის პოსტი ილია კოკაიამ დიდი ხანი არაა, რაც დატოვა, თუმცა გუნდის 100%-იანი წილი, დღემდე მის სახელზეა გაფორმებული. რა ფუნქცია აქვს დღეს მას გუნდში და რატომ ითხოვდა სფფ-ს პრეზიდენტის, ზვიად სიჭინავას გადადგომას. რას თვლის ილია კოკაია მისი პრეზიდენტობის ყველაზე დიდ შეცდომად და უშველის თუ არა სამთავრობო კომისია, ქართული ფეხბურთის განვითარებას. რა უნდოდა და რისი გაკეთება ვერ შეძლო „ზესტაფონის“ მეპატრონემ. ილია კოკაია დუმილს არღვევს - „პრაიმტაიმის“ ექსკლუზიური ინტერვიუ ილია კოკაიასთან.**




**„მოვუსმენ ყველა კანდიდატს და ერთ შეკითხვას დავუსვამ, წაიკითხონ თქვენი გაზეთის მეშვეობითაც, რა თანხის მოზიდვას აპირებენ. ნუ მოყვებიან ზღაპრებს, ვეტერანებს სად რას უზამენ, იქ სტადიონებს ააშენებენ, რომ ქეცბაია შემტევ ფეხბურთზე გადაიყვანს ნაკრებს და ა.შ. ეს არ მაინტერესებს“**

**- პრემიერ-მინისტრის მიერ შექმნილი ფეხბურთის განვითარების სამუშაო კომისიის ერთ-ერთი წევრი ხართ, გეიმედებათ, რომ ეს პროექტი იმუშავებს და ქართულ ფეხბურთს წინ წასწევს?**

- ამის რომ არ მეიმედებოდეს, საერთოდ დავანებებდი ქართულ ფეხბურთს თავს და მისკენ გამხედავი არ ვიქნებოდი. ჩვენ გვქონდა პრემიერთან შეხვედრა და დავუსვით ეს კითხვა, აინტერესებს თუ არა სახელმწიფოს ფეხბურთი. თუ აინტერესებს, გვერდში დავუდგებით, თუ არ აინტერესებს, ტყუილად ვერ გადავყრით ფულს, რადგან დღეს ვერ მოერევა ჩვენი ბიზნესი იმ შემოსავლებით ფეხბურთს, რაც აქვს.

**- რამდენად ოპტიმალურია ამ კომისიის შემადგენლობა და უნდა დარჩენილიყვნენ თუ არა მის მიღმა თუნდაც გურამ რუხაძე („ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტი), ფრიდონ ინჯია („მერანის“ პრეზიდენტი), ლექსო თოფურია („ლოკომოტივი“) და ა.შ.?**

- რამდენადაც ვიცი, კომისის ეს შემადგენლობა პირველადია. მასში შედიან მინისტრები, ფეხბურთის ფედერაციისა და კლუბების წარმომადგენლები. კომისია ძალიან კარგია, მერე, ალბათ, ჩათვლიან საჭიროდ და სხვებსაც შემოიყვანენ. ყველა იმ ადამიანს, ვინც ფეხბურთში ინვესტიციას დებს, უნდა მოუსმინონ და სიტყვა უნდა ეთქმევინებოდეს. მოსმენა ერთია და გაიზიარებენ თუ არა - მეორე.

**- რამდენად საჭიროა ამ პროცესში მედიის ჩართულობა?**

- თუკი გაშუქება არ იქნა, არაფერი ეშველება ფეხბურთს. ფეხბურთის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია მედია, რამდენად და როგორ აშუქებს, ეს თვითონ ჟურნალისტების საქმეა. მათაც აქვთ თავიანთი შეხედულება, ორი კაცი ერთნაირად ვერ უყურებს ერთსა და იმავე საგანს. ვთქვი კიდეც, რომ ჟურნალისტები უნდა ღებულობდნენ მონაწილეობას და შუქდებოდეს როგორ და რა ფაზაში მიდის.

**- დიდი ხნის წინ გააკეთეთ განცხადება, რომ „ზესტაფონის“ პრეზიდენტის პოსტი დატოვეთ, თუმცა, დღემდე, ქუთაისის საჯარო რეესტრში, კლუბის 100%-იანი წილი თქვენს სახელზე ფიქსირდება. განცხადების გაკეთებამდე, ულტიმატუმი წაუყენეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, რომ თუკი ის დატოვებდა პოსტს, დარჩებოდით კლუბის პრეზიდენტის პოსტზე. სიჭინავას გადადგომისთვის რომ მიგეღწიათ, ამიტომ გააკეთეთ ეს განცხადება?**

- ნამდვიალდ არ იყო ულტიმატუმი. სიჭინავას გადადგომა არაფერ შუაშია. აქ საუბარია დღევანდელი ფორმაციის საფეხბურთო რეგულატორზე, ფედერაციაზე. ეს იყო მეგობრული რჩევა. დღეს აბსოლუტური სტაგნაციაა. სამწუხაროდ, არაფერი ხდება. დიდი ნოდარ ახალკაცის შემდეგ, ფედერაციაში პრეზიდენტები დანიშვნის სახით მოვიდნენ, სახელმწიფოს ფავორიტები იყვნენ, ეს ცუდი კი არ არის, სახელმწიფო აძლევს თავისივე კანდიდატს ფულს, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო მონაწილეობს. დღეს შეიცვალა ეს სტრუქტურა. მას რჩევა მივეცი, რადგან დღეს ფეხბურთის ფედერაცია კასტრირებულია, ვერაფერს აკეთებს და წყვეტს. ერთი მანეთის მშოვნელი არ არის თვითონ, თავისი მენეჯმენტით და იმ მდგომარეობით, რაც ქართულ ფეხბურთს აქვს, ეჭვი მეპარება, რომ ინვესტიციები მოიზიდონ. თუ მოიზიდავენ, ღმერთმა ხელი მოუმართოთ. თუ ასე გამოკიდებულები არიან სკამებს, ვაჩვენე მაგალითი და წამოვედი, კლუბის მფლობელი კი ვარ, მაგრამ მენეჯმენტში არ ვერევი.

**„მომაწოდეს ვიდეო, სტადიონზე კამერებია დამონტაჟებული. შეტევა იყო, ჩემზეც გამოიწვიეს და ეგონათ, მაგათი შემეშინდებოდა, სათანადო პასუხი გავეცი. მთელი პრელუდია იმაში იყო, როდესაც „დილამ“ თასის აღება გადაწყვიტა, გუდაურში, შემთხვევით შევხვდი მაშინდელ პრემიერ-მინისტრს, ვანო მერაბიშვილს და ეს მითხრა. მე გავახსენე მასთან და ადეიშვილთან შეხვედრა, როდესაც გვითხრეს, რომ ფეხბურთი არ აინტერესებდათ და მათი შემოსვლით კი სიბინძურე დატრიალდებოდა. მერაბიშვილი ამბობდა, რომ ეს წინასაარჩევნოდ სჭირდებოდათ“**

**- თუმცა კლუბში თქვენი ფული იხარჯება.**

- რა თქმა უნდა. როდესაც წამოვედი, წამოსვლის წინ, ხომ არ მივაგდებდი კლუბს, სანამ ის ინვესტორს მონახავდა. მივეცი აუცილებელი სახსრები, რომელიც კლუბის ბიუჯეტისთვის იყო ჩასმული, მომიტანეს, დავუმტკიცე და წამოვედი. დღეს თუ ფეხბურთზე მივალ, მივალ როგორც ჩვეულებრივი გულშემატკივარი. გუნდის მშენებლობაში, მენეჯმენტში მონაწილეობას არ ვღებულობ. ერთადერთი - თუ ვინმე აზრს მეკითხება, გამოვთქვამ მას.

**- არ აპირებთ პრეზიდენტის პოსტზე დაბრუნებას?**

- არ ვაპირებ, იქიდან გამომდინარე, რომ ეს ნაბიჯი უკვე გადავდგი და უკან რისთვის ან რატომ უნდა დავბრუნდე. ეს არ იყო დადგმული სპექტაკლი. დღესაც არაფერი ხდება ფეხბურთში, ორი მილიონ 400 ათასი ლარის გადანაწილებას ყველა მოახერხებს, ვინც არ უნდა დასვა იმ სკამზე. მე ვსვამ კითხვას, რას მოიზიდავ შენ თვითონ, რომელ სპონსორს. იქნებ მოვიყვანოთ ასეთი ადამიანი და მივცეთ შანსი. მე ვუთხარი სიჭინავას, რომ თუ წახვალთ, მოგცემთ 5 მილიონს და 30 მოიტანეო. ეს არასერიოზულია და მასხარაობაა.

**- თორნიკე გორგიაშვილის საქმის წაგებას დაემთხვა პრეზიდენტის პოსტის დატოვება. მაშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენსა და ზვიად სიჭინავას შორის არაფორმალურ გარემოში მოხდა შეხვედრა, სადაც ის დაგპირდათ, რომ საქმეს მოგაგებინებდათ, თუმცა შემდეგ მან „გადაგაგდოთ“ და თქვენი განცხადება სწორედ ამის შემდგომი მოვლენა იყო, სინამდვილეში რა მოხდა?**

- საშინელი წყენის მომენტი მაქვს. გვარებს თავი დავანებოთ. თვითონ მიდგომა ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან, როგორია. დღეს ფეხბურთელებს, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი დამცველი ჰყავთ. რამდენი ორგანიზაცია, ადვოკატები და ჟურნალისტები, ყველას გული შესტკივა.

**- ცუდია, რომ ფეხბურთელების უფლებებს იცავენ?**

- ადამიანურად მესმის, მეც რომ ვიყო ბავშვი, ასე ვიზამდი, მაგრამ კლუბის დამცველი არავინ არის, უნდა იყოს ფედერაცია. დაუკვირდით, რა შემოსავლები აქვს დღეს ქართულ კლუბებს. ვირტუალურად ეს არის ტრანსფერები, ზოგიერთზე 6 წლის განმავლობაში მაქვს დახარჯული სერიოზული თანხა და როდესაც ის ამ გზით მიდის, მარტო გორგიაშვილს კი არ გაუფუჭებს მომავალს, სხვასაც გაუფუჭებს. დაუშვილის ტრანსფერმა ძალიან იმოქმედა შიდა ურთიერთობებზე კლუბთან. ბევრ რამეზე ვთქვი უარი, რასაც მანამდე ვაკეთებდი, ეს იყო დაზღვევები თუნდაც, ამაზე უარს ვამბობ დღეს. რატომ? - ჩემი ერთი ფეხბურთელი კვიპროსის „ანორთოსისში“ გადადიოდა. ავიღე ხელშეკრულება, ხელმოსაწერად მზად იყო, სადაც ეწერა, რომ თუკი ერთ კვირაზე მეტს, ფეხბურთელი ვერ ითამაშებდა, მას კლუბი ხელფასს გაუნახევრებდა, ერთი თვის შემდეგ კი არ მისცემდა ხელფასს, სანამ ის ფორმას არ აღიდგენდა, ტრავმას კი საკუთარი სახსრებით იმკურნალებდა. ამას აწერენ ხელს, რა გამოდის? ჩემთან თამაშობდა ხიდეშელი, მის ოპერაციებზე და აღდგენებზე 60 ათასი ევრო დავხარჯე, ფეხბურთელთან არანაირი პრობლემა არ მაქვს, შეიძლება, მეც გამეკეთებინა ასე. შორიდან ჩანს, საწყალი ფეხბურთელი. ამით ხომ ინვესტორის ინტერესები ინგრევა. აქამდე თუ ვიცოდი, რომ გავზრდიდი და მივიღებდი კომპენსაციას, ამ ტვინით გატენილმა ფედერაციამ მათ თავისუფლად გადაადგილების საშუალება მისცა. რომ გაიგოთ, ვინ გამოიტანა ეს განაჩენი, რაღაც გაუგებარი იურიდიული აბსურდია. გამოდიან, იძახიან, რომ ეს ფიფას და უეფას კანონებით არის შექმნილი. კარგით, არ გვინდა, მე ხომ ვერ მომატყუებენ, ტყუილებს იძახიან, არანაირი ფიფას და უეფას კანონებით შექმნილი ეგ არ არის. თავის ძმაკაცი ჰყავს დასმული იმ არბიტრაჟში.

**- თქვენ ხომ მიიღეთ სპორტული არბიტრაჟის შექმნაში მონაწილეობა?**

- არ ვიღებდი მისი შემადგენლობის შექმნაში მონაწილეობას, რაც ახლაა.

**- დაუშვილის საქმე ხომ ამ არბიტრაჟის მეშვეობით მოიგეთ?**

- ეს სხვაა. დაუშვილის საქმეზე ფედერაციასთან პრეტენზია არ მაქვს. დაუმთავრდა კონტრაქტი და გვეკუთვნოდა კომპენსაცია. მოვიგეთ, ამ შემთხვევაში, ავიღებთ ფულს თუ არა, მეორე საკითხია. დაუშვილმა ორ კონტრაქტს მოაწერა ხელი და თავადაც შეექმნა პრობლემა.

**- ადრეც მომისმენია, რომ გორგიაშვილს თქვენ ბევრჯერ დაჰპირდით კონტრაქტის პირობების გაუმჯობესებას და ხელი ისე მოაწერინეთ, რაც კლუბს არ შეუსრულებია. სწორედ ამის შემდეგ მოხდა ის, რაც ყველამ ვნახეთ, მან ხელფასის დაგვიანების გამო, არბიტრაჟში კლუბს პროცესი მოუგო და გათავისუფლების ფურცელი მიიღო.**

- აბსოლუტური სიცრუეა. არავინ არაფერს დაჰპირებია. ჩვენი დაპირებაა ის, რასაც ხელს მოაწერს. გორგიაშვილს ოთხწლიანი კონტრაქტი ჰქონდა, გაწერილი პირობებით. ვიცი მთელი ეს ისტორია. რამდენჯერმე ვუთხარი, ტყუილად გიბნევენ თავ-გზას, მაგ კონდიციებით არსად წამსვლელი არ ხარ, არც ერთი გუნდი არ აგიყვანს-მეთქი. ბოლოს დაასრულებ ასე და იძულებული ვიქნები, რომ გაგიშვა. რად მინდა კაცი, რომელსაც ტრავმის გამო რვა კილო აქვს მომატებული. აქ ხომ პროფესიონალიზმზე ლაპარაკი არ არის. გორგიაშვილმა რა ქნას, ფეხბურთელია. მას ჰგონია, რომ ჩვენი კლუბი უშლიდა ხელს. აჰა, წავიდა და ბურთი და მოედანი მისია, ითამაშოს. იმის მაგივრად, რომ კლუბი დაიცვას, გადაუარა მას, გადახაზა. ძალიან კარგად იცის, რაც გააკეთა. ხალხისთვის და მასისთვის ეს გაუგებარია, მაგრამ კლუბისთვის იყო კუბოში ჩადგმა.

**- ფიფას რეგულაციებით, თუკი კლუბი რამდენიმე თვის ხელფასს არ გადაუხდის ფეხბურთელს, მას შეუძლია, გათავისუფლების ფურცელი მოითხოვოს.**

- საუბარია სამ თვეზე. ჩვენ ორი თვის არ გვქონდა გადახდილი. ესპანეთში, უკრაინაში, ხალხი ნახევარი წელი ვერ იღებდა ხელფასს, მაგრამ ამის გამო კონტრაქტი არავის გაუუქმებია. დაგვიანებით გადავუხადეთ, მან შეიტანა სარჩელი და მოიგო, წავიდა იმ კლუბში, რომელმაც მე ფული არ გადამიხადა. საზიზღარი რაღაც დაატრიალეს.

**- როგორც წესი, სპორტულ დავებს სპორტული არბიტრაჟი განიხილავს.**

- ვის მიერაა შექმნილი სპორტული არბიტრაჟი, სადაც ზის ტყებუჩავა და მეორე ტყებუჩავა მისი ძმა და რასაც უნდათ იმას ატრიალებენ, რასაც ფედერაცია ეტყვის.

**- საქალაქო სასამართლოში არ ხდება მსგავსი ტიპის დავების განხილვა, თქვენ კი გორგიაშვილის გადაწყვეტილება სწორედ იქ გაასაჩივრეთ.**

- მე თვითონ არბიტრაჟის წინააღმდეგ მაქვს შეტანილი სარჩელი. შემიძლია, შენც დაგნიშნო, ორივე მხარემ მოვილაპარაკოთ და დაგნიშნო არბიტრად და გაარჩევ საქმეს. როდესაც ფედერაცია მინიშნავს ჩემსა და მას შორის ფეხბურთელის საქმის გარჩევას, ამაზე თანახმა არ ვარ.

**- ირაკლი ძარიაზე მინდა გკითხოთ. როდესაც ის „ზესტაფონიდან“ მიდიოდა და უკრაინის ვარიანტი ჩაეშალა, ითხოვა პირობების გაუმჯობესება, რის შემდეგაც რჩებოდა კლუბში, რაზედაც უარი მიიღო. თუმცა, კლუბში ცნობილი იყო ყველასთვის, რომ ის თბილისის „დინამოში“ გადადიოდა, რაც დაიმალა და რის გამოც, დღემდე ლანძღავენ ზესტაფონში ძარიას. მის „დინამოში“ გადასვლის პერიოდში, კულუარებში ითქვა, რომ თქვენსა და რომან ფიფიას შორის მასთან დაკავშირებით შედგა საუბარი ძარიას ხელფასთან დაკავშირებით, თითქოს თქვენ მას უთხარით, რომ ძარია თქვენთან დაბალ ხელფასზე თამაშობდა და მისთვის არ უნდა მიეცა ფიფიას უფრო მეტი. ის, რომ თქვენს შორის საუბარი შედგა, რომან ფიფიამ დაადასტურა ჩემთან ინტერვიუს დროს.**

- როდესაც ძარია მიდიოდა, მართლა მოიტყუა. ჩვენ მას შევთავაზეთ კარგი პირობები, არ ვიცი, რა შესთავაზა „დინამომ“, როდესაც ესპანეთში შეკრებაზე ვიყავით, მას შევთავაზეთ სამჯერ მეტი ხელფასი და მითხრა, მაქვს რაღაც ვარიანტი და თუ არ გამოვიდა, დავრჩები თქვენთანო. ამის შემდეგ წავიდა „დინამოში“. ფიფიასთან არ მქონია მაგ თემაზე საუბარი და ვერ დაადასტურებდა იმას, რაც არ მითქვამს. აქ იყო საუბარი აგენტის ჩარევაზე, რომელშიც „დინამოს“ ფული უნდა გადაეხადა. რაღაც ფული „ტყდებოდა“ აგენტსა და ძველ მენეჯმენტს შორის. მე დავურეკე ჩემს კოლეგას და ვკითხე, რატომ იხდი, რამდენს მისცემ ფეხბურთელს, ეს შენი საქმეა, მაგრამ აგენტის მონაწილეობა რა საჭიროა, როდესაც ფეხბურთელი თავისუფალია. წაიყვანა, მოაწერინა ხელი.

**- ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ბევრჯერ მოვისმინეთ თქვენგან განცხადება, რომ კლუბს დაშლიდით, სხვაგან გადაიყვანდით. ხომ არ ფიქრობთ, ამ გადასახედიდან, რომ თქვენს მიერ, ცხელ გულზე გაკეთებულმა განცხადებებმა დააზარალა „ზესტაფონი“, მაშინ როდესაც, თქვენი გუნდი და ის ბირთვი, რომელიც იქ იყო, ყველაზე იმედის მომცემად გამო-**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დღეს კასტრირებულია“

იყურებოდა?

- არ მახსოვს, რომ ეს განცხადებები მაშინ გამეკეთებინოს, როდესაც „ზესტაფონს“ ეს ბირთვი ჰყავდა. მეორეჯერ, როდესაც გუნდი გახდა ჩემპიონი, ფეხბურთში მოღვაწე ადამიანებს, ვთხოვე, რომ ერთ-ერთი ფეხბურთელი დაეტოვებინათ ჩემთვის. გელაშვილის ტრანსფერი განხორციელებული იყო. ჩემი, როგორც პრეზიდენტის უდიდესი შეცდომა იყო, რომ გელაშვილი გავუშვი. გელაშვილი-დვალი-გრიგალაშვილი, რასაც გუნდის ბირთვი ერქვა, ის დაიშალა. ეს იყო ყველაზე ლამაზი და მათთან ერთად, შემოქმედი აფციაური. სამწუხაროდ, აფციაური პროფესიონალია, მაგრამ ასაკის გამო, მას უკვე ნაკლებად ენდობოდნენ. ეს ტრიო დაიშალა. წავიდა მთავარი მწვრთნელი და შევეჩეხეთ საშინელ შედეგს ბაქოში. ბაქოს შემდეგ, მართლა განვაცხადე, რომ თუკი მეორე მატჩს ვერ მოვიგებდით, მე წავიდოდი პრეზიდენტის პოსტიდან. ამხელა სირცხვილი არ ყოფილა, ჩემი დანაშაული იყო, ან მე უნდა მომენახა შესაბამისი შემცვლელი, ან მწვრთნელს უნდა მოენახა. მწვრთნელიც ხომ ჩემი დანიშნულია. საბოლოოდ, პრეზიდენტი აგებს იმ სირცხვილზე პასუხს, რომელიც არ ჩამოგვირეცხავს არც ჩვენ და არც ქართულ ფეხბურთს, გათვალისწინებით ბევრი ფაქტორისა. კი იძახი, რომ წახვალ, მაგრამ ძალიან ბევრი ღია კარი რჩება, ისინი კი დასახურია. თხოვნა იყო, რომ დავრჩენილიყავი, სანამ სხვა მენეჯმენტი მოინახებოდა. რეგრესი გრძელდებოდა და სამუშაო ბევრი იყო. რა დაზარალდა ამით, არ ვიცი, მაგრამ იმ მონდომებით, რომლითაც ადრე ვიყავი, შეიძლება ველარ ვმუშაობდი. აღარ მქონდა სურვილი და გული ამიცრუვდა. რაც შეეხება სხვა დანარჩენს, გუნდი ყოველთვის იყო ფინანსურად და სტრუქტურულად ძლიერი.

**- გელაშვილისა და დვალის წასვლას შეეხეთ. გელაშვილის გაშვება არ გინდოდათ, თუმცა ბევრჯერ დაპირდით ამას. ზესტაფონშიც აღარ ჩამოდიოდა, მიუხედავად იმისა, რომ იბარებდით. ასე იყო დვალის შემთხვევაშიც, ის დუბლებში გაუშვეს, ხელფასი გაუნახევრეს, მწვრთნელი თქვენსკენ იშვერდა ხელს, რატომ ასეთი დაუფასებლობა?**

- დვალს დუბლებში არ უვარჯიშია. ის ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც დღესაც დიდი სიამოვნებით ვხვდები.

**- დვალთან დაკავშირებით, ამბობდნენ, რომ მისი გაშვება რომან ფიფიამ საერთო უკრაინელი ბიზნესპარტნიორებით გაიძულათ... ნანობთ, ამ ფეხბურთელების გაშვებას?**

- რომ ვნანობ, ეს უკვე ვაღიარე. ამ ტრიოს წასვლით, გუნდი დამეშალა. გელაშვილის შენარჩუნების უდიდესი სურვილი მქონდა, ვერ შევძელი, ვისი ბრალია? - ჩემი. გრიგალაშვილისა და დვალის შემთხვევაშიც იგივე იყო, ვერ შევძელი ვერც ფულით, ვერც ვერავითარი მექანიზმით. დვალს რაც შეეხება, ბიჭმა გადაწყვიტა, რომ „დინამოში“ წასულიყო. „დინამო“ მას იმას დაპირდა, რასაც მე ვერ მივცემდი, რადგან დღეს, ქართული ფეხბურთი არ არის მზად, ამხელა ფინანსებისთვის. რამდენად სწორი ვიყავი, გამოჩნდა. თბილისის „დინამო“ დვალთან ერთად ჩემპიონი გახდა, „ზესტაფონი“ კი პირველად ისტორიაში, მეხუთე ადგილზე გავიდა. გელაშვილს უზარმაზარი სურვილი ჰქონდა წასულიყო ქართული ფეხბურთიდან. რამდენჯერმე გავაჩერე, შემდეგ უკვე გამოუვალი მდგომარეობა იყო. ან მას დაკარგავდა ქართული ფეხბურთი, ან რაღაც უნდა დამეთმო. დავთანხმდი მაშინ „ბოხუმის“ შემოთავაზებას. სამწუხაროდ, კარიერა არ აეწყო. იგივეს ვიტყვი დვალზეც. ის ერთადერთი ფეხბურთელია, რომლის შიდა ტრანსფერშიც 600 ათასი დოლარი გადაიხადეს, თუ სწორად მახსოვს.

**- რომელსაც დღემდე ვერ ინელებს „დინამოს“ გულშემატკივარი.**

- ვინ ეხვეწებოდათ მერე, დაეტოვებინათ ჩემთვის დვალი.

**- დვალს ჰქონდა გარკვეული ჩავარდნა. მხოლოდ ნახევარი სეზონი ითამაშა, შემდეგ კი ველარ ითამაშა, რაც „ყარაბაღშიც“ გააგრძელა. დროზე ხომ არ მოასწარით მისი გაყიდვა?**

- არა, დღემდე ვნანობ. რომ შემეძლოს, ყველაფერს დავაბრუნებდი. ეს დვალი, მაშინდელი დვალთან შედარებით ცა და დედამიწაა, ისე განსხვავდება. რომ შემეძლოს, სამ იმდენს გადავიხდიდი და სამივე მათგანს დავაბრუნებდი გუნდში.

**- რაღაც პერიოდის გასვლის შემდეგ, ფიქრობთ ამ ბირთვის უკან დაბრუნებას?**

- ამაზე მწვრთნელმა უნდა იფიქროს. მას ჰკითხეთ. მწვრთნელი თუ ეტყვის მენეჯმენტს, მომიტანენ მე და გადავწყვეტ, შემიძლია, თუ არა მივცე მათ ფული, მათი გადასაწყვეტია. ამაში საერთოდ აღარ ვერევი. მინდოდა გრიგალაშვილის შენარჩუნება, ევროტურნირისთვის მაინც და ვერ შევთავაზე ის, რაც საჭირო იყო, ამიტომაც მივიღე ეს გადაწყვეტილება, რომ ამ დონეზე ჩემი პრეზიდენტობა არ ჰყოფნიდა ამ კლუბს.



„მთელი შსს იქ იყო. მომადგნენ იარაღებით, შემოცვივდნენ და დასხდნენ სტადიონზე. აბსოლუტური დეზორგანიზაცია გაუკეთეს ტრიბუნებს, იმიტომ, რომ თვითონ იყვნენ იქ ყველაფერი. დაცვა მოვიდა ჩემთან და გამაფრთხილეს, რომ არანაირი ძალა არ ჰქონდათ, მათთან გასამკლავებლად. იარაღები დაგვადეს თავზე და ან რომელ მსაჯს უნდა ემსაჯა წესიერად ის თამაში, რომ არ შეშინებოდათ. რატომ გიკვირთ, ზოგი დაიბარეს და ფული შესთავაზეს, ზოგს კი პირდაპირ დაემუქრნენ, რომ მამაშენს დავიჭერთო“

**- გია გეგუჩაძის პირველ წასვლას გავიხსენებ „ზესტაფონიდან“. მაშინ ამბობდნენ, რომ თქვენს შორის უთანხმოება იყო, თუმცა არც ისე დიდი ხნის წინ, ის ისევ გუნდში დააბრუნეთ. ის, რომ თავის დროზე გეგუჩაძე ვერ შეინარჩუნეთ, იყო თუ არა თქვენი შეცდომა და არის თუ არა ის ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელი?**

- გეგუჩაძე რომ საუკეთესოა, მაშინაც ასე ვთვლიდი და დღესაც. თუმცა „შტურმთან“ მატჩში იმხელა დარტყმა მიიღო, ერთი ხელის გაწვდენაზე ჰქონდა ჩემპიონთა ლიგა. მას, ალბათ, დაწყნარება სჭირდებოდა და ეს ვთხოვე კიდეც მატჩის შემდეგ. მან ვერ გადალახა ეს ყველაფერი, ალბათ, ნაკლები გამოცდილება ჰქონდა. ის მოვიდა ჩემთან სახლში და მითხრა, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. ამიტომ, არ ვთვლი, რომ არასწორად მოხდა ის, რაც მოხდა. ახლა დალაგდა ყველაფერი. გეგუჩაძემ დაინახა, სად შეუძლია ნიჭის გამოვლენა, ჩვენც დავინახეთ, რა მიზანს შეიძლება მივაღწიოთ. აქედან გამომდინარე, შედგა ისევ ჩვენი თანამშრომლობა. მან შეიძინა მეტი გამოცდილება, მეტი ხედვა. მივეცი მას საშუალება, რომ ნიჭი აჩვენოს ახალგაზრდებს, თავის თავში განამტკიცოს ბავშვები. ბევრ მწვრთნელს ვიცნობ და ვფიქრობ, რომ გეგუჩაძე არის ტოპმენეჯერი ამ დარგში. გამოცდილებაც მეტი სჭირდება და თუკი ის მოითმენს, შეძლებს ბევრს მიაღწიოს. სამუშაო მას ახლა უფრო მეტი აქვს, ვიდრე მაშინ.

**- გეგუჩაძიდან გეგუჩაძემდე „ზესტაფონმა“ ბევრი მწვრთნელი შეიცვალა. ჭიაბრიშვილი, ყიფიანი, მუჯირი-ზამთარაძე, კაჭარავა, დოსტანიჩი. მუჯირის კლუბიდან წამოსვლა კი უცნაურად მოხდა, ვიდრე ის „ზესტაფონს“ დატოვებდა, კახა კაჭარავა უკვე ფეხბურთელებს აგროვებდა გუნდისთვის. დოსტანიჩის სამწვრთნელო შტაბისადმი დავალიანებაა, რამდენად კორექტულად მოხდა მუჯირის და ზოგადად, სხვა მწვრთნელების გაშვება?**

- მუჯირი არსად გამიშვია. ეს მისი გადაწყვეტილება იყო, რაღაც პრემიაზე დაიწყეს ლაპარაკი. როდესაც გუნდი ექვს თამაშს წააგებს და ერთს მოიგებს, ამაზე საუბარი ზედმეტია.

**- თუმცა მუჯირი ყველაზე წარმატებული იყო იმ მწვრთნელებს შორის, რომლებიც ჩამოვთვალე...**

- არსად გამიშვია და გულიც ამაზე მტკივა. მუჯირი ჩემთვის მარტო მწვრთნელი არ არის, ძალიან დიდი ურთიერთობა მაქვს, 20 წლის იყო, როდესაც გავიცანი და გული მატკინა მის ამ ნაბიჯმა, რომელიც თვითონ გადადგა. როგორც გეგუჩაძე არ გამიშვია, ისე მუჯირი. გაზეთებიდან გავიგე. არ ვარ მასზე გაბრაზებული და გულნატკენი. იმ წუთში შესაძლოა გული მეტკინა, ჭიაბრიშვილი, ყიფიანი, კი ბატონო, მაგრამ მუჯირთან ნამდვილად არ ყოფილა ასე. კაჭარავასა და დოსტანიჩთან, როგორც ვიცი, კლუბმა ყველანაირი დავალიანება გაასწორა. ასეთი შემთხვევები ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია. „ზესტაფონს“ აქვს რაღაც დავალიანებები, კლუბი თვლის, რომ საკამათო თემაა, მაგრამ ისე ვიჭედები ამ გაუგებარი მექანიზმის, რაც არის, ფეხბურთის ფედერაციის იურიდიულ სამსახურს, დიდ ბოქლომს დავადებდი.

**- არბიტრაჟში მორიგი საქმე წააგეთ, მეკარეთა მწვრთნელთან, თამაზ ოდიკაძესთან.**

- კი არ წავაგეთ, მონაწილეობა არ მივიღეთ.

**- „ზესტაფონს“ დაეკისრა მისთვის კონტრაქტით გათვალისწინებული შვიდი თვის ხელფასის გადახდა. აპირებთ ამის გადახდას? თანაც, კლუბი მას თვითნებურად სამუშაო ადგილის მიტოვებაში ადანაშაულებდა, რეალურად კი მის გაშვებამდე ადრე, გეგუჩაძის სამწვრთნელო შტაბთან გაფორმდა ხელშეკრულება.**

- მერე რა, კაცი გაფორმებულია. პირველი გუნდის გარდა, არსებობს მეორე გუნდი, ბავშვები. ოდიკაძე არ არის ისეთი სპეციალისტი, ქუჩაში რომ გააგდო. რამდენადაც ვიცი, „გაგრაში“ გადავიდა სამუშაოდ. მე მიჩნდება კითხვა, თუ იქ წავიდა სამუშაოდ, ხელფასი რატომ უნდა გადავუხადო? რამდენი მეკარეთა მწვრთნელი ჰყავს „ზესტაფონს“, ჩემ დროს სამი ჰყავდა და ვფიქრობ, რომ ძალიან ცოტა მწვრთნელები ჰყავს გუნდს. გადაიხდის თუ არა კლუბი, ეს მათი გადასაწყვეტია.

**- 2015 წლის იანვარში ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებია. ცნობილია რამდენიმე კანდიდატი, ვინც კენჭს იყრის, მათ შორის არიან, რეზი არველაძე, საუბარია რომან ფიფიაზეც, მამუკა კვარაცხელია, მიხეილ ყაველაშვილი, ლევან კობიაშვილი - რომელიმე მათგანი იმსახურებს თქვენს სიმპათიებს?**

- სიმპათიებს ყველა იმსახურებს. მოვუსმენ ყველას. „ზესტაფონს“ აქვს ერთი ხმა და მინდა, რომ არჩევნებში მივიღო მონაწილეობა, თუკი კლუბი ამირჩევს დელეგატად. დიდი სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას, მოვუსმენ ყველა კანდიდატს და ერთ შეკითხვას დავუსვამ, წაიკითხონ თქვენი გაზეთის მეშვეობითაც, რა თანხის მოზიდვას აპირებენ. ნუ მოყვებიან ზღაპრებს, ვეტერანებს სად რას უზამენ, იქ სტადიონებს ააშენებენ, რომ ქეცბაია შემტევ ფეხბურთზე გადაიყვანს ნაკრებს და ა.შ. ეს არ მაინტერესებს, მაინტერესებს კონკრეტული თანხა, რას ჩადებენ ინფრასტრუქტურაში, კლუბების განვითარებაში და საიდან. როდესაც ვთქვი, რომ 5 მილიონს მოვიტანდი, მის საბანკო გარანტიებსაც წარმოვადგენდი. ამ ხალხმა გარანტიები უნდა წარმოადგინოს და ის ზღაპრები არ უნდა ვისმინოთ, რაც აქამდე ვისმინეთ.

**- ორი სეზონის წინ, „ზესტაფონმა“ გორის „დილასთან“ შინ მატჩი 2:3 წააგო. იმ დროს, გორელებს შინაგან საქმეთა სამინისტრო მფარველობდა. მოგვიანებით, გავრცელდა ხმები, თუ როგორი ხალისით ყვებოდნენ „დილას“ ფეხბურთელები, რომ ერთ-ერთი ფეხბურთელის სახლიდან 30 ათასი დოლარი „ზესტაფონის“ რამდენიმე ფეხბურთელს ჩაუტანეს, თამაშის დათმობის სანაცვლოდ. თუ იყო მაშინ თქვენთვის რამე ცნობილი?**

- ეს ამბავი რომ გამეგო, ვეტყოდი, ჩემთვის მოეცათ ფული და არ გავიყვანდი გუნდს. ვხუმრობ ამას, რა თქმა უნდა. ვიცი, რომელ თამაშზეც საუბრობთ. ამის დამტკიცება, წარმოგიდგენიათ, როგორი ძნელია. ბევრი სიბინძურე მესმოდა, კლუბში მოღვაწე ფეხბურთელებზე. მათ რომ თავი დავანებოთ, რაც იმ თამაშზე ხდებოდა, მთელი შსს იქ იყო. მომადგნენ იარაღებით, შემოცვივდნენ და დასხდნენ სტადიონზე. აბსოლუტური დეზორგანიზაცია გაუკეთეს ტრიბუნებს, იმიტომ, რომ თვითონ იყვნენ იქ ყველაფერი. დაცვა მოვიდა ჩემთან და გამაფრთხილეს, რომ არანაირი ძალა არ ჰქონდათ, მათთან გასამკლავებლად. იარაღები დაგვადეს თავზე და ან რომელ მსაჯს უნდა ემსაჯა წესიერად ის თამაში, რომ არ შეშინებოდათ. რატომ გიკვირთ, ზოგი დაიბარეს და ფული შესთავაზეს, ზოგს კი პირდაპირ დაემუქრნენ, რომ მამაშენს დავიჭერთო, ამ დროს რომელ ფეხბურთელს დავაძალო, ფეხი ხომ ძალით არ გაიქცევა და არ დაარტყამს ბურთს. ერთია - შესთავაზებ ფულს და ფეხბურთელის მორალური მხარეა, მეორე კი - გემუქრებიან, რომ მამას დაგიჭერენ. რაც იქ ხდებოდა, შემდეგ მომაწოდეს ვიდეო, სტადიონზე კამერებია დამონტაჟებული. შეტევა იყო, ჩემზეც გამოიწიეს და ეგონათ, მაგათი შემეშინდებოდა, საკადრისი პასუხი გავეცი. მთელი პრელუდია იმაში იყო, როდესაც „დილამ“ თასის აღება გადაწყვიტა, გუდაურში, შემთხვევით შევხვდი მაშინდელ პრემიერ-მინისტრს, ვანო მერაბიშვილს და ეს მითხრა. მე გავახსენე მასთან და ადეიშვილთან შეხვედრა, როდესაც გვითხრეს, რომ ფეხბურთი არ აინტერესებდათ და მათი შემოსვლით კი სიბინძურე დატრიალდებოდა. მერაბიშვილი ამბობდა, რომ ეს წინასაარჩევნოდ სჭირდებოდათ. რასაკვირველია, მერაბიშვილი არ ჩაუდგებოდა მენეჯმენტს და მათ ჩააბარებდა, ვინც ამ მეთოდებით იმუშავებდა და ზუსტად ეს დატრიალდა. ვინც იბარებდა ფეხბურთელებს, მერაბიშვილის სახელით აკეთებდა ამას. გრიგალაშვილი რატომ წავიდა? იგივე პრობლემები შეექმნა, ამას დღეს არავინ კითხულობს. თამაშამდე მსაჯები მოვიდნენ ჩვენთან, ბატონო ილო, წარმოგიდგენიათ, ჩვენთან რა ხდებაო? იცოდნენ, უკან დამხევი არ ვიყავი. ჩაწერილიც არის, ის გაწევ-გამოწევა. თასის ფინალზე, როდესაც ეს სამარცხვინო ამბავი მოხდა, მათი სახეები უნდა გენახათ. შს მინისტრის მოადგილეებიც იქ იყვნენ, ეს გინდოდათ-მეთქი? - ვკითხე. სიჭინავასთანაც მქონდა ლაპარაკი, ჩემ თვალწინ რატომ არ ეუბნები მათ ამ ყველაფერს-მეთქი? სანამ მერაბიშვილი მოვიდოდა გორის „დილაში“, ყველაფერი დალაგებული რომ იყო, ახლა კი ყველაფერი თქვენ არიეთ-მეთქი. მითხრა კიდეც, რომ ასე იყო ეს. სიჭინავას, რაც კარგი აქვს გაკეთებული, იმას ვერ დავუკარგავ, ბევრი რამე გამოსწორდა, მაგრამ ამაზე არ ვამბობ. მავრმა გააკეთა თავისი საქმე, მავრი უნდა წავიდეს. ეს პრინციპია.

**- როგორ უნდა ვებრძოლოთ გარიგებულ თამაშებს?**

- თაობის მოცილებაა საჭირო. ხორცს რომ ხარშავ, ჭუჭყი ამოდის ზემოთ, ასე უნდა მოცილდეს თაობა და დარჩნენ ახალგაზრდები. თვითონ კლუბის მეპატრონეები უნდა მივიდნენ ამ დონეზე, რომ მეტი საშუალება ახალგაზრდებს მისცენ.

**- ზესტაფონში კლუბის ბაზის მშენებლობა ჯერ არ დასრულებულა, თუმცა იქ გუნდს ძალიან მაღალი დონის მოედნები აქვს. როდის ელირსება ბაზას დასრულება ან ვინ დაამთავრებს მას?**

- დიდი სურვილი მაქვს, რომ მას ფედერაციამ, ან სახელმწიფომ მოჰკიდოს ხელი. საჩუქრად გადავცემ ყველა მსურველს. თბილისში დავიწყე ბაზის მშენებლობა, რომ გუნდი მთლიანად აქ იყოს ბაზირებული. ჯერ გაიშვება ორი მოედანი, შემდეგ კი მესამე. საცხოვრებელი არ იქნება, რადგან უმეტესობა სწორედ თბილისიდან ჩამოდის იქაც. სანამ ეს ბაზა დასრულდება, იმედი მაქვს, რომ ზესტაფონში დამთავრდება სასტუმროს მშენებლობა. პირველ გუნდს ექნება საშუალება ერთი და ორკვირიანი შეკრება მოაწყოს ზესტაფონში, იქაურობას კი ბავშვების ასაზრდელად გამოიყენებენ. ამ საკითხს სამთავრობო კომისიის სხდომაზეც დავაყენებ.



„თამაშამდე მსაჯები მოვიდნენ ჩვენთან, ბატონო ილო, წარმოგიდგენიათ, ჩვენთან რა ხდებაო? იცოდნენ, უკან დამხევი არ ვიყავი. ჩაწერილიც არის, ის გაწევ-გამოწევა. თასის ფინალზე, როდესაც ეს სამარცხვინო ამბავი მოხდა, მათი სახეები უნდა გენახათ. შს მინისტრის მოადგილეებიც იქ იყვნენ, ეს გინდოდათ-მეთქი? - ვკითხე. სიჭინავასთანაც მქონდა ლაპარაკი, ჩემ თვალწინ რატომ არ ეუბნები მათ ამ ყველაფერს-მეთქი?“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ცნობილი ქართველები წმინდ

**my View**
**თამარ გონგაძე**

**აღდგომა დღესასწაულების დღესასწაულია. სხვანაირი სიხარულით ხვდები ქრისტიანი. სული ზეიმობს. ამ დროს ყველაზე მეტად გინდება გიყვარდეს უფალი და ახლოს იყო მასთან. წმინდა მიწაზე მოხვედრა ისევ ოცნებად მრჩება. ვიმედოვნებ ისრაელთან უვიზო რეჟიმი ოცნების რეალობად ქცევაში დამეხმარება. დაახლოებით წარმომიდგენია, რა ემოციებთან და შინაგან განცდებთან არის დაკავშირებული იმ ადგილების მონახულება, სადაც იცი, რომ 2000 წლის წინ უფალი დადიოდა... იმისთვის, რომ ღმერთი იწამო, იმაზე მეტი ხილული სასწაული რა გინდა, რომ წარმოიდგენ, როგორ გადმოდის ცეცხლი ზეციდან? სიტყვები უძლურია. ის, რაც გულის გავლით მოდის, ბაგეებით არ გადმოიცემა, უნდა განიცადო. სპეციალურად თქვენთვის და სპეციალურად ბრწყინვალე შვიდეულისთვის ცნობილ ქართველებს ის განცდები და სასწაულები მოვაყოლე, რაც იერუსალიმის წმინდა მიწაზე გადახდენიათ.**



## „რომ ამბობენ, რა გინდა უსურვო ადამიანსო, ამ მიწაზე მოხვედრას ვუსურვებ“



### „ცეცხლი რომ გადმოვიდა, სამების გამოსახულება გაქრა“

**მაკა ზამბახიძე:** „მე და ვახომ იერუსალიმში 2009 წლის აპრილში დავიწერეთ ჯვარი. რატომღაც ყველა ტაძარში წინააღმდეგობა გვხვდებოდა, არ გვწერდნენ ჯვარს. წამოსვლამდე ორი დღით ადრე მოსალოცად 12 მოციქულის სახელობის ტაძარში მივედით, სადაც უკრაინელი ეროვნების მღვდელი დაგვხვდა და ჯვრისწერის ნება დაგვრთო. ულამაზესი ტაძარია. ეზოში ათასნაირი ფერის ყვავილი ხარობს, ფარშევანგები დადიან, სამოთხის ბაღს ჰგავს, თან ზღვისპირასაა. ამ ადგილს უფალი ხშირად სტუმრობდაო, გადმოცემით გვითხრეს... თეთრი თავშალი და თეთრი ბალახონი მქონდა წაღებული, იქვე შევიმოსე და მრევლმა ჟოლოსფერი ყვავილების ულამაზესი თაიგული დამახვედრა. გრძელ კაბას და დავარცხნილ თმას ბევრად სჯობდა იმ ზღაპრულ ადგილას ისეთ ფორმაში ჯვრისწერა.

მაცხოვრის საფლავზე, აღდგომას, ცეცხლის გარდამოსვლის დროს გახლდით. მე, ვახო და ჩვენი მომავალი მეჯვარეები თითქოს უფალმა ხელის გულზე დაგვისვა და იმდენ ხალხში, ვერც კი მივხვდით, ისე აღმოვჩნდით ტაძარში. ორი საათის განმავლობაში უსიტყვოდ ვიდექით და ცეცხლის გადმოსვლას ველოდით. ძალიან დიდია მაცხოვრის ტაძარი და ამ მოლოდინისას ვათვალიერებდი. უცებ გუმბათის მწვერვალზე იესოს სახე გამოისახა. მთელი ბავშვობა მინდოდა, ან მარიამ ღვთისმშობელი დამენახა, ან ღმერთი და ცაში ვიყურებოდი. და უცებ რომ დავინახე, შოკში ჩავვარდი. ჩემებს დავანახვე, თქვენც ხედავთ, თუ მეჩვენება-მეთქი? მათაც დაინახეს. მერე ნელ-ნელა ეს გამოსახულება სამებად იქცა... ცეცხლი რომ გადმოვიდა, სამების გამოსახულება გაქრა. წარმოუდგენელია იერუსალიმში ჩახვიდე და სასწაული არ გადაგხდეს. მდინარე იორდანე ძალიან ცივია, მაგრამ რომ შედიხარ, ვერ გრძნობ ამ სიცივეს, პირიქით, თბილი გეჩვენება, გეკრობა ეს ანაფორა. ირგვლივ ლამაზი თევზები დაცურავენ... გარდამოხსნის ქვა მირონით არის გაჟღენთილი, საოცარ სურნელს აფრქვევს და რომ ემთხვევი, განცდა გაქვს, თითქოს არ გიშვებს. მოშორება არ გინდა, უკან უკან იხედები, მიბრუნება გინდება. გინდა ამ ქვას ისე შეეხო, რომ განიწმინდო. სულ გეტირება. გინდა ირგვლივ ყველაფერი დაალაგო. რთულია ამ ყველაფრის სიტყვებით გადმოცემა“.





„გარდამოხსნის ქვა მირონით არის გაჟღენთილი, საოცარ სურნელს აფრქვევს და რომ ემთხვევი, განცდა გაქვს, თითქოს არ გიშვებს. მოშორება არ გინდა“

### „გული გამისკდა - ჩამქრალი სანთელი ანთებულიყო!“

**გოგა ჩანადირი:** „სასწაული იყო, 2007 წელს ცეცხლის გადმოსვლის დროს აღდგომის მაცხოვრის ტაძარში მოვხვდი. არანაირი აკრედიტაცია არ მქონდა. ღამის სამ საათზე გამოვედი სასტუმროდან და ტაძარში დილის რვა საათზე შევაღწიე. ზუსტად ის ხუთი საათი ტაძარში შესაღწევად ვიბრძოდი. ვიწრო ქუჩებში უამრავი კოლონა გადავიარე, გადავირბინე სახურავები, გადავახტი ღობეებს... და ჟურნალისტების დინებას შევყევი. ზუსტად იმ ადგილას მოვხვდი, საიდანაც პატრიარქი ცეცხლს გამოაბრძანებს. ცეცხლის გამოტანამდე, აქრობენ ყველანაირ სინათლეს. დიდხანს ველოდით ცეცხლის გარდამოსვლას და უცებ იფეთქა ალმა! ზეციური ცეცხლი უსწრაფესად გავრცელდა. ცეცხლის გარდამოსვლის შემდეგ ტაძარი სწრაფად იცლება. ცეცხლი გადავუკიდე და დავდექი კიბეებთან და უფალს მადლობა შევწირე, ტაძარში რომ მომახვედრა. დავხედე და სანთელი ჩამქრალი დამხვდა. გული დამწყდა, გადავწყვიტე ხელახლა გადამეკიდებინა. მივედი კარიბჭის გახეთქილ სვეტთან (რომლიდანაც მართლმადიდებელმა პატრიარქმა ცეცხლი მიიღო). 30 სანტიმეტრი მაშორებდა სვეტს, რომ ჩემს სანთელს დავხედე და გული გამისკდა - ჩამქრალი სანთელი ანთებულიყო! ზუსტად ვიცოდი, რომ ჩამქრალი მივიტანე და უეცრად ენთო, ვერ წარმოიდგენთ ჩემს ემოციას. ეს სასწაული იყო!

გოლგოთისკენ მიმავალ ჯვარცმის გზას რომ გადიხარ, დიდი სიმძაფრით შეიგრძნობ, რა ტანჯვა და ტკივილი იყო მაცხოვრისთვის ჩვენი ცოდვების გამოსყიდვა, 2000 წლის წინათ. ამაზე ლაპარაკისას ხმა მიკანკალებს. სულ სხვა განცდაა იქ რომ ქართველებს, ქართულ წარწერებს, შოთა რუსთაველის ფრესკას ხედავ. ძალიან მინდა ისევ წმინდა მიწაზე დავბრუნდეთ, იერუსალიმში. არ უნდა გვქონდეს იმის განცდა, რომ ჩვენ ის მივატოვეთ და ჩვენი არ არის“.

**„30 სანტიმეტრი მაშორებდა სვეტს, რომ ჩემს სანთელს დავხედე და გული გამისკდა - ჩამქრალი სანთელი ანთებულიყო! ზუსტად ვიცოდი, რომ ჩამქრალი მივიტანე და უეცრად ენთო, ვერ წარმოიდგენთ ჩემს ემოციას. ეს სასწაული იყო!“**





**„მდინარე იორდანეში რომ ჩადიხარ, უამრავი თევზი მოდის და პირით გეხება, თითქოს სხეულიდან ცოდვებს გაცლიან. გადადგამ ფეხს, მოგყვებიან და გასუფთავებენ ცოდვებისგან“**

### „სიმსუბუქის ენით აუწერელი განცდა გეუფლება“

**ნატო მეტონიძე:** „სიტყვებით ვერასდროს გადმოვცემ ის, რაც იქ განვიცადე. რომ ჩამოვედი, ვთქვი, ადამიანს თუკი რაიმე კარგი გინდა უსურვო, წმინდა მიწაზე უნდა მოხვდეს. სიმსუბუქის, თავისუფლების ენით აღუწერელი განცდა გეუფლება. ბევრი უცნაური და ახალი შეგრძნება მოდის. მიჭირს ამაზე ლაპარაკი. სევდიანი სიხარული თუ სიხარულის სევდა - ყველა საუკეთესო შეგრძნება გეუფლება. როცა იქ ხვდები, ეს დიდი საჩუქარია. მე მგონია, რომ ყველაზე დიდი ჭეშმარიტება, ყველაფერი ნამდვილი იერუსალიმშია. წმინდა მიწაზე გატარებული დრო ჩემი ცხოვრების ყველაზე ნათელი და კარგი მოგონებაა“.



### „მე ვარ შენი მფარველი ანგელოზიო“

**დათო გომართელი:** „იერუსალიმში ბევრჯერ ვარ ნამყოფი, მაგრამ 2012 წელს საშობაოდ პირველად მომიწია ჩასვლა. ის, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე გვისწავლია თუ გაგვიგია, ამას ყველაფერს იქ რეალობაში ეხები და განიცდი. ყველა ის ადგილი მინახავს, სადაც შეიძლება მომლოცველი იყოს ნამყოფი. ამაღლებული ხარ, გრძნობ როგორ სუფთავდება შენი სული და ხორცი. დამშვიდებული და დიდი იმედით აღსავსე გამოდიხარ. სასწაული მოხდა. შობის წინა ღამეს, სასტუმროში,



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ა მიწაზე ნანახ სასწაულებზე










ჩემი მფარველი ანგელოზი გამომეცხადა. რაღაც ძალამ გამაღვიძა და საწოლთან იდგა თეთრებში შემოსილი ადამიანი, ფრთებით და თავზე შარავანდედით, ჰაერში იყო აწეული. კარგად დავაკვირდი, ხომ არ მესიზმრება-მეთქი, მაგრამ არა, გამოცხადება იყო. ინფორმაციაც მივიღე - მე ვარ შენი მფარველი ანგელოზიო. მანამდე კი, როდესაც პირველად მოვხვდი იერუსალიმში, გავჯიუტდი - მანიშნე თუ არსებობ-მეთქი, უფალს ვთხოვე. სასტუმროს ფოიეში რამდენიმე მეგობარი ვისხედით და მათთან ვსაუბრობდი - რამე ნიშანი მომცეს-მეთქი. უცებ მოვიდა მოძღვრის შვილი, ნიკოლოზი და იერუსალიმის პატრიარქის ნაჩუქარი წმინდა ნიკოლოზის ხატი იმდენ ახლობელს შორის მაინცდამაინც მე მომცა, შემინახეო. მივხვდი, ეს ნიშანი იყო“.

**„ბევრ რამეზე დამაფიქრა“**

**რატი დურგლიშვილი:** „პირველი, რაც მაცხოვრის საფლავის შეხებისას გავიფიქრე, იყო, ღმერთო, ყველა იმ ადამიანს, ვისაც ამის სურვილი აქვს, შეაძლებინე შენამდე მოვიდეს-მეთქი. ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. საოცრება გემართება, უნებურად მოგდის ცრემლები, უდიდესი ემოცია გეუფლება. ტაძარში ბევრი საოცრება ხდება. ისე ვერ გამოხვალ ტაძრიდან, რაღაც სასწაული რომ არ იხილო. ნებისმიერ ადგილას, სადაც რწმენით მიდიხარ, ასეა. სულიერად ძალიან მშვიდად ხარ ხოლმე. ბევრ რამეზე დამაფიქრა. როცა უფალთან ძალიან ახლოს ხარ, დადებითი ხდები, თავს ბევრ რამეს პატიობ, ბევრ სწორ გადაწვეტილებას იღებ. უფალი ყველაფერს გვისრულებს. ღმერთმა ყველა გულით მსურველ ადამიანს მისცეს იმის ძალა და საშუალება, რომ იქ მოხვდეს“.







**„მახსოვს, მეტყველების უნარი დავკარგე“**

**ლელა წურწუმია:** „მე იერუსალიმში პირველად 1997 წელს მოვხვდი, დეკემბერში. მაცხოვრის საფლავზე რომ მივედი, მახსოვს, მეტყველების უნარი დავკარგე და ემოციებისგან ცრემლები მომდიოდა. საოცარი მადლიერების გრძნობა მქონდა, უფალმა იმის ღირსი, რომ გამხადა მის საფლავზე მოვხვედრილიყავი. იერუსალიმში რომ შედიხარ, ხვდები, ეს არის სამყაროს და კაცობრიობის საწყისი და დასასრული. ერთდროულად გეუფლება სინანულისა და ბედნიერების განცდა. იქ ბევრ რამეზე ფიქრობ. წმინდა მიწაზე, სადაც იცი, რომ ნებისმიერ რაიმეს არის შეხებული მაცხოვარი, ემოცია გიმძაფრდება. საოცრებაა გარდამოხსნის ქვა, ჯვარცმის ადგილი, საფლავი, გეთსიმანიის ბაღი... მიმაქვს ჩემი პატარა ხატები, ჯვარი, რომელიც სულ მიკეთია და ვაწყობ გარდამოხსნის ქვაზე, მაცხოვრის საფლავზე. სულ თან დავატარებ თავსაფარს, რომელსაც ძალიან ბევრი სიწმინდე აქვს მოვლილი. ვფიქრობ, ყველა ქრისტიანი ვალდებულია ერთხელ მაინც მოხვდეს ამ წმინდა მიწაზე“.





**„ისე ვტიროდი, თავს ვერ ვაკონტროლებდი“**

**აჩიკო სოლოღაშვილი:** „გარდამოხსნის ქვას რომ ვეხებოდი, ქვის სიცივე მაფხიზლებდა. ცრემლებად ვიღვრებოდი. ისე ვტიროდი, თავს ვერ ვაკონტროლებდი. როგორც მითხრეს, გავფითრდი. მერე, როცა მივხვდი, რომ ამ დღეში მარტო მე არ ჩავვარდნილვარ, დავმშვიდდი, თორემ მეგონა, რაღაც დამემართა-მეთქი.

მაცხოვრის ტაძარში, იმ ადგილს, საიდანაც მაცხოვარი აღსდგა, პატარა შესასვლელი აქვს. ძალიან დიდი რიგი იყო, დაახლოებით 700-კაციანი. მე კუთხეში ვიყავი ატუზული, რიგში არ ვიდექი. გამოვიდა ბერძენი მსახური (თუ სწორად ვიცი), ხელი მომკიდა და მითხრა - სანთელი გამომართვი, დაანთე და თუ გინდა შესწირე რაიმეო. ამდენ ადამიანში მე გამომარჩია და შემიყვანა. ახლაც მაჟრიალებს. მდინარე იორდანეში რომ ჩადიხარ, უამრავი თევზი მოდის და პირით გეხება, თითქოს სხეულიდან ცოდვებს გაცლიან. გადადგამ ფეხს, მოგყვებიან და გასუფთავებენ ცოდვებისგან. ეს როგორ უნდა გადმოსცე? გოლგოთის გზაზე რომ მივდიოდი, შეგრძნება მქონდა, რომ ამის ღირსი არ ვიყავი. არ მავიწყდება ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. გეთსიმანიის ბაღში წასვლა ვერ მოვასწარი და ხინჯად მაქვს. კიდევ მინდა იქ მოხვედრა.

იქაური აურა დიდი ხანი გამომყვა. რომ ამბობენ, რა გინდა უსურვო ადამიანსო, ამ მიწაზე მოხვედრას ვუსურვებ“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# 15-ით 9 – „X ფაქტორმა“



## my View
**თამარ გონგაძე**

**„X Factor“-ის პირველმა შოუმ, როგორც მოსალოდნელი იყო, მაღალი რეიტინგი - 15 პროცენტი დაწერა. შოუს მეიქერები და არხის ერთ-ერთი ძლიერი ძალა - გიორგი ხაბურზანია და დემნა ჯაფარიძე მეორე დილიდან იღებდნენ მილოცვებს. ეს მხოლოდ მოლოდინის გამართლება არ ყოფილა. ხარისხის, დონის, ნიჭიერების და დადგენილი თამასის ზე აწევაა. ერთია, რომ არხისგან ელოდები ხარისხიან შოუს და მეორეა, თუ როგორ ამაყობ ამ კონკრეტულ არხზე გაკეთებული არჩევანით. „პრაიმტაიმი“ „X Factor“-ის საკასტინგო ჩაწერებს ესწრებოდა, ის ვნებათაღელვა და ემოციების კასკადი, რაც ფილარმონიაში სუფევდა, ჩვენთვის სრულად იყო ნაცნობი. თუმცა ეკრანზე ერთ შოუში თავმოყრილი სულ სხვა სანახაობა ვიხილეთ. ეს განცდა მხოლოდ მე კი არა, გეგა ფალავანდიშვილსაც დაეუფლა და ჟიურის წევრებსაც. „მაგთიკლუბში“ საგულშემატკივროდ მისული „X Factor“-ის შემოქმედებითი ჯგუფის სახეების ნახვა ერთი სიამოვნება იყო. ემოციები დასთამაშებდათ სახეებზე, ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ და სარეკლამო ჭრების დროს განხილვა ჰქონდათ. შოუს აღმოჩენაა გიორგი გაბუნია. „X Factor“-ის პირველივე საკასტინგო ჩაწერის ნახვისას ვთქვი, რომ გაბუნია პროექტს მაგარ ხიბლს და მარილს ჰმატებს-მეთქი. ბევრი მისმა მწარე იუმორმა და ლაითმა ცინიკურმა შეფასებებმა გააღიზიანა. ჩაცმის გაკრიტიკება და ქამარი გიჭერს რა ჟიურის სათქმელი იყოო. კარგი ჟურნალისტია, მაგრამ ჟიურიში მისი ადგილი არ ყოფილაო და ათასი მსგავსი რამ. მე ამ მოსაზრებას ვერ ვიზიარებ. შეიძლება გიორგი ზომაზე მეტად მწარედ მართალია, მაგრამ მართალი! და სიმართლეს რომ მწარე გემო დაჰკრავს, ამაში სიახლე, ვგონებ, არაფერია. გიორგის კრიტიკას უკრაინიდან ნიკოლოზ რაჭველი გამოეხმაურა.**

**ნიკოლოზ რაჭველი:** - მე არ მიყურებია გადაცემისთვის, მაგრამ ვერ დავიჯერებ, რომ გიოს უკულტუროობა გამოევლინა, თუ უკმაყოფილება გაჩნდა, ეს უფრო ფორმატის პრინციპების შედეგი იქნება, ჟიურის ერთ-ერთი წევრი უნდა იყოს წესით ცოტა ირონიულ-კრიტიკული და ალბათ, ეს მოარგეს გიოს! მაგრამ დამერწმუნეთ, მართლაც შესანიშნავი ადამიანია და ძალიან მიყვარს.

შოუში ფუროორი მოახდინა რამდენიმე კონკურსანტმა, მათ შორის გიორგი ბერიძემ, თამუნა შავერდაშვილმა და ნიკა შერმაზანაშვილმა. ემოციური იყო ლეილა აბაშიძის შვილის, 61 წლის რამაზ დანელიას ფრენკ სინატრას შესრულება. ცოცხალი ლეგენდის ემოციურმა გამოსვლამ ჟიურისთან ერთად მაყურებელიც აცრემლა... შოუს პროდიუსერები მომავალ შოუებში ბევრ სიურპრიზებს გვპირდებიან.








## მარინა ბერიძე: „მხოლოდ „რუსთავი 2“-მა უნდა აკეთოს მუსიკალური პროექტები“

### „თვალებზე ხელს ვიფარებ“

**გიორგი გაბუნია:** - უნდა ვაღიარო, რომ შოუს ყურებისას ჩემი სიცილი აღმოვაჩინე, არ ვიცოდი, როგორ „არაჩვეულებრივად“ ვიცინოდი. აღმოვაჩინე ისიც, რომ წამყვანები ია და გეგა თურმე კომენტარებს აკეთებენ. ძირითადი ნაწილი, რასაც ვუყურე, ჩემთვის სრულიად ახალია. ვუყურე როგორც უცხო შოუს. ვაკვირდებოდი როგორი დამონტაჟებულია, ტექნიკურად როგორ არის გაკეთებული. თვალებზე ხელს ვიფარებ, ჩემ თავს რომ ვუყურებ. თურმე მემუქრებიან, რომ ჩემს ფანჯრებთან იმღერებენ. ზედმეტად სერიოზულად იღებენ შენიშვნებს კონკურსანტები. ეს მათი არც შეურაცხყოფაა, არც დაცინვა. სახუმარო გადაცემაა, სადაც ვხუმრობთ. სტეფანესაც გაუკვირდა - მას ეგონა მეტი პროფესიული შეფასება უნდა ეკეთებინა. მე არანაირად არ მწყინს კონკურსანტების მესიჯები ჩემ მიმართ, დავიმსახურე და...

**სტეფანე:** - რომ ვუყურებდი, სულ ვფიქრობდი, რას ვგავარ, ხმა როგორ არ მომწონს-მეთქი... დინამიკას რომ ვაკვირდები, ყურებადია შოუ. სარეკლამო ჭრა ისე მოვიდა, ვერ ვიგრძენი, ეს უკვე წარმატებაა. მთავარია მაყურებელს მოეწონოს. როგორც ჟიურის წევრს, ვფიქრობ არ გამაკრიტიკებენ. ვეცადე, ყველაფერი დამევიწყებინა და კონკურსანტთან ერთად ვყოფილიყავი სცენაზე. ალბათ, ობიექტური ვიყავი. ეს პროექტი უკვე ძალიან მიყვარს და მთელ გუნდს ვგულშემატკივრობ. მაღალი რეიტინგი მინდა. ეს მართლა შოუა.

**სოფო ტოროშელიძე:** - აღფრთოვანებული ვარ და შოკში ვარ. ამდენსაც არ ველოდი. ძალიან მაგარი ნამუშევარია შოუზე, რაც „რუსთავი 2“-ის გუნდის დამსახურებაა.

**თამთა გოდუაძე:** - ჩემი ქართული ლაპარაკით ცოტა გაოგნებული ვარ. ტელევიზორით ვისმენ პირდაპირ. მკაცრი ვარ ქართულ ენასთან მიმართებაში და ახლა მით უმეტეს. ისეთ დონეზე ვერ ვსაუბრობ, როგორც მინდა რომ ვიმეტყველო. ისე, ცუდადაც არ ვმეტყველებ როგორც მეგონა. საბერძნეთში მხოლოდ სახლში დედასთან და შვილთან ვსაუბრობ ქართულად.

**- გიორგი ხაბურზანიამ თქვა, ჟიურიში თამთას დივას იმიჯი აქვსო, ეთანხმები?**

- მირჩევნია სხვამ შემაფასოს, მე ვერ შევაფასებ საკუთარ თავს, გამიჭირდება.



**ნოე სულაბერიძე: „ჯერ ერთი 13-ით 10 მოიგეს, მეორე - ეს რეზულტატი ჩემთვის ძალიან მოსალოდნელი იყო. „X Factor“-ს ოთხთვიანი მოლოდინი ჰქონდა“**

**თამთა გოდუაძე**: „ცოტათი შემრცხვა, რომ არ ვიცოდი, რომ გიორგი ჯულიეტა ვაშაყმაძის შვილია“

„X Factor“-ის ჟიურის წევრების კადრს მიღმა საუბარი შოუში მოხვდა. შესაბამისად, მაყურებელმა შეიტყო, რომ თამთა გოდუაძემ არ იცოდა, რომ გიორგი გაბუნია ჯულიეტა ვაშაყმაძის შვილია. „წამყვანის შვილიაო, შენზე თქვეს და მართლა წამყვანია შენი მშობელი? კი, დედაჩემი“, - მეტად არ დაუკონკრეტა გიორგიმ. შოუში კი ამ დიალოგს ჯულიეტას ფოტო მიაბეს.

„მაგთი კლუბში“ შოუს მსვლელობისას ჟიურის წევრებს მივადექით.

**გიორგი გაბუნია:** - არ იცოდა ვისი შვილი ვიყავი. ახლა რომ დაინახა ჯულიეტა, მართლა ჯულიეტას შვილი ხარო, მკითხა.

**თამთა გოდუაძე**: - ეგ დიალოგი ეთერის გარეთ მეგონა. მართლა არ ვიცოდი, ვისი შვილია, არ მითხრა საზიზღარმა გიორგიმ.

**- შეგრცხვა?**

- ცოტათი შემრცხვა, მაგრამ მეპატიება, არც მითხრეს, ეტყობა ყველას ჰგონია, რომ ვიცოდი.





### „არასოდეს არ ვსწორდები კონკურენტ არხზე“

**დემნა ჯაფარიძე**: - კმაყოფილი ვარ, ხარისხობრივად ის გვაქვს გაკეთებული, რაც უნდა გაგვეკეთებინა. სხვისი აზრი მნიშვნელოვანია, თუნდაც თქვენი. მასალის დამონტაჟება მალე მოგვიხდა. რახან მოსწონთ და სპონსორიც კმაყოფილია, ესე იგი ის არის, რაც უნდა ყოფილიყო. მეორე, მესამე, მეოთხე შოუ უკვე სხვანაირი იქნება, გასაღებს არ გეტყვით, რა თქმა უნდა. ქასთინგის მასალა დახუნძლულია და ეს ყველაფერი გამოჩნდება. ქართველი მაყურებელი დარწმუნდება, რომ კარგი კონკურსანტები გვყავს. ერთ თვეში დრამატული ნაწილი იწყება, სცენაზე კონკურსანტების გამოცხრილვა, სამ წუთში. სრული მობილიზაციაა იმისთვის, რომ კონკურსანტებმა მაყურებელი და ჟიური მოხიბლონ. მერე ყველაფერი მაყურებლის ხელშია.

**- კონკურენტი არხის კონკურენტ შოუსთან ბრძოლაზე რას იტყვით?**

- არასოდეს არ ვსწორდები კონკურენტ არხზე.

**გეგა ფალავანდიშვილი:** - შეფუთული უფრო მომწონს, მე ცოტა დოზით ვარ. იმიტომ მომწონს ამ არხის ნამუშევარი, რომ მხოლოდ იმას ტოვებენ, რაც საჭიროა. შოუ ეკრანზე ბევრად მეტია, რასაც ჩაწერისას რეალობაში ვუყურებდით, ძალიან გავერთე. ერთ ამოსუნთქვაში იყურება. პროექტი შედგა. „რუსთავი 2“-მა დაამტკიცა, რომ ჩვენ შეგვიძლია არამარტო მაგარი, არამედ კიდევ უფრო მაგარი შოუს კეთება.

**მაია ასათიანი:** - მე ვთვლი, რომ „იქს ფაქტორი“ ის სიმაღლეა, რომელსაც ვერანაირი ძალა ვერ შესწვდება. ეს „რუსთავი 2“-ის, გიორგი ხაბურზანიასა და დემნა ჯაფარიძის დიდი გამარჯვებაა. შემოქმედებითი თვალსაზრისით იმდენად სრულყოფილი პროექტია, ვერც კი წარმომიდგენია ამაზე უფრო მასშტაბური - რა უნდა გაკეთდეს. მსოფლიოში რამდენიმე ტელევიზიას ძალუძს ასეთი პროექტის კეთება. მე მეამაყება, რომ ვმუშაობ ისეთ ტელევიზიაში, რომელმაც მსოფლიო მასშტაბის ყველაზე პოპულარული და რეიტინგული პროექტი ასე ღირსეულად გააკეთა. კონკურენციაზე


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ორ ვარსკვლავს“ მოუგო




## EXCLUSIVE





**ნიკოლოზ რაჭველი: „მე არ მიყურებია გადაცემისთვის, მაგრამ ვერ დავიჯერებ, რომ გიოს უკულტურობა გამოევლინა, თუ უკმაყოფილება გაჩნდა ეს უფრო ფორმატის პრინციპების შედეგი იქნება, ჟიურის ერთ-ერთი წევრი უნდა იყოს წესით ცოტა ირონიულ-კრიტიკული და, ალბათ, ეს მოარგეს გიოს“**

## გიორგი ხაბურზანია: „დიდი მადლობა მაყურებელს! „X-ფაქტორი“ პირველ ადგილზე გავიდა, მეორეზე თურქული სერიალი და მესამეზე „ორი ვარსკვლავი“




საუბარი, უბრალოდ, ზედმეტია. „იქს ფაქტორი“ პირველების პირველი შოუა. ჩვენი ძალა ჩვენ ერთობაშია. სულ ვგულ-შემატკივრობ. ორშაბათით იწყება კვირა „რუსთავი 2“-ში. ძლიერი ორშაბათი ძლიერ ხუთშაბათს ნიშნავს ჩემთვის.

**შოუების რეიტინგებით ბრძოლა**

იმ დროს, როდესაც „რუსთავი 2“-ზე „X Factor“-ი გადის, „იმედზე“ „ორი ვარსკვლავის“ დროა. ეს უკანასკნელი მე-ხუთე კვირაა გადის ეთერში და თავისი მაყურებელი ჰყავს. გადის სკანდალებით, ვეტოთი, შოუს გამოთიშული ვახო რჩეულიშვილით, ეპატაჟური თეონა კონტრიძის დასამახსოვრებელი ფრთიანი ფრაზებით და თავისი რეიტინგით. გასულ ორშაბათს კი, როდესაც საეთერო ბადეში „X Factor“-ი შემოვიდა, ეს „ორი ვარსკვლავის“ რეიტინგზე აისახა. „რუსთავი 2“-ის შოუმ „იმედის“ პროექტს 15-ით 9 მოუგო. იმ დროს, როდესაც ახალ მეგაშოუს უყურებდა მაყურებელი, „ორ ვარსკვლავში“ თეონა კონტრიძემ გადაწყვიტა ჟიურის დატოვება. ის ადგა, დარბაზიდან გავიდა და მას დუტა დაედევნა. თუმცა სარეკლამო ჭრის მერე უკან მოაბრუნეს. სწორედ ამ დროს, ძალზედ ოპერატიულად „პრაიმტაიმნიუსმა“ ჟიურის მოწვეული მეოთხე წევრი, აჩი არველაძე ჩაწერა: „რა გითხრათ აბა, რამ გაანაწყენა. სცენიდან იმიტომ გაიქცა, რომ არ დავაცადეთ ჟიურიმ შეფასება, ზურამ რაღაც რეპლიკა უთხრა და როგორც გაიქცა, ისე შემოვარდება“. გაჩნდა ეჭვი, რომ შოუს პროდიუსერებმა ეს ნომერი ყურადღების მისაქცევად და „X Factor“-ისთვის მაყურებლის „წასართმევად“ ხელოვნურად გაითამაშეს. თავისი ეჭვი ამასთან დაკავშირებით სალომე ღვინიაშვილმაც გამოთქვა, კონკურსანტმა, რომლის შეფასებისასაც თეონა დარბაზიდან გავიდა. „იმ მომენტში, ცოტა დავიბენი, ვერ მივხვდი, რა მოხდა. იმიტომ, რომ ჟიურის ხმა კარგად არ მესმოდა. ვიფიქრე, რამე ხომ არ გაითამაშეს-მეთქი“.

**ნოე სულაბერიძე:** - ჯერ ერთი 13-ით 10 მოიგეს, მეორე - ეს რეზულტატი ჩემთვის ძალიან მოსალოდნელი იყო. „X Factor“-ს ოთხთვიანი მოლოდინი ჰქონდა. ზოგადად, „რუსთავი 2“-ის მასშტაბურ პროექტებს გაცილებით მეტი რეიტინგი ახასიათებს. „X Factor“-ი „ჯეოსტარზე“ დიდი დიაპაზონის პროექტია, ყველა ქვეყანაში წარმატებულია და „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მსგავსად კარგად გაყიდვადი. შესაბამისად, ფორმატიდან გამომდინარე, მქონდა იმის მოლოდინი, რომ რეიტინგული იქნებოდა. წლების წინ „იმედს“ დაასწრო „რუსთავი 2“-მა და იყიდა ეს პროექტი. „ორი ვარსკვლავი“ არ არის იმ მასშტაბის და პოპულარობის ფორმატი, როგორც „X Factor“-ი. ჩვენით შევქმენით და გავაჯერეთ ახალი ელემენტებით. მე პირიქით მგონია, კარგი წინააღმდეგობა გაუწია „ორმა ვარსკვლავმა“.

**- თურქულმა სერიალმა გაასწრო „ორ ვარსკვლავს“ რეიტინგითო...**

- თურქულმა სერიალმა „პროფილსაც“ გაუსწრო და ყველაფერს გაუსწრო. „ფეისბუქზე“ სხვის გადაცემაზე წერა მე არაკორექტული მგონია.

**- ნოე, ითქვა, რომ „X Factor“-დან ყურადღების გადასატანად გაათამაშეთ შოუდან კონტრიძის ვითომ წასვლა.**

- არა, მაყურებელიც კი მიხვდება, ეს იყო კონტრიძის ბუნებრივი რეაქცია ზურა ყიფშიძის რეპლიკაზე. თუ მაგ დონის დადგმები კეთდება და თან ასე მაგრად გამოდის, თითოეულს, ალბათ, „ოსკარი“ ეკუთვნის. ზურა ყიფშიძეს, როგორც მსახიობს, მართლა კი ეკუთვნის „ოსკარი“.

**- როგორ აპირებ ბრძოლის გაგრძელებას?**

- ვნახოთ. იმდენად პატარა სხვაობაა, ეს ყველაფერი შეიცვლება.

**გეგა ფალავანდიშვილი:** - „X Factor“-მა „ორ ვარსკვლავს“ დამაჯერებლად მოუგო, ცოტათი არა, კარგად. 15 პროცენტი ბოლო დროს არაფერს აღარ ჰქონია. წელს სატელევიზიო სივრცეში ეს ციფრი ძალიან მაღალი პროცენტია. შოუს კარგი შეფასება აქვს, თითო მონაწილეს - ათასობით ლაიქი. წინ კიდევ იმდენი საინტერესო ნომრებია...

**გიორგი ხაბურზანია:** - დიდი სხვაობით ვაჯობეთ კონკურენტ არხებს. დიდი მადლობა მაყურებელს. „X Factor“-ის დროს „იმედზე“ მუსიკალური შოუ გადის, რომელიც ჩვენ ეთერში გასვლამდე რაღაცას წერდა, ჩვენ შემდეგ კი მესამე ადგილას გავიდა. მეორე ადგილას „მაესტროზე“ სერიალი „დიდებული საუკუნე“ გადის, რომელსაც თავისი მაყურებელი ჰყავს. ჯერჯერობით „X Factor“-ი ყველაზე მაღალრეიტინგული გადაცემაა. ვნახოთ, კვირის ბოლომდე რას იზამს. დიდი შანსია, რომ რეიტინგებში პირველ ადგილზე გავიდეს.



**გეგა ფალავანდიშვილი: „X Factor“-მა „ორ ვარსკვლავს“ დამაჯერებლად მოუგო, ცოტათი არა, კარგად. 15 პროცენტი ბოლო დროს არაფერს აღარ ჰქონია. წელს სატელევიზიო სივრცეში ეს ციფრი ძალიან მაღალი პროცენტია“**

**მარინა ბერიძე:** - მხოლოდ „რუსთავი 2“-მა უნდა აკეთოს მუსიკალური პროექტები!!! აბა თქვენ იცით, გილოცავთ!

**დათო გერსამია:** - დღეს „რუსთავი 2“-მა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ლიდერია.

**ნანუკა ჟორჟოლიანი:** - „X ფაქტორის“ რეიტინგითქოო:)) სუპერ, სუპერ, სუპერ:) მოუგო კონკურენტსაც ძალიან დამაჯერებლად და ზოგადად ყველაფერს. გილოცავთ კიდევ ერთ, წარმატებულ პროექტს.

**გიორგი გაბუნია:** - რა თქმა უნდა, ვაჯობებდით, ყოველთვის ასე ხდება და არც ეს არის გამონაკლისი. ასე რომ, ამაზე არ ვნერვიულობ.



**გიორგი გაბუნია: „მე არანაირად არ მწყინს კონკურსანტების მესიჯები ჩემ მიმართ, დავიმსახურე და...ზედმეტად სერიოზულად იღებენ შენიშვნებს კონკურსანტები. ეს მათი არც შეურაცხყოფაა, არც დაცინვა. სახუმარო გადაცემაა, სადაც ვხუმრობთ. სტეფანესაც გაუკვირდა - მას ეგონა მეტი პროფესიული შეფასება უნდა ეკეთებინა“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მანჩო გიორგობიანი: „დღეს რომ მოვკვდე, არ მეში



**my View**

**თამარ გონგაძე**

**მანჩო გიორგობიანმა გასულ კვირას მედია ისე მოიცვა, სუპერ პოპულარული გახდა. პოპულარობა არ აოცებს, ეს მისთვის ახალი ხილი არ არის, დაბადებიდან პოპულარული ვარო, ამბობს. კოლორიტული ოჯახის შვილია, ნამდვილი თბილისელი. მისი მშობლები საბჭოთა ჟურნალისტიკის ფედერაციის წევრები იყვნენ. მამა ცნობილი სპორტული ჟურნალისტი, ნოდარ („აშხენა“) გიორგობიანი იყო. დედა - დელა კვაჭაძე. მანჩო პროფესიით ფილოლოგია. მშობლების გავლენით რადიოშიც უმუშავია და ტელევიზიაშიც. ის სპეციალურად „პრაიმტაიმის“ მკითხველისთვის დეტალურად გვიყვება - ვინ არის, რა ამოძრავებს და როგორ მოვიდა დღემდე.**



დიდი ბაბუა ალექსანდრე კვაჭაძე - ხევის პირველი მასწავლებელი, მეუღლესთან ანა მალანიასთან ერთად



60-იანი წლები, ნოდარ (აშხენა) გიორგობიანი და კოტე მახარაძე (მატჩის წინ)

### „მილიონჯერ წავიმტვრიე ცხვირი“

„მე იმხელა ცხოვრება ვიცხოვრე, იმდენად გადატვირთული... ვნახე ომი და მშვიდობა, პირდაპირი მნიშვნელობით... ვნახე გაჭირვება და სიმდიდრე, უბედურებაც და ბედნიერებაც.

ვიცხოვრე, კი არ ვიარსებე, ვიცხოვრე, ცუდად, კარგად, სხვა თემაა... ვიცხოვრე!... არც ადრე შემშინებია, მაგრამ დღესაც, აი, დღეს რომ მოვკვდე, არ მეშინია. ჩემი უმთავრესი მისიაც შესრულებული მაქვს, შვილი, შვილები (ორი დისშვილი) გავზარდე.

კარგი გოგო ვარ და ფრთები მასხია-მეთქი კი არ ვამბობ. უმძიმესი ადამიანი ვარ ჩემი ახლობლებისთვის, ამ ჩემი თავნებობითა და უკიდეგანო თავისუფლებით. ზოგისთვის უბრალოდ საშინელება ვარ და არ მწყინს ასეთი შეფასება, იმიტომ, რომ მიკეთებია დაუშვებელი, წრეგადასული სითამამე. ამიტომ სამართლიანად თუ გამაკრიტიკებენ, არ მწყინს, ბოდიშის მოხდაც ვიცი, ვეტყვი ადამიანს - „მაპატიე, გაწყენინე-მეთქი“, მაგრამ დაბრალებას ვერ ვიტან, ვერ ვიტან ტყუილების კორიანტელს.

ადრე კატასტროფულად განვიცდიდი, ჩემზე აგორებულ ჭორ-მართალს, მაგრამ ჩემი და რომ გარდაიცვალა, მაშინ მივხვდი, ცხოვრებაში რაზე უნდა ვინერვიულო და რაზე - არა.

მე ჩემს თავთან მართალი ვარ, შინაგანად მართალი. დამაინტერესებდა, მომინდებოდა, მომიფრენდა და ვაკეთებდი. ამით საკუთარ თავს ვვნებდი ყველაზე მეტად, მილიონჯერ წავიმტვრიე ცხვირი, ავირ-დავირიე ცხოვრება. იმ წუთას ხომ ვერ ხვდები, რომ უბედნიერესი ხარ, როცა კარგავ, მერე ხვდები“.

### მამის დარიგება

„ერთადერთი ადამიანი, რომელიც ყველაფერს მიგებდა იყო მამაჩემი. რა საშინელებაც არ უნდა მომეყოლა, შენიშვნას არ მომცემდა, უბრალოდ, მომიყვებოდა ხოლმე ათასს მსგავს ისტორიას და მახვედრებდა, საით უნდა მევლო. თავის ჭკუაზე მატარა, თან სიტყვებით - „მამა, შენ თავისუფალი ადამიანი ხარ, როგორც გინდა ისე მოიქეცი, ოღონდ შენ თავთან უნდა იყო მართალი...“ ერთხელ ვკითხე, როცა მართალი ვარ, უფროსსაც შევეკამათო-მეთქი? მიპასუხა, შენი სიმართლე ყველგან უნდა გაიტანო, ოღონდ დაიმახსოვრე, ილია ამბობდა - „იყავ თამამი, მაგრამ ნუ იქნები თავხედი“. 30 წლის ვიყავი მამა რომ გარდამეცვალა, ისე წავიდა იმქვეყნად, ერთხელაც კი არ მომიტყუებია, დედაჩემი კი, მილიონჯერ)))))“.

**„ბევრი ტკივილი გადავიტანე ამის გამო, მაგრამ სხვა ნუ ჩაერევა ჩემს ცხოვრებაში, თავისსას მიხედოს. მისთვის ხომ არ გამიფუჭებია? მისთვის ხომ არ დამიშავებია? რას მჭორავ? რას ბოდავ? საკუთარი ცხოვრებით დაკავდი რა... მე ისიც მეყოფა, ჩემმა შეცდომებმა ცხოვრება რომ ამირ-დამირია“**

### დათო - „ღმერთის საჩუქარი“

„მეორე ადამიანი, ვისაც უპირობოდ ვემორჩილები (ნუ, თითქმის უპირობოდ, თუ დავპირდი რაღაცას „არ ვურღვევ!“), არის ჩემი ბიძაშვილი, ჩემი ძმა, დათო გიორგობიანი. ჩვენ ერთ ოჯახად გავიზარდეთ, მამაჩემი თვლიდა, რომ ოთხი შვილი ჰყავდა - ლელა, გელბახიანების რძალი, ყველაზე უფროსი იყო, დათო, მე და ჩემი და, ნანა. მარიამ გიორგობიანი ბევრად პატარაა ჩვენზე. მე უმცროსი ვარ, დათოს გაზრდილი. არ მახსოვს, რამე მეთხოვოს და არ შეესრულებინოს, იმ წუთას თუ არა მერე, თუნდაც ოდესმე. ყველა თავისი დისთვის ასეთია, დისშვილებისთვისაც. ოჯახზე აღარ მაქვს ლაპარაკი. მე ვევაჭრები გაუთავებლად რაღაცას, რაღაცის ნებას არ მაძლევს და გამოვიმათხოვრებ ხოლმე. დედაჩემი „ღმერთის საჩუქარს“ ეძახის. მე ვეუბნები ხოლმე - „ლუჩში მოი პადაროჩეკ, ეტო ტიიი“) გადავრიე, მილიონჯერ გადავრიე ეს დინჯი და გაწონასწორებული ადამიანი. სულ რაღაც მემართება, ხან ხიდიდან ჩამოვხტი და ცხვირი მაქვს გადაგლეჯილი, ხან წყლის თხილამურზე ვიდექი და ფეხი მაქვს გადახეული, ხან დავილეწე და ნეკნები დამტვრეული, ფილტვი ჩაფუშული... დათო არის ჩემი მამა, ძმა და პატრონი...! მაგრამ აბა, გვერდიდან შეხედეთ, ამას გაძლება ხომ უნდა?! და ნეტავ მარტო ეს იყოს... ჩემ გარშემო სულ საგიჟეთია, სულ მითქმა-მოთქმა, ერთმანეთში აზელილი ტყუილი და მართალი. თავმოყვარე ოჯახისთვის ეს ურთულესი, უმძიმესი გადასატანია, მტკივნეულია, საშინლად აუტანელი და ფათერაკიანი ვარ. მე ვიცი, რომ ესეთი ვარ, ბევრჯერ მიცდია, მაგრამ ვერ ვიცვლები ესეთი ვარ...“.

### ბიჭები

მანჩოს ერთი ვაჟი ჰყავს, 19 წლის სანდრო ქოიავა, რომელიც ნიუ-იორკში, „ბარუქში“ ბიზნესის განხრით სწავლობს. სანდრო ამერიკის მოქალაქეა. ამბობს, რომ სანდროს ფეთიანი მამა ჰყავს, ამიტომ მე მშვიდად ვარო. ორ დისშვილს თავის შვილებად მიიჩნევს - მიკა და რეზო ჯაფარაშვილებს მანჩო ზრდის.

„როგორც მე არ მომხვედრია ხელი მშობლებისგან არასდროს, ისე არ მოხვედრია ჩემგან ხელი ჩემს შვილსა და დისშვილებს. სანდრომ დამაყვედრა, მეჩხუბებოდი, სუპი ჭამეო... სამი წლის ასაკში არაფერს ჭამდა და რა წამომაყვედრა, ხედავთ? ბიჭებს ვეუბნები, ყველაზე საშინელებაც რომ ხდებოდეს თქვენს ცხოვრებაში, მე მელაპარაკეთ, რომ იმ საშინელებიდან ერთად გამოვიდეთ-მეთქი. ვთქვათ, ფეხი აგიცდათ, ვთქვათ, რაღაცას მიეჩვიეთ, მითხარით, სანამ დროა დაგეხმაროთ-მეთქი. მე დიდი გამოცდილება მაქვს. ჩემ გარშემო ეს უბედურება წლებია ხდება და მე ეს ვიცი. მათ, როგორც კაცებს ისე ველაპარაკები. ვცდილობ, მეც გავუწიო ანგარიში. სამივე სტიქაროსნები არიან. ცურვა, თხილამურები, ჯირითი - სულ ჩემი სურვილით შევასწავლე“.

### მნიშვნელოვანი ადამიანები

„მყავს ისეთი ახლობელი ადამიანები, ვისაც აზრს ვეკითხები. ისინი მიკეთებენ კონცენტრაციას. ჩემს თავს გადამხდარი მთელი





მანჩო გიორგობიანი

ამ ორომტრიალის მერე ვიწრო წრეში რომ ჩავიკეტე, ამ ადამიანებმა თავიანთი ზუსტი და მნიშვნელოვანი რჩევებით გამომიყვანეს. ეს რჩევები ჩემთვის მნიშვნელოვანია. მათ ვეთანხმები იმაში, რა რჩევაც მომცეს - საზოგადოებას მათ ენაზე უნდა ელაპარაკოო. მათ ანგარიშს ყოველთვის ვუწევ, ზოგჯერ გამომდის, ზოგჯერ - არა, მაგრამ ყოველთვის ვცდილობ“.

### „თქვენი გოგო დაკავებულია“

„მამამ გამზარდა, სულ ბიჭებში გავიზარდე, მთელი სკოლა ყირაზე, უბანშიც ვტიპობდით. 16 წლამდე ფეხბურთს ვთამაშობდით, ბიჭებთან ერთად ვჩხუბობდი, გვიჭერდა მილიცია, ხან საბურთალოს მილიციაში გვქონდა პრობლემები, ხან მცხეთის მილიციის „კპზ“-დან გამოვყავდით მე და ჩემი ბიჭები მამაჩემს, ბიძაჩემს და დათოს. ახლა ვხარხარებთ ძველ ამბებზე, მაგრამ მაშინ წარმოიდგინეთ?! ტელეფონი რომ დარეკავს ოჯახში, ღამის 12-საათზე - „თქვენი გოგო დაკავებულია ხულიგნობაზე“ - მცხეთიდან!!!!!!

რა თქმა უნდა, ყველა „ბრალდებული“ გამოვყავდით. არ მახსოვს, ან მამაჩემი გამბრაზებოდა, ან დათო. მერე ვიჯექით ხოლმე და ვარჩევდით - რა, როგორ, რატომ მოხდა, იყო თუ არა საჩხუბარი, ა.შ. და ა.შ... დედაჩემი ამ დროს „სირენებით“ და კომაში - რა ვთქვა ხალხშიოოოო?!!!))).

ბებიაჩემი - გაფო გორდულაძე მთელი ცხოვრება 55-ში ასწავლიდა ქართულს და გეოგრაფიას, სამ-სამი თაობა ჰყავს გაზრდილი თითო ოჯახიდან. ულამაზესი, უნაზესი არსება იყო, კდემამოსილი და დარბაისელი. გიჟდებოდა ჩემზე, ერთხელაც არ მახსოვს მისი აწეული ხმა... მაგრამ რომ გაიგო - მანჩო 55-ში უნდა მივიდესო, ოღონდ აი ეგ არააოოო))). ბებიაჩემთან ჩემს მშობლებს იმიტომ აწყობდათ ჩემი მიყვანა, რომ გაკვეთილების მერეც მომხედავდა. დედაჩემი და მამაჩემი ორივე მუშაობდა.

მაგრამ მე 150-ე სკოლაში აღმოვჩნდი ხილიანზე, 5 წლისა შემაქანეს. სრულიად ველური და მაუგლი... უზედამხედველოდ!!! აი, კარგს რას გავაკეთებდი?! ოღონდ სულ 4-ებზე და 5-ებზე ვსწავლობდი და ალბათ, ამიტომაც მპატიობდნენ პედაგოგები ბევრ რამეს, ყოველთვის კარგად ვსწავლობდი.

ჩემი კლასელები, „ბანდა“, დღეს, თითქმის ყველა, შემდგარი ადამიანია. ოჯახები ჰყავთ, მუშაობენ. რომელიმეს შევხედავ და ვერც წარმომიდგენია, რომ ეს ადამიანი ოდესღაც „ჯიბიდან გავარდნილი ხულიგანი“ იყო, „ხელიდან წასული“, „ამისგან კაცი არ დადგება“ - ასე რომ ახასიათებდნენ სადამსჯელო პედსაბჭოზე ზოგიერთი პედაგოგი.

და მე?! პედსაბჭოზე თავდახრილი რას ვისმენდი ხომ წარმოგიდგენიათ?! დაწყებული - „გოგო ხარ, ბიჭი ხომ არ ხარ?!“ დანარჩენი ზუსტად იგივე შენიშვნები, რასაც ბიჭებს ეუბნებოდნენ.

მეორე ბებია, მარგო ლანჩავა (მარგალიტა ვასილევნა - ასე ვეძახდით შვილიშვილებიც და მისი უზარმაზარი სანათესაო) იყო. რკინიგზის ნომერ პირველ საავადმყოფოში ექიმი-რენტგენოლოგი, მთელი საქართველო იცნობდა. მარგუშა გიჟდებოდა ხუთოსან და მედალოსან შვილიშვილებზე - ლელაზე, დათოზე, ნანაზე და ამათ გვერდზე უცებ მე - მაუგლი, „ბანდიუგა“, დაჭერობანას ვთამაშობდი აკაციის ხეზე, ტოტიდან-ტოტზე დაჭერობანა, წარმოგიდგენიათ?! ახლაც დგას ის ხე და ჩემი საუფროსო „სავარძლით“. დაჭერობანაში, მარტო ჩემი მეზობელი სომეხი ერიკა მიგებდა მთელს უბანში. ერიკა საქართველოს ერთიანობას შეეწირა აფხაზეთში. ძალიან მეტკინა მაშინ, ძალიან, ახლაც მეტირება მის ოჯახზე, ისეთი კარგები იყვნენ. ბებიაჩემი მარგო ძალიან ხშირად ამბობდა ხოლმე ჩემზე - „დედა-დედააა, ამას რა გაათხოვებსო?! - სერიოზულად განიცდიდა. ვერ მოესწრო ვერც ჩემს გათხოვებას, ვერც დაქალებას, მთელი თავისი „პოპულიარული“ (ვერ ვიტან ამ სიტყვას) ორომტრიალით, რაც ჩემ გარშემო ხდებოდა და გრძელდება დღესაც. კიდევ კარგი, ვერ მოესწრო! მადლობა ღმერთს! თორემ მოკვდებოდა და იტყოდნენ, შვილისშვილმა მოკლაო. ჯერ მამაჩემმა გადაიყვანა ჭკუიდან მთელი ცხოვრება და მერე კიდევ მე, იმის „გამეორება“ - „მე მინდა და ვსო,“ „მე ასე ვთვლი საჭიროდ“, „მე სულ მართალი ვარ“ და ა.შ.

მაგრამ რა ვქნა, მე ვერ გავხდებოდი ვერც ლელა, რომელმაც წითელ დიპლომზე დაამთავრა სამედიცინო და ვერც ჩემი და, ნანა - აკადემიური ადამიანი, რომელმაც მოისურვა გამხდარიყო პედაგოგი და 21 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, 43 წლამდე სული-გული, განათლება, რაც გააჩნდა, ყველაფერს დებდა თავის მოსწავლეებში. აფანატებდა თავის მოსწავლეებზე. მე ვარ მე. ვილაცისთვის მონსტრი ვარ, ვილაცისთვის მსოფლიოში ყველაზე უსაყვარლესი ადამიანი. იყოს ასე, მყოფნის ამ ადამიანების სიყვარული, მასაზრდოებს. სამაგიეროდ, მე ვარ მე და ვერავინ და ვერაფერი ვერ შემცვლის, თუ განგებამ არ ინება“.



დაგომისი - 1990 წელი

### ფესვები

„აი, როგორ ნიადაგზე ვარ გაზრდილი. 1905-იდან უნდა დავიწყო მოყოლა. იმიტომ რომ გენეტიკააა, იმიტომ რომ გარემოა, იმიტომ რომ ბებია-ბაბუების და მშობლების წრიდან გამომდინარეა ყველაფერი. დედაჩემის ბაბუა ალექსანდრე კვაჭაძე, ხევის პირველი მასწავლებელი იყო, იმპერატორი ალექსანდრე რომ ჩამოვიდა, თარჯიმნად დაახვედრეს. ბაბუაჩემმა გააკეთა ხევში პირველი სკოლა. დედაჩემის მამა - დუშეთის რაიკომის მდივანი იყო, მოიხსნა ბრონი (ანუ არ ეხებოდა მობილიზაცია), 33 წლის წავიდა სამამულო ომში და იქ მიღებული ჭრილობით გარდაიცვალა. ბებიაჩემის ერთი ძმა, „დათა თუთაშხიაში“ თამაშობს - იოსებ გორდულაძე, მთელი სამამულო გაიარა და ბოლოს რაკასოვსკის ადიუტანტი იყო. „გიორგი სააკაძეში“ უნდა ეთამაშა, მაგრამ აღარ მახსოვს, ავად გახდა, თუ რაღაც. მერე აკაკი ხორავამ ითამაშა. ხორავა, რა თქმა უნდა, იოსებზე ბევრად დიდი მსახიობი იყო, კიდეც შეასრულა უნიკალურად.

გიორგობიანები ფუტიეთიდან და ბარიდან ვართ წარმოშობით. სამწუხაროდ,



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ნია. ჩემი უმთავრესი მისიაც შესრულებული მაქვს“

**„ადრე კატასტროფულად განვიცდიდი, ჩემ გარშემო აგორებულ ჭორ-მართალს, მაგრამ ჩემი და რომ გარდაიცვალა, მაშინ მივხვდი, ცხოვრებაში რაზე უნდა ვინერვიულო და რაზე - არა“**



**„ჩემ გარშემო არის სულ საგიჟეთი, სულ მითქმა-მოთქმა, აზელილი ერთმანეთში ტყუილი და მართალი. თავმოყვარე ოჯახისთვის ეს ურთულესი, უმძიმესი გადასატანია, მტკივნეულია, საშინლად აუტანელი და ფათერაკიანი ვარ. მე ვიცი, რომ ესეთი ვარ, ბევრჯერ მიცდია, მაგრამ ვერ ვიცვლები ესეთი ვარ...“**

**EXCLUSIVE**



დელა კვაჭაძე ტელევიზიაში

ნასახლარიც არ მაქვს. ვეძებეთ და ვერ ვიპოვეთ. ბაკურ ბაკურაძე დამპირდა, მე მაქვს მიწა და ჩაგადგმევინებთ სახლსო. გიორგობიანები მატიანეში ჩნდებიან მე-16 საუკუნეში, „ფუსტები“ ერქვათ. რაინდთა ორდენი იყო, ეკლესიების სიწმინდეებს იცავდნენ“.

### „მყავს ასეთი მეგობრები, ამიტომაც არ მეშინია“

„კარგი გოგო - „ბელენკაია ი პუშისტაია“ ვარ-მეთქი, არასდროს მითქვამს. თუ რამე გამიფუჭებია, დამიშავებია, ჩემი თავისთვის დამიშავებია და ეს ხშირად ხდებოდა ჩემს ცხოვრებაში, ყველაფერი ისევ მე დამიბრუნდა ბუმერანგივით, ყველაფერი! ბევრი ტკივილი გადავიტანე ამის გამო, მაგრამ სხვა ნუ ჩაერევა ჩემს ცხოვრებაში, თავისსას მიხედოს. მისთვის ხომ არ გამიფუჭებია? მისთვის ხომ არ დამიშავებია? რას მჭორავ? რას ბოდავ? საკუთარი ცხოვრებით დაკავდი რა... მე ისიც მეყოფა ჩემმა შეცდომებმა ცხოვრება რომ ამირ-დამირია. მილიონჯერ და ათასჯერ დავიწყე ნულიდან - პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც. ამიტომაც ვარ უშიშარი, ყოველთვის ვიცი, რამდენჯერაც დავეცემი, იმდენჯერ ავდგები. ულრან ტყეში რომ დამტოვო, იქ არ დავიკარგები, იქაც ავიწყობ ცხოვრებას. არაფრის არ მეშინია, არც უფულობის (ხშირად ყოფილა), არც უმანქანობის (ახლაც არ მყავს), არც „უბრენდობის“. მყავს არაჩვეულებრივი მეგობრები და სულ რომ ქვეყანა დაიქცეს, უკაპიკოდ, უექიმოდ, უტანსაცმლოდ არ დამტოვებენ, კაფე-კაფე გამართობენ კიდეც და მძღოლადაც მომემსახურებიან (გოგოებზე ვამბობ). ნინიკო გოცირიძე (სულ მშვიდი, ყველაფერი ესმის, აი, ყველაფერი), ლიკა პირველი (სულ ნერვიულობს ჩემზე, სულ მეხვეწება, ჭკვიანად მოიქეცი, მემუდარება), ქეთი ლოლაძე (უსიტყვოდ ესმის ყველაფერი, ოღონდ უნდა იცოდეს, რომ მე არ ვნერვიულობ), დოდოშკი სვანიძე (ჩემი უტკბესი, უფროსია ჩემზე, სულ ეცინება ჩემს სისულელეებზე), მაკა ანთიძე ( განიცდის საშინლად ამ ჩემს გამოხტომებს, ვერ იგებს რატომ ვცემ „ნაციონალებს“, ვუხსნი, ყველაფერს იგებს, ცემას - ვერა)))), სოფო ქორქია (ფაფარაშლილი ლომივით სულ მეჩხუბება, ალარ შემიძლია, შენი მართლება, კარგი, სირცხვილია, დიდები ვართ უკვე, უხერხულია. როდის უნდა დაწყნარდე, ალარ შემიძლია შენი მართლებაო), ოღონდ არაფერს მაკლებს). საერთოდ, ჩემი გოგოები, რაც მათ ძალებშია, არაფერს მაკლებენ. თეონა კონტრიძე - ჩემი ღვიძლი, ნატა ფირცხალავა - „პატომსტვენნაია არისტოკრატკა“, ესმის ყველაფერი, შენიშვნასაც კი არ მაძლევს. ყველას ვერ ჩამოვთვლი. მყავს ასეთი მეგობრები, რომლებიც, სულ რომ ბომჟობა მოვინდომო, არ მიმატოვებენ. მყავს და ეს მაძლიერებს, ეს დიდი ზურგია. ამიტომაც არ მეშინია.

ბიჭებზე - ძმებზე ცალკე ვილაპარაკებ. არც ერთი ჩემი მეგობარი ბიჭი არ გეტყვის „მანჩო ჩემი დააო“. გეტყვიან „მანჩო ჩემი ძმაა“ - ასეა და იმიტომ, „ერთი ფუთი მარილი გვაქვს ნაჭამი ერთად“ და იმიტომ.

ერთი წრე ერთ უბანს არ ნიშნავს. წრეა, როდესაც მშობლები მეგობრობენ, ერთად ისვენებენ, ერთად ქეიფობენ, ერთად ერთობიან. შვილებიც ზამთარ-ზაფხულ ერთ გარემოში ხვდებიან. წრე-წრეა, უახლოესი მეგობრები კიდევ სხვა ფენომენია...“



ნოდარ გიორგობიანი მეუღლესთან, დელა კვაჭაძესთან და ძმადნაფიცთან, სპორტსმენ შოთა ჩართოლანთან ერთად

### „ვსიო, ამოვთქვი“

„ამდენს იმიტომ ვყვები ჩემს გარემოზე, რომ მე აქ ჩამოვყალიბდი, ამ ყველაფერმა განაპირობა ის, რომ მე ვარ მე. ეს არის ნიადაგი, რაშიც გავიზარდე. მართლა ჩემზეა ნათქვამი „სემია ნე ბეზ უროდა“, სრულიად თავნება, აუტანელი, თავგასული. „მინდა და ვსო“, ან „არა? ნურა!“ და ვსო“.

სანამ ადამიანი მეძვირფასება, მანამდე ვცდილობ კონსენსუსამდე მისვლას. თუ არ გამომდის, მოვტრიალდები და უხმოდ მოვდივარ, სკანდალის გარეშე... და მერე ეს ადამიანი კვდება ჩემთვის. ეს ყველას ეხება, მეგობრებსაც და ჩემს გვერდში მდგომ მამაკაცებსაც...

საშინელი ხასიათი მაქვს, საშინელი. მიცდია, გადავკეთებულიყავი, მაგრამ არ გამომდის, შიგნიდან ვიყინები ადამიანის მიმართ. და იმიტომ რომ „აწყობილი-დაწყობილი“ ოჯახი ჰქვია, ტყუილში ვერ ვცხოვრობ, ყასიდად ვერ ვეტყვი - „მიყვარხარ“.

არასდროს, არავისგან, არაფერი არ მომითხოვია და არ წამომილია, არასდროს - „მკიდია“. ნულიდან ვიწყებ და გამომდის. მუშაობაც გამომდის, უპატრონოც არ ვარ და მეგობრებიც კარგი მყავს. თან ამტანიც ვარ და გადამტანიც. ვსიო, ამოვთქვი!!!

გაგეხსენი...“.



დათო გიორგობიანი
კაუნასის ჟალგირისის და თბილისის დინამოს მატჩი, 80-იანი წლები

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# აგვისტოს ომი




**ვუძღვნი შვილის, შალვა დოლიძის, ხსოვნას**

**რა ვუთხრა იმას, ვინც უთმობს სხვას მამა-პაპის კერასა**
**ვაჟა**

2008 წლის აგვისტოს ომი უმძიმესი დარტყმა იყო ჩვენი ქვეყნისათვის.

დიდია ადამიანთა მსხვერპლი, დავკარგეთ ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, მივიღეთ განადგურებული სოფლები და დევნილი მოსახლეობა.

შექმნილმა კრიზისულმა ვითარებამ მაიძულა გამომეთქვა მოსაზრებები ქვეყნის უსაფრთხოებისა და ზოგიერთი თავდაცვითი ღონისძიებების ჩატარების შესახებ. ვინაიდან მიმაჩნია, რომ ომი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და მისი ალბათობა კვლავაც დიდია.

მიზანშეწონილად მიმაჩნია საომარი ან განსაკუთრებული მდგომარეობის დროს შეიქმნას: დასავლეთის, აღმოსავლეთის, სამხრეთის, თბილისისა და მისი მიმდებარე დასახლებული პუნქტების მიმართულებების ოპერატიული დაჯგუფებები, რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ აღნიშნულ რეგიონებში მათდამი დაქვემდებარებული სამხედრო ფორმირებების ორგანიზებულ მოქმედებებს. დაჯგუფებები, გარდა ყველაფრისა, უნდა იყოს დაკომპლექტებული მებრძოლი საინჟინრო-მშენებელი ბრიგადებით, კარგად მომზადებული ქიმიური და ტოპოგრაფიული ქვედანაყოფებით და ყოველ მათგანს უნდა ჰქონდეს საკუთარი სასწავლო ცენტრი.

დღევანდელ პირობებში საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე და სტრატეგიული და ოპერატიული მიმართულებების უზრუნველსაყოფად, უნდა ჰყავდეს10 გაშლილი ბრიგადა (მსუბუქი ქვეითი და შერეული მექანიზებული), რომელთა განლაგება უნდა იყოს საფუძვლიანად არგუმენტირებული, მოწყობილი ძირითადი და სათადარიგო რაიონებით და ისე გათვლილი, რომ საჭიროების შემთხვევაში მათი გადაჯგუფება 7-8 საათს არ აღემატებოდეს (სათანადო ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებით).

რიცხობრივად ბრიგადებში რაოდენობა უნდა შემცირდეს და არ უნდა აღემატებოდეს 2200-2300 ს/მ, შემცირებები უნდა შეეხოს ბატალიონებსაც, ამ შემთხვევაში ისინი იქნებიან ბევრად მოქნილნი, მანევრირებადი და შედარებით ადვილად მართვადი, ოპერატიული მიმართულებებიც მტრის მოულოდნელი შეტევისაგან ბევრად უფრო დაცული.

რეგულარული ჯარის მთავარი ამოცანა უნდა იყოს მტრის ფართომასშტაბიანი შემოტევის შეჩერება ქვეყნის რესურსების სრულ მობილიზაციამდე.

(მმართველობა არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 8-10%-ს).

გაერთიანებულ შტაბში, ბრიგადებსა და ცალკეულ ს/ნაწილებში უნდა აღდგეს სამობილიზაციო სამსახური, ხოლო ადგილობრივ მმართველობებში გაიზარდოს იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც უშუალოდ იქნებიან დაკავებულნი ამ საკითხით.

საომარი მოქმედების დაწყებამდე მკაფიოდ უნდა იყოს გამოკვეთილი ხელისუფლების პასუხისმგებელ პირთა მიერ მათზე დაკისრებული ფუნქციური მოვალეობის შესრულება, ყოველმა მათგანმა უნდა იცოდეს თავისი ადგილი ამ ვითარებაში. (არაპროფესიონალი ხალხის ჩარევა ჯარის საქმეში არ უნდა ხდებოდეს).

ჯარის უმაღლესი ეშელონი უნდა იყოს ეროვნული, კომპეტენტური (სტრუქტურული ოპტიმიზაცია არაა საკმარისი), ერთგული თავისი საქმისა, ხალხისა და სახელმწიფოსი.

რაც არ უნდა გაჭირვებული ქვეყანა ვიყოთ, უნდა გაგვაჩნდეს სახელმწიფო სტრატეგიული რეზერვი და საჭიროების შემთხვევაში შევძლოთ მოკლე ხანში (3 - 4 დღე) ყველა სახის (ნედლეული, სამშენებლო მასალები, სათბობი, ენერგომატარებელი, ტრანსპორტი, სურსათი, სამხედრო პროდუქცია და სხვ. რომელთა დახარჯვა უნდა ხდებოდეს განსაკუთრებული დადგენილებით) მარაგის მობილიზება.

გყავდეს ყველაზე მცირერიცხოვანი ჯარი სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ყოვლად დაუშვებელია. (კონცეფცია, რომ ჩვენი ჯარი უნდა იყოს მცირერიცხოვანი, იყო მცდარი და არ შეესაბამებოდა რეგიონში და ქვეყანაში არსებულ ვითარებას).

სამხედრო ბიუჯეტი, ჩვენი პირობებიდან გამომდინარე, უნდა შეადგენდეს ქვეყნის საერთო ბიუჯეტის არანაკლებ 10%-ს, აქედან 30-40% უნდა ხმარდებოდეს პირად შემადგენლობას, ხოლო დანარჩენი 60-70% გადანაწილდეს მის შემცველ პარამეტრებზე (ინფრასტრუქტურა, შესყიდვები, ოპერაციები და მხარდაჭერა).

ჩვენი ქვეყნის სამხედრო დოქტრინა თავდაცვითია, და ასეც უნდა იყოს, მაგრამ თავდაცვის მიზანი მარტო თავდაცვა არაა, შენც უნდა გქონდეს შემუშავებული შენი მოქმედების „შიდა სამზარეულო“.

**შენიშვნა:** ისეთი ქვეყანა, როგორიც ჩვენა ვართ (მოსახლეობის შეზღუდული რაოდენობა), ხანგრძლივი ომის წარმოებას ვერ შეძლებს და მტრის ჭარბი ძალების შემოტევას ვერ გაუძლებს, რის გამოც ვალდებული ვიქნებით ვიქონიოთ ისეთი სახის იარაღი, რომელიც იქნება ჩვენი თავდაცვის გარანტი და ნებისმიერ მოწინააღმდეგეს გასცემს საკადრის პასუხს.

ტანკსაწინააღმდეგო და ჰაერსაწინააღმდეგო (გარდა საჰაერო თავდაცვის ერთიანი სისტემისა) საშუალებების რაოდენობაც უნდა იყოს იმდენი, რამდენიც შეძლებს მოწინააღმდეგის სრულფასოვანი არმიის საფრენი აპარატებისა (საკადრის პასუხს ვერ გავცემთ მოწინააღმდეგეს, თუ ჰაერიდან არ ვიქნებით დაცული) და ჯავშანტექნიკის განადგურებას (პრაქტიკულად მტერი მეტი ძალების გაშლას ვერც მოახერხებს).

**შენიშვნა:** შესაშური იყო ლაზას სექტორში (ოპერაცია „გამდნარი ტყვია“), ისრაელის სატანკო ფორმირებების მოქმედება ბრძოლის ველზე. ტანკები („მერკავები“) გაშლილი იყო ერთ ხაზზე, სათანადოდ დაცული დისტანციითა და ინტერვალებით, იგრძნობოდა პირადი შემადგენლობის (ეკიპაჟების) საუცხოო მომზადება, როგორც ტექნიკური, ასევე ფსიქოლოგიური, გეგონებოდა, ალლუმზე არიანო, კარგი იქნებოდა, თუ ამას ჩვენი ტანკისტები გაითვალისწინებენ.

არსებობს კადრები როკის გვირაბიდან შემოსული მტრის ჯავშანტექნიკის უწესრიგო განლაგებისა ცხინვალისა და ჯავის მიდამოებში, მათი საბრძოლო წესდებების უხეში დარღვევით (ლილოს ბაზრობაზე მიყრილ-მოყრილ მანქანებს გვაგონებდა), რაც ხდიდა მათ იოლ სამიზნედ და მანევრისაგან საკმაოდ შეზღუდულს, რაც რატომღაც ჩვენ ვერ გამოვიყენეთ.

საერთოდ, ცოცხალი ძალის შეყვანას მოწინააღმდეგის პოზიციებზე წინ უნდა უსწრებდეს ეფექტური (მძლავრი) საარტილერიო, სარაკეტო და საავიაციო დარტყმები.

თანამედროვე საბრძოლო მოქმედებები გამოირჩევა მოვლენების ელვისებური ცვალებადობით, მრავალფეროვნებით და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, სისასტიკითაც.

როდესაც მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე შედიხარ, მისი არც ერთი საცეცხლე წერტილი არ უნდა მუშაობდეს, ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა.

შენიშვნა: ბრძოლაში ჩაბმისას შეიარაღებული ძალების შენაერთის (ქვედანაყოფის) პირადი შემადგენლობა 90%-ით მაინც უნდა იყოს დაკომპლექტებული, ხოლო თუ დანაკარგები 30% აღემატება, ის უნდა შეივსოს ან გაყვანილ იქნას რეზერვში ბრძოლისუნარიანობის აღსადგენად.

რაც შეეხება ავიაციას, მას თანამედროვე ბრძოლაში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი (თუ არა გადამწყვეტი) როლი აკისრია და მისი ჩათვლა დამხმარე ძალად ყოვლად გაუმართლებელია.

ეგვიპტე-ისრაელის ომის (1967 წ.) ბედი ძირითადად ავიაციამ გადაწყვიტა, იგივე შეიძლება ითქვას შემდგომში წარმოებულ ბევრ ლოკალურ ომზე. (გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ომი (1982 წ.) ფოლკლენდის კუნძულებისათვის დიდ ბრიტანეთსა და არგენტინას შორის; აქ გადამწყვეტი როლი ავიაციასთან ერთად საზღვაო ფლოტმაც ითამაშა).

ისრაელის სამხედრო თეორეტიკოსები და ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თანამედროვე ომში წარმატება მიიღწევა შეიარაღებული ძალების ყველა სახეობებისა და გვარეობების (საუბარია ქართულ ჯარში სტრუქტურულ ცვლილებებზე) მკაფიოდ შეთანხმებული მოქმედებით, რაშიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ დაზვერვას (ეს ჩვენთვისაც გასათვალისწინებელია).

**შენიშვნა:** სამხედრო დაზვერვის მიერ მიღებული ინფორმაცია უნდა იყოს კარგად შესწავლილი და გადამოწმებული. არ შეიძლება ინფორმაციის უგულებელყოფა.

ომების ისტორიაში ბევრია შემთხვევა, როდესაც რეაგირების გარეშე დატოვებულ ინფორმაციას ცოცხალი ძალის დიდძალი მსხვერპლი მოჰყოლია, ხოლო, ზოგიერთ შემთხვევაში, გადამწყვეტი როლი უთამაშია ომის საერთო შედეგზე.

ბოლო პერიოდის ომების ისტორიიდან, სამხედრო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს 1991 წელს ჩატარებული სამხედრო ოპერაცია კოდური სახელწოდებით „ქარიშხალი უდაბნოში“, რომელიც ჩაატარეს კოალიციურმა ძალებმა ერაყის წინააღმდეგ.

**შენიშვნა:** კოალიციურმა ძალებმა (34 ქვეყანა) ამ ომში დაკარგა 800-მდე სამხედრო მოსამსახურე, ხოლო მოწინააღმდეგე მხარეს (ერაყს) დაეღუპა 70.000 მეომარი, 85.000 ტყვედ ჩავარდა და 30.000 დაეკარგა უგზოუკვლოდ. როგორც ხედავთ, დანაკარგები მარტო ცოცხალ ძალაში საგრძნობლად დიდია და არათანაბარი.

ჩვენი პირობებიდან გამომდინარე, მთავარი დამრტყმელი ძალა ავიაციასთან ერთად უნდა იყოს რეაქტიული და მძიმე არტილერია, სწრაფი რეაგირების ძალები (სპეც. რაზმები, ოპერატიული და მოიერიშე ჯგუფები, რომელთა გამოყენებაც, როგორც კონტროლირებად ასევე არაკონტროლირებად ტერიტორიებზე უნდა იყოს ეფექტური).

ჩვენს ქვეყანას თავდაცვის უნიკალური რელიეფი გააჩნია (2/3 მთაგორიანია) ჩვენს გაბატონებულ სტრატეგიულ სიმაღლეებს თვითონ უნდა ვაკონტროლებდეთ, აგრესორს (რაც არ უნდა ძლიერი იყოს) არ უნდა ათქმევინო, რომ ადვილად შეღწევადი ქვეყანა ვართ.

როდესაც მტრის შენაერთები შემოდიან ერთი გვირაბის გავლით შენს ტერიტორიაზე და ამ ძალის კონცენტრაცია ხდება ქედს იქით, ჩვენ ეს უნდა გვცოდნოდა და მიგვეღო ადეკვატური ზომები მათ შესაჩერებლად, მიუხედავად მუქარისა, შიშის სინდრომი უნდა გადაგველახა და როკის გვირაბი მწყობრიდან გამოგვეყვანა. (არც ახალი გვირაბის გაყვანაზე იტყვის უარს ჩრდილოელი მეზობელი, თუ მოინდომა, ტყავს გაიძრობს და გაჭრის). (ბრძოლა უთანასწოროც რომ იყოს, მან ფუჭად არ უნდა ჩაიაროს).

**შენიშვნა:** მიუხედავად იმისა, რომ ფაშისტური გერმანია მე-2 მსოფლიო ომში სასტიკად დამარცხდა, გერმანელებს ვერ წაართმევ თავგანწირვას, სიმტკიცეს, დისციპლინას და ბრძანების უსიტყვოდ შესრულებას (იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი განსაცდელში იმყოფებოდნენ).

ომის ბედი გერმანიისათვის თითქმის უკვე გადაწყვეტილი იყო, როცა ბერლინის ოპერაციამ ერთ დღეში 15 000 საბჭოთა მეომარი შეიწირა.

არსებულ პირობებში, თავდაცვის მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ზოგიერთ სამხედრო ფორმირებების მოტო და საპალნე (საჭაპნე ტრანსპორტი) ქვედანაყოფებით დაკომპლექტებას, რაც უზრუნველყოფს შეუფერხებლად მათ მომარაგებას შეიარაღებით, საბრძოლო მასალებითა და საჭირო პროდუქტებით.

**შენიშვნა:** საუბარია იმ ფორმირებებზე, რომლებიც უშუალოდ მიიღებენ მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებებში მთაგორიანი ადგილების დასაცავად (ოპერატიული მიმართულებები, გადასასვლელები, ხეობები, კანიონები (ვიწრო ხეობები), საგზაო კვანძები, ულელტეხილები, გვირაბები, ხიდები, ვიწრო ადგილები, საყრდენი კედლები, გაბატონებული სიმაღლეები და სხვა).

აღნიშნულის მისაღწევად ეფექტურად უნდა იქნეს გამოყენებული: ტაქტიკური და საჰაერო დესანტი, ნაღმმტყორცნები, სნაიპერის შაშხანები, დაბრკოლებები (კომბინირებული), საკვამლეები, ასაწყობი ხიდები, დიზელგენერატორები, კვადროციკლები, წყლის ცისტერნები, საწვავგამმართველი საწევარები, სამთო აღჭურვილობა, კინოლოგები, დანაღმული ველები.

საჭიროა, დაიხვეწოს ქალაქების დაცვისა და თავდაცვის გეგმები, ასევე გადაიხედოს გეგმები შემუშავებული ყველა სტრატეგიულ (მთავრობის მიერ შედგენილი ნუსხის თანახმად) ობიექტებზე.

სამხედრო ქალაქების, ბაზების, აეროპორტების, აეროდრომების, პორტების, თავშესაფრების და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვა ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ შეეძლოს მოწინააღმდეგის შეიარაღებული ფორმირებების ეფექტური მოგერიება და მათი ადგილზე ლიკვიდირება. კარგი იქნება, ასევე თუ წინასწარ მომზადდება პოზიციები სანაპირო ზოლის დასაცავად მძიმე და რეაქტიული არტილერიისათვის.

რეგიონებში დისლოცირებულმა სამხედრო ფორმირებებმა და ტერიტორიული თავდაცვის ძალებმა (იქმნება ვითარების გამწვავების შემთხვევაში), შსს ძალებთან ერთად, ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა არ დაუშვან ქვეყნის სიღრმეში (რაშიც მას ხელს უწყობს სტრატეგიული სივრცის არარსებობა) მტრის შეიარაღებული ფორმირებების (ბანდების) დაუსჯელად თარეში და თავისუფალი გადაადგილება (არსებულ ვითარებაში სერიოზულ ყურადღებას უნდა იმსახურებდეს რიკოთის ულელტეხილი და ავტობანის ის მონაკვეთი, რომელიც მტრის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის სიახლოვესაა).

შინაგანი ჯარის დაშლა ამ ეტაპზე იყო ნაადრევი, მისი ფუნქციონირება აუცილებელია, თუნდაც შეზღუდული რაოდენობით. (განსაკუთრებით იქ, სადაც ჯერ კიდევ ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები არაჯანსაღად არიან განწყობილნი ქართული მოსახლეობის მიმართ).

არ შეიძლება პიროვნებას (სხვადასხვა მიზეზების გამო) გადააყოლო ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ფუნქციების მქონე ძალოვანი სტრუქტურა.

**შენიშვნა:** კარგი იქნება, თუ წინასწარ ჩამოისხმება რკინა-ბეტონის ტანკსაწინააღმდეგო და რაკეტსაწინააღმდეგო გადახურული დამცავი საცეცხლე კერები, სათანადო ამბრაზურებით, დაიტვირთება ტრანსპორტზე (კონტეინერის მეთოდი) და მომზადდება მტრის სავარაუდო გადაადგილების მარშრუტებზე (შენიღბვითი ღონისძიებების გათვალისწინებით) გადასატანად და დასამონტაჟებლად.

წარუმატებლობამ და ომის დანაკარგებმა ქვეყანა არ უნდა დასცეს, პირიქით, მან მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ერის სულიერი, ფიზიკური და ინტელექტუალური პოტენციალი.

ყოველი ქალაქი(დასახლებული პუნქტი) უნდა გადაიქცეს ფორპოსტად და გაუწიოს მტერს მედგარი წინააღმდეგობა.

ქვეყნის თავდაცვა (განსაკუთრებით მისი ჩრდილოეთი) უნდა იყოს მტკიცე, შეუპოვარი, მოქნილი, აქტიური, შემტევი, აგრესიული (ჩასაფრებები, რეიდები, კონტრშეტევები, დანაღმვითი სამუშაოები, გარშემორტყმები), ასევე პარალელურად უნდა ტარდებოდეს კომპლექსური ღონისძიებები (საინჟინრო-ტექნიკური, დეზინფორმაციული, სამართლებრივი, სარეჟიმო, საჯარისო, სამძებრო, ოპერატიული).

თბილისი, ქვეყნის საკვანძო და სტრატეგიული დანიშნულების ქალაქები, წინასწარ უნდა იყოს წრიულად დაცული (კაპიტალური შენობა-ნაგებობების მომზადება საყრდენ პუნქტებად (სავარაუდოდ, მარტო დედაქალაქს უნდა ჰქონდეს მომზადებული 400-მდე საყრდენი პუნქტი, გამყარებული მოდერნიზირებული რაველინებით და პასიური თავდაცვის სისტემის ეფექტური გამოყენებით), სათანადო გასასვლელებით, ქალაქიდან გასასვლელი გზების დროულად გადაკეტვით, დაცული ფლანგებით, იმ კომუნიკაციების გაძლიერებით, რომელთაც მოწინააღმდეგე გვერდს ვერ აუვლის, შენიღბვითი ღონისძიებების ჩატარებით, მყარი და მუდმივი კავშირით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საკვანძო ქუჩებს, გზაჯვარედინებს, მოედნებს და ა.შ.).

დედაქალაქი უნდა გაიყოს ორ ნაწილად (მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპირო), რომელიც შემდგომში უნდა დაიყოს საბრძოლო რაიონებად (4), საბრძოლო რაიონები უბნებად (12), საბრძოლო უბნები სექტორებად (24), სექტორები კვარტლებად (96) და საყრდენ პუნქტებად. გარდა ამისა, უნდა შეიქმნას ძლიერი ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული რეზერვი. დედაქალაქის მისადგომებთან უნდა შეიქმნას ორი ძლიერად შეკრული თავდაცვითი წრე (რედუტები), რომლის ყოველი სეგმენტი უნდა იყოს საიმედოდ დაცული, რელიეფის ეფექტური გამოყენებით, სათანადო უკანდასახევი ფორტიფიკაციული ნაგებობებით (რეტირადებით), განსაკუთრებით ტანკსაშიშროების მიმართულებებზე (მოდერნიზებული ნაზავი ზიგფრიდის, მაჟინოს, მანერჰეიმის ფორტიფიკაციული თავდაცვითი ნაგებობებისა), ისეთი თავდაცვითი ზოლის შექმნა, რომელიც სამხედრო ხელოვნების ნიმუში იქნებოდა.

**შენიშვნა:** 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დედაქალაქის შემოგარენში ათობით რესტორანი ფუნქციონირებდა და არ იყო არცერთი ძლიერი დამცავი ფორტიფიკაციული ნაგებობა. (იმ გამოწვევების ფონზე, რასაც წლების განმავლობაში რუსეთი თავს გვახვევდა, დროულად უნდა მიგვეხედა საციცოცხლო დანიშნულების ობიექტებისათვის). ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მოწინააღმდეგის ჯარების დაჯგუფებების (შენაერთების) საზღვრისპირა რაიონებში წვრთნა, ხშირ შემთხვევაში ომის სამზადისის მანიშნებელია.

როდესაც გყავს „კეთილი“ უპატრონო სივრცის მაძიებელი მეზობელი (რომელსაც უკვე ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიის თითქმის 20% და მომავალში მის ანექსიაზე ოცნებობს), საკუთარი ქვეყნის კუთხე-კუნჭულს თვალის ჩინივით უნდა უფრთხილდებოდე და თავგანწირვით იცავდე.

თავდაცვითი ღონისძიებების გატარებისას და მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების მოგერიებისას, რომელიღაც ცალკეულ ტაქტიკურ ან ოპერატიულ მონაკვეთზე საჯარისო ფორმირებები (მოქნილი და მობილური შეიარაღებული ჯგუფების ჩართვით) მზად უნდა იყვნენ გამოიყენონ არა მარტო თავდაცვითი, არამედ შეტევითი ბრძოლის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ელემენტებიც.

კარგია, როდესაც გვყავს ძლიერი, სანდო მოკავშირე (დღევანდელ პირობებში ეს აუცილებელია), მაგრამ კონკრეტულ ვითარებაში, რომელიღაც ეტაპზე მან შეიძლება თავი შეიკავოს ან პოზიცია შეიცვალოს, მაშინ არაა გამორიცხული მარტო მოგიხდეს თავის დაცვა და ამისათვისაც უნდა იყო მზად.

მტერს არ უნდა მიეცეს საშუალება, რომ ხელში ჩაიგდოს კომუნიკაციები (ხიდები, გვირაბები, ავტომაგისტრალი, რკინიგზა, პორტები, აეროპორტები, აეროდრომები, რადარების სისტემა, გაბატონებული სიმაღლეები) და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები.

ოპერატიულად უნდა მოხდეს საპორტო ქალაქებიდან საჭიროების შემთხვევაში ფლოტის გამოყვანა, მნიშვნელოვანი და ძვირადღირებული სამხედრო და ჩვეულებრივი ტექნიკა მტერს ხელში არ უნდა ჩავუგდოთ (პირიქით, აქეთ უნდა წავართვათ), შეძლებისდაგვარად ის უნდა გამოვიყვანოთ უსაფრთხო ზონაში, ან გავანადგუროთ. ჯარი საკუთარი ტერიტორიის ნაწილს რომ ტოვებს და უკან იხევს მოსახლეობა უნებლიედ პანიკაში ვარდება, რაც, ხშირ შემთხვევაში, გაუთვალისწინებელი შედეგით შეიძლება დამთავრდეს. (სანამ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიები მტრის მიერ ოკუპირებულია, თავისუფალი ვერ ვიქნებით).

ოკუპანტი უნდა აიძულო უარი თქვას ჩვენს ტერიტორიაზე, ავიაციისა და ტანკების მასიურ ფართომასშტაბიან გამოყენებაზე, ვინაიდან ჩვენს ხელთ არსებული საშუალებებით (თუ მათ გააზრებულად, რაციონალურად და მიზანმიმართულად გამოვიყენებთ), შევძლებთ საგრძნობლად შევზღუდოთ მისი მანევრირების სივრცე და მივაყენოთ მას აუნაზღაურებელი დანაკლისი.

ჯარს (ქართული ჯარი უნდა იყოს გაკაჟების, წვრთნის, დავაჟკაცების სკოლა და არა თავშესაფარი), გარდა კარგად უზრუნველყოფისა (მაღალი ხელფასები და პრემიები ძლიერი ჯარის ჩამოყალიბებისათვის საკმარისი არაა (მით უმეტეს ეკონომიკურად ისეთი დუხჭირი ქვეყნისათვის, როგორიც ჩვენ ვართ), ამ ე.წ. „კეთილშობილურმა“ სვლამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე და მკვეთრად შეარყიოს ჯარის ავტორიტეტი), სხვა მნიშვნელოვანი კომპონენტებიც გააჩნია, რაც ავალდებულებს სახელმწიფოს ჩაატაროს სერიოზული მუშაობა, განსაკუთრებით მისი ბრძოლისუნარიანობისა და მორალურ-ფსიქოლოგიური მომზადების საკითხებში (მსოფლიო ომების ისტორიაში ხშირია შემთხვევები, როდესაც დაბალი მორალურ-ფსიქოლოგიური მომზადების გამო, განათლებული, კარგად გაწვრთნილი არმიები მარცხდებიან ნაკლებად მომზადებულ, გაუწვრთნელ შეიარაღებულ ფორმირებებთან ჭიდილში).

„საომარ მოქმედებებს განაპირობებს არა მარტო ფული, ციხე-სიმაგრეები, სამხედრო ტექნიკა, გაწვრთნილი ლაშქარი, არამედ მორალური ძალები –პატრიოტიზმი, სულის დისციპლინა“.

**ნ. მაკიაველი**

„რომ მცოდნოდა ჯარის ფსიქოლოგიური მომზადების დონე, ომს ისრაელის წინააღმდეგ არ დავიწყებდი“ (ეს სიტყვები ეკუთვნის ეგვიპტის პრეზიდენტ ნასერს). სავარაუდოდ, ჯარის მთლიანი ორგანიზმის 3/4 მოდის მის სულიერ სიძლიერეზე.

ჩვენმა საუკუნემ ტექნიკის უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის მარტივი და უცვეთი ტრადიციები, რომელიც სამშობლოს სიყვარულს, აღზრდას, ერის წინსვლას, მის გაძლიერებას ემსახურება და რომელმაც შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს ბრძოლის საბოლოო შედეგზე.

დღევანდელ ურთულეს ვითარებაში, ჩვენ ჯარს სჭირდება იდეოლოგიური მომზადების ჩამოყალიბებული სისტემური ხედვა. ჩვენ არავის ვესხმით თავს და არავის არაფერს ვართმევთ, ჩვენ ვიცავთ საკუთარ მიწა-წყალს, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა სისხლის ფასად შეგვინარჩუნეს.

სოციალური პრობლემები ადამიანს არ


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ს გამოძახილი

# გმირი



უნდა აძლევდეს იმის უფლებას, რომ გაჭირვების ჟამს ქვეყანას ზურგი შეაქციოს. რწმენამერყეული საზოგადოების ზოგიერთი ნაწილი უნდა გამოვიდეს იმ ჩიხიდან, რომელშიც დღეს იმყოფება, დროა მას პატრიოტული გრძნობა გაეღვიძოს.

პატრიოტიზმს სხვები არ უნდა გვასწავლიდნენ.

ზოგიერთებს დღემდე ვერ გაურკვევიათ, რა განსხვავებაა პროვოკაციასა და ქართული მიწების მიტაცებას, მოსახლეობის ძარცვას, გაუპატიურებას, გატაცებას, ეკონომიკის მიზანმიმართულ ნგრევას და ქვეყნის დაშლას შორის.

შეიარაღებული ძალების ნებისმიერი რანგის მეთაური უნდა იყოს საქმის მცოდნე, პრინციპული, სამართლიანი, როგორც მშვიდობიანი, ასევე საომარი მოქმედებების დროს შექმნილი გაუთვალისწინებელი გარემოებების სწრაფი გაანალიზება და შესაბამისად, ადეკვატური მოქმედება, აკონტროლებდეს ვითარებას დაქვემდებარებულ დანაყოფებში (შენაერთებში), განთავისუფლებული შაბლონური აზროვნებისაგან, მზრუნველი ხელქვეითებისადმი, ფლობდეს ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებას.

მეთაური უნდა იყოს გამბედი, გულადი, თავგანწირული, ზოგიერთ შემთხვევაში თავზე ხელაღებულიც კი.

რაც არ უნდა რთული ვითარება იყოს, მეთაური ბრძოლის ველს პირველი არ უნდა ტოვებდეს. ეგვიპტე-ისრაელის ომის დროს (1967წ.) ისრაელის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის მსხვერპლის თითქმის 23 % ოფიცრებსა და სერჟანტებზე მოდიოდა (კომენტარი თქვენთვის მომინდვია).

ოფიცერთა კორპუსს გაფრთხილება სჭირდება, უმოტივაციოდ, კანონის უხეში დარღვევით არცერთი პროფესიონალი ოფიცერი არ უნდა იყოს დათხოვნილი შეიარაღებული ძალების რიგებიდან.

**შენიშვნა:** - მე-2 მსოფლიო ომის დაწყებამდე გერმანიაში განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მხედართმთავრების (რჩეული მეთაურების) მომზადებას, მაშინ როდესაც მოწინააღმდეგე მხარე (საბჭოთა კავშირი) პოლიტიკური რეპრესიებით იყო დაკავებული სამხედრო ელიტის მიმართ;

- მე-2 მსოფლიო ომში გერმანიამ საფრანგეთი თითქმის ოფიცრების გარეშე დატოვა, ისინი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ხოლო, ეგვიპტე - ისრაელის (1967 წ.) ომის დროს ებრაელებმა ტყვედ აყვანილი დიდი რაოდენობით ოფიცერი და სამხედრო სპეციალისტები დაიტოვეს, დანარჩენი ტყვეები კი გაანთავისუფლეს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შტაბის ოფიცრების მომზადებას, მათი ოპერატიული და შემოქმედებითი აზროვნების გაფართოებას, ქვეყნის წინაშე მდგარი არსებული საფრთხეების კომპლექსურად შესწავლას, ექსტრემალურ ვითარებაში ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას, თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნას, დაგეგმარების შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენებას, საშტაბო კულტურის დახვეწას.(მე-2 მსოფლიო ომის დაწყებამდე საბჭოთა კავშირი მისთვის ყველაზე უფრო საშიშ სტრატეგიულ მიმართულებად მიიჩნევდა სამხრეთ-დასავლეთ უკრაინას და არა დასავლეთ ბელორუსიას, რამაც სათანადო პრობლემები შეუქმნა მას და მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყანაში ეფექტური თავდაცვითი ღონისძიების ყოვლისმომცველ ჩატარებაზე).

არც ფრანგები მოელოდნენ, რომ გერმანელები არდენით შეიჭრებოდნენ, რისთვისაც მათ გაამლიერეს მაჟინოს ზოლი და არ გაითვალისწინეს სხვა დანარჩენი მიმართულებები, რაც მათთვის სამწუხაროდ აღმოჩნდა (გერმანელებს თითქმის ორი კვირა დასჭირდათ იმისათვის, რომ პარიზში ტრიუმფით შესულიყვნენ).

თითქმის იგივე მოუვიდა პოლონეთს, რომელიც გულმოდგინედ ამაგრებდა ქვეყნის აღმოსავლეთ საზღვრებს, ხოლო დარტყმა მიიღო დანარჩენი (სამხრეთი, დასავლეთი და აღმოსავლეთი) მიმართულებებიდან.

შექმნილი ვითარებისა და მტრის შეუფასებლობა, სრული განუკითხაობა (2008წ.) რეზერვისტების შეკრებისას, მობილიზაციის ტრადიციული უარყოფა, კოდორის ხეობის მიტოვება, სენაკის ბრიგადის უაზრო გადმოსროლა აღმოსავლეთ საქართველოში და დასავლეთ საქართველოს ნახევრად გაშიშვლება (ვითარების გართულების შემთხვევაში გიუმრის (სომხეთი) სამხედრო ბაზა რუსებს რომ გამოეყენებინათ და შემოჭრილიყვნენ ჩვენს ტერიტორიაზე, ჩვენ რას მოვიმოქმედებდით, როგორ და რა ძალებით ვაპირებდით მათ შეჩერებას), დაჭრილებისა და დაღუპულების მიტოვება, მოშლილი დისციპლინა.

პირველი და მეორე მსოფლიო ომების, (მრავალი სხვა ლოკალური ომების) დაწყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო მოწინააღმდეგე მხარეების (მხარის) მიერ ერთმანეთის შეუფასებლობა და გადამეტებული წარმოდგენა საკუთარი ქვეყნების (ქვეყნის) სამხედრო ძალების (ძალის) შესაძლებლობებზე. მოწინააღმდეგეს არ უნდა მისცე იმის უფლება, რომ ილლიაში ამოგიდოს და მორიგი „გეგმური" როტაცია ჩაგიტაროს. ომმა ერი უნდა გამოაფხიზლოს (გამოფხიზლება არ ნიშნავს მხოლოდ დროშების ფრიალს). (მტერი იგოეთამდე არ უნდა შემოგვეშვა).

**შენიშვნა:** აფხაზეთის ომის 2008 წლის აგვისტოს ომთან შედარება არ შეიძლება (კასეტური ბომბები, თვითმფრინავების ჯგუფური შეტევები, ცეცხლში და კვამლში გახვეული სოფლები და საბრძოლო პოზიციები, ჯავშანტექნიკის კოლონები, მძიმე არტილერიის ზალპური ცეცხლი, „ისკანდერების" ზუსტი დარტყმები ქვეყნის სიღრმეში მნიშვნელოვან ობიექტებზე, ტექნოლოგიური და ინფორმაციული იზოლაცია. ყველაფერმა ამან ძლიერი ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინა ჩვენს შეიარაღებულ ფორმირებებზე.

სუსტი შტაბი აქილევსის ქუსლია, რომელიც მტერს საშუალებას მისცემს განახორციელოს საკუთარი ზრახვები. (სტრუქტურული ცვლილება, შემოღებული შეიარაღებულ ძალებში სამეთაურო თანამდებობების სერჟანტების სახით, უმნიშვნელოვანესი მოვლენაა.

აღნიშნული კორპუსი მხარდამჭერი რგოლია მეთაურსა და დაქვემდებარებულ ქვედანაყოფებს შორის, ეხმარება მას ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებაში, მხარში უდგას ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში, არეგულირებს ურთიერთობას უფროსებსა და უმცროსებს შორის, საგრძნობი წვლილი შეაქვს საბრძოლო მომზადებასა და საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებაში, პირადი შემადგენლობის მორალურ-ფსიქოლოგიურ მომზადებასა და სამხედრო დისციპლინის გამტკიცებაში).

მნიშვნელოვანი როლი უნდა დაეკისროს უმცროს მეთაურთა ინსტიტუტს და სამხედრო სპეციალისტებს, რომელთა მომზადება უნდა ტარდებოდეს ჩვენი, ქართველი ინსტრუქტორების მიერ და იყოს მიახლოებული რეალურ საბრძოლო ვითარებასთან რთულ კლიმატურ პირობებში, წელიწადის ნებისმიერ დროს სამოქმედოდ.

(იაპონია მე-2 მსოფლიო ომის დროს განსაკუთრებით ძლიერი იყო უმცროსი მეთაურებით, რომლებიც გამოირჩეოდნენ: გაწვრთნილობით, რელიგიური ფანატიზმით, მაღალი იდეოლოგიური მომზადებით, რაც არ შეიძლება ითქვას საბჭოთა კავშირის უმცროს მეთაურთა კორპუსზე, რომელთა მოუმზადებლობამ (ტექნიკური განათლების დაბალი დონე, ბრძოლის წარმოება რთულ კლიმატურ პირობებში, არასაკმარისი პროფესიონალიზმი) უარყოფითი გავლენა იქონია ფინეთთან ომში (1940წ), რის შედეგადაც მან მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა (დაახლოებით 250 000 დაღუპული სამხედრო მოსამსახურე).

პირადი შემადგენლობის სამხედრო მომზადება უნდა ეფუძნებოდეს თანამედროვე ტექნოლოგიების სრულყოფილად შესწავლას (იმიტატორები, ტრენაჟორები, მოდელირებული საშუალებები, კომპიუტერული ტექნიკა, ინტენსიური ფიზიკური მომზადების გათვალისწინებით), რაც საგრძნობლად აამაღლებს სწავლების ხარისხს, გახდის მას ბევრად უფრო ეფექტურს.

**შენიშვნა:** საჭიროების შემთხვევაში ქვეყანა უნდა იყოს მზად მიიღოს პროფესიონალი მებრძოლებისაგან შემდგარი მოკავშირე ქვეყნების მოხალისეები, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად ქართულ შეიარაღებულ ფორმირებებთან ერთად მათი პირადი სურვილით.

გავიხსენოთ 1-ლი მსოფლიო ომი, როდესაც ამბოხებულ ჩეხთა კორპუსს (50 ათასი) სდიეს ვლადივოსტოკამდე და ქვეყნიდან ძლივს განდევნეს (სავარაუდოდ, მათ გაიტაცეს რუსეთის იმპერიის ოქროს მარაგის თითქმის ნახევარი).

შინაგან საქმეთა სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს ურთიერთქმედება უნდა იყოს შერწყმული და ქვეყნის ერთიანი სტრატეგიის გამომხატველი (კარგი იქნება თუ პერიოდულად ურთიერთმოქმედების დახვეწის მიზნით მათ შორის ჩატარდება ერთობლივი სწავლებები).

დროდადრო სამოქალაქო უწყებებსა და მოსახლეობასაც უნდა ჩაუტარდეს სათანადო წვრთნები, რათა საგანგებო ვითარების გამწვავების პირობებში მათი მოქმედება იყოს შეწყობილი.

თბილისისა და ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტების, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზებზე სასწრაფოდ უნდა იქნას აღდგენილი სამხედრო კათედრები, რომლებიც მოამზადებენ კვალიფიციურ კადრებს სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობების მიხედვით.

საჯარო სკოლებში უნდა აღდგეს სამხედრო საქმის სწავლება და მას დაემატოს ტრადიციული საბრძოლო ხელოვნების სახეობა _ „ხრიდოლი" დასაწყისში ყოველ რაიონში ორი-სამი სკოლა მაინც (სკოლის მერხიდან მოვამზადოთ ხელჩართული ბრძოლისათვის).

ძირითადი და სათადარიგო მართვის პუნქტები, როგორც სამთავრობო, ასევე ძალოვანი უწყებების, უნდა იყოს მოწყობილი თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით და ვითარების უკიდურესად გართულების პირობებში მზადყოფნაში ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

**შენიშვნა**: დაბრკოლებების მიუხედავად (კიბერშეტევები) მოწინააღმდეგის მოქმედებებზე დროული რეაგირებისათვის საჭიროა სწრაფი და ეფექტური ზომების მიღება. რაც ბევრადაა დამოკიდებული ნებისმიერ სიტუაციაში კავშირის (მათ შორის სადენიანი) საიმედო, მუდმივ და შეუფერხებელ მუშაობაზე, როგორც ძალოვან სტრუქტურებს შორის, ასევე, დანარჩენ სახელმწიფო და დაინტერესებულ კერძო სტრუქტურებს შორის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საზღვრის ჩრდილოეთ ნაწილს, დემარკირებული საზღვრის ეს მონაკვეთი(40-ზე მეტი გადმოსასვლელია), უნდა გაძლიერდეს, როგორც პირადი შემადგენლობით, ასევე ტრანსპორტით (მათ შორის საავიაციო), საინჟინრო (ფორტიფიკაციული) და თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, სისტემატური სადაზვერვო სამუშაოების ჩატარების რეჟიმში.

კარგი იქნება, თუ სასაზღვრო ჯარებს ეყოლებათ მცირერიცხოვანი, კარგად შეიარაღებული მობილური ოპერატიული ჯგუფები, აღჭურვილი თანამედროვე ტექნიკით, წელიწადის ნებისმიერი პერიოდისათვის სამოქმედოდ.

ქართველი მესაზღვრეებისათვის დიდი პატივი იქნება, დაიცვან საკუთარი ქვეყნის საზღვრის ის მონაკვეთი, რომელიც ისტორიულად ყოველთვის პრობლემებს გვიქმნიდა (ანაზღაურებაც შესაბამისად მაღალი უნდა იყოს). (ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ტრადიციული შანტაჟისა და ეშმაკობის არსენალში ჩადებულია და დღესაც განსაკუთრებით აქტიურად განიხილება ჩრდილოკავკასიელების შეიარაღებული ჯგუფების მასიური შემოსევა ჩვენს ტერიტორიაზე).

**შენიშვნა:** შემდგომშიც, მოვლენები როგორც არ უნდა განვითარდეს, სახელმწიფო საზღვარი ყოველთვის საიმედოდ უნდა იყოს ჩარაზული. (მით უმეტეს, მოწინააღმდეგეს არ უნდა მიეცეს საშუალება განახორციელოს მცოცავი ანექსია). სათანადო პირობებისა და სამუშაო ადგილების შექმნით, კარგი იქნებოდა სახელმწიფოს ეზრუნა სასაზღვრო რაიონებში ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მოსახლეობის ნებაყოფლობით დასახლებაზე.

ქვეყნის ქალაქების ევაკუაციის გეგმა ისე უნდა იყოს შემუშავებული, რომ 7-8 საათის განმავლობაში მოსახლეობა (განსაკუთრებით: ქალები, ბავშვები, ინვალიდები, დაჭრილები, მოხუცები) ორგანიზებულად იყვნენ გაყვანილი უსაფრთხო, წინასწარ შერჩეულ ზონებში (რაიონებში), სათანადოდ უზრუნველყოფილი პირველადი მოხმარების საგნებით (დიდია ადგილობრივი თვითმმართველობის როლი, რომელსაც უნდა შეეძლოს ექსტრემალურ ვითარებაში იმოქმედოს ოპერატიულად და გააზრებულად). მნიშვნელოვანია ასევე სამხედრო პოლიციისა და შსს პოლიციის მჭიდრო ურთიერთმოქმედება, უკიდურეს შემთხვევაში ევაკუაციის ნაცვლად მივიღებთ მოსახლეობის ეგზეკუციას.

რაც შეეხება კონფლიქტების (ან მის მიმდებარე) ტერიტორიებს, იქ მცხოვრები მოსახლეობის ევაკუაცია უნდა წარმოებდეს წინასწარ შემუშავებული გეგმით, რომელიც მუდმივად უნდა კორექტირდებოდეს.

მთავრობამ ასევე უნდა იზრუნოს თანამედროვე სტაციონარული თავშესაფრების მოწყობაზეც, რომელიც დაიცავს მოსახლეობას მოწინააღმდეგის მძლავრი მასიური საარტილერიო, სარაკეტო და საავიაციო დარტყმებისაგან.

საომარი მოქმედებების დაწყების დროს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ მხარეების გუბერნატორებს,



ქალაქებისა და რაიონების გამგებლებს, რომლებიც ვალდებულნი არიან იძულებით დეცენტრალიზაციის პირობებში მოკლე დროში უზრუნველყონ რეგიონალური (რაიონული) თავდაცვის სისტემის მოქნილი მოწყობა და მის განკარგულებაში მყოფი სამოქალაქო ძალების კონცენტრაცია, მოსახლეობის საიმედო დაცვა, მტრისათვის მედგარი წინააღმდეგობის გაწევა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მათი დროული და ორგანიზებული ევაკუაცია(ტრანსპორტის ეფექტური გამოყენება, ყველა კატეგორიის გზების თანაბარი, რაციონალური დატვირთვა, მათი გამტარიანობის გათვალისწინება) წინასწარ მომზადებულ ადგილებში (მათთვის განკუთვნილი საბრძოლო იარაღის, ტექნიკისა და აღჭურვილობის საცავები უნდა იყოს განლაგებული რეგიონებში არსებული სამხედრო ნაწილების დისლოკაციის ადგილებში).

**შენიშვნა:** რეგიონალური თავდაცვის სისტემა უნდა ქმნიდეს ქვეყნის გლობალური თავდაცვის სტრატეგიის ერთიან ქსელს.

ტერიტორიული თავდაცვის სამეთაურო რგოლი ნაწილობრივ უნდა ივსებოდეს აღნიშნულ ტერიტორიაზე დისლოცირებული სამხედრო ნაწილების ოფიცრებითა და წინასწარ შერჩეული სხვადასხვა კატეგორიის სამხედრო სპეციალისტებით.

ყოველ გუბერნიას (სამხარეო ადმინისტრაციას) უნდა ჰყავდეს კარგად მომზადებული 20-30 კაციანი სპეც. ჯგუფი, ანტიტერორისტული ან სხვა მნიშვნელოვანი ოპერაციების ჩასატარებლად.

ყველა რაიონში, სასწრაფოდ უნდა შეიქმნას (50-60 კაციანი) შტატგარეშე სამაშველო ჯგუფები, რომლებმაც უნდა გაიარონ სათანადო წვრთნები და იქნენ აღჭურვილი მოქმედებისათვის ექსტრემალურ ვითარებაში.

კარგი იქნება თუ შეიცვლება რამდენიმე სამხარეო ადმინისტრაციის ადგილსამყოფელი (რეზიდენცია).

დროულად უნდა იქნეს აღდგენილი ზოგიერთი საბჭოთადროინდელი თავშესაფრები, რომლებიც გაძარცვულ იქნა სამოქალაქო დაპირისპირების დროს.

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის აუცილებლად დამატებით გვჭირდება ერთი ან ორი დამაკავშირებელი გზა, რომელიც სტრატეგიული დანიშნულებისაც იქნება და ინფრასტრუქტურასაც განავითარებს. ასევე, რაიონებში უნდა მომზადდეს შვეულმფრენების (ყველა ტიპის) 2-3 (20X30) დასაჯდომი მოედანი (გარდა, იმ ობიექტებისა, რომლებიც მიეკუთნება სტრატეგიული ობიექტების კატეგორიას და რომელთაც, ისედაც უნდა ჰქონდეთ საკუთარი დასაჯდომი მოედნები).

**შენიშვნა:** როდესაც საუბარია: საარტილერიო, სარაკეტო და საავიაციო დარტყმაზე, უნდა გავითვალისწინოთ აღნიშნული საშუალებების ტაქტიკური და ტექნიკური მონაცემები, ვინაიდან საბჭოთა პერიოდში გაკეთებული ზოგიერთი თავშესაფრები დღეისათვის შეიძლება უვარგისი აღმოჩნდეს.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მოწინააღმდეგეს სხვა უფრო მრისხანე იარაღიც გააჩნია და „საჭიროების" შემთხვევაში მის გამოყენებაზეც უარს არ იტყვის.

განვითარებული ქვეყნების უდიდესი ნაწილი დიდ ყურადღებას უთმობს მასობრივი დაზიანების იარაღისაგან თავის დაცვის მეთოდებს და მოქმედების სავარაუდო ვარიანტებს, რაც ნიშნავს იმას, რომ დღესდღეობით მომწამვლელი ნივთიერებების გამოყენება დაპირისპირებულ მხარეებს შორის კვლავაც რეალურია. (ნატოს ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მომავალი ომები ქიმიური ომები იქნება).

რეზერვისტების მომზადება აუცილებელია, მაგრამ არა იმ მეთოდითა და ფორმით, როგორც ჩვენთან ხდებოდა. ის უნდა შეესაბამებოდეს აშშ-ს, ისრაელის და წამყვანი ევროპული ქვეყნების სტანდარტებს, ჩვენი რეალობის გათვალისწინებით.

მათი შერჩევა, დაკომპლექტება (ტერიტორიული პრინციპი), შეტყობინება, შეკრება, სამედიცინო შემოწმება, შეიარაღება, გადანაწილება, გადაადგილება და სხვა მნიშვნელოვანი ჩასატარებელი ღონისძიებები უნდა გამოირჩეოდეს ორგანიზებულობით და მკაცრი დისციპლინით.

მომზადება-გადამზადება (სპეციალურად შექმნილ ბაზებზე), უნდა იყოს სისტემური და არ ატარებდეს კამპანიურ ხასიათს (შეიარაღებულ რეზერვისტს მოსახლეობა კი არ უნდა უფრთხოდეს, შემთხვევითი გასროლა რომ არ მოახდინოს, არამედ, მისი, როგორც ქვეყნის დამცველის, იმედი უნდა ჰქონდეს).

**შენიშვნა:** რეზერვისტების მომზადება იქნება ეფექტური მაშინ (განსაკუთრებით ამ მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურს (1.5 წელიწადში 2 (ორი) გაწვევა, საბრძოლო მომზადების ძირითადი საგნების 1500 საათიანი პროგრამით), დაბალანსებულს საკონტრაქტო სამხედრო სამსახურთან მიექცევა განსაკუთრებული ყურადღება, გახდება ის ყველასათვის სავალდებულო (აუცილებელი) და გადაიქცევა ქვეყნის სამხედრო სტრატეგიის ერთ-ერთ საკვანძო საკითხად (არსებული ვითარებიდან გამომდინარე, უნდა გადაიხედოს კანონი „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ"). ვერსალის (1919წ.) ხელშეკრულების თანახმად, გერმანიის სამხედრო პოტენციალი მკვეთრად უნდა შეზღუდულიყო, განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლაზე, რაც გერმანელებს კატეგორიულად ეკრძალებოდათ, ვინაიდან მიიჩნეოდა ქვეყნის რეზერვის ერთ-ერთ საიმედო წყაროდ.

შენაერთების, სამხედრო ნაწილების, ბაზების და სხვა სამხედრო ობიექტების რეზერვი უნდა შეადგენდეს მათი საშტატო სტრუქტურის (შტატი 51) 30%-ს, რომელიც, მობილიზაციის შემთხვევაში, 10-14 საათის განმავლობაში უნდა გამოცხადდეს (აქტიური რეზერვი) მიწერილ სამხედრო ნაწილში, რის შემდეგაც შტატი უნდა შეივსოს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# აგვისტოს ომის გამოძახილი



## გმირი

აღნიშნული რეზერვისთვის ტაბელით გათვალისწინებული შეიარაღება და ტექნიკა უნდა შეესაბამებოდეს მის წინაშე დასმული ამოცანების მთლიანი მოცულობით შესრულებას და ინახებოდეს სამხედრო ნაწილების საწყობებში და საცავებში, იყოს გამართული, სათანადოდ შევსებული (რაკეტები, საბრძოლო მასალები, საწვავი, სურსათი, მედიკამენტები და სხვა საჭირო საშუალებები), მუდმივ მზადყოფნაში საბრძოლო გამოყენებისათვის.

პირველ ეტაპზე (24 საათი) რეზერვისტების რაოდენობა უნდა იყოს ადეკვატური რეგულარული ჯარის საერთო რაოდენობისა, რომელიც, ჩვენს პირობებში, მთლიანი მოსახლეობის (4,7 მილიონი) 1%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

საომარი მოქმედებების დაწყებიდან მე-4 დღეს ქვეყანამ უნდა შეძლოს გამოიყვანოს მოსახლეობის 3.5-4% (სავარაუდოდ, 170-180 ათასი) და იარაღი აასხას სათანადო აღჭურვილობითა და მთლიანი რესურსების მობილიზებით (საკმარისი დროა მტრის შესაჩერებლად, ქვეყნის მთლიანი რესურსების მობილიზაციისა და სამობილიზაციო გეგმის ასამოქმედებლად).

**შენიშვნა:** მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული ავღანეთსა და ერაყში სამშვიდობო კოალიციური ძალების შემადგენლობაში ნამყოფი მებრძოლები (მეორე მსოფლიო ომის დროს(1939-1945 წწ.) ბევრი ებრაელი ბრიტანეთის ჯარში იბრძოდა გერმანელების წინააღმდეგ, მიღებულმა გამოცდილებამ შემდგომში ისრაელის თავდაცვის ძალებს ფასდაუდებელი დახმარება აღმოუჩინა).

არაბულ ქვეყნებთან ომში (1967წ) 70 ათასიანი რეგულარული ჯარის არსებობის პირობებში, ისრაელმა მოკლე დროში 200 000-მდე კარგად გაწვრთნილი რეზერვისტი ჩააყენა მწყობრში (ყოველგვარი იარაღის ჟღარუნის გარეშე), რომლებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს ქვეყნის შეიარაღებული ძალების წარმატებაში (თვით, რეგულარული ჯარის 85%-ტს დაგეგმილ დროს უკვე ეკავა ფრონტის წინა ხაზი).

რაც შეეხება ტოტალურ მობილიზაციას, ჩვენ უნდა შევძლოთ მთლიანი მოსახლეობის 8-10%-ის მობილიზება (400-450 ათასი), საომარი მოქმედების დაწყებიდან 8-10 დღის განმავლობაში. (ქალები ძირითადად ჩართული უნდა იყვნენ ლოგისტიკაში და მათი რაოდენობა, სავარაუდოდ, მთლიანი რაოდენობის 10-15%-ს არ უნდა აღემატებოდეს). რეზერვისტების გამოყოფა და ცალკე ჩართვა საბრძოლო მოქმედებებში კატეგორიულად დაუშვებელია (მომზადება უნდა წარმოებდეს კომპლექსურად, სამხედრო სპეციალობების მიხედვით(70-ზე მეტი ძირითადი სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობაა), მაქსიმალური დატვირთვით, თანამედროვე შეიარაღებისა და ტექნიკის გამოყენებით, პრაქტიკული და თეორიული ჩვევების დახვეწით).

მობილიზაციამ სიტუაცია კონტროლიდან არ უნდა გამოიყვანოს. კარგი იქნება თუ კადრირებული ბრიგადების რაოდენობას გავაორმაგებთ არსებული (51) შტატის რიცხობრივი შენარჩუნებით (სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი).

აგვისტოს მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ჯობდა, რეზერვისტები ბევრად ნაკლები ყოფილიყო, მაგრამ უფრო მომზადებული, ორგანიზებული, მობილიზებული და, რაც მთავარია, ბრძოლისუნარიანი (ამას გვავალდებულებს გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის მრავალეთნიკურობა, ოკუპირებული ტერიტორიები, პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება).

საჭიროების შემთხვევაში დროებით დაკარგულ ტერიტორიებზე ფართოდ უნდა გაიშალოს პარტიზანული მოძრაობა (რეგიონალური შტაბების შექმნა), ადგილობრივი, ვინც უკმაყოფილოა არსებული რეჟიმით და გამოდევნილი მოსახლეობისაგან, ასევე ოპერატიულად მტრის ზურგში (ტერიტორიული პრინციპით) სახელმწიფო სტრუქტურებთან მჭიდრო ურთიერთქმედებით, უნდა შეიქმნას სახალხო პარტიზანული შეიარაღებული რაზმები (ჯგუფები), რომელთა დანიშნულება უნდა იყოს ვითარების მკვეთრად დაძაბვა, პარალიზება და ისეთი ხელსაყრელი პირობების შექმნა(პარტიზანები საკუთარ მოსახლეობას ხიფათს არ უნდა უქმნიდნენ), რომელიც აღნიშნულ ტერიტორიებზე ხელს შეუწყობს კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას. გამართლებულია პატარა ჯგუფებით მცირე რეიდების მოწყობაც. (პარტიზანული ბრძოლის ტაქტიკა ზოგ შემთხვევაში უფრო მიესადაგება შექმნილ ვითარებას, ვიდრე რეგულარული ჯარის ტაქტიკა).

რაც უფრო ორგანიზებულია არაკონვენციური (პარტიზანული) ბრძოლა, მით უფრო რთულია მასთან შეიარაღებული დაპირისპირება (განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს პარტიზანული ჯგუფების (ქვედანაყოფების) კოორდინირებულ მოქმედებებს საერთო-საჯარისო ფორმირებებთან).

ტოტალური თავდაცვის სისტემის შექმნა ტიტანური მასშტაბის სამუშაოა, მისი მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს ქვეყნის უსაფრთხოება. თავდაცვითი სტრატეგიის სრულყოფა უსასრულო პროცესია და მუდმივ ნოვაციებს უნდა განიცდიდეს.

კრიტიკულ ვითარებაში საგრძნობლად უნდა შეიზღუდოს მედიასაშუალებების მუშაობა, ისინი არ უნდა აწვდიდნენ (გადმოსცემდნენ) მოსახლეობას ისეთ ინფორმაციას (გინდაც გადამოწმებულს და დაზუსტებულს), რომლის შინაარსიც იქნება ძირგამომთხრელი შეიარაღებული ძალებისათვის, შეულახავს პრესტიჟს ძალოვან სტრუქტურებს და საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის სახელმწიფოებრიობას. (არც მშვიდობიანობის დროს უნდა შუქდებოდეს პრესაში და ტელევიზიებში ის, რაც უარყოფითად იმოქმედებს ძალოვანი სტრუქტურების და კერძოდ, ქართული ჯარის ავტორიტეტზე).

ვითარების გამწვავების შემთხვევაში საჭიროა სამართალდამცავი ორგანოების გააქტიურება ანტისახელმწიფოებრივი გამონათქვამებისა და ქმედებების დროულად აღსაკვეთად და კანონის ფარგლებში საჭირო ზომების მისაღებად.

ქალაქებსა და მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში უნდა ხდებოდეს საპატრულო პოლიციისა და შერჩეული სახალხო რაზმელების ერთობლივი მორიგეობა. (პატრულირება), წესრიგის დამყარებისა და პრევენციული ზომების მისაღებად, კუთხური ექსტრემიზმის, პანიკისა და სხვა ნეგატიური მოვლენების აღსაკვეთად.

პრევენციული ზომების მიღებაა საჭირო ასევე რაიონებში, იქ, სადაც ქართული მოსახლეობა უმცირესობაშია და, ვითარების გამწვავების შემთხვევაში, შესაძლებელია კონტროლს არ დაექვემდებაროს ( ქვემო ქართლი, მესხეთ-ჯავახეთი).

უახლოეს 20-25 წელიწადში უნდა ვეცადოთ, რომ ქვეყანაში შეიცვალოს დემოგრაფიული ვითარება (არც ერთ რეგიონში ქართველები არ უნდა იყვნენ უმცირესობაში).

დაუშვებელია საქართველოს ტერიტორიაზე იძულებით მიგრირებული ან დეპორტირებული ჩვენი მეზობელი ქვეყნების ეთნიკური წარმომავლობის ჯგუფების დასახლება.

**შენიშვნა:** სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოხერხდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების ერთიან პოლიტიკურ-კონსტიტუციურ სივრცეში ინტეგრირება, რის გამოც მათი განწყობა საომარი მოქმედებების დროს, სავარაუდოდ იქნება არაორდინარული, ხშირ შემთხვევაში შეიძლება მტრის წისქვილზეც დაასხას წყალი, რისთვისაც ჩვენ მზად უნდა ვიყოთ.

მტერს მტრულად უნდა დავხვდეთ, ხომ დავრწმუნდით, რომ ის ყველაფერზე წამსვლელია.

სახელმწიფო შემდგარია მაშინ, როდესაც მოქმედებს დემოკრატიული ინსტიტუტები და სამართლიანი კანონები, ჰყავს ძლიერი ძალოვანი სტრუქტურები, განსაკუთრებით ჯარი, რომელსაც შეუძლია დაიცვას საკუთარი მოსახლეობა და ქვეყანა.

საჭიროა შეიქმნას უსაფრთხოების ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც შეძლებს თანამედროვე და ეკონომიკურად გამართლებული საკუთარი შეიარაღებისა და აღჭურვილობის ფართო მასშტაბით წარმოებას, მოახდენს კრიზისულ ვითარებაზე სწრაფ რეაგირებას და დაიცავს ქვეყანას აგრესიისაგან. (ორი რუსეთი არ არსებობს, თავს ნუ ვისულელებთ).

ვეცადოთ, განვახორციელოთ ისეთი სამხედრო რეფორმა და ჩამოვაყალიბოთ ისეთი სამხედრო სტრატეგია, რომელიც თავისი ფორმითა და შინაარსით იქნება განსხვავებული სხვა დანარჩენი ქვეყნების სამხედრო სტრატეგიისაგან, შეესაბამება არსებულ ვითარებას, იქნება მიმზიდველი მეზობელი რეგიონების ქვეყნებისათვის და ანგარიშგასაწევი არაკეთილმოსურნეთათვის.

როდესაც ქვეყნის სამხედრო დოქტრინას ამუშავებ, შეიარაღებული შეტაკებისას უნდა გაითვალისწინო ყველა მისი ნაირსახეობა, რომელსაც მოწინააღმდეგე თავისი მიზნის მისაღწევად გამოიყენებს (დასაშვებიც და დაუშვებელიც), ყველა შემთხვევისათვის მზად უნდა იყო.

სამხედრო დოქტრინას სახელმწიფოს დაარსების პირველსავე დღიდან აყალიბებს.

ის უნდა იყოს ორიენტირი ყველა იმ სახელმწიფო უწყებისათვის, რომელიც ვალდებულია და უშუალოდაა პასუხისმგებელი უზრუნველყოს ქვეყნის უსაფრთხოება... (არაა გამორიცხული, რომ ჩრდილოელმა მეზობელმა ჩეჩნური სცენარი მოგვიწყოს, ამისათვისაც მზად უნდა ვიყოთ).

„ჩვენ საქართველოს დატოვებას არ ვფიქრობთ, მაგრამ თუ სიტუაცია ისე შეიცვალა, სხვა გზა აღარ გვექნება, კარებს ისე მივაჯახუნებთ, რომ იქ ქვა ქვაზე აღარ დარჩეს“.

ლ. ტროცკი (1922 წ.) – ბოლშევიკური რუსეთის ერთ-ერთი ლიდერი.

„თუ რუსეთი დაუყოვნებლივ არ დაიწყებს დიდი სივრცის ხელახლა შექმნას, ანუ თავისი სტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის სფეროდან დროებით დაკარგული ევრაზიული სივრცეების დაბრუნებას, იგი კატასტროფაში თავის თავთან ერთად, მსოფლიოს კუნძულის მაცხოვრებელ სხვა ხალხებსაც ჩაითრევს“.

ასეთია დღევანდელი რუსეთის სახელმწიფოს სტრატეგია, რასაც გეგმაზომიერად და მიზანმიმართულად ახორციელებს ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ელიტა.

თანამედროვე ძლიერი ეროვნული საჯარისო ფორმირებების შექმნა არის ერის უწმინდესი მოვალეობა, რაც მოგვცემს იმის გარანტიას, რომ შევინარჩუნოთ სახელმწიფოებრიობა, დამოუკიდებლობა, თვითმყოფადობა.

მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს ქვეყნის დაცვა გარეშე მტრებისაგან, დაკარგული ტერიტორიების აღდგენა და დევნილების დაბრუნება საკუთარ სახლებში. (მარტო მიმზიდველი ქვეყანა ტერიტორიული მთლიანობის გარანტი ვერ იქნება. მას სახელმწიფოებრიობის სხვა კომპონენტებიც უნდა გააჩნდეს).

კრიტიკულ ვითარებაში აგენტური ქსელების „მოღვაწეობა“ მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი.

მტრის სიძლიერეს ვერ შეაფასებ, თუ მას წინააღმდეგობა არ გაუწიე და მთელი არსებით არ ჩაინერგე მისდამი სიძულვილი (ვინ წარმოიდგენდა, რომ აგვისტოს ომის დაწყებიდან ხუთი წლის შემდეგ თბილისის შუაგულში –თავისუფლების მოედანზე, პუშკინის სკვერში, გაურკვეველი წარმომავლობის „ქართველები“ ოკუპანტი ქვეყნის დროშებს ააფრიალებდნენ, ხოლო გრიბოედოვის თეატრში დაღუპულ ოკუპანტ რუს მეომრებს დარბაზი ფეხზე წამოუდგებოდა), მტერი სისუსტეს არ გაპატიებს. ძალის დემონსტრირება საჭიროა არა სამოქალაქო დაპირისპირების დროს და აღლუმებზე, არამედ ბრძოლის ველზე. უძლეველი ჯარი არ არსებობს, მით უმეტეს დღევანდელი ე.წ. რუსული ჯარი, შეხედეთ მათ დემორალიზებულ სახეებს, მოვა დრო და ეს გაშიშვლებულ-გაძვალტყავებული ჯარი თვით რუსეთს შეუქმნის დიდ პრობლემებს.

ურთულეს ვითარებაში ქვეყანა უნდა იყოს მზად იარაღის ქვეშ დააყენოს ყველა, ვისაც შეუძლია მისი ხელში აღება (მათ შორის ქალებიც).

როდესაც მტრის სიძლიერეს აზვიადებ, საკუთარი ქვეყნის საბრძოლო ტრადიციებისა და დაღუპული მეომრების შეურაცხყოფაა. მარტო კარგი კანონებით, კონცეფციებით, ოპტიმალური გეგმებით და ტელევიზიებში გამართული დებატებით ქვეყანას ვერ დაიცავ (დღევანდელი მსოფლიო ეფუძნება ძალას და არა გონებას).

ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსული ურიცხვი მტრის სამხედრო ფორმირებები და შეიარაღებული ბანდები იმაზე კი არ უნდა ოცნებობდნენ, თუ როგორ მიაღწიონ თავიანთ მზაკვრულ მიზნებს, არამედ იმაზე, თუ როგორ გაიყვანონ საკუთარი ჯარი და თავი დააღწიონ ჯოჯოხეთს, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ და აქეთ გვეხვეწებოდნენ, გაგვიშვით რა, გავიდეთო.

დემოკრატია კარგია, მაგრამ ხალხის ძალაუფლება კი არა, როდესაც მათ აიძულებენ საკუთარი სახლების მიტოვებას და იქიდან აძევებენ, ქვეყნის ნაწილი ოკუპირებულია, გახლეჩილია შუაზე და მისი ბედი სასწორზე ჰკიდია, საჭიროა რადიკალური ზომების მიღება და ამ შემთხვევაში დემოკრატიული პრინციპებიდან გადახვევაც შეიძლება (გადამეტებულმა დემოკრატიამ შეიძლება ქვეყანას ანარქიისაკენ უბიძგოს, ხოლო აბსოლუტურმა დემოკრატიამ კი ერი თვითმკვლელობამდე მიიყვანოს). კარგია ტოლერანტობაც, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი დიდი მეზობლის მადა, გაფართოვდეს სხვის ხარჯზე (თავისი ტერიტორიებისთვის ვერ მოუვლია).

საომარი მოქმედებების დროს მოსახლეობის განწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს, მისმა პასიურობამ შეიძლება ქვეყანა დაღუპოს (აფხაზეთის მაგალითიც საკმარისია).

როდესაც ჩვენ ირგვლივ ასეთი დაძაბულობაა, ერთმანეთს არ უნდა ვეკინკლავებოდეთ.

ერის ცხოვრებაში შეიძლება დადგეს ისეთი მომენტი, როდესაც ყველაფერი უნდა გადადო, იარაღით ხელში შეხვდე მტერს და დაიცვა შენი ქვეყნის ყოველი მტკაველი მიწა. (ურთულეს ვითარებაში ქვეყანა ერთ საბრძოლო ბანაკად უნდა იქცეს).

გულუბრყვილობა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს ქვეყნისათვის.

ქვეყნის დაცვა მარტო ჯარს არ ევალება, ის ხალხის უპირველესი ამოცანაა.

მისაღებია კლაინის (ამერიკელი მეცნიერი) ფორმულა: „გამარჯვება = ეკონომიკა + შეიარაღებული ძალები - სტრატეგიული მიზანი“;

- ხელისუფლების უნარი;
- ხალხის ნება.

ქვეყნის მომზადებული და მონოლითური მოსახლეობა ნებისმიერ მოწინააღმდეგეს გაუჩენს თავსატეხს, ხოლო საღად მოაზროვნე თავს აარიდებს მასთან შეიარაღებულ დაპირისპირებას.

ნაწილობრივ თუ მაინც გაითვალისწინებთ ჩემს მოსაზრებებს, ჩავთვლი, რომ მიზანი მიღწეულია და მცირე წვლილი მაქვს შეტანილი სამხედრო აღმშენებლობის პროცესში, რაც მომავალში დადებითად იმოქმედებს ქვეყნის შეიარაღებული ძალების განვითარებასა და სრულყოფაზე.

P.S. – რუსეთი ჩამოყალიბებულია კრიმინალურ-ფაშისტურ სახელმწიფოდ, შეზრდილი რელიგიურ ექსტრემიზმთან, შიზოფრენულ-შოვინისტური იდეოლოგიით, რომელიც ოცნებობს აღადგინოს საბჭოთა იმპერია, ებრძოლოს მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტს, მათ თავისუფალ დემოკრატიულ განვითარებას;

– როდესაც მტერი ჩვენი ქვეყნის შუაგულშია შემოჭრილი და გეგმაზომიერად ახორციელებს მცოცავ ანექსიას, ასევე მოვლენები, რომლებიც უკრაინაში ვითარდება, გვავალდებულებს ქმედითი ზომები მივიღოთ მოსალოდნელი პროვოკაციების აღსაკვეთად (ევროკავშირთან დაჩქარებული წესით ასოცირებული ხელშეკრულების თუნდაც ხელისმოწერა, ჩვენ არ ვიცით, რა დოზით იმოქმედებს რუსეთზე);

– სხვა მეზობელ სახელმწიფოებთან მიმართებაშიც დიდი სიფრთხილე გვმართებს, ვინაიდან ჩრდილოელი მეზობელი ყველანაირად ეცდება სიტუაციის უკიდურესად დაძაბვას (დაწყებული რუსული პასპორტების დარიგების ჩვეული მეთოდით) ეთნიკური უმცირესობის აქტიური პროვოცირებით.

**მაიორი შალვა დოლიძე დაიბადა 1977 წლის 21 სექტემბერს. დაამთავრა თბილისის 67-ე საშუალო სკოლა(1995წ.), იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში. მსახურობდა თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ სტრუქტურებში. გავლილი ჰქონდა საფეხურები: ოცმეთაური, ასმეთაური, გაერთიანებული შტაბის ოფიცერი, ბატალიონის მეთაური. გამოირჩეოდა კეთილსინდისიერებითა და საქმის ერთგულებით. რუსეთ-საქართველოს ომში (2008წ.) ბატალიონით იყო შესული ცხინვალში მიმდებარე ქართული სოფლებიდან მოსახლეობის გამოყვანისა და გადარჩენის მიზნით. ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. თანამებრძოლები მოიხსენიებენ პატივისცემით, აღნიშნავენ მის თავდადებას, პრინციპულობას, ხელქვეითებზე ზრუნვას. მას ახასიათებდა მეთაურის ყველა თვისებები, რაც გამოვლინდა ქვეყნისათვის იმ ურთულეს ვითარებაში. მეთაურის გმირობა და სიმამაცე ყველასათვის იყო სამაგალითო. მინიჭებული აქვს „ვახტანგ გორგასლის“ სახელობის 1-ლი ხარისხის ორდენი. დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩასა და სკვერს ეწოდა მისი სახელი.**

### საქართველოს სამხედრო დოქტრინა

სამხედრო დოქტრინა ნიშნავს - შეხედულებების ჩამოყალიბებულ სისტემას, მიღებულს სახელმწიფოში სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ, საზოგადოებრივი განვითარების რომელიღაც გარკვეულ ეტაპზე და ეხება ომის მიზნებს, ხასიათს, საშუალებებს, მართვის წესებს.

**სდ-ის განსაზღვრისას მისი მნიშვნელოვანი სეგმენტები უნდა იყოს:**

- კანონის უზენაესობა;
- ქვეყანაში არსებული შიდა და საგარეო პრობლემები (ქვეყანაში და რეგიონში არსებული სოციალური და ეკონომიკური ვითარება, მოუგვარებელი კონფლიქტები, შეიარაღებული შეტაკებები მეზობელ რეგიონებში, მილიტარისტული პოლიტიკის გამტარებელი ქვეყნები, რომლებიც უარყოფით ზეგავლენას ახდენენ საერთო ვითარებაზე).

სამხედრო დოქტრინის მთავარი მიზანია ქვეყნის დაცვა გარეშე მტრებისაგან, ის უნდა ეფუძნებოდეს დემოკრატიული, ჰუმანური და მშვიდობიანი სახელმწიფოს პრინციპებს და შეესაბამებოდეს კონკრეტულ ვითარებაში არსებული სამხედრო თეორიის მოთხოვნებს.

დოქტრინა უნდა გამოხატავდეს სახელმწიფოს მისწრაფებას, ეროვნული ინტერესების დასაცავად გააზრებულად გამოიყენოს ეკონომიკური, პოლიტიკური, ეკოლოგიური, რელიგიური, საინფორმაციო, სამართლებრივი, ეთნიკური და სამხედრო ბერკეტები.

**სამხედრო დოქტრინის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს:**

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმები და პრინციპები.

**სსდ უნდა იყოს პროგრესული, ოპტიმალური, თავდაცვითი და მიზნად ისახავდეს:**

- სამხედრო აღმშენებლობას;
- დაკარგული ტერიტორიების აღდგენას;
- სწრაფვას, გახდეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ღირსეული წევრი;

**მიიღოს მონაწილეობა:**

- თავდაცვისა და უსაფრთხოების სამიტებსა და კონფერენციებში;
- კრიზისული ვითარების ლოკალიზებაში;
- ადეკვატური ზომების მიღებას აგრესორ ქვეყნებთან დაპირისპირებაში;
- სამხედრო-სამშვიდობო მისიებში;
- ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური იარაღის გლობალური გავრცელების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში;
- ერთობლივ სამხედრო სწავლებებსა და კოლექტიურ თავდაცვით ღონისძიებებში.

**საქართველო ვალდებულია იყოს ერთგული და განუხრელად შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებები, სადავო საკითხების გადაწყვეტისას იხელმძღვანელოს საერთაშორისო ნორმებითა და პრინციპებით, მიისწრაფოდეს:**

- ყველასთან იყოს მეგობრულ კავშირში;
- ჰქონდეს საგარეო საქმეები დალაგებული;
- გააღრმავოს ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან;
- აწარმოოს მათთან კონსულტაციები მნიშვნელოვან თემებზე, განსაკუთრებით სტრატეგიულ პარტნიორ და მოკავშირე ქვეყნებთან (აშშ, დიდი ბრიტანეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, უკრაინა, პოლონეთი), ისეთ საკითხებში როგორიცაა: ენერგეტიკა, ტრანსპორტი, კომუნიკაციები და სხვა მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც იქნება ქვეყნის სტაბილურობისა და უსაფრთხოების გარანტი.

**ქვეყნის სამხედრო ძლიერება დამოკიდებულია:**

- ეკონომიკურ შესაძლებლობებზე (ბუნებრივი რესურსები, განვითარებული მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა);
- მეცნიერებისა და ტექნიკის მაღალ დონეზე;
- მატერიალურ რეზერვზე;
- შრომის მაღალ წარმოებაზე;
- მძლავრ საბანკო სექტორზე;
- სამხედრო პოტენციალზე:
- სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკის მოდერნიზაციაზე;
- სამობილიზაციო მზადყოფნაზე;
- კადრების მომზადებაზე;
- მართვის სისტემისა და ორგანოების ფუნქციონირებაზე;
- დაბალანსებულ საკონტრაქტო და სავალდებულო სამხედრო სამსახურზე;
- ძლიერ რეზერვზე;
- დამცავი ფორტიფიკაციული ნაგებობების ფართო ქსელზე;
- მტკიცე დისციპლინასა და წესრიგზე;
- მშვიდობიან, გაწონასწორებულ საგარეო კურსზე;
- მორალურ-პოლიტიკურ მხარეზე;



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N15 (265) პარასკევი, 18–27 აპრილი, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი | ფასი 2 ლარი | www.ptpress.ge

## პირველად „პრაიმტაიმში“





exclusive

# მანჩო გიორგობიანი:

„ჩემ გარშემო არის სულ საგიჟეთი, სულ მითქმა-მოთქმა, აზელილი ერთმანეთში ტყუილი და მართალი. თავმოყვარე ოჯახისთვის ეს ურთულესი, უმძიმესი გადასატანია, მაგრამ ვერ ვიცვლები, ესეთი ვარ...“

## სამწლიანი მცდელობის შემდეგ ეჟენ იონესკოს „მაკბეტტ“-ი დაიდგა



რეზო შატაკიშვილი: „მაშინ ბატონი რობერტი დამთანხმდა, რომ „მაკბეტტ“-ი სარეპერტუაროდ დამედგა. მაგრამ შემდეგ უარი მითხრა. ამ სპექტაკლზე მუშაობა თეატრალურ უნივერსიტეტში გავაგრძელე...“

EXCLUSIVE

**აჩიკო სოლოღაშვილი:** „მდინარე იორდანეში რომ ჩადიხარ, უამრავი თევზი მოდის და პირით გეხება, თითქოს სხეულიდან ცოდვებს გაცლიან“



## ცნობილი ქართველები წმინდა მიწაზე ნანახ სასწაულებზე



**გოგა ჩანადირი:** „30 სანტიმეტრი მაშორებდა სვეტს, რომ ჩემს სანთელს დავხედე და გული გამისკდა - ჩამქრალი სანთელი ანთებულიყო!“

# EXCLUSIVE



„მთელი შსს იქ იყო. მომადგნენ იარაღებით, შემოცვიდნენ და დასხდნენ სტადიონზე. აბსოლუტური დეზორგანიზაცია გაუკეთეს ტრიბუნებს, იმიტომ, რომ თვითონ იყვნენ იქ ყველაფერი. დაცვა მოვიდა ჩემთან და გამაფრთხილეს, რომ არანაირი ძალა არ ჰქონდათ, მათთან გასამკლავებლად. იარაღები დაგვადეს თავზე და ან რომელ მსაჯს უნდა ემსაჯა წესიერად ის თამაში, რომ არ შეშინებოდათ. რატომ გიკვირთ, ზოგი დაიბარეს და ფული შესთავაზეს, ზოგს კი პირდაპირ დაემუქრნენ, რომ მამაშენს დავიჭერთო“

exclusive

# ილია კოკაია:

# „ფეხბურთის ფედერაცია დღეს კასტრირებულია“

ISSN 1987-7404



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება